ვ. ჩოჩია

გერმანია პირველი მსოფლიო ომის წინ

1909 —1914

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1986

63.3(4Г)
ჩ 812

პირველი მსოფლიო ომის წარმოშობის საკითხი ინარჩუნებს თავის აქტუალობას როგორც პოლიტიკური, ისე მორალური და ზნეობრივი თვალსაზრისით. ევროპის დიდი სახელმწიფოების პოლიტიკა ომამდელ პერიოდში მიმართული იყო ომის შემზადებისა და მისი გაჩაღებისაკენ.

გერმანიის იმპერია, როგორც ერთ-ერთი სამხედრო-პოლიტიკური დაჯგუფების მეთაური, აქტიურად ეწეოდა ომისათვის მზადებას, განსაკუთრებით ბოსნიის 1908—1909 წლების კრიზისის შემდეგ.

ნაშრომში მდიდარ საარქივო და დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით ნაჩვენებია გერმანიის იმპერიის საგარეო პოლიტიკის გააქტიურების მიზეზები და გამალებული შეიარაღების გაძლიერება ომამდელ პერიოდში.

რედაქტორი ისტორიის მეცნ. დოქტორი, პროფ. ი. ტაბაღუა

რეცენზენტები: ისტორიის მეცნ. კანდიდატები: ვ. თვალაძე
გ. მანჯგალაძე

ჩ 0504030000 / M 607(06)—86 171-85

© გამომცემლობა „მეცნიერება", 1986

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ისტორიული განვითარების თავისებურებათა გამო გერმანია კაპიტალისტური განვითარების გზას სხვა ქვეყნებზე გვიან დაადგა. მსოფლიო ასპარეზზე იგი გამოვიდა მხოლოდ XIX ს. ბოლოს, როცა თითქმის მთელი მსოფლიო ძირითადად უკვე გაყოფილი იყო ძველ კაპიტალისტურ ქვეყნებს — ინგლისსა და საფრანგეთს შორის, „ასე რომ მომავალში რჩება მხოლოდ გადანაწილებანი, ე. ი. ერთი „მფლობელისაგან“ მეორის ხელში გადასვლა“[1]. ყოველივე ეს აძლიერებდა გერმანიის იმპერიალიზმის აგრესიულობას, რომელიც ჯიქურ მიიწევდა მსოფლიოს გადანაწილებისაკენ საბრძოლველად.

კაპიტალიზმის განვითარება გერმანიაში სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა, რაც განპირობებული იყო ეკონომიკური და პოლიტიკური დაჩუცმაცებულობის მოსპობით, ვ. ი. ლენინი ახასიათებდა რა კაპიტალიზმის განვითარებას გერმანიაში, აღნიშნავდა, რომ „ეს სწრაფი განვითარება იყო განვითარება ახალგაზრდა და ძლიერი მტაცებლისა“[2].

XX ს. დასაწყისისათვის გერმანიამ სამრეწველო განვითარების დონით პირველი ადგილი დაიკავა ევროპაში და დაიწყო მსოფლიო ბაზრებზე ინგლისისა და საფრანგეთის შევიწროება. ამის საფუძველი იყო ტექნიკური პროგრესი, რომელმაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო კაპიტალის კონცენტრაციის პროცესის დაჩქარებას და მონოპოლიების აღმოცენებას. მონოპოლიები კი ფართოდ იყენებდნენ მეცნიერულ მიღწევებს „თავიანთი პოზიციების განსამტკიცებლად, წარმოების ეფექტიანობისა და ტემპის გასაზრდელად, მშრომელთა ექსპლოატაციისა და ჩაგვრის გასაძლიერებლად“[3].

XIX—XX სს. მიჯნაზე იმპერიალიზმის სტადიაში გადასვლას თან ახლდა გერმანიის ახალგაზრდა ბურჟუაზიის მწვავე ბრძოლა ძველ იმპერიალისტურ ქვეყნებთან კოლონიური სამფლობელოების, ნედ-

---

[1] ვ. ი. ლენინი, იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია, თხზ., გამოც. მე-4, ტ. 22, გვ. 319.

[2] ვ. ი. ლენინი, ომი და რევოლუცია, თხზ., ტ. 24, გვ. 486.

[3] სკკპ XXIV ყრილობის მასალები, თბ., 1971, გვ. 18.

ლეულის ახალი წყაროებისა და კაპიტალის დაბანდების სფეროთა ხელში ჩაგდებისათვის. ამ ბრძოლაში ყველაზე მწვავე და ღრმა იყო შეჯახება გერმანიასა და ინგლისს შორის და გერმანიასა და რუსეთს შორის, რომელთაც კიდეც შეასრულეს გადამწყვეტი როლი პირველი მსოფლიო ომის წარმოშობაში[4]. განიხილავდა რა ომის წინა პერიოდში იმპერიალისტური სახელმწიფოების პოლიტიკას, ვ. ი. ლენინი მიუთითებდა ომის გარდუვალობაზე: „ახლანდელ აშკარა და ფარულ ხელშეკრულებათა, შეთანხმებათა და მისთანათა გაბმული ქსელის პირობებში, საკმარისია პატარა წკიპურტი ჰკრან რომელიმე „სახელმწიფოს“, რომ „ნაპერწკლიდან ალი გაღვივდეს“[5].

ბრძოლა მსოფლიო ბაზრებზე ბატონობისათვის მიმდინარეობდა კოლონიებისათვის ბრძოლის ფორმით. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ დიდი იმპერიალისტური სახელმწიფოების შეტაკება გადაიქცა მსოფლიო ბატონობისათვის ბრძოლად; „მსოფლიო ბატონობა“, მოკლედ რომ ვთქვათ, შინაარსია იმპერიალისტური პოლიტიკისა, რომლის განგრძობასაც იმპერიალისტური ომი წარმოადგენს“[6].

გერმანიის აგრესიულ საგარეო პოლიტიკას საფუძვლად ედო ფინანსური ოლიგარქიისა და მსხვილი მიწათმფლობელი არისტოკრატიის ვიწროკლასობრივი, ეგოისტური ინტერესები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ გერმანელი ხალხის ეროვნულ ინტერესებს. სამხედრო-საზღვაო ფლოტის მშენებლობა, ექსპანსია მახლობელ აღმოსავლეთში, მაროკოს ავანტიურა და მრავალი სხვა ღონისძიება, რომლებიც სისტემატურად ამწვავებდნენ საერთაშორისო ურთიერთობებს, მოწმობდნენ გერმანიის იმპერიალიზმის ბრძოლაზე „მზის ქვეშ ადგილისათვის“.

ნაშრომის ავტორი მიზნად ისახავს, საარქივო, გამოქვეყნებული დოკუმენტური მასალებისა და ლიტერატურის საფუძველზე გააშუქოს იმპერიალისტური გერმანიის საგარეო პოლიტიკისა და ომისათვის მისი გამალებული მზადების ზოგიერთი საკითხი პირველი მსოფლიო ომის წინ.

ნაშრომის ქრონოლოგიურ ჩარჩოებად ავიღეთ, ერთი მხრივ, 1908—1909 წწ. ბოსნიის კრიზისი[7], რომელმაც ნათლად აჩვენა გერ-

---

[4] იხ. ვ. ი. ლენინი, სეპარატული ზავის შესახებ, თხზ., ტ. 23, გვ. 158.

[5] ვ. ი. ლენინი, მებრძოლი მილიტარიზმი და სოციალ-დემოკრატიის ანტიმილიტარისტული ტაქტიკა, თხზ., ტ. 15, გვ. 222.

[6] ვ. ი. ლენინი, მარქსიზმის კარიკატურისა და „იმპერიალისტური ეკონომიზმის“ შესახებ, თხზ., ტ. 23, გვ. 33.

[7] ბოსნიის კრიზისი წარმოადგენდა ზღვარს, რომლის შემდეგაც იმპერიალისტური წინააღმდეგობანი ევროპაში, კერძოდ კი ბალკანეთზე, უფრო სწრაფად იზრდებოდნენ

მანიის მმართველი წრეების მისწრაფება — გაეჩაღებინათ მსოფლიო ომი, ხოლო მეორე მხრივ — მილიტარისტული გერმანიის მიერ 1914 წლის აგვისტოში მსოფლიო იმპერიალისტური ომის დაწყება.

ჩვენ, რა თქმა უნდა, პრეტენზიას არ ვაცხადებთ გერმანიის საგარეო პოლიტიკური პრობლემების ამომწურავად გაშუქებაზე აღებულ პერიოდში. ჩვენ უფრო მოკრძალებული მიზანი გვაქვს: საარქივო და გამოქვეყნებულ დოკუმენტურ მასალებზე, საბჭოთა და უცხოელ ავტორთა ნაშრომებზე დაყრდნობით თვალი გავადევნოთ იმპერიალისტური გერმანიის აგრესიული საგარეო პოლიტიკის ევოლუციას, ვაჩვენოთ გერმანიის დიპლომატიის გააქტიურების მიზეზები და გამალებული შეიარაღების მიზანი პირველი მსოფლიო ომის წინ.

გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა

ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძველს შეადგენს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების თეორიული დებულებანი იმპერიალიზმის განვითარების თავისებურებათა შესახებ, იმპერიალიზმის ეპოქაში ომების გარდუვალობისა და ხასიათის შესახებ. წინამდებარე ნაშრომის ავტორისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ვ. ი. ლენინის შრომებს 1914—1918 წწ. იმპერიალისტური ომის წარმოშობის საკითხზე, სადაც მოცემულია ამომწურავი ანალიზი გერმანიის იმპერიალიზმისა და მილიტარიზმის როლის შესახებ პირველი მსოფლიო ომის გაჩაღებაში, გარკვეულია იმპერიალისტურ წინააღმდეგობათა როლი ომის წარმოშობაში.

ნაშრომზე მუშაობის პროცესში ძირითად წყაროს წარმოადგენდა რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივის მასალები[8]. ჩვენ გავეცანით რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიურ მიმოწერას (რუსეთის დიპლომატიური წარმომადგენლების მოხსენებები, დეპეშები და წერილები) საელჩოსთან ბერლინში და საკონსულოებთან მიუნჰენში, ჰამბურგში, შტუტჰარტსა და სხვ. ქალაქებში. გამოვიყენეთ აგრეთვე გაზეთებისა და ჟურნალების მასალები, ბროშურები, ბიუჯეტების პროექტები, რომლებიც თან ერთვოდა დიპლომატიურ მოხსენებებს. დასახელებული საარქივო მასალები შეიცავენ მრავალ

(იხ. Ф. Нотович. Эпилог боснийского кризиса 1908—1909 гг., Изв. АН СССР, сер. истории и философии, № 1, 1947, стр. 61).

[8] Архив внешней политики России, Министерства Иностранных Дел СССР, (შემდგომში — АВПР).

მნიშვნელოვან ცნობას ომის წინ გერმანიაში საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ; იმ უთანახმოებების შესახებ, რომლებიც წარმოიშობოდნენ როგორც მმართველ დაჯგუფებებს შორის, ისე მთავრობის ცალკეულ წევრებს შორის საგარეო პოლიტიკური კურსის გატარების საკითხებზე.

გამოვიყენეთ აგრეთვე მოსკოვის ცენტრალური სახელმწიფო სამხედრო-ისტორიული არქივის[9] და ლენინგრადის ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივის[10] მასალები, რომლებიც ასევე მრავალ საინტერესო ცნობას შეიცავენ. მაგრამ ამ მასალების გამოყენების დროს ყოველთვის მხედველობაში გვქონდა ის, რომ საარქივო მასალების გამოყენებისას ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს მათდამი კრიტიკული მიდგომა.

მნიშვნელოვან წყაროს, რომელიც შეიცავს მრავალ ძვირფას მასალას, წარმოადგენს იმპერიალიზმის ეპოქის საერთაშორისო ურთიერთობათა დოკუმენტების კრებული[11]. ეს გამოცემა კარგად აშუქებს არა მარტო საკითხებს დიდი სახელმწიფოების დიპლომატიის შესახებ ევროპაში, არამედ კოლონიებისა და გავლენის სფეროებისათვის იმპერიალისტური სახელმწიფოების ბრძოლის საკითხებსაც. მასში ასახვა ჰპოვა გერმანიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის მრავალმა საკითხმა, აგრეთვე გერმანიის საზღვაო ფლოტის მშენებლობის გავლენამ ინგლის-გერმანიის ურთიერთობებზე.

მნიშვნელოვან მასალებს შეიცავს აგრეთვე საერთაშორისო ურთიერთობათა დოკუმენტების კრებული[12]. მასში მოთავსებულია ჩვენთვის საინტერესო პერიოდის მრავალი საჭირო საბუთი.

ასევე მნიშვნელოვანი დოკუმენტებია გამოქვეყნებული ჟურნალში „Красный архив", რომელიც გამოდიოდა 1920—1940 წლებში.

უცხოური გამოცემებიდან გამოვიყენეთ გერმანიის საგარეო პოლიტიკური დოკუმენტების ოფიციალური კრებული, რომელიც გამოდიოდა ბერლინში 1922—1927 წლებში[13]. ამ გამოცემის ძირითა-

---

[9] Центральный государственный военно-исторический архив (შემდგომში — ЦГВИА).

[10] Центральный государственный исторический архив в Ленинграде (შემდეგში — ЦГИАЛ).

[11] «Международные отношения в эпоху империализма. Документы из архивов царского и временного правительств. 1878—1917 гг.», Серия 2, Т. 18—20, серия 3, Т. 1—6, М., 1931—1940 (შემდეგში — МОЭИ).

[12] Международные отношения 1870 — 1918 гг. Сост. А. Г. Королев и О. Н. Фрейфельд, под ред. В. М. Хвостова, М., 1940.

[13] „Die Grosse Politik der Europäischen Kabinette. Sammlung der diplomatischen Akten des Auswärtigen Amtes". Hrsg. J. Lepsius, A. Mandelssohn - Bartholdy, F. Thimme. Bd. 1—40, Berlin, 1922—1927 (შემდეგში — Gr Pol.)

დი მიზანი ის იყო, რომ იმპერიალისტური გერმანიისათვის აეცილებინათ პასუხისმგებლობა პირველი მსოფლიო ომის გაჩაღების გამო.

დოკუმენტების ეს კრებული შედგება 40 ტომისაგან (დაახლ. 16000 დოკუმენტი) და მოიცავს 1871—1914 წლებს. განსაკუთრებით დაწვრილებით გაშუქებულია ომამდელი პერიოდი. ამ კრებულს არსებითი ნაკლოვანებებიც გააჩნია. ის აგებულია არა ქრონოლოგიური, არამედ თემატური პრინციპით, რაც მის შემდგენლებს საშუალებას აძლევდა შეგნებულად აეცილებინათ გვერდი მთელი რიგი დოკუმენტებისათვის[14]. კრებულში თითქმის არ არის შესული საგარეო პოლიტიკის სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლების ამსახველი მასალები. დოკუმენტების ტენდენციური შერჩევა მიზნად ისახავდა გერმანიის იმპერიალიზმის აგრესიული ხასიათის დაფარვას და პირველი მსოფლიო ომის მომზადებასა და გაჩაღებაში მისი როლის მიჩქმალვას. საინტერესოა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ინგლისელი ისტორიკოსი ლ. ვუდუორდი ამ კრებულს ახასიათებს როგორც გერმანიის მთავრობის „გიგანტურ აპოლოგიას“ და წერს, რომ მხოლოდ ახლა „განიცდის ის (კრებული — ვ. ჩ.) იმ მკაცრ კრიტიკულ გამოცდას, რომელსაც იმსახურებს“[15]. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ამ კრებულზე მუშაობისას აუცილებელ პირობას წარმოადგენს მისდამი კრიტიკული დამოკიდებულება, ისევე როგორც ყველა ბურჟუაზიული გამოცემისადმი, იქნება ის დოკუმენტური პუბლიკაციები თუ გამოკვლევები.

გარდა ამ კრებულისა, გერმანიაში გამოიცა ოთხ ტომად დოკუმენტების კრებული[16], რომლის მეოთხე ტომი ეხება 1911—1914 წწ.

საინტერესო მასალებს შეიცავს კ. კაუცკის ხელმძღვანელობით მომზადებული დოკუმენტების კრებული[17], რომლის მრავალი დოკუმენტი აშკარად მოწმობს, რომ გერმანიის მმართველი წრეები მიისწრაფოდნენ ომის გაჩაღებისაკენ 1914 წელს. კრებული მოიცავს

---

[14] დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ფ. ნოტოვიჩის სტატია — «Историк-Марксист», 1938, кн. 3, стр. 129—133.

[15] К. Б. Виноградов, Буржуазная историография первой мировой войны, М., 1962, стр. 61.

[16] „Die Auswärtige Politik des Deutschen Reiches 1871—1914». Unter Leitung von Albrecht] Mendelssohn - Bartholdy und Friedrich Thimme hereausgegeben vom Institut für auswärtige Politik in Hawburg, Bd. 1—4. Berl. 1928 (შემდგომში — Auswärtige Politik).

[17] „Die deutschen Dokumente zum Kriegsausbruch. Zollständige Sammlung der von K. Kautsky zusammengestellten amtlichen Aktenstücke mit einigen Ergänzungen“. Hrsg. von M. Montgelas und W. Schüking, Bd. 1—4, Berlin, 1927 (შემდგომში — Die deutschen Dokumente).

დროის მოკლე მონაკვეთს სარაევოში ფრანც-ფერდინანდის მკვლელობიდან იმპერიალისტური ომის დაწყებამდე. ამ გამოცემის მიზანი ის იყო, რომ ომის გაჩაღებაში პასუხისმგებლობა ვილჰელმ II და მასთან ახლოს მდგომი პირებისათვის დაეკისრებინათ და ამით დაეფარათ გერმანიის იმპერიალიზმის საგარეო პოლიტიკის აგრესიული ბუნება.

1930 წ. ავსტრიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა დოკუმენტების კრებული[18], რომელიც ომამდელი პერიოდის მრავალ საინტერესო საბუთს შეიცავს, თუმცა გერმანიის, ავსტრია-უნგრეთისა და სხვა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკა გაშუქებულია ავსტრიის ბურჟუაზიული სახელმწიფოს ინტერესების შესაბამისად, რომელიც აღმოცენდა ავსტრია-უნგრეთის იმპერიის დაშლის შედეგად. დოკუმენტები ამ კრებულში ქრონოლოგიურად არის დალაგებული, მაგრამ მას დიდი ნაკლიც აქვს — მასში მხოლოდ დიპლომატიური ხასიათის დოკუმენტებია მოთავსებული და საერთოდ არ არის მასალები გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის გენერალური შტაბების უფროსთა მოლაპარაკების შესახებ.

1924 წლის ბოლოს ინგლისის მთავრობის დავალებით ისტორიკოსები ჯ. გუჩი და ჰ. ტემპერლი შეუდგნენ დოკუმენტური კრებულის მომზადებას, რომელმაც დაიწყო გამოსვლა 1926 წლიდან[19].

ეს კრებული მხოლოდ დიპლომატიური მიმოწერის მასალებს შეიცავს. აქაც ვხვდებით დოკუმენტებს, რომლებიც თვითნებურად არის შეკვეცილი. კრებულის 11 ტომი მოიცავს 8559 დოკუმენტს. ისინი ეხებიან XX ს. დასაწყისის მრავალ მნიშვნელოვან საკითხს, იქნება ეს ინგლის-გერმანიისა და ინგლის-საფრანგეთის ურთიერთობანი თუ ბოსნიის კრიზისი, ბალკანეთის ომები და ა. შ. კრებულში არაფერია ნათქვამი ინგლისის კოლონიურ ექსპანსიაზე. მასში არ შესულა მთელი რიგი მნიშვნელოვანი დოკუმენტები. ეს, ცხადია, მიზნად ისახავდა ინგლისის იმპერიალიზმის საგარეო პოლიტიკის გამართლებას.

ბურჟუაზიულ დოკუმენტურ კრებულებს შორის გამოირჩევა ფრანგული დოკუმენტების კრებული[20], რომელიც გამოვიდა სამ სე-

---

[18] „Österreich - Ungarns Aussenpolitik von der Bosnischen Kriese 1908 bis zum Kriegsausbruch 1914. Diplomatische Aktenstücke des österreichischen - ungearischen Ministerium des Äussern", Bd. 1—8, Wien, 1930 (შემდეგში — ÖUAP).

[19] „British Documents on the Origins of the War. 1898—1914. Ed. By G. Gooch and H. Temperley", vol. 1—11, London, 1927 —1936 (შემდგომში — Br. Doc.).

[20] „Documents diplomatiques français (1871—1914). Ministére des Affaires Etrangéres. Commission de Publication documents relatifs aux origines de la guerre de 1914". t. 1—41, Paris, 1929—1959 (შემდგომში — DDF).

რიად 41 ტომის რაოდენობით. ის აგებულია ქრონოლოგიური პრინციპით, რაც უადვილებს მკვლევარს ომამდელი რთული საგარეო-პოლიტიკური საკითხების გარკვევას. აღნიშნულ კრებულსაც გააჩნია ხარვეზები[21]: ანალოგიური გერმანული და ინგლისური გამოცემების მსგავსად აქაც ასახვა ვერ ჰპოვა ზოგიერთმა მნიშვნელოვანმა დოკუმენტმა.

უდავოა, მრავალ საინტერესო მასალას შეიცავენ კაიზერული გერმანიისა და სხვა ქვეყნების პოლიტიკურ მოღვაწეთა: ვილჰელმ I, ბიულოვის, ბეტმან-ჰოლვეგის, ტირპიცის, კონრად ფონ ჰეტცენდორფის, ე. გრეის, ლოიდ ჯორჯის და სხვ. მემუარები, თუმცა ისინი სუბიექტურ ხასიათს ატარებენ.

გერმანიის საშინაო და საგარეო პოლიტიკურ პრობლემებზე, შეიარაღების საკითხებზე და ა. შ. მრავალ საინტერესო მასალას შეიცავენ, აგრეთვე, გერმანიის რაიხსტაგის სხდომების სტენოგრაფიული ანგარიშები[22].

მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს პრესა. გაზეთები, რომლებიც გამოდიოდნენ პირველი მსოფლიო ომის წინ გერმანიასა და რუსეთში, დიდ ყურადღებას უთმობდნენ საგარეო პოლიტიკის საკითხებს. ასეთი იყო, მაგალითად, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან დაკავშირებული გაზეთი „ნოვოე ვრემია", კადეტთა პარტიის ორგანო „რეჩი", „როსია" და სხვ. გერმანული გაზეთებიდან გამოირჩეოდნენ „რაინიშ-ვესტფელიშე ცაიტუნგ", „ფრანკფურტერ ცაიტუნგ", „ფოსიშე ცაიტუნგ" და სხვ. ქართული გაზეთებიდან უპირველ აღინიშნოს „მომავალი", „მნათობი" და განსაკუთრებით „სახალხო გაზეთი", რომელიც მრავალ საინტერესო მასალას აქვეყნებდა.

საბჭოთა ისტორიული მეცნიერება ყოველთვის დიდი ყურადღებით ეკიდებოდა პირველი მსოფლიო ომის მიზეზების შესწავლას. გამოქვეყნებულია მთელი რიგი ნაშრომებისა, რომლებიც შეეხნენ იმპერიალიზმის პერიოდის საერთაშორისო ურთიერთობათა საკითხებს და ეხებიან გერმანიის საგარეო პოლიტიკას პირველი მსოფლიო ომის წინ.

სამწუხაროდ, ქართულ ენაზე არა გვაქვს დიდი არჩევანის შესაძლებლობა იმ ლიტერატურისა, რომელიც ეხება გერმანიის ისტორიას ომამდელ წლებში. ამ ხარვეზს ნაწილობრივ ავსებენ გ. კიღუ-

---

[21] დაწვრილებით იხილეთ ფ. ნოტოვიჩის სტატია — «Историк-марксист» 1937, кн. 2, стр. 148—155.

[22] „Stenographische Berichte über die Verhandlungen des Deutshen Reichstages", Bd. 268, 289, Berlin, 1911—1913.

რაძის[23], ი. ტაბალუას[24], ვ. დონაძის[25], ნ. კიკვაძის[26] ნაშრომები. გ. კილურაძის პირველ წიგნში ფართოდ არის განხილული ძარო-კოსათვის იმპერიალისტური ბრძოლა და იმპერიალიზმისათვის დამახასიათებელი დიპლომატიური მეთოდები. მეორე წიგნში ავტორი ყოველმხრივ იხილავს ახალი ისტორიის მეთოდოლოგიისა და ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვან საკითხებს. ი. ტაბაღუას წიგნში განხილულია რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობანი და მათი მზადება ომისათვის. ავტორი ეხება აგრეთვე გერმანიის საგარეო პოლიტიკას იმდენად, რამდენადაც ამას ნაშრომის ხასიათი მოითხოვს. ვ. დონაძის წიგნში ფართოდ არის მიმოხილული ნ. ნიკოლაძის მოსაზრებანი ახალი დროის ისტორიის საკითხებზე. ნ. კიკვაძის ნაშრომში მოკლედ განხილულია გერმანიის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, აგრეთვე მუშათა მოძრაობის საკითხები გაერთიანებიდან XIX ს. მიწურულამდე.

გერმანიის საგარეო პოლიტიკის და პირველი მსოფლიო ომის წარმოშობის საკითხებზე მნიშვნელოვანი შრომები გამოაქვეყნა გერმანიის ახალი და უახლესი ისტორიის ერთ-ერთმა დიდმა სპეციალისტმა ა. იერუსალიმსკიმ[27]. მის ნაშრომებში უმრავ კონკრეტულ მასალაზე დაყრდნობით განხილულია გერმანიის იმპერიალიზმის განვითარების ძირითადი პრობლემები. დიდი ყურადღება აქვს დათმობილი გერმანიის აგრესიული საგარეო პოლიტიკის შესწავლას.

ე. ტარლეს ცნობილ ნაშრომში[28] განხილულია ევროპის სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის ისტორია, მხილებულია გერმანიის

---

[23] გ. კილურაძე, ნარკვევები პირველი მსოფლიო ომის მომზადების ისტორიიდან (მაროკოს პირველი კრიზისი), თბ., 1950; „ახალი ისტორია", წიგნი I, თბ., 1970.

[24] ი. ტაბაღუა, რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობა პირველი მსოფლიო ომის წინ, თბილისი, 1960.

[25] ვ. დონაძე, ნიკო ნიკოლაძის ისტორიული შეხედულებები (ახალი დროის მსოფლიო ისტორიის საკითხები), თბ., 1962.

[26] ნ. კიკვაძე, გერმანიის იმპერია 1871—1896 წლებში, — „ახალი ისტორია", წიგნი 1, 1870—1900, თბ., 1973; Н. И. Киквадзе. Экспансия германского империализма в страны Юго-Восточной Азии, Тбилиси, 1967 (Неопубликованная диссертация).

[27] А. С. Ерусалимский. Внешняя политика и дипломатия германского империализма в конце XIX века. М., 1951; Германский империализм: история и современность, М., 1961; Бисмарк, дипломатия и милитаризм. М., 1968; Германский империализм и возникновение войны 1914—1918 гг., «Большевик», 1937, № 15.

[28] Е. В. Тарле. Европа в эпоху империализма 1871—1919. Соч., Т. 5, М., 1958.

იმპერიალიზმის აგრესიული ხასიათი და მისი მმართველი წრეების მისწრაფება მსოფლიო ომის გაჩაღებისაკენ.

უნდა აღინიშნოს ვ. ხვოსტოვის მნიშვნელოვანი ნაშრომი დიპლომატიის ისტორიაზე[29], რომლის საკმაოდ გადამუშავებული და შევსებული მეორე გამოცემა გამოვიდა 1963 წელს.

გერმანიის იმპერიალისტურ საგარეო პოლიტიკას და მის მისწრაფებას — გაეჩაღებინა მსოფლიო ომი 1914 წ. ივლისის მწვავე მოვლენების დროს — უამრავ დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით აშკარავებს ნ. პოლეტიკას ნაშრომი[30].

ძალზე სასარგებლოა კ. ვინოგრადოვის გამოკვლევა[31], რომელიც ეხება პირველი მსოფლიო ომის პრობლემებზე არსებულ უცხოურ შურეუაზიულ ლიტერატურასა და არსებულ ბურეუაზიულ კონცეფციებს ამ ომის წარმოშობის მიზეზების შესახებ. მეორე მისი ნაშრომი ეხება ბოსნიის კრიზისს[32], რომელიც წარმოადგენდა ომამდელი პერიოდის ერთ-ერთ მწვავე საერთაშორისო კრიზისს. უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, ფ. ნოტოვიჩის[33], გ. ბონდარევსკის[34], ი. ასტაფიევის[35], კ. პეტრიაევის[36] ვ. სალოვის[37] და სხვ. ღრმა მეცნიერული გამოკვლევები.

საბჭოთა ისტორიკოსებთან ერთად გერმანიის იმპერიალიზმის აგრესიული საგარეო და რეაქციული საშინაო პოლიტიკის შესწავლაში თავისი წვლილი შეაქვთ საზღვარგარეთელ მარქსისტებსაც, რომელთა შორის პირველ რიგში უნდა აღინიშნოს გერმანიის დემოკრა-

---

[29] В. М. Хвостов. История дипломатии, т. II, М., 1963.

[30] Н. П. Полетика. Возникновение первой мировой войны (Июльский кризис 1914 года), М., 1964.

[31] К. Б. Виноградов. Буржуазная историография первой мировой войны, М., 1962.

[32] К. Б. Виноградов. Боснийский кризис 1908—1909 гг., —пролог первой мировой войны, ЛГУ, 1960.

[33] Ф. Нотович. Фашистская историография о «виновниках» мировой войны. — Против фашистской фальсификации истории, Сб. ст., М—Л., 1939.

[34] Г. Л. Бондаревский. Багдадская дорога и проникновение германского империализма на Ближний Восток (1888—1903), Ташкент, 1955; Английская политика и международные отношения в бассейне Персидского залива (конец XIX — начало XX в.), М., 1968.

[35] И. И. Астафьев. Русско-германские дипломатические отношения 1905—1911 гг., МГУ, 1972.

[36] К. Д. Петряев. Очерки по истории Германии начала XX в. (1900—1914), Одесса, 1959; Краткое введение к историографии и библиографии истории Германии, Франции, Англии, США 1871—1914, Одесса, 1964.

[37] В. И. Салов. Современная западногерманская буржуазная историография, М., 1968.

ტიული რესპუბლიკის ისტორიკოსთა და პოლიტიკურ მოღვაწეთა ნაშრომები, რომელთა ავტორები არიან ვ. ბარტელი[38], გ. ჰეიდორნი[39], ა. ნორდენი[40], ი. კუჩინსკი[41], ფ. კლაინი[42], ლ. რატმანი[43], ა. შრაინერი[44] და სხვ. აგრეთვე. ავტორთა კოლექტივის რამდენიმე ნაშრომი[45]. გდრ-ის ისტორიკოსები ამხილებენ გერმანიის იმპერიალიზმის ანექსიონისტურ მისწრაფებებსა და უკიდურეს აგრესიულობას საგარეო პოლიტიკაში.

კაიზერული გერმანიის საგარეო პოლიტიკის საკითხებზე საკმაოდ დიდი რაოდენობის ლიტერატურაა შექმნილი გერმანელი ბურჟუაზიული ავტორების მიერ. ისინი, როგორც წესი, იცავდნენ კაიზერული გერმანიის საგარეო პოლიტიკას და მოუწოდებდნენ საფუძვლიანად მომზადებულიყვნენ, რომ გაენადგურებინათ მოწინააღმდეგენი. ისინი კრიტიკით მხოლოდ მაშინ გამოდიოდნენ, როცა გერმანიის საგარეო პოლიტიკა ჩიხში ექცეოდა და აკრიტიკებდნენ გერმანიის დიპლომატიას საგარეო პოლიტიკური აქციების წარუმატებლად გატარებისათვის. ასეთი ავტორები არიან პ. რორბახი[46], ფ. ბერნჰარდი[47], ჰ. კლასი[48], ე. რევენტლოვი[49], ფ. მაინეკე[50], ფ. ვალენტინი[51],

---

[38] В. Бартель. Левые в германской социал-демократии в борьбе против милитаризма и войны, пер. с нем., М., 1959.

[39] Г. Гейдорн. Монополии — пресса — война, пер. с нем., М., 1964.

[40] А. Норден. Уроки германской истории, пер. с нем., М., 1948.

[41] Ю. Кучинский. Очерки истории германского империализма, пер. с нем., Т. I, М., 1952; Очерки по истории мирового хозяйства, пер. с нем., М., 1954.

[42] F. Klein. Deutschland von 1897/98 bis 1917, Berl. 1961.

[43] L. Rathmann. Berlin—Bagdad. Die imperialistische Nahostpolitik des kaiserlichen Deutschlands, Berl. 1962.

[44] A. Schreiner. Zur Geschichte der deutschen Ausenpolitik 1871—1945, Bd. I, Berl. 1952.

[45] Deutsche Geschichte, Bd. 2, Berlin, 1967; Der erste Weltkrieg, Berlin, 1968; Deutshland im ersten Weltkrieg, Bd. 1, Berlin, 1970.

[46] П. Рорбах. Война и германская политика, пер. с нем., М., 1915.

[47] Ф. Бернгарди. Наша будущность, СПб., 1914.

[48] H. Class. West-Marokko deutsch, München, 1911.

[49] E. Reventlow. Deutschlands auswärtige politik 1888—1913, Berlin, 1914.

[50] F. Meineke. PreuBen und Deutschland im 19. und 20. Jahrhundert, München und Berlin, 1918.

[51] V. Valentin. Deutschlands aussenpolitik von Bismarks Abgang bis zum Ende des Weltkrieges, Berlin, 1921.

კ. ლამპრეხტი[52], ე. ბრანდენბურგი[53], ჰ. ონკენი[54] და სხვ. ე. ბრანდენბურგი და ფ. ვალენტინი, მაგალითად, ცდილობენ დაფარონ გერმანიის იმპერიალიზმის როლი პირველი მსოფლიო ომის გაჩაღებაში და მთელ პასუხისმგებლობას წარუმატებლობის გამო, კაიზერული გერმანიის ცალკეულ პოლიტიკურ მოღვაწეებს აკისრებენ. ჰ. ონკენი თავის ნაშრომში ამართლებს გერმანიის მილიტარიზმს და ასაბუთებს „მსოფლიო პოლიტიკის“ განხორციელების აუცილებლობას გერმანიის იმპერიის ინტერესების შესაბამისად.

ფაშისტური გერმანიის ისტორიკოსების მიერ ისტორიული მოვლენების გაშუქება მიზნად ისახავდა გაყალბებული შეხედულებების დამკვიდრებას. ასეთი დამოკიდებულება ემსახურებოდა ახალი ომის მომზადების ამოცანებს[55].

ფაშისტური პროპაგანდისტული აპარატი იმ მიზნით, რომ კაიზერული გერმანიისათვის მოეხსნა პასუხისმგებლობა პირველი მსოფლიო ომის გაჩაღებაში, ცდილობდა დაემტკიცებინა: „უველაფერში დამნაშავენი იყვნენ რუსეთი და საფრანგეთი“[56].

განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ დასავლეთ გერმანიის რეაქციულ ისტორიოგრაფიაზე, რომელიც საერთოდ უარყოფს გერმანიის იმპერიალიზმის განსაკუთრებულ აგრესიულობას. ადგილი აქვს ცდებს, გაუძნელონ ფართო მასებს იმ როლის გაგება, რომელიც შეასრულა პირველი მსოფლიო ომის გაჩაღებაში გერმანიის იმპერიალიზმმა.

დასავლეთგერმანული ისტორიოგრაფია, ადგას რა უხეში ფალსიფიკაციის გზას, ტენდენციურად გადმოგვცემს პირველი მსოფლიო ომის წარმოშობის ისტორიას და ცდილობს, დაასაბუთოს, რომ კაიზერულ გერმანიას ომის მომზადებასა და გაჩაღებაში არავითარი დანაშაული არ გააჩნდა. საერთოდ კი, გფრ ისტორიკოსთა ნაშრომებს ახასიათებთ სუბიექტურ-იდეალისტური მიდგომა ისტორიული მოვლენების გაშუქებისას. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს ფ. ფიშერის, გ. ჰალგარტენის, კ. პრიცკოლეიტის ნაშრომები.

---

[52] K. Lamprecht. Deutsche Geschichte der jungsten Vergangenheit und Gegenwart, Berlin, 1913.

[53] E. Brandenburg. Von Bismark zum Weltkriege, Die deutsche Politik in den Jahrzehnten vor dem Kriege, Berl. 1924.

[54] H. Oncken. Das Deutsche Reich und die Vorgeschichte des Weltkrieges, Bd. 1—2, Leipzig, 1933.

[55] См. Ф. Нотович, Фашистская историография о «виновниках» мировой войны. — Против фашистской фальсификации истории, Сб. ст., М.,—Л., 1939.

[56] Там же, стр. 281.

თანამედროვე დასავლეთგერმანელი ბურჟუაზიული ისტორიკოსები განაგრძობენ მრავალი დებულების დაცვას გერმანიის იმპერიალიზმის აგრესიული საგარეო პოლიტიკის გამართლების მიზნით. მათი აზრით, გერმანიის მმართველ წრეებს მშვიდობა სურდათ, მაგრამ იძულებული გახდნენ ჩაბმულიყვნენ ომში, რათა დაეცვათ მოკავშირე ავსტრია-უნგრეთი. საკითხის ასეთ ინტერპრეტაციას იძლევიან თავიანთ ნაშრომებში ლ. დეიო[57], ვ. ჰუბაჩი[58], ი. ბიულერი[59] და სხვ. ვ. ჰუბაჩი თავის წიგნში იცავს აზრს, რომ გერმანიას არ ჰქონდა რაიმე დაპყრობითი გეგმები, ამიტომ უაზროა ლაპარაკი იმის შესახებ, თითქოს გერმანია ომს ამზადებდა. ი. ბიულერიც ამართლებს გერმანიის იმპერიალიზმს და მიაჩნია, რომ კოლონიური სამფლობელოებისათვის ბრძოლა გამოწვეული იყო გერმანიის მრეწველობის აღმავლობით და საგარეო ვაჭრობის განვითარებით. ასეთ ვითარებაში კი გერმანია, დასძენს ის, დამშვიდებით ვერ დაუწყებდა ცქერას, თუ როგორ მდიდრდებოდნენ და ძლიერდებოდნენ სხვა სახელმწიფოები[60].

თავის სამტომიან ნაშრომში გ. რიტერი[61] — რეაქციული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი ბურჯი — იცავს პრუსიულ-გერმანულ მილიტარიზმს და ცდილობს დაამტკიცოს, რომ ის ატარებდა „მშვიდობისმოყვარულ“ ხასიათს. გ. რიტერი თუმცა აღიარებს, რომ გერმანიის ფლოტის მშენებლობა მიმართული იყო ინგლისის წინააღმდეგ საომრად, მაგრამ ამართლებს იმით, რომ ინგლისი ეღობებოდა გერმანიის მისწრაფებას — გამხდარყიო „მსოფლიო სახელმწიფო“[62]. თავის მეორე ნაშრომშიც გ. რიტერი ამართლებს გერმანიის მმართველ წრეებს: მათ ომი არ სურდათ და ამდენად მას არც ამზადებდნენო[63].

---

[57] L. Dehio. Deutschland und die Weltpolitik in 20 Jahrhundert, München, 1955.

[58] W. Hubatsch. Deutschland im Weltkrieg 1914—1918, Frankfurt a/M. — (West), Berlin, 1966.

[59] J. Bühler. Vom Bismark-Reich zum geteilten Deutschland. Deutsche Geschichte seit 1871, Berlin, 1960.

[60] იქვე, გვ. 216.

[61] G Ritter. Staatskunst und Kriegshandwerk. Das Problem des „Militarismus“ in Deutschland. Bd. 1. Die altpreusische Tradizionen (1740—1840), München, 1954; Bd. 2. Die Hauptmächte Europas und das wilhelmische Reich (1890—1914), München, 1960; Bd. 3. Die Tragödie der staatskunst. Bethman-Hollweg als Kriegskanzler, München, 1964.

[62] G. Ritter. Staatskunst und Kriegshandwerk: Das Problem des „Militarismus“ in deutschland. Bd. 2. Die Hauptmächte Europas und das wilhelmische Reich (1890—1914), München, 1960, S. 177.

[63] G. Ritter. Der Schliffen-Plan. Kritik eines Mythos, München, 1956, S. 138.

ამ წიგნში პირველად იქნა გამოქვეყნებული შლიფენის გეგმის ნამდვილი ტექსტი, რომელსაც გერმანელი იმპერიალისტები დიდი საიდუმლოებით ინახავდნენ. გ. რიტერი, იმის მაგივრად, რომ გაკიცხოს ამ გეგმის ავანტურისტული ხასიათი, პირიქით გამოთქვამს სინანულს იმ შეცდომების გამო, რომელთაც გამოიწვიეს ომი ორ ფრონტზე. იგი პირველი მსოფლიო ომის გაჩაღებაში პასუხისმგებლობას აკისრებს ავსტრია—უნგრეთს, სერბიასა და მეფის რუსეთს. ვილჰემ II მილიტარისტული რეჟიმის პირობებში, გერმანიის საგარეო-პოლიტიკურ საქმეებში, აღნიშნავს გ. რიტერი, სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენდა სამხედრო დიპლომატია[64].

ე. ეიკი ნაშრომში — „ვილჰელმ II პირადი რეჟიმი"[65], თუმცა აკრიტიკებს გერმანიის იმპერიის საგარეო პოლიტიკის ცალკეულ ასპექტებს, იმავე დროს ცდილობს დაამტკიცოს გერმანიის „მშვიდობისმოყვარეობა"[66], ის უარყოფითად ახასიათებს ვილჰელმ II და მიაჩნია, რომ მას არ გააჩნდა იმპერიის მართვის უნარი, საგარეო პოლიტიკურ წარუმატებლობებს კი ის მიაწერს ბიულოვს, ბეტმან-ჰოლვეგს და უგულვებელყოფს სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებს, რომლებიც განსაზღვრავდნენ გერმანიის საგარეო პოლიტიკურ აქციებს.

ო. ჰაუზერი თავის ნაშრომში „გერმანია და ინგლის-რუსეთის წინააღმდეგობანი"[67], არც ისე მწვავე ფორმით წარმოგვიდგენს ინგლის-გერმანიის წინააღმდეგობებს და უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს უთანხმოებებს ინგლისსა და რუსეთს შორის. ის აკრიტიკებს გერმანიის მმართველ წრეებს, რომელთაც, მისი აზრით, ვერ გამოიყენეს 1911 წ. ბოლოს ინგლისის მისწრაფება გერმანიასთან დაახლოებისა; აკრიტიკებს იმაშიც, რომ მოუქნელი პოლიტიკით იმხედრებდნენ სხვა სახელმწიფოებს, იმის მაგივრად, რომ შუღლი ჩამოეგდოთ მათ შორის.

გ. მანი ნაშრომში გერმანიის ისტორიის შესახებ[68] ახდენს ისტორიული პროცესის მისტიფიკაციას, ხსნის რა მას ცალკეული პიროვ-

---

[64] G. Ritter. Die deutschen Militär—Attachés und das auswärtige Amt, Heidelberg, 1959, S. 9.

[65] E. Eyck. Das persönliche Regiment Wilhelm II. Politische Geschichte des deutschen Kaiserreiches von 1870 bis 1914, Erlenbach - Zürich, 1948.

[66] იქვე, გვ. 555-557.

[67] O. Hauser. Deutschland und der englisch - russische Gegensatz 1900-1914, Göttingen, 1958.

[68] G. Mann. Deutsche Geschichte des neunzehnten und Zwanzigsten Jahrhundert, Frankfurt a/M. 1959.

ნებების მოღვაწეობით. ის ამტკიცებს, რომ არც ერთ ქვეყანას ომი არ სურდა. ამავე დროს სწორად აღნიშნავს, რომ გაიზარდა სამხედრო-სამრეწველო და პოლიტიკურ მოღვაწეთა გავლენა პოლიტიკაზე.

ფ. ჰარტუნგი ინგლის-გერმანიის ურთიერთობაში დაძაბულობის შექმნას ედუარდ VII მიაწერს და აღნიშნავს მის დიდ გავლენას დიდი ბრიტანეთის დიპლომატიაზე[69]. გერმანელები, წერს ის, ინგლის-რუსეთის წინააღმდეგობებს გადაჭარბებულად აფასებდნენ და ამიტომ შექმნილ ვითარებას ოპტიმისტურად უდგებოდნენ[70].

ა. კრუკი ნაშრომში პანგერმანული კავშირის ისტორიის შესახებ[71], ეხილავს პანგერმანული იდეოლოგიის გავრცელებას ომამდელ წლებში, პროპაგანდას ომის დროს და პანგერმანული კავშირის მოღვაწეობას ვაიმარის რესპუბლიკაში. ავტორი წერს, რომ გერმანიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე პანგერმანელები გავლენას ახდენდნენ[72], ზოგიერთ ადგილას კი საერთოდ უარყოფს პანგერმანელებისა და მძიმე მრეწველობის მაგნატების გავლენას გერმანიის საგარეო პოლიტიკაზე.

მიუხედავად ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის ცდებისა, დამალოს სიმართლე, მდიდარი საარქივო მასალები, აგრეთვე გაბნეული ცნობები ბურჟუაზიულ დოკუმენტურ გამოცემებში, გამოკვლევებში, მემუარებში და ა. შ. გვაძლევენ საშუალებას, ვაჩვენოთ გერმანიის იმპერიის საგარეო პოლიტიკის ჩვენთვის საინტერესო საკითხები ისეთი სახით, როგორიც ის იყო სინამდვილეში.

დასავლეთგერმანელ ბურჟუაზიულ ისტორიკოსებს შორის არიან ისეთებიც, რომლებიც არ მალავენ გერმანიის საგარეო პოლიტიკის აგრესიულობას პირველი მსოფლიო ომის წინ, უკავშირებენ მას გერმანელი იმპერიალისტების ეკონომიკურ დაინტერესებასა და მისწრაფებას ექსპანსიისაკენ. ასეთებია, მაგალითად, გ. ჰალგარტენის[73] და ფ. ფიშერის[74] ნაშრომები, რომლებიც ატარებენ ანტიიმპერიალისტურ და ანიტიმილიტარისტულ ხასიათს.

---

[69] F. Hartung. Deutsche Geschichte 1871—1919, Stuttgart, 1952, S. 289.

[70] იქვე, გვ. 296.

[71] A. Kruck. Geschichte des Alldeutschen Verbandes 1890—1939, Wiesbaden, 1954.

[72] იქვე, გვ. 17—18.

[73] Г. Хальгартен. Империализм до 1914 года. Социологическое исследование германской внешней политики до первой мировой войны, пер. с нем., М., 1961.

[74] F. Fischer. Griff nach der Weltmacht. Die Kriegszielpolitik des kaiserlichen Deutschlands 1914/1918, Düsseldorf, 1961; F. Fischer. Weltmacht oder Niedergang. Deutschland im ersten Weltkrieg. Hamburg, 1968; F. Fischer. Krieg Der Illusionen. Die deutsche Politik von 1911 bis 1914, Düsseldorf, 1969.

გ. ჰალგარტენი ფართოდ აშუქებს რა გერმანიის საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებს ევროპაში, საერთაშორისო ურთიერთობის ისტორიასთან გარკვეულ კავშირში, აკეთებს დასკვნას, რომ გერმანიის იმპერიალიზმის საგარეო პოლიტიკას ყოველთვის ახასიათებდა განსაკუთრებული აგრესიულობა და ავანტიურიზმი, რაც ომისაკენ უბიძგებდა მას[75]. მეთოდოლოგიური ხასიათის ნაკლოვანებების მიუხედავად გ. ჰალგარტენის გამოკვლევა ყურადღების ღირსია.

ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვთ ჰამბურგის უნივერსიტეტის პროფესორის ფ. ფიშერის გამოკვლევებს, რომლებიც ააშკარავებენ დასავლეთგერმანულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებულ გაყალბებულ შეხედულებებს, რომლებიც გერმანიის იმპერიალიზმის რეაბილიტაციას ემსახურებიან. ფ. ფიშერი თავის ნაშრომში „ილუზიების ომი“ ფართოდ იხილავს გერმანიის იმპერიალიზმის მზადებას ომისათვის და იმ როლს, რომელიც მან შეასრულა მის გაჩაღებაში; აჩვენებს გერმანიის მმართველი წრეების დამოკიდებულებას ომისადმი; იძლევა გერმანიის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ობიექტურ დახასიათებას და იხილავს გერმანიის საგარეო-პოლიტიკურ მდგომარეობას პირველი მსოფლიო ომის წინ. გერმანია ჯერ კიდევ სარაევოს მკვლელობამდე გეგმავდა ომის გაჩაღებას. 16 ივნისს ბეტმან-ჰოლვეგი უთითებდა გერმანიის ელჩს ლონდონში ლიხნოვსკის, რომ მას გაეკეთებინა დემარში ინგლისის მთავრობისათვის, რათა კონტინენტური ომის წარმოშობის შემთხვევაში უზრუნველეყოთ ინგლისის ნეიტრალიტეტი[76]. განსაკუთრებით დიდი გამოხმაურება გამოიწვია ფ. ფიშერის წიგნმა „ნახტომი მსოფლიო ბატონობისაკენ“, რომელშიც ავტორი კარგად აჩვენებს, რომ გერმანიის იმპერიალიზმის დაპყრობითი გეგმები ჩამოყალიბდა დიდი ხნით ადრე, ვიდრე პირველი მსოფლიო ომი გაჩაღდებოდა, და რომ ისინი შეესაბამებოდნენ გერმანიის მმართველი წრეების მისწრაფებებს. ავტორის აზრით, კოლონიური ექსპანსია წარმოადგენდა მსხვილი კაპიტალის მისწრაფებათა გამოხატულებას, იგი მიუთითებს, რომ გერმანელი იმპერიალისტები ითვალისწინებდნენ მსოფლიო მასშტაბის ომის გაჩაღებას და მათ კარგად ესმოდათ თავიანთი პასუხისმგებლობა ამისათვის. ბუნებრივია, რომ ფ. ფიშერის წინააღმდეგ გაილაშქრეს რეაქციული ისტო-

---

[75] დაწვრილებით იხ. А. С. Ерусалимский. Германский империализм: история и современность, М., 1964, стр. 38—67

[76] F. Fischer. Krieg Der Illusionen, S. 683

რიოგრაფიის წარმომადგენლებმა[77], პირველ რიგში გ. რიტერმა, ჰ. ჰერცფელდმა და სხვ.

მეთოდოლოგიური ხასიათის ნაკლოვანებების მიუხედავად ფ. ფიშერის ნაშრომებს გააჩნიათ მნიშვნელოვანი სამეცნიერო და შემეცნებითი ღირებულება, რადგან ავტორი ცდილობს ობიექტურად გადმოსცეს მის მიერ მოპოვებულ მნიშვნელოვან წყაროთა მასალები, რაც ასე იშვიათია ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში.

სხვა ბურჟუაზიული გამოკვლევებიდან უნდა აღინიშნოს ა. ტეილორის[78], ს. ფეის[79], პ. რენუვენის[80] და სხვ. ავტორთა შრომები.

ტეილორი მხოლოდ დიპლომატიურ ისტორიას გადმოგვცემს. ის ვერ ხედავს ძირითად მამოძრავებელ ძალებს, რომელთაც გამოიწვიეს პირველი მსოფლიო ომი, მაგრამ შენიშნავს, რომ XX ს. დასაწყისში კონფლიქტების გამწვავებაში ინიციატივა გერმანიას ეკუთვნოდა. ს. ფეი გერმანოფილურ პოზიციაზე დგას. ის იცავს გერმანიის იმპერიალიზმს მაროკოს ავანტიურებშიც, ბოსნიის კრიზისშიც და ა. შ. გასაკვირი არ არის, რომ ის ცდილობს ინგლის-გერმანიის ანტაგონიზმის მიჩქმალვას მსოფლიო ომის წარმოშობაში და მთელი პასუხისმგებლობის მეფის რუსეთისათვის დაკისრებას.

აქ არა გვაქვს შესაძლებლობა, განვიხილოთ ჩვენთვის საინტერესო ყველა გამოკვლევა. დაინტერესებული მკითხველი მონახავს მას ნაშრომის სამეცნიერო-კრიტიკულ აპარატში.

---

[77] См. В. И. Салов, Современная Западногерманская буржуазия историография, М., 1968, стр. 263—267.

[78] А. Дж. П. Тэйлор. Борьба за господство в Европе 1848—1918, пер. с анг. М., 1958.

[79] С. Фей. Происхождение мировой войны, пер. с анг. ТТ. I—II, М., 1934.

[80] P. Renouvin. La Crise européenne et la Première Guerre mondial (1904—1918), Paris, 1969.

თავი I

გერმანიის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა პირველი მსოფლიო ომის წინ

1. გერმანიის ეკონომიკური განვითარება პირველი მსოფლიო ომის წინ (1909—1914 წწ.)

XIX ს. 70-იან წლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ერთ-ერთ მათგანს წარმოადგენდა საფრანგეთ-პრუსიის 1870—1871 წწ. ომი, რომლის შედეგადაც ძირფესვიანად შეიცვალა გერმანიის ისტორიული და ეკონომიკური განვითარება. ომში საფრანგეთმა დიდი მარცხი განიცადა. იგი მას დაახლოებით 10 მილიარდი ფრანკი დაუჯდა[1]. ამ ომში გამარჯვებამ საშუალება მისცა პრუსიას, დაემთავრებინა გერმანიის ეროვნული გაერთიანება.

1871 წ. დამფუძნებელმა რაიხსტაგმა მიიღო საერთო-საიმპერიო კონსტიტუცია, რომლის თანახმად გერმანიის იმპერია ითვლებოდა გერმანული სახელმწიფოების კავშირად. ამ კავშირში შევიდა 22 მონარქია და სამი „თავისუფალი ქალაქი“ — ჰამბურგი, ბრემენი და ლუბეკი. კონსტიტუციით მთელი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება თავმოყრილი იყო იმპერატორის ხელში, რომელიც შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ პრუსიის მეფე. იმპერატორი განაგებდა იმპერიის მთელ შეიარაღებულ ძალებს. მას ეკუთვნოდა განსაკუთრებული უფლება საერთაშორისო ურთიერთობის წარმოებისა, რაიხსტაგისა და საკავშირო საბჭოს მოწვევისა და დათხოვნისა. მიუხედავად ასეთი განუსაზღვრელი ძალაუფლებისა, იმპერატორი ვილჰელმ II მაინც მტრულად იყო განწყობილი რაიხსტაგის მიმართ, რადგან მიაჩნდა, რომ ეს უკანასკნელი ზღუდავდა მის ძალაუფლებას[2].

---

[1] А. З. Манфред. Внешняя политика Франции 1871—1891, М., 1952, стр. 24.

[2] Б. Бюлов. Воспоминания, пер. с нем., М—Л., 1935, стр. 275.

რაიხსტაგს XX ს. დასაწყისშიც არ გააჩნდა ის უფლებები, რომლებიც ჰქონდა ქვედა პალატებს ევროპის ბურჟუაზიულ ქვეყნებში. ცნობილი გერმანელი იურისტი ელინეკი წერდა, რომ გერმანიის რაიხსტაგი მიეკუთვნებოდა „პოლიტიკურად ყველაზე უფრო სუსტ საპარლამენტო დაწესებულებების რიცხვს“[3]. გაზეთი „მომავალი“ მართებულად შენიშნავდა, რომ „პარლამენტი — რაიხსტაგი მართვა-გამგეობაზე ყოველივე გავლენას მოკლებულია — პარლამენტარული რეჟიმის დამკვიდრებამდე ჯერ კიდევ შორსაა. მთელი მართვა-გამგეობა კანონით საკავშირო საბჭოს ხელშია, ნამდვილათ კი გერმანიის იმპერატორი და სასახლის კამარილია და მათი სულის ჩამდგმელი იუნკრები — აი ქვეყნის ბატონ-პატრონნი“[4].

გერმანიის იმპერიის აღმოცენებისთანავე კ. მარქსი ახასიათებდა მას, როგორც „პარლამენტული ფორმებით შელამაზებული, ფეოდალური ნაშთებით შენარევი, უკვე ბურჟუაზიის გავლენას დაქვემდებარებული, ბიუროკრატიულად შედგენილი და პოლიციის საფარქვეშ მყოფი სამხედრო დესპოტიზმი“[5]. ამ დახასიათებაში კარგად ჩანს იმ პოლიტიკური ზედნაშენის არსი, რომელიც გაერთიანებულ გერმანიაში ემსახურებოდა მზარდი ბურჟუაზიისა და რეაქციული პრუსიელი იუნკრების ბლოკის ეგოისტურ და ანტიხალხურ ინტერესებს. უნდა აღინიშნოს, რომ კ. მარქსის ეს დახასიათება მართებული რჩება ომამდელი გერმანიის იმპერიალიზმისათვისაც.

ვ. ი. ლენინი მიუთითებდა რა გერმანის გაერთიანების პროგრესულ ხასიათზე საერთოდ, წერდა, რომ ის განახორციელა ბისმარკმა „კონტრრევოლუციურად, იუნკრულად“[6].

ბისმარკმა შეძლო, დაემორჩილებინა ბურჟუაზიის მისწრაფებანი პრუსიელი ჰოჰენცოლერნების დინასტიური ინტერესებისათვის. ინგლისისა და საფრანგეთისაგან განსხვავებით, სადაც მოსპობილ იქნა, ან საფუძვლიანად შეირყა ფეოდალიზმის საყრდენი. გერმანიაში განსაკუთრებული ისტორიული პირობების გამო ბურჟუაზიული გარდაქმნები ბოლომდე ვერ განხორციელდა. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ „გერმანიის ბურჟუაზიამ შეშინებულმა პროლეტარიატის დამოუკიდებლობით როცა დაინახა, რომ დემოკრატიულ დაწესებულებებს მუშები იყენებენ თავისთვის და კაპიტალისტების წინააღმდეგ,

---

[3] Г. Еллинек. Конституции, их изменения и преобразования. СПб., 1907, стр. 68.

[4] გაზ. „მომავალი“, 1909 წ. 22 სექტ. / 5 ოქტომბ.

[5] კ. მარქსი, შენიშვნები გერმანიის მუშათა პარტიის პროგრამის შესახებ. — კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. 2, თბ., 1964, გვ. 29.

[6] ვ. ი. ლენინი, რუსი ზიუდეკუმები, თხზ., ტ. 21, გვ. 130.

ზურგი შეაქცია დემოკრატიას, სამარცხვინოდ უღალატა თავისუფლებას, რომელსაც წინათ იცავდა, და პირი იბრუნა ლაქიობისაკენ მემამულეებისა და კლერიკალების წინაშე“[7]. სწორედ ამით უნდა აიხსნას გერმანიის ბურჟუაზიის სისუსტის მთავარი მიზეზები.

. 1871 წ. 10 მაისს მაინის ფრანკფურტში დაიდო ზავი გერმანიასა და საფრანგეთს შორის. ეს იყო მძარცველური ზავი საფრანგეთის მიმართ, რომელსაც უზარმაზარი კონტრიბუცია უნდა გადაეხადა გერმანიისათვის. იმავე დროს იგი კარგავდა ელზას-ლორენს. ამასთან დაკავშირებით კ. მარქსი მიუთითებდა, რომ ელზას-ლორენის ძალით მიტაცება შეიცავდა ახალი ომის საფრთხეს[8], და გენიალურად წინასწარმეტყველებდა, რომ გერმანიის იმპერიის კრახი გარდუვალი იყო[9].

იმპერიალისტური გერმანიის მეთაურობით XIX ს. უკანასკნელ მეოთხედში შეიქმნა აგრესიული სამხედრო-პოლიტიკური კოალიცია გერმანიის, ავსტრია-უნგრეთისა და იტალიის შემადგენლობით, რომელმაც „სამთა კავშირის“ სახელწოდება მიიღო. იგი მოასწავებდა რეალურ საფრთხეს მშვიდობისათვის[10]. და მიმართული იყო რუსეთისა და საფრანგეთის წინააღმდეგ. ამიტომ გასაგებია, რომ რუსეთიც და საფრანგეთიც ცდილობდნენ რა არ აღმოჩენილიყვნენ იზოლირებულ მდგომარეობაში გერმანიის წინაშე, მიისწრაფვოდნენ დაახლოებისაკენ და 1893 წ. ბოლოს მათ შორის კიდევაც გაფორმდა სამხედრო-პოლიტიკური კავშირი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა უწინარეს ყოვლისა საფრანგეთისათვის[11]. ამ კავშირის შექმნა სამთა კავშირის არსებობის პირობებში გარდუვალი იყო[12].

XIX ს. 80-იანი წლების დასაწყისში გერმანიაში თავს იჩენს კოლონიებისადმი მისწრაფება, გერმანიის ბურჟუაზიული პრესა კი აქტიურ პროპაგანდას უწევს კოლონიურ-ექსპანსიონისტურ პოლიტი-

---

[7] ვ. ი. ლენინი, უახლესი მონაცემები გერმანიის პარტიათა შესახებ, თხზ., ტ. 19, გვ. 316.

[8] კ. მარქსი, მუშათა საერთაშორისო ამხანაგობის გენერალური საბჭოს მეორე მოწოდება საფრანგეთ-პრუსიის ომის შესახებ. კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები, ტ. 1, თბ., 1963, გვ. 569.

[9] იქვე, გვ. 571.

[10] А. С. Ерусалимский. Бисмарк, дипломатия и милитаризм, М., 1968, стр. 182.

[11] ი. ტაბაღუა, რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობა პირველი მსოფლიო ომის წინ, თბ., 1960, გვ. 150.

[12] Е. В. Тарле. Европа в эпоху империализма, 1871—1919 гг. Соч. Т. 5, М., 1958, стр. 51.

კას[13]. ცდილობს საქმე ისე წარმოადგინოს, თითქოს კოლონიური ექსპანსია საზოგადოების სოციალური სიძნელეებისაგან თავის დაღწევის საუკეთესო საშუალება იყო[14]. თუ XIX ს. 70-იან წლებში გერმანიაში კოლონიური პროპაგანდა თვლიდა, რომ კოლონიები მოწოდებული იყვნენ გადაეჭრათ მოსახლეობის განტვირთვის პრობლემა ემიგრაციის ხარჯზე, უკვე 80-იანი წლების დასაწყისში ლაპარაკია იმაზე, რომ გამოიყენონ კოლონიების ნედლეული და ხალხის რესურსები, გაიტანონ იქ კაპიტალი საქონელთან ერთად. ამასთან დაკავშირებით განიხილებოდა კოლონიების ექსპლოატაციისათვის მსხვილი კოლონიური საზოგადოებების შექმნის საკითხი. 1882 წ. შეიქმნა „გერმანული კოლონიური კავშირი" — მსხვილი ბურჟუაზიის (პირველ რიგში მისი მონოპოლისტური წრეების) და იუნკრობის გავლენიანი ორგანიზაცია. 1884 წ. ულტრაავანტიურისტულმა ელემენტებმა შექმნეს „გერმანიის კოლონიზაციის საზოგადოება". 1887 წ. ორივე ეს საზოგადოება გაერთიანდა და მიიღო სახელწოდება „გერმანული კოლონიური საზოგადოება".

1884 წ. გერმანიამ ხელთ იგდო პირველი კოლონიები აფრიკაში. ეს იყო ანგრა-პეკენა, ტოგო და კამერუნი. 1885 წ. მათ შეუერთდა სამხრეთ-აღმოსავლეთ აფრიკის ტერიტორიები. იმავე ხანებში გერმანელმა კოლონიზატორებმა შეაღწიეს წყნარი ოკეანის აუზში და ხელში ჩაიგდეს ახალი გვინეის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი, მარშალის, კაროლინის და სხვა კუნძულები.

1890 წ. გერმანიასა და ინგლისს შორის დაიდო შეთანხმება, რომლის მიხედვით გერმანია აფრიკის აღმოსავლეთ სანაპიროსთან მდებარე ზანზიბარისა და პემბის კუნძულებს უთმობდა ინგლისს ჰელჰოლანდის სანაცვლოდ[15]. ეს შეთანხმება, რომელიც გერმანიის შოვინისტური წრეების მიერ შეფასებულ იქნა, როგორც სრულიად დაუშვებელი დათმობა ინგლისისადმი[16], წარმოადგენდა ერთ-ერთ მიზეზს, რამაც ხელი შეუწყო პანგერმანული კავშირის შექმნას 1891 წ. გერმანიის ბურჟუაზიისა და იუნკრობის ყველაზე უფრო რეაქციული წრეების მიერ. მან დიდი როლი შეასრულა პირველი მსოფლიო ომის მომზადებაში. პანგერმანელები ქადაგებდნენ აქტიური კოლონიური პოლიტიკის აუცილებლობას, მოითხოვდნენ, აგრეთ-

---

[13] И. С. Чарный. Начало колониальной экспансии Германии в Африке (1879—1885), М., 1970, стр. 101.

[14] იქვე, გვ. 105—106.

[15] Handbuch der Verträge 1871—1964, Berlin, 1968, S. 73.

[16] ბისმარკი თავის მოგონებებში წერდა, რომ შეთანხმება ჰელჰოლანდის შესახებ არ იყო ხელსაყრელი გერმანიისათვის (იხ. О. Бисмарк, Мысли и воспоминания, пер. с нем., Т. 3, М., 1941, стр. 117).

ვე, ევროპის სახელმწიფოთა ტერიტორიების . დაპყრობას და ე. წ. „შუაევროპული სახელმწიფოს“ შექმნას[17]. 1892 წ. პანგერმანული კავშირი ითვლიდა 21000 წევრს[18]. კავშირი ხელმძღვანელობდა ისეთი ორგანიზაციების მოღვაწეობას, როგორიც იყო „საფლოტო კავშირი“, „კოლონიური საზოგადოება“, „სოციალ-დემკრატიასთან ბრძოლის იმპერიის კავშირი“ და სხვ. ამ კავშირების წევრთა საერთო რიცხვი აჭარბებდა მილიონ კაცს[19]. პანგერმანული კავშირის ცენტრალურ ორგანოს წარმოადგენდა ჟურნალი „ალდიჩე ბლეტერ“. პანგერმანიზმმა თავის ერთ-ერთ ამოცანად დაისახა ბრძოლა სლავურ სამყაროსთან[20]. პანგერმანული კავშირის თავმჯდომარე ჰასე აყალიბებდა რა გერმანიის იმპერიალიზმის მიზნებს, მოითხოვდა აგრესიული პოლიტიკის გატარებას[21].

XIX ს. 90-იანი წლებიდან გერმანიის მმართველი წრეები დაადგნენ იმპერიალისტური „მსოფლიო პოლიტიკის“ გზას. დიდ მნიშვნელობას იძენს კოლონიური ექსპანსიის საკითხი, რომელიც საგარეო პოლიტიკის ცენტრალურ ამოცანად იქცა. ეს იწვევდა წინააღმდეგობების გამწვავებას ინგლისთან, რომელიც ხედავდა საფრთხეს გერმანიის მხრიდან კოლონიურ სარბიელზე[22].

XIX ს. მიწურულს გერმანიის იმპერიალიზმმა გაშალა ბრძოლა მცირე აზიაში ბაღდადის გავლით სპარსეთის ყურემდე რკინიგზის მშენებლობის კონცესიისათვის, რომ გადაეჭრა იგი მახლობელ და შუა აღმოსავლეთში ფართო ექსპანსიის იარაღად და ინდოეთისაკენ მიმავალ გზაზე მნიშვნელოვანი საყრდენი შეექმნა. გარდა ამისა, გერმანიის იმპერიალიზმი აშკარად ემზადებოდა თურქეთის საკუთარ კოლონიად გადასაქცევად[23]. ბაღდადის რკინიგზის მშენებლობაში ძალზე აქტიურობდა გერმანის ელჩი კონსტანტინოპოლში მარშალი[24].

---

[17] A. Kruck. Geschichte des Alldeutschen Verbandes 1890—1939, Wiesbaden, 1954, S. 43.

[18] Б. М. Туполев. Австро-Венгрия в планах пангерманцев в конце XIX—начале XX в. — Славяно-германские отношения, М., 1964, стр. 103.

[19] К. Д. Петряев. Очерки по истории Германии начала XX века (1900—1914 гг.), Одесса, 1959, стр. 138.

[20] Э. Рейх. Современная Германия, СПб, 1908, стр. 46.

[21] См. А. И. Балобаев. Милитаристская пропаганда в Германии в 1908—1909 гг., Тр. Томского ун-та, Т. 189, 1965, стр. 16.

[22] А. С. Ерусалимский. Внешняя политика и дипломатия германского империализма в конце XIX века, М., 1951, стр. 45.

[23] История дипломатии, Т. 2, М., 1963, стр. 441.

[24] Г. Л. Бондаревский. Багдадская дорога и проникновение германского империализма на Ближный Восток, Ташкент, 1955, стр. 92.

იმ მიზნით, რომ გაეადვილებინა „დოიჩე ბანკ"-ისათვის კონცესიის ხელსაყრელ პირობებში მიღება, ვილჰელმ II-მ ბიულოვის თანხლებით 1898 წ. ოქტომბერში კონსტანტინოპოლში მოინახულა თურქეთის სულთანი აბდულ-ჰამიდი და საჯარო სიტყვაში თურქეთის სულთნისა და მუსულმანთა მეგობრად გამოაცხადა თავი[25]. ამას მოჰყვა ის, რომ სულთანმა 1899 წ. იანვარში გამოსცა ბრძანებულება „დოიჩე ბანკ"-ისათვის ჰაიდარფაშის ნავსადგურის მშენებლობის კონცესიის გადაცემის შესახებ. მაგრამ ბაღდადიდან ბასრისკენ, იქიდან კი სპარსეთის ყურესაკენ რკინიგზის მშენებლობის საქმე მნიშვნელოვნად გართულებული იყო. ინგლისის მთავრობამ მიიღო სიფრთხილის ღონისძიებანი და კუვეიტის შეიხს თავს მოახვია შეთანხმება. რომ არავისთვის დაეთმო თავისი ტერიტორია და არ მიეღო უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლები დიდი ბრიტანეთის თანხმობის გარეშე[26], რომელიც თავის მხრივ ვალდებულებას იღებდა, დაეცვა კუვეიტი ყოველგვარი თავდასხმისაგან[27]. ეს ხელშეკრულება, რომელიც „არსებითად უდრიდა ბრიტანეთის პროტექტორატის დამყარებას"[28] მოხერხებულ ნავსადგურზე სპარსეთის ყურეში, ხელს უშლიდა იქ გერმანული რკინიგზის ხაზის გატარებას.

შეთანხმება თურქეთთან კონცესიის შესახებ საბოლოოდ გაფორმდა 1903 წ. მარტში. ის უზრუნველყოფდა გერმანიის კაპიტალისათვის საკმაოდ დიდ შემოსავალს თურქი გადასახადის გადამხდელთა ხარჯზე[29]. კონიიდან ბაღდადამდე და ბასრამდე გზის მშენებლობისათვის 1903 წ. აღმოცენდა „ბაღდადის რკინიგზის საზოგადოება"[30]. გერმანიის საგარეო პოლიტიკისათვის ეს იყო დიდი წარმატება[31]. „გერმანიის იმპერიალიზმის შეჭრა მახლობელ აღმოსავლეთში, რომლის ნათელი გამოხატულება იყო კონცესიისათვის ბრძოლა, შემდეგ კი ბაღდადის რკინიგზის მშენებლობა უდავოდ ხელს უწყობდა იმპე-

---

[25] См. Вильгельм II, Мемуары, стр. 13 — 14; Б. Бюлов. Воспоминания, стр. 128—132.

[26] Г. Л. Бондаревский. Английская политика и международные отношения в бассейне персидского залива (конец XIX — начало XX вв.), М., 1968, стр. 109.

[27] Там же.

[28] Г. Л. Бондаревский. Багдадская дорога..., стр. 159.

[29] Багдадская железная дорога. — Советская историческая энциклопедия, т. 2, стр. 31.

[30] см. АВПР, ф. Канцелярия, д. 20, Л. 382, Остен-Сакен Извольскому, 25 дек./7 янв. 1909—1910 гг.

[31] Е. В. Тарле, указ. соч., стр. 138.

რიალისტური წინააღმდეგობების გამწვავებას, ანტანტის შექმნას და პირველი მსოფლიო ომის წარმოშობას"[32].

გერმანიისადმი საერთო შიშმა ორი ძველი მეტოქე — ინგლისი და საფრანგეთი ურთიერთს დაუახლოვა და 1904 წ. 8 აპრილს ლონდონში ხელმოწერილ იქნა ინგლის-საფრანგეთის ე. წ. „გულითადი შეთანხმება". შეთანხმების საფუძველზე მოგვარდა კოლონიურ საკითხებში არსებული წინააღმდეგობანი[33].

ინგლისი და საფრანგეთი ქმნიდნენ ერთიან ფრონტს გერმანიისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ საბრძოლველად. აქედან იწყება გერმანიის ბრძოლა მოწინააღმდეგეთა გათიშვის მიზნით, რომელიც დიდ როლს ასრულებდა მწვავე კონფლიქტების წარმოშობაში. ასე იყო, მაგალითად, 1905 წელს, მაროკოს პირველი კრიზისის დროს, როცა გერმანია ცდილობდა დიდი ომი გაეჩაღებინა ევროპაში[34]. მაროკოს კრიზისი გერმანიის საგარეო პოლიტიკის მარცხს წარმოადგენდა[35].

ბრიტანეთის დიპლომატიამ ხელი მოჰკიდა აგრეთვე სადავო საკითხების მოგვარებას რუსეთთან. 1908 წ. 31 აგვისტოს პეტერბურგში ხელმოწერილ იქნა შეთანხმება, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა სამთა შეთანხმებას ანუ ანტანტას. შეთანხმებით მოგვარდა რუსეთის და ინგლისის ინტერესები სპარსეთში, ავღანეთში და ტიბეტში[36]. იგი მიმართული იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ აღმოსავლეთში.

რუსეთისა და ინგლისის დაახლოებას განგაშით უყურებდნენ ბერლინში, რადგანაც უთანხმოების ჩამოგდება მათ შორის „წარმოადგენდა მთელი გერმანული პოლიტიკის ამოსავალ პუნქტს"[37].

ურთიერთ მტრობისა და სიძულვილის ვითარებაში ორივე სამხედრო პოლიტიკური დაჯგუფების მონაწილე ქვეყნები ინგლისისა და გერმანიის მეთაურობით, გულმოდგინედ იწყებენ მზადებას ერთმანეთის წინააღმდეგ, მომავალი დიდ შეტაკების მოლოდინში.

---

[32] Г. Л. Бондаревский. Багдадская дорога..., стр. 305; см. также, П. Рорбах. Война и германская политика, пер. с нем., М., 1915, стр. 81.

[33] См. А. Ерусалимский. Германский империализм: история и современность, стр. 129.

[34] გ. კიღურაძე, ნარკვევები პირველი მსოფლიო ომის მომზადების ისტორიიდან. მაროკოს პირველი კრიზისი, თბ., 1960, გვ. 184.

[35] К. Гельферих. Накануне мировой войны, М., 1924, стр. 21.

[36] История дипломатии. Т. 2, М., 1963, стр. 183.

[37] А. М. Зайончковский. Подготовка России к мировой войне в международном отношении, Л., 1926, стр. 160.

* * *

ეროვნული გაერთიანების შემდეგ კაპიტალიზმის განვითარება გერმანიაში მიმდინარეობდა სწრაფი ტემპებით. ეს განპირობებული იყო ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური დაქუცმაცებულობის მოსპობით, რომელიც ხელს უშლიდა საწარმოო ძალების განვითარებას. გერმანიის მრეწველობის სწრაფ განვითარებას ხელს უწყობდა ქიმიური და მეტალურგიული მრეწველობის სანედლეულო ბაზის გაფართოება და რურის ქვანახშირისა და ლორენის მადნის წარმატებით შერწყმა. დამცველი ბაჟების შემოღება სახელმწიფოს მიერ და საფრანგეთისაგან მიღებული ხუთმილიარდიანი კონტრიბუცია,[38], რომელიც „ოქროს წვიმად" მოევლინა გერმანიის მრეწველობას.

პირველი მსოფლიო ომის წინ გერმანიას ჰქონდა ევროპაში ყველაზე მძლავრი მეტალურგიული მრეწველობა. განსაკუთრებით სწრაფად იზრდებოდნენ მრეწველობის შედარებით ახალი დარგები: ქიმიური, ელექტროტექნიკური და მანქანათმშენებელი.

XIX—XX სს. მიჯნაზე კაპიტალიზმი გადავიდა ახალ სტადიაში— იმპერიალიზმში. სულ უფრო მნიშვნელოვანი როლის შესრულება დაიწყეს მონოპოლიებმა, რომელთა გავრცელება ქვეყნის მთელ მრეწველობაზე, ფინანსური კაპიტალის ორგანიზაციის მაღალი დონე იყო გერმანიის იმპერიალიზმის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი თავისებურება. გერმანიაში მონოპოლიების ზრდას მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს პროტექციონიზმი, რომელიც „იყო საშინაო ბაზრის მონოპოლიებისადმი დაქვემდებარების იარაღი, კაპიტალის დაგროვების წყარო მსოფლიო ბაზარზე კიდევ უფრო გაძლიერებული შეტევისათვის"[39].

1904 წ. დიუსელდორფში შეიქმნა ფოლადის სინდიკატი, რომელსაც სათავეში ედგა ადოლფ კირდორფი, რაინ-ვესტფალიის ქვანახშირის სინდიკატის ხელმძღვანელის ძმა. 31 საწარმოდან, რომელიც შედიოდა ფოლადის სინდიკატში, 1905 წ. 17 იმავე დროს ეწეოდა ქვანახშირის მოპოვებას, 25—რკინის მადნისა, 27 კი თუჯის წარმოებას[40]. ასეთი მრავალმხრივობა დამახასიათებელი იყო დიდი კომბინირებული ტიპის საწარმოების განვითარებისათვის. ასეთი საწარმოები მაგალითად, კრუპის, შტუმის, კლეკნერის, ტისენის და სხვ. შეიქმნა

---

[38] И. Гольдштейн и Р. Левина. Германский империализм, М., 1917, стр. 44.

[39] Там же, стр. 69.

[40] Ю. Кучинский. Очерки истории германского империализма, Т. 1, М., 1952, стр. 141.

რურში. დარგების კომბინირება მძიმე მრეწველობაში აიაფებდა წარმოების პროცესს, ქმნიდა ტექნიკური დონის ამაღლების შესაძლებლობას და აუმჯობესებდა მსოფლიო ბაზრებზე საკონკურენტო ბრძოლის პერსპექტივებს. მას შემდეგ, რაც ფოლადის სინდიკატებს 1907 წ. შეუერთდნენ ზემო სილეზიის ფოლადსასხმელი ქარხნები, ფოლადის წარმოება ქვეყნის შიგნით თითქმის მთლიანად სინდიკატის ხელში აღმოჩნდა.

ქვანახშირის მრეწველობაში ბაზა მონოპოლიების აღმოცენებისათვის მომზადებულ იქნა კაპიტალის მნიშვნელოვანი კონცენტრაციით. 1893 წ. კირდორფის ხელმძღვანელობით დაარსდა რაინ-ვესტფალიის ქვანახშირის სინდიკატი, რომელმაც 1910 წ. ამ რაიონში ქვანახშირის წარმოების 95,4% თავის ხელში მოაქცია[41].

კონცენტრაციის პროცესი მიმდინარეობდა სინდიკატის შიგნითაც: თუ 1893 წ. მასში იყო 96 მონაწილე, 1914 წ.—უკვე 62. სინდიკატმა მიაღწია მთავარ მიზანს — დააწესა მაღალი მონოპოლიური ფასები ქვანახშირზე თავის კონტროლს დაქვემდებარებულ რაიონებში და დაბალი საექსპორტო ფასები უცხოური ბაზრის დაპყრობისათვის.

1907-1909 წწ. ეკონომიკური კრიზისის შემდეგ, კერძოდ 1911 წ. შეიქმნა თუჯის მწარმოებელი ახალი სინდიკატი, რომელმაც გააერთიანა 40 თუჯსასხმელი საწარმო 3,37 მილიონი ტონის საერთო პროდუქციით. მოკლე ვადაში მას შეუერთდნენ გერმანიის თითქმის ყველა თუჯსასხმელი საწარმოები. თუჯისა და ფოლადის კარტელები მოიცავდნენ წარმოების 98 % და არეგულირებდნენ ფასებსა და გასაღებას[42].

ქიმიური მრეწველობა უფრო მეტად მოიცვა მონოპოლიებმა, ვიდრე სახალხო მეურნეობის სხვა დარგები.

ელექტროტექნიკური მრეწველობის კონცენტრაციაზე დიდი გავლენა მოახდინა 1900-1903 წწ. ეკონომიკურმა კრიზისმა. თუ 1900 წლამდე გერმანიაში იყო 28 საზოგადოება, გაერთიანებული შვიდ ჯგუფში, 1908—1912 წწ. ეს ჯგუფები შეერთდნენ და წარმოიშვა „ალგემაინე ელექტრიციტეტს ვერკე“ და „სიმენსი“.

გერმანიის სავაჭრო ნაოსნობაში კონცენტრაციის დონემ მიაღწია ძალზე მაღალ საფეხურს. აქ დომინირებული მდგომარეობა ეკავა ორ საზოგადოებას: „ჰამბურგ-ამერიკას“ (1910 წ. ჰქონდა 155 საოკეანო გემი 178 მილიონი მარკის ღირებულების) და „ჩრდილოეთ

---

[41] ვ. ი. ლენინი, იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია, თხზ., ტ. 22, გვ. 251.

[42] И. М. Файнгар, Очерки развития германского монополистического капитала, М., 1958, стр. 21.

გერმანიის ლოიდს“ (1910 წ. ჰქონდა 120 საოკეანო გემი 181 მილიონი მარკის ღირებულების).

აღსანიშნავია, რომ გერმანიის ყველაზე დიდი მონოპოლიები მონაწილეობდნენ საერთაშორისო მონოპოლიურ გაერთიანებებში. თუ 1897 წ. იყო დაახლოებით 40 საერთაშორისო კარტელი გერმანიის მონაწილეობით, 1910 წ. მისი რიცხვი უკვე დაახლოებით 100-ს აღწევდა[43].

მიმდინარეობდა საბანკო საქმის კონცენტრაციაც. უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ უზარმაზარი ბანკების გაჩენა და საბანკო კაპიტალის ძლიერი კონცენტრაცია განაპირობებდა სამრეწველო მონოპოლიების შექმნას, რომელნიც თავის მხრივ ხელს უწყობდნენ ბანკების შემდგომ კონცენტრაციას. „თვითონ კარტელი გულისხმობს მსხვილი ბანკის არსებობას, რომელსაც შესაძლებლობა ექნება დააკმაყოფილოს მრეწველობის მთელი დარგის კოლოსალური მოთხოვნილებანი საგადასახადო და საწარმოო კრედიტით“[44]. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „სამრეწველო მონოპოლიების აღმოცენების პროცესის ინტენსიფიკაციასა და დაჩქარებაში ბანკების როლი განსაკუთრებით დიდია“[45].

დიდი ბანკები თანდათან აკოტრებდნენ, შთანთქავდნენ ან თავის ფილიალებად აქცევდნენ პატარა ბანკებს: „1909 წ. დამლევს ბერლინის 9 დიდი ბანკისა და მათი მომხრე ბანკების განკარგულებაში იყო 11,3 მილიარდი მარკა, ე. ი. გერმანიის საბანკო კაპიტალის მთელი ოდენობის თითქმის 83%“[46]. ბანკები მჭიდროდ უკავშირდებოდნენ მრეწველებს და აძლევდნენ მათ სესხებს დიდი ხნით. ბანკები ყიდულობდნენ აგრეთვე აქციებს, რაც აძლევდა მათ საშუალებას, მიეღოთ მონაწილეობა საწარმოების მართვაში და მოგებებში. ამრიგად, ისინი ხდებოდნენ თანამონაწილენი, ხან კი საწარმოს მფლობელებიც.

XIX ს. 80-იანი წლებიდან გერმანიის საბანკო კაპიტალი ოკეანის გაღმა მიიწევს. 1913 წლისათვის გერმანიის კაპიტალდაბანდებანი უცხოეთში აღწევს 35 მილიარდ მარკას[47].

---

[43] ვ. ი. ლენინი, იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია, თხზ., ტ. 22, გვ. 317.

[44] Р. Гильфердинг. Финансовый капитал, пер. с нем. М., 1959, стр. 99.

[45] И. Гольдштейн и Р. Левина, указ. соч., стр. 71.

[46] ვ. ი. ლენინი, იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია, თხზ., ტ. 22, გვ. 262.

[47] Ю. Кучинский. Очерки по истории мирового хозяйства, М., 1954, стр. 79; აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამავე პერიოდისათვის ინგლისური კაპიტალის ექსპორტმა მიაღწია 75 მილიარდ მარკას, საფრანგეთისამ — 36 მილიარდ მარკას.

გერმანიის მთელი ექსპორტირებული კაპიტალის ნახევარზე მეტი, 18 მილიარდი მარკა, დაბანდებული იყო ევროპაში, უმთავრესად ავსტრია-უნგრეთში, რუსეთსა და ბალკანეთის ქვეყნებში[48]. გარდა ამისა, გერმანული კაპიტალი მიედინებოდა ბელგიაში, შვეიცარიაში, სკანდინავიაში, ესპანეთში, იტალიასა და პორტუგალიაში. რაც შეეხება სხვა კონტინენტებს, გერმანული კაპიტალი დაბანდებული იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, თურქეთში, აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. კაპიტალის ექსპორტი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ემსახურებოდა უწინარეს ყოვლისა პოლიტიკურ-სტრატეგიულ მიზანს — გაეხადათ ეს ქვეყნები გერმანიაზე დამოკიდებული. ავსტრია-უნგრეთისა და თურქეთის მაგალითი ნათლად აჩვენებს, რომ გერმანიის იმპერიალიზმი თავისი კაპიტალის ექსპორტით ამ მიზანს ახორციელებდა[49].

ეკონომიკის განვითარება გერმანიაში, ისევე როგორც სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში, მიმდინარეობდა უთანაბროდ. 90-იანი წლების ინტენსიურ სამრეწველო აღმავლობას[50] მოჰყვა მკაცრი ეკონომიკური კრიზისი 1900—1903 წწ., რომელმაც დიდი დარტყმა მიაყენა ქვეყნის მრეწველობას. 1907 წ. დადგა ახალი კრიზისი, რაც გაგრძელდა 1909 წლამდე. ხანმოკლე აღმავლობის შემდეგ, 1913 წ., კვლავ დაიწყო დაცემა, რაც მორიგ ეკონომიკურ კრიზისს მოასწავებდა, მაგრამ პირველმა მსოფლიო ომმა ის შეწყვიტა. კრიზისების მიუხედავად, მონოპოლისტური კაპიტალის მოგება იზრდებოდა. გამალებული შეიარაღებიდან კრუპის, ტისენის, შტუმის, სიმენსის და სხვ. კონცერნებმა უზარმაზარი მოგება მიიღეს. 1914 წ. მან შეადგინა 15,5 მილიარდ მარკაზე მეტი[51].

მონოპოლისტური კაპიტალის აგრესია საგარეო ურთიერთობათა სფეროში აძლიერებს მილიტარიზმის ზრდას, რაც იწვევს სამხედრო ხარჯების გადიდებას და სახელმწიფოებრივი საკუთრების გაზრდას

---

[48] მარტო ბალკანეთის ქვეყნების ეკონომიკაში დაბანდებული იყო 2 მილიარდი მარკა (იხ. F. Klein. Deutchland von 1897/98 bis 1917, Berl. 1961, S. 194).

[49] P. Bachman, K. Zeisler. Der deutsche Militarismus, Bd. I, Berl. 1971, S. 253.

[50] გერმანიის კაპიტალიზმის მთელმა ისტორიამ პირველ მსოფლიო ომამდე არ იცოდა სამრეწველო აღმავლობის ისეთი მაღალი ტემპები, როგორც XIX ს. 90-იან წლებში. ამ პერიოდში სამრეწველო პროდუქციის ნამატი შეადგენდა 62,6%. 1909—1910 წწ. მხოლოდ 37% (იხ. Мировые экономические кризисы 1848—1935 гг. Т. I, М., 1937, стр. 235.

[51] H. Otto, K. Schmiedel, H. Schnitter. Der erste Weltkrieg, Berlin, 1968, S. 16.

სამხედრო საწარმოების, რკინიგზების, ქვანახშირის შახტების და სხვ. სახით. აღსანიშნავია, რომ პირველ მსოფლიო ომამდე სამხედრო მნიშვნელობის სახელმწიფო საწარმოები ყველაზე უფრო მეტად გავრცელდა გერმანიასა და იაპონიაში.

1913 წ-თვის რკინიგზების თითქმის მთელი ქსელი, აგრეთვე კავშირის საშუალებანი თავმოყრილ იქნა სახელმწიფოს ხელში. სახელმწიფომ დიდი გავლენა მოიპოვა ელექტროენერგიის წარმოებაში. თუ 1900 წ. სახელმწიფოს წილი მასში შეადგენდა 2,3%. 1913 წ. ის უკვე აღწევდა 37,6%.

1913 წ. სახელმწიფოს წილი ქვანახშირის მოპოვებაში შეადგენდა 6,9%: სუფრის მარილის — 21,0; ალუმინის — 64,2%; კოქსის — 4,3; რკინის მადნის — 10,6; გაზის — 84,0%[52].

სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის განვითარება გერმანიაში განსაკუთრებით ძლიერდება პირველი მსოფლიო ომის მომზადების პერიოდში. მას ხელს უწყობდა მონოპოლისტური ბურჟუაზიის მტკიცე კავშირი სახელმწიფოებრივ აპარატთან. ამის შესახებ ვ. ი. ლენინი წერდა, რომ გერმანიის ფინანსურმა კაპიტალმა „შემოიტანა საწყისები კაპიტალისტური წარმოების გასახელმწიფოებრიობისა, კაპიტალიზმის გიგანტური ძალის სახელმწიფოს გიგანტურ ძალასთან ერთ მექანიზმად შეერთებისა, რომელიც ათეულ მილიონობით ადამიანს აყენებს სახელმწიფო კაპიტალიზმის ერთი ორგანიზაციის სამსახურში“[53]. სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმი აძლიერებს მონოპოლიების ძალაუფლებას, იწვევს ჩაგვრის ზრდას, ბურჟუაზიული წყობილების ყველა წინააღმდეგობის გამწვავებას.

გერმანიის სამრეწველო აღმავლობა მიმდინარეობდა ტექნიკის უფრო მაღალი დონის ბაზაზე, ვიდრე სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში. როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, „ეს იყო უკეთესი ტექნიკა, უბადლო ორგანიზაცია, რომელიც ძველ კაპიტალიზმს, თავისუფალი კონკურენციის ეპოქის კაპიტალიზმს აქცევს გიგანტური ტრესტების, სინდიკატების, კარტელების კაპიტალიზმად“[54].

გერმანიის მეტალურგიაში ფართო გამოყენებას პოულობდნენ მეცნიერული გამოგონებანი, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობდა სამთო მრეწველობის შემდგომ განვითარებას.

გერმანიის ნახშირის მრეწველობა აკმაყოფილებდა არა მარტო

---

[52] იხ. Империализм сегодня. пер. с нем., М., 1968. стр. 36.

[53] ვ. ი. ლენინი. ომი და რევოლუცია. თხზ. ტ. 24. გვ. 485—486.

[54] იქვე, გვ. 485.

ქვეყნის შინაგან მოთხოვნილებებს, არამედ ექსპორტსაც ეწეოდა. მრეწველობის სხვა დარგები შედარებით ნელა ვითარდებოდნენ, ვიდრე ეს იყო მეტალურგიაში. ამის მიზეზი იყო ეკონომიკური კრიზისების შედეგად გამოწვეული უთანაბრობა, რაც აძლიერებდა კაპიტალისტური წარმოების ანარქიულობას. 1909-1913 წწ. გერმანია იძლეოდა ნახშირის მსოფლიო მოპოვების 20,1%. 1909/10-1913 წწ. გერმანიის მძიმე მრეწველობის პროდუქციამ მიაღწია ძალიან მაღალ დონეს. ამასთან მრეწველობის ის დარგები, რომელთაც პროდუქციის გადიდებაში დიდი წილი გააჩნდათ, მძიმე მრეწველობასთან, უწინარეს ყოვლისა კი სამხედრო მრეწველობასთან, უმჭიდროეს კავშირში იყვნენ[55]. გერმანიის სამხედრო ინდუსტრია ომის წინ წარმოადგენდა მრეწველობის მძლავრ დარგს და ფლობდა 27-30-მდე ქარხანას. აქ შედიოდა აგრეთვე კერძო ქარხნები, მათ შორის კრუპის ცნობილი ქარხნები. გარდა ამისა, სამხედრო შეკვეთებს ემსახურებოდა აგრეთვე საკმაოდ მძლავრი გემთმშენებელი ვერფები. გერმანიის სამხედრო მრეწველობაში როგორც სახელმწიფო, ისე კერძო ქარხნებში დაკავებული იყო დაახლოებით 180 ათასი კაცი.

გერმანიის სამხედრო მრეწველობა, რომელსაც უხვად ეძლეოდა სუბსიდიები და მთავრობის პირდაპირი მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა, უზრუნველყოფდა კაპიტალის ყველაზე უფრო ხელსაყრელ გამოყენებას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთაც[56].

პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში გერმანიის მძიმე მრეწველობამ მიაღწია იმას, რომ ადნობდა თუჯსა და ფოლადს უფრო მეტს, ვიდრე ევროპის წამყვანი სახელმწიფოები—ინგლისი და საფრანგეთი, ერთად აღებული. ქვანახშირის მოპოვებაში კი არსებული ჩამორჩენა ინგლისთან შედარებით მინიმუმამდე იქნა დაყვანილი; ამაზე მეტყველებს პირველი ცხრილი[57].

კოქსის წარმოებით გერმანიამ კიდევ უფრო მეტად ჩამოიტოვა უკან ინგლისი და საფრანგეთი. თუ 1909 წ. გერმანია მოიპოვებდა 21.4 მლნ. ტ. კოქსს, 1913 წ. ის უკვე მოიპოვებდა 34,6 მლნ. ტონას,

---

[55] Deutsche Geschichte. Autorenkollektiv, Bd. 2, Berlin, 1967, S. 747.

[56] См. Б. Н. Михалевский. О рабочей аристократии в Германии накануне первой мировой войны — «Вопросы истории», 1955, № 1, стр. 102—103.

[57] Мировые экономические кризисы 1848—1835 гг., Т. I, стр. 494—495, 502—503, 506—507.

ცხრილი 1

ქვეყნები	ქვანახშირი		თუჯი მლნ. ტ.		ფოლადი მლნ. ტ.	
	1909 წ.	1913 წ.	1909 წ.	1913 წ.	1909 წ.	1913 წ.
გერმანია	217,5[58]	277,3[59]	12,6	19,3	12,0	18,3
ინგლისი	263,8	287,4	9,5	10,2	5,8	7,6
საფრანგეთი	37,8	40,8	3,5	5,2	3,0	4,6

მაშინ როცა ინგლისი და საფრანგეთი ერთად აღებული 1913 წლისათვის მოიპოვებდნენ მხოლოდ 17 მლნ. ტონას[60].

მრეწველობის მრავალი დარგის განვითარებას გერმანიაში ხელს უწყობდა სარკინიგზო მშენებლობა. 1913 წ. გერმანიაში რკინიგზის ხაზების საერთო სიგრძემ მიაღწია 63,7 ათას კილომეტრს[61]. სახელმწიფო — დაინტერესებული სამხედრო მოსაზრებებით — ცდილობდა დაექვემდებარებინა ქვეყნის რკინიგზის ქსელი, ამიტომ ხდებოდა მათი გამოსყიდვა.

გერმანია ეფექტურად იყენებდა უახლეს მეცნიერულ მიღწევებს ელექტროტექნიკურ მრეწველობაში, რის გამოც მნიშვნელოვნად გაუსწრო ევროპის დანარჩენ ქვეყნებს. ჯერ კიდევ XIX ს. ბოლოს გერმანია აწარმოებდა უფრო მეტ ელექტროტექნიკურ მოწყობილობას, ვიდრე ინგლისი და საფრანგეთი ერთად[62]. 1913 წლისათვის გერმანიის ელექტროტექნიკურ მრეწველობაში მუშაობდა 250 ათასი კაცი. ამ დროისათვის გერმანია უშვებდა 1300 მილიონი მარკის ღირებულების პროდუქციას. ეს შეადგენდა მსოფლიო პროდუქციის 34,8%. გერმანიის ელექტროტექნიკურ მრეწველობას ექსპორტის მხრივ პირველი ადგილი ეკავა და იძლეოდა მსოფლიო ექსპორტის თითქმის ნახევარს — 331 მილიონ მარკას 689 მილიონი მარკიდან.

განსაკუთრებით გაიზარდა ქიმიური მრეწველობისა და ფერადი მეტალების წარმოების მნიშვნელობა. მისი ზოგიერთი დარგის ზრდაზე შეიძლება ვიმსჯელოთ მეორე ცხრილით[63].

---

[58] აქედან 68, 7 მლნ. ტ. მურა ნახშირი.

[59] აქედან 87,2 მლნ. ტ. მურა ნახშირი.

[60] См. Капиталистические страны 1913, 1920—1936 гг., Ст. сб., Т. I, М., 1937, стр. 68—69. 130—131.

[61] Ю. Кучинский. История условий труда в Германии, пер. с нем. М., 1949, стр. 124.

[62] В. Е. Мотылев. Финансовый капитал и его организационные формы, М., 1959, стр. 336.

[63] Мировые экономические кризисы 1848—1935 гг., Т. I, стр. 328—329.

ცხრილი 2

დარგები	საზომი	წლები				
		1909	1910	1911	1912	1913
ქალუმის მარილის მოპოვება	ათ. ტ.	6,901	8,161	9,707	11,070	11,957
ტონის წარმოება	„	219,8	221,4	243,8	269,2	278,9
სპილენძის წარმოება	„	31,2	34,9	37,5	45,5	49,5
გოგირდის მჟავას წარმოება		1,435	1,616	—	—	1,727

გერმანიის ქიმიური მრეწველობა ომამდე ასრულებდა გადამწყვეტ როლს მსოფლიო ბაზრებზე უმთავრესად საღებავების წარმოების წყალობით. 1913 წ. მის წილად მოდიოდა ანილინის საღებავების 137 ათასი ტონა, რაც უდრიდა მსოფლიო წარმოების 82%. ამის გარდა, გერმანიის ქიმიური საწარმოების საზღვარგარეთული ფილიალები იძლეოდნენ საღებავების მსოფლიო წარმოების 6%. მსოფლიო საფეიქრო მრეწველობა თითქმის მთლიანად გერმანიის საღებავებზე იყო დამოკიდებული. 1913 წ. ქიმიური მრეწველობის ნაწარმის ღირებულება განისაზღვრებოდა 1,5-2 მილიარდი მარკის რაოდენობით წელიწადში[64].

საექსპორტო მნიშვნელობით ქიმიური მრეწველობა ომის წინ მანქანათმშენებლობაზე წინ იდგა. 1913 წ. გერმანიამ გაიტანა 923,5 მილიონი მარკის ღირებულების ქიმიური საქონელი, რომელთაგან 500 მილიონი მარკა მოდიოდა საღებავებსა და სინთეტიკურ საწამლავ საშუალებებზე.

ფერადი მეტალურგიისა და ქიმიური მრეწველობის განვითარება ელექტრომრეწველობის გვერდით იყო ძლიერი დამატებითი სტიმული მძიმე მრეწველობის პროდუქციის გადიდებისათვის. დიდი იყო სახალხო მეურნეობისათვის ამ დარგების ეკონომიური და საერთო სტრატეგიული მნიშვნელობა: მან მოუტანა გერმანიას უპირატესობა მსოფლიო ბაზრებსა და საერთაშორისო არენაზე. ომის წინ გერმანია ეწეოდა არა მარტო ქიმიური პროდუქტების ექსპორტს, არამედ ცდილობდა ქიმიური მრეწველობა სხვა ქვეყნებში მოეხრჩო.

ომის წინ მიმდინარე გამალებული შეიარაღება თავის დაღს ას-

[64] აქ არ შედის ცელულოზის, სპირტის, კრახმალის და ა. შ. დამამზადებელი დარგები, რომელნიც საერთო ჯამში ყოველწლიურად იძლეოდნენ ორი მილიარდი მარკის ღირებულების პროდუქციას.

ვამდა გერმანიის ეკონომიკის განვითარებას. დიდად გაიზარდა გემთ-მშენებელი მრეწველობა, რომელიც ასრულებდა მნიშვნელოვან სამხედრო-საზღვაო შეკვეთებს. 1913 წლისათვის გერმანიაში გემების საერთო რაოდენობა აღწევდა 4850-ს, რომელთა წყალწყვა შეადგენდა 3153724 ტონას. მათ ემსახურებოდა ეკიპაჟი 77746 კაცის რაოდენობით[65]. გემები სულ უფრო სრულყოფილი ხდებოდა: იზრდებოდა მათი სიჩქარე, უმჯობესდებოდა კონსტრუქცია და ტვირთამწეობა. ისახავდა რა აგრესიულ მიზნებს, გერმანია სწრაფად აგებდა სამხედრო-საზღვაო ფლოტს.

მიუხედავად იმისა, რომ ომამდელი პერიოდი სტიმულირებული იყო უდიდესი სამხედრო შეკვეთებით, უკვე 1913 წ. თავს იჩენს მოახლოებული კრიზისის ნიშნები — მძიმე მრეწველობის ზრდის ტემპები მნიშვნელოვნად სუსტდება.

გერმანიის სოფლის მეურნეობა ვითარდება კაპიტალისტური გზით, თუმცა ბატონყმობის მრავალი გადმონაშთი მაინც რჩებოდა. ეს იყო შედეგი გერმანიის სოფლის მეურნეობის პრუსიული გზით განვითარებისა, როცა „ბატონყმური მემამულური მეურნეობა ნელა გადაიზრდება ბურჟუაზიულ, იუნკრულ, მეურნეობად და გლეხებს ათეული წლობით უმწვავეს ექსპროპრიაციასა და კაბალას განუმზადებს, ამასთანავე გამოჰყოფს „გროსბაუერების“ („მსხვილი გლეხების“) პატარა უმცირესობას“[66].

მართალია, კაპიტალიზმის განვითარების პრუსიული გზა სოფლის მეურნეობაში აფერხებდა კაპიტალისტური მრეწველობის ზრდას, მაგრამ ეს შეფერხება გადაჭარბებულად არ უნდა წარმოვიდგინოთ, რადგანაც გერმანიის მრეწველობა 1948 წ. რევოლუციის შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა და 1869 წლისათვის, ე. ი. ჯერ კიდევ გაერთიანებამდე, იწყებს საფრანგეთის მრეწველობისათვის გასწრებას[67].

გერმანიის მეურნეობრივი განვითარებისათვის სპეციფიკურ თვისებას წარმოადგენდა იუნკრული მეურნეობის მჭიდრო გადახლართვა მონოპოლიებთან მრეწველობაში და შეზრდა ამ უკანასკნელისა სახელმწიფო აპარატთან, რომელსაც ხელმძღვანელობდა იუნკრობა. ეს ეკონომიკურად ხელსაყრელი იყო ორივე გაბატონებული მხარისათ-

---

[65] К. Гельферих. Развитие народного хозяйства Германии с 1888 по 1913 год., М., 1920, стр. 62.

[66] ვ. ი. ლენინი, სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა რუსეთის 1905-1907 წლების პირველ რევოლუციაში, თხზ., ტ. 13, გვ. 292.

[67] Е. С. Варга. Исторические корни особенностей германского империализма. М., 1946, стр. 11.

ვის, რაც უზრუნველყოფდა ხალხის მასების დაუნდობელ ექსპლოატაციას.

XX ს. დასაწყისიდან კაპიტალიზმის განვითარება გერმანიის სოფელში გაძლიერდა. სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის პროცესმა გამოიწვია მოსავლიანობის გადიდება. ამას აჩვენებს მე-3 ცხრილი[68].

ცხრილი 3

კულტურა	ასაღები ფართობი ათ. ჰა		მოსავალი მილიონ კვინტალებში[69]	
	1909 წ.	1913 წ.	1909 წ.	1913 წ.
ხორბალი	1,831	1,974	37,6	46,6
ჰვავი	6,131	6,414	113,5	122,2
ქერი	1,643	1,654	35,0	36,7
შვრია	4,310	4,438	91,3	97,1

მოსავლიანობა გაიზარდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გერმანიის სოფლის მეურნეობას სულ უფრო უჭირდა ქალაქის მზარდი მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება კვების პროდუქტებზე, ამიტომ გერმანია ეწევა მის იმპორტს — 1913 წ. შემოტანილ იქნა 2,546 ათასი ტონა ხორბალი, 3,238 ათასი ტონა ქერი.

ტექნიკური კულტურების წარმოების მხრივ (თამბაქო, ყურძენი, შაქრის ჭარხალი და სხვ., აგრეთვე შეიმჩნევა ზრდა. 1912-13 წწ. გერმანია გამოვიდა პირველ ადგილზე მსოფლიოში ჭარხლიდან შაქრის ფხვნილის წარმოებით.

გერმანიის სოფლის მეურნეობა სულ უფრო მექანიზებული ხდებოდა. ეს განსაკუთრებით ეხებოდა მსხვილი მემამულე-იუნკრების მიწებს, სადაც შემოიღეს თესლბრუნვის მრავალმინდვრიანი სისტემა და ფართოდ იყენებდნენ ხელოვნურ სასუქებს თუ მანქანებს. ეს ღონისძიებანი განპირობებული იყო სოფლის მეურნეობაში დიდი კაპიტალდაბანდებებით, დიდ თანხებს კი იღებდნენ ზემოგების ხარჯზე, მაღალი ფასებისა და აგრარული ბაჟების შედეგად. გაფართოვდა საბანკო კაპიტალის დაბანდების სფერო. ამ საფუძველზე საბანკო კაპიტალსა და მსხვილ სოფლის მეურნეობას შორის დამყარდა მჭიდრო კავშირი. ორივე ისწრაფვოდა მიწის მაღალი რენტისაკენ და, მა-

[68] Мировые экономические кризисы, Т. I, стр. 330—331.

[69] კვინტალი — წონის ერთეული, შეესაბამება ცენტნერს.

შასადამე, მაღალი აგრარული ბაჟებისაკენ; ორივე დაინტერესებული იყო ქალაქის მოთხოვნილებისა და, ცხადია, მრეწველობის ზრდით. ყველაფერი ეს სულ უფრო ამტკიცებდა გერმანიის იმპერიალიზმის მმართველი ბლოკის — იუნკრობისა და ფინანსური კაპიტალის კავშირს.

ომამდელ წლებში, როგორც წინა პერიოდში, გრძელდებოდა გლეხობის გაბოგანოება და მიწის მსხვილ მემამულურ და კაპიტალისტურ მეურნეობებში კონცენტრაცია[70].

კაპიტალიზმის განვითარების პრუსიული გზა სოფლის მეურნეობაში ხელს უწყობდა გლეხობის ძირითადი მასის გაჩანაგებას, პროლეტარების წარმოშობას და კაპიტალისტური მეურნეობების მცირე რიცხვის წარმოქმნას მათი მფლობელებით — გროსბაუერებით.

როგორც სოფლის მეურნეობაში, მეცხოველეობაშიც გარკვეულ ცვლილებებს აქვს ადგილი, მაგრამ სულადობის მატება უმნიშვნელოა. მეცხვარეობა სულ უფრო მეტად უთმობს ადგილს შემოსავლიან მეღორეობას, ოღნავი მატება შეინიშნება მსხვილი რქოსანი პირუტყვის რაოდენობაშიც. თუ 1907 წ. ცხვრის სულადობა აღწევდა 7703 მლნ., ღორის—22146 მლნ. და მსხვილი რქოსანი პირუტყვის—20650 მლნ., 1913 წლისათვის ცხვრის რაოდენობა ეცემა 5520 მლნ-მდე, ღორისა იზრდება 25 659 მლნ-მდე, მსხვილ რქიანი პირუტყვი კი უმნიშვნელოდ იმატებს და აღწევს 20 994 მილიონს.

XIX—XX სს. მიჯნაზე გერმანია ხდება სამრეწველო საქონლის დიდი ექსპორტიორი, რაც ქვეყანაში ინდუსტრიალიზაციის პროცესზე მეტყველებდა. იმ დროისათვის მსოფლიო ბაზრებზე ბატონობდა ინგლისი. გერმანია თანდათან იწყებს შეჯრას და თავისი საქმიანობის გაფართოებას საგარეო ვაჭრობის სფეროში. 1913 წ. საგარეო ვაჭრობის საერთო მოცულობით იგი მხოლოდ ინგლისს ჩამორჩებოდა[71]. გერმანია იწყებს მეტოქეობას ინგლისთან მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეში: სამხრეთ ამერიკაში, იაპონიაში, ჩინეთში, სპარსეთში, ტუნისში, მაროკოში, ეგვიპტესა და ბელგიის კონგოში. გერმანული ექსპორტის ხვედრითი წონა თანდათან იზრდება მაშინ, როცა ინგლისის მცირდება: გერმანიის საქონელი იწყებს ინგლისური საქონლის გამოდევნას თვით მისი კოლონიების ბაზრებიდან. თუ ევროპის გარეთ, არაევროპულ ბაზრებზე, ინგლისი ჰეგემონიას კვლავ ინარჩუნებდა, ევროპული ქვეყნების ვაჭრობაში გერმანიის მონაწი-

---

[70] См. А. Петрушов. Аграрные отношения в Германии, М., 1945, стр. 32—33.

[71] А. Норден. Уроки германской истории, пер. с нем., М., 1948, стр. 42.

ლეობის წილი სულ უფრო იზრდებოდა, ინგლისისა კი მცირეოდენის გამოკლებით ეცემოდა. თვით ფოლადისა და რკინის გატანაში, სადაც ინგლისს ათეული წლების მანძილზე აშკარა უპირატესობა ჰქონდა, გერმანია ძალზე სწრაფად ამცირებდა განსხვავებას. 1909—1913 წწ. გერმანიის მიერ გატანილმა რკინამ და ფოლადმა შეადგინა 41,7 მლნ. ფუნტი სტერლინგი, ინგლისისამ კი — 45,6 მლნ. ფუნტი[72]. თუ 1890 წ. ინგლისის ხვედრითი წონა მსოფლიო ვაჭრობაში შეადგენდა 20%-ს და საფრანგეთისა—9%, გერმანიისა იყო 11%, 1913 წ. ინგლისის წილი შემცირდა 15%-მდე, საფრანგეთისა 8%-მდე, გერმანიის ხვედრითი წონა კი გაიზარდა 13%-მდე[73]. ექსპორტი სულ უფრო იზრდებოდა და ომის წინ მიაღწია ფენომენალურ წლიურ მატებას — დაახლოებით 10%-ს. ეს მიუთითებდა გერმანიის იმპერიალიზმის განსაკუთრებულ ექსპანსიურ ხასიათზე, რაც, ბუნებრივია, ძალზე ძაბავდა ურთიერთობას სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებთან და გარდუვალად იწვევდა შეტაკების აუცილებლობას.

1909-1913 წწ. გერმანიის ექსპორტი გაიზარდა 60%-ზე მეტად. ომის წინ ზოგიერთი დარგების მიხედვით გერმანიას ეკავა წამყვანი ადგილი მსოფლიო ვაჭრობაში; მაგალითად, მას პირველი ადგილი ეკავა მსოფლიოში ელექტროტექნიკური მოწყობილობის გატანაში. საერთო ექსპორტის ღირებულებამ 1913 წ. მიაღწია 10097 მლნ. მარკას, მაშინ როცა 1909 წ. ის შეადგენდა 6594 მლნ. მარკას. საერთო იმპორტი ამ წლებში შესაბამისად იყო 1909 წ. 8527 მლნ. მარკა 1913 წ. — 10770 მლნ მარკა[74]. აქ ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რო გერმანიას აქვს პასიური ბალანსი საგარეო ვაჭრობაში. მაგალითად 1909 წ. მან შეადგინა 1933 მლნ. მარკა. პასივი თუმცა შემცირდა 1913 წ. 673 მლნ. მარკამდე, მაგრამ იგი მაინც დარჩა. ყოველივე ეს იმით აიხსნებოდა, რომ გერმანიას ჰარბად შემოჰქონდა უცხოური ნედლეული და საკვები პროდუქტები, რომ სახელმწიფო ითვალისწინებდა იუნკრულ-ბურჟუაზიული ბლოკის ინტერესებს, რათა გაეძლიერებინათ პრუსიული მემამულეების ეკონომიკური პოზიციები და მოეპოვებინათ მონოპოლისტებისათვის ხელსაყრელი გასაღების ბაზრები, არ დაეშვათ კონკურენტებისა და მეტოქეების გაძლიერება. ამ

---

[72] В. Бартель. Левые в германской социал-демократии в борьбе против милитаризма и войны, пер. с нем., М., 1959, стр. 23.

[73] Ю. Кучинский. История рабочего класса при капитализме, пер. с нем., М., 1970, стр. 68.

[74] Мировые экономические кризисы, Т. I, стр. 330—331; см. также, ЦГВИА, ГУГШ, ф. 2000, оп. 1. д. 2464, Л. 69. Донесение Агента министерства торговли и промышленности в Берлине.

შიზეზებით გერმანული მონოპოლიები უცხოურ ბაზრებზე ჩალის ფასად ჰყიდდნენ თავის ნაწარმს, ქვეყნის შიგნით კი ხელოვნურად უწევდნენ ფასს. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს ღონისძიებანი ვერ ახდენდნენ დემპინგის შედეგად მიღებული დანაკარგების ანაზღაურებას. პასივის დაფარვა ხდებოდა სესხებით და საზღვაო ფრახტით, რომელსაც გერმანიის სავაჭრო ფლოტი იღებდა უცხო ქვეყნების მომსახურებით. პირველი მსოფლიო ომის წინ გერმანიის სავაჭრო ფლოტი თავისი სიდიდით მხოლოდ ინგლისის სავაჭრო ფლოტს ჩამოუვარდებოდა.

გერმანიის საგარეო ვაჭრობის სტრუქტურა იღებს მკვეთრად გამოსახულ ინდუსტრიულ ხასიათს. 1911-1913 წწ. იმპორტის 84,8% შეადგენდა ნედლეულს, ნახევარფაბრიკატებს, საკვებ პროდუქტებს და საქონელს, მზა პროდუქცია კი მხოლოდ 15,2%. ამავე დროს იზრდება ნედლეულის, ნახევარფაბრიკატების, საკვები პროდუქტების და საქონლის ექსპორტი 35,3%-მდე, მზა ნაწარმის ექსპორტი კი შეადგენს მთელი ექსპორტის 64,5%.

ამრიგად, გერმანიის ეკონომიკური განვითარება პირველი მსოფლიო ომის წინ ხასიათდებოდა ღრმა წინააღმდეგობებით. გერმანიის მრეწველობამ, მართალია, შეინარჩუნა კაპიტალიზმის პირობებში განვითარების მაღალი ტემპები, მაგრამ მისი განვითარება მიმდინარეობდა უთანაბროდ. ხდებოდა წარმოების კონცენტრაცია და მძლავრი კარტელებისა და სინდიკატების აღმოცენება, რომელნიც ხელში იგდებდნენ სახალხო მეურნეობის ძირითად პოზიციებს.

სოფლის მეურნეობა იყო გერმანიის ეკონომიკის ერთ-ერთი ჩრდილოვანი მხარე. უზრუნველყოფდა რა იაფი მუშა ხელისა და მფარველობითი საბაჟო პოლიტიკის წყალობით უზარმაზარ მოგებებს იუნკრობისათვის, სოფლის მეურნეობა იმავე დროს ვერ აკმაყოფილებდა და არც შეეძლო დაეკმაყოფილებინა ქვეყნის მოთხოვნილებანი საკვები პროდუქტებით და ნედლეულით როგორც მშვიდობიან, ისე მით უმეტეს ომის დროს. მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობა ვითარდებოდა კაპიტალისტური გზით, ის მაინც მნიშვნელოვნად ჩამორჩა მრეწველობას, რამდენადაც შეინარჩუნა მრავალი ბატონყმური გადმონაშთი — დამახასიათებელი მემამულური მიწათმფლობელობისათვის გერმანიაში საერთოდ და პრუსიაში განსაკუთრებით.

ფაბრიკატების მზარდი გატანა და სულ უფრო მეტად დამოკიდებულება სამრეწველო ნედლეულის შემოტანისაგან (ბამბა, შალი, კაუჩუკი, სპილენძი და ა. შ.) უბიძგებდა გერმანიას იმპერიალისტური ექსპანსიისაკენ.

საგარეო ვაჭრობა ხასიათდებოდა განვითარების ტემპების გაწუხრელი ზრდით ომამდე. ეს იყო ექსპანსიონისტური პოლიტიკის შედეგი, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული მონოპოლისტური კაპიტალის განვითარებასთან, რამაც განსაკუთრებული გამოხატულება ჰპოვა გერმანიაში, სადაც იმპერიალიზმი გამოირჩეოდა განსაკუთრებული აგრესიულობით. გერმანიის წარმატებანი ეკონომიკაში პირველი მსოფლიო ომის წინ იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი სხვა მრავალთა შორის, რომელიც გერმანიის იმპერიალიზმს უბიძგებდა ომის მომზადების, შემდეგ კი მისი გაჩაღებისაკენ.

2. ბეთმან-ჰოლვეგის დანიშვნა რაიხსკანცლერის პოსტზე და გერმანიის საშინაო მდგომარეობა

რაიხსტაგის არჩევნებმა, რომელიც 1907 წ. დასაწყისში ჩატარდა, გამარჯვება მოუტანა რეაქციულ ძალებს — ბურჟუაზიულ-ლიბერალური პარტიებისა და კონსერვატორების ბლოკს. ეს იყო მსხვილი კაპიტალისა და იუნკრობის კავშირი, ე. წ. „ბიულოვის ბლოკი". გაბატონებული კლასების ძალთა გაერთიანება მიმდინარეობდა არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილების, მზარდი რევოლუციური მოძრაობის საფრთხისაგან დაცვისა და განმტკიცების რეაქციულ პლატფორმაზე[75], რაც, ცხადია, იწვევდა პოლიტიკური რეაქციის გაძლიერებას.

არჩევნები წარმოადგენდა მნიშვნელოვან ეტაპს გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მთლიანი კაპიტულაციის გზაზე აგრესიული გერმანიის იმპერიალიზმის წინაშე. 36 ადგილის დაკარგვამ რაიხსტაგში, რომელიც შეფასებულ იქნა, როგორც სერიოზული მარცხი[76], გამოიწვია ოპორტუნიზმის კიდევ უფრო მეტად გაძლიერება.

ბლოკის პარტიებს, თუმცა აღიარებდნენ სოციალ-დემოკრატიასთან ბრძოლის აუცილებლობას, ერთმანეთს შორის ჰქონდათ უთანხმოებანი როგორც პოლიტიკური ბატონობის შენარჩუნების საკითხებზე, ისე თითოეული პარტიის მისწრაფების გამო, გაეძლიერებინა თავისი გავლენა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე. ბუნებრივია, შინაპარტიული ბრძოლა ემუქრებოდა ბლოკის ერთიანობას.

1907 წ. დაწყებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა და სულ უფრო მზარდმა გამალებულმა შეიარაღებამ იმპერიის ფინანსური მდგო-

---

[75] გაზ. „მომავალი", 1909 წ. 22 სექტ./5 ოქტ.

[76] Г. Г. Кричевский. Конфликт Бюлова с партией центра.— Вестник Московского университета, серия IX, История, 1972, № 4, стр. 29.

მარეობა ერთობ მძიმე და საგანგაშო გახადა. საჭირო შეიქმნა გადასახადების გადიდება, რომ ამით იმპერიის ბიუჯეტში სულ უფრო მზარდი ქრონიკული დეფიციტი დაეფარათ. 1895 წ. დაწყებული იმპერიის ვალი განუხრელად იზრდებოდა. მხოლოდ 1906 და 1908 წლებს შორის ის გაიზარდა 3,4-დან 4,5 მილიარდ მარკამდე[77]. 1912 წ. ოქტომბრისათვის მან მიაღწია 4,8 მილიარდ მარკას და არსებობდა საფუძველი მიეღწია 5,2 მილიარდი მარკისათვის 1913 წელს[78].

დეფიციტის მთავარ მიზეზს წარმოადგენდა უზარმაზარი სახსრების ხარჯვა სამხედრო-საზღვაო ფლოტის მშენებლობაზე. შექმნილი მდგომარეობა მოითხოვდა ფინანსური რეფორმის ჩატარებას.

ტრადიციულად, იმპერიის საბიუჯეტო შემოსავლის გადიდება არაპირდაპირი გადასახადების ხარჯზე ხდებოდა ხოლმე, რაც ძალიან სიმძიმით მშრომელ მოსახლეობას აწვებოდა ტვირთად. რთული საშინაო მდგომარეობის გამო მთავრობას ასეთი გადასახადის შეღება იმჯერად სახიფათოდ მიაჩნდა. ამ რას წერდა ბიულოვი თავის მოგონებებში ამასთან დაკავშირებით: „მე მიმაჩნდა პოლიტიკურად და სოციალურად საშიშად, ასეთი გადამწყვეტი ფინანსური რეფორმა მხოლოდ არაპირდაპირ გადასახადებზე დაგვეფუძნებინა"[79].

1908 წ. ნოემბერში გერმანიის ფინანსთა უწყების სახელმწიფო მდივანმა სიდოვმა — საგადასახადო რეფორმის პროექტის ერთ-ერთმა ავტორმა, შეიმუშავა გეგმა, რომელიც მიზნად ისახავდა 500 მილიონი მარკის მიღებას სხვადასხვა გადასახადებიდან. ამ თანხის ერთი მეხუთედი უნდა დაეფარა მემკვიდრეობაზე დაწესებულ გადასახადს[80].

საგადასახადო რეფორმის შემოქმედთა აზრით, მას უნდა განემტკიცებინა მთავრობის ბლოკი და კოალიციისათვის მიეერთებინა კათოლიკური ცენტრი, რაც მთავრობის მიზანსაც შეადგენდა. ბიულოვი მიისწრაფოდა, რომ „ახლანდელი მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნებისას კონსერვატორებსა და ნაციონალ-ლიბერალებს შორის არ ებიძგებინათ თავისუფალმოაზროვნეთათვის, თანდათან ეპოვათ მოდუს ვივენდი ცენტრთან"[81].

---

[77] Deutsche Geschichte, Bd. 2, S. 745—746; Г. Хальгартен, указ. соч., стр. 448, прим. 3.

[78] ЦГВИА, ГУГШ, ф. 2.000, оп. 1, д. 2664, Л. 34, рапорт военного агента в Берлине Базарова, 3/16 декаб. 1912 г.

[79] Б. Бюлов. Воспоминания, стр. 347.

[80] Deutsche Geschichte, Bd. 2, S. 746; იხ. აგრ. გაზ. „მომავალი", 1909 წ. 22 სექტ./5 ოქტომბ.

[81] Б. Бюлов. Воспоминания, стр. 347.

ფინანსური რეფორმის პროექტი უწინარეს ყოვლისა ითვალისწინებდა არაპირდაპირი გადასახადების გადიდებას ღვინოზე, ლუდზე, თამბაქოზე, გაზსა და ელექტროობაზე. მემკვიდრეობაზე გადასახადის დაწესებას მხარს უჭერდნენ ლიბერალურ-ბურჟუაზიული პარტიები, მაგრამ მის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ უძრავი ქონების მფლობელნი[82]. მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, კანცლერმა ბიულოვმა მაინც შეიტანა რაიხსტაგის განსახილველად ფინანსური რეფორმის პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა აგრეთვე მემკვიდრეობაზე გადასახადის დაწესებას. ამის პასუხად კონსერვატორები ჩამოსცილდნენ ლიბერალებს, რომლებიც იცავდნენ მთავრობის პროექტს, და დაუახლოვდნენ კლერიკალურ ცენტრს. მათ შეადგინეს ე. წ. „შავცისფერი" ბლოკი. ამის შესახებ ბულაცელი იტყობინებოდა ბერლინიდან: „აქაური საზოგადოებრივი აზრის მიხედვით, ბლოკის დაშლა, რომელიც ჯერ კიდევ სამი კვირის წინ დაიწყო მემკვიდრეობაზე გადასახადის შემოღების საკითხის გამო, ამიერიდან წარმოადგენს საბოლოოდ გადაწყვეტილს და ფინანსური რეფორმა კონსერვატიულ-ლიბერალური ბლოკის ძალებს აღემატება"[83].

მდგომარეობა სულ უფრო მწვავდებოდა, ამიტომ მმართველი წრეები ეძებდნენ ხელსაყრელ შესაძლებლობას, რომ შინაგანი სიძნელეებისაგან ქვეყნის ყურადღება გადაეტანათ. ასეთი შესაძლებლობაც მალე გამოჩნდა. 1909 წ. მაისში ვილჰელმ II ეწვია ფრანციოსებს. ამოქმედდა გერმანიის პრესა. იგი ფართოდ აშუქებდა მონარქების შეხვედრას და განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავდა მის პოლიტიკურ ხასიათს, რაც ნაწილობრივ აიხსნებოდა „გერმანული ოფიციოზური პრესის მისწრაფებით, გადაეტანოს ყურადღება ძალზედ ჩახლართული და უხუგეშო საშინაო მდგომარეობიდან, რომელშიც აღმოჩნდა გერმანიის მთავრობა ფინანსური რეფორმის გატარებისას"[84].

1909 წ. 16 ივნისს ბიულოვმა რაიხსტაგში წარმოთქვა ვრცელი სიტყვა, რომლითაც ის ამართლებდა მემკვიდრეობაზე გადასახადის დაწესებას და ცდილობდა, რომ ეს პროექტი მიეღოთ, მაგრამ ეს ცდა 24 ივნისს კონსერვატიულ-კლერიკალურმა კოალიციამ ჩაფუშა. მემკვიდრეობაზე გადასახადის ნაცვლად კონსერვატორებმა და ცენტრმა

---

[82] ეს ეხებოდა, პირველ რიგში, მიწათმფლობელი მემამულეების და მათი წარმომადგენლების კონსერვატიული პარტიის რეაქციულ ძალებს. ცენტრის კათოლიკური პარტიაც პროტესტით გამოდიოდა, ითვალისწინებდა რა თავისი კულაკური და წვრილბურჟუაზიული ამომრჩევლების ინტერესებს.

[83] АВПР, ф. Канцелярия, д. 20, Л. 134, Булацель Чарыкову I/14 мая 1909 г.

[84] Там же, д. 17, Л. 59, Булацель Чарыкову 15/28 мая 1909 г.

მხარი დაუჭირეს გადასახადს საბირჟო გარიგებებზე[85]. უთანხმოებამ საგადასახადო ტვირთის განაწილების შესახებ „ბიულოვის ბლოკის“ დაშლა და ფინანსური რეფორმის წარუმატებლობა გამოიწვია. ბლოკის კრახი მოასწავებდა კონსერვატიულ-კლერიკალური კოალიციის აღდგენას, მაგრამ შეცვლილი თანაფარდობით, ვიდრე ეს იყო ადრე, როცა ცენტრს უპირატესობა გააჩნდა. მოგვიანებით, 1915 წ., ერცბერგერთან საუბარში ბიულოვი აღიარებდა, რომ უთანხმოებანი ცენტრთან იყო „მის ცხოვრებაში ყველაზე უფრო დიდი სისულელე“[86].

1909 წ. 14 ივლისს კანცლერი ბიულოვი, დაკარგა რა საყრდენი რაიხსტაგში, იძულებული გახდა გადამდგარიყო[87]. გაზეთი „მომავალი“ ამაზე აფასებდა შექმნილ ვითარებას: „შავი ბლოკი რაიხსტაგში— ესაა უკიდურეს რეაქციონერთა კავშირი. ლიბერალები დამარცხდნენ და მათი ბლოკის სულის ჩამდგმელი ბიულოვიც გაიყოლიეს“[88].

ბიულოვის გადადგომაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, აგრეთვე, მის მიმართ ვილჰელმ II პირადმა დამოკიდებულებამ, რომელიც „დეილი ტელეგრაფის“ ინციდენტის შემდეგ გაუარესდა[89], და გამოყენებულ იქნა ბლოკის მოწინააღმდეგეების მიერ როგორც იარაღი კანცლერის წინააღმდეგ[90]. იმპერატორის დამოკიდებულება ბიულოვისადმი არ გაუმჯობესებულა, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი 1909 წ. 6 იანვარს პრუსიის ლანდტაგში გამოსვლისას, ეხებოდა რა რაიხსტაგის 1908 წ. ნოემბრის სხდომებს, რომელზეც იხილავდნენ ვილჰელმ II ინტერვიუსადმი მიძღვნილ სტატიას „დეილი ტელეგრაფში“, ცდილობდა თავის გამართლებას, იმპერატორის მიმართ ქცევას არ იშურებდა და მის ღვაწლს მიაწერდა გერმანიაში ვაჭრობისა და მრეწველობის, მეცნიერებისა და ტექნიკის აღმავლობასა და აყვავებას, ფლოტის შექმნას და ბოლოს მშვიდობის შენარჩუნებას[91].

---

[85] См. Г. Хальгартен, указ. соч. стр., 448—449.

[86] Цит. Г. Г. Кричевский. указ. статья, стр. 34.

[87] АВПР, ф. Канцелярия д. 20, Л. 189, Остен-Сакен Извольскому, 10/23 июня 1909 г.; ფრანგი ისტორიკოსი პ. რენუვენი ამასთან დაკავშირებით შენიშნავდა: „რამდენადაც ბიულოვი უთანხმოებაში აღმოჩნდა რაიხსტაგის უმრავლესობასთან, იმპერატორი შეეცადა იგი თავიდან მოეცილებინა“ (იხ. P. Renouvin. La Crise européenne et la Premiére Guere mondiale (1901—1918), Paris, 1969, p. 92).

[88] გაზ. „მომავალი“, 1909 წ. 22 სექტ. / 5 ოქტომ.

[89] „დეილი ტელეგრაფის“ ინციდენტის გამო ატეხილი აჟიოტაჟის დროს ბიულოვი ქცევას ვილჰელმ II აფასებდა, როგორც „ღალატს“ გვირგვინის მიმართ.

[90] См. Г. Г. Кричевский, указ. статья, стр. 31.

[91] АВПР, ф. Канцелярия, д. 20, л. 2. Остен-Сакен Извольскому, 9/22 января 1909 г.

კ. ლიბკნეხტი ეხებოდა რა ფინანსური რეფორმის გამო შექმნილ სამინაო მდგომარეობას, წერდა: „ბურჟუაზიას და იუნკრობას აქვთ საერთო ინტერესები მხოლოდ პროლეტარიატის მიმართ, მათ არა აქვთ საერთო ეკონომიკური ინტერესები. ამ მიზეზით კონსერვატიულ-ლიბერალური ბლოკი უნდა დაშლილიყო, როგორც კი მას მოუხდებოდა პირველი გამოცდის გადატანა“[92].

„ბიულოვის ბლოკის“ დაშლა მოასწავებდა ნაციონალ-ლიბერალური პარტიის და საერთოდ საზღვაო ფლოტის მშენებლობის მომხრეთა დასუსტებას. ამავე დროს, რამდენადმე შეირყა ინგლისისადმი მტრული საგარეო პოლიტიკური კურსი.

ბიულოვის ადგილზე იმპერატორმა ვილჰელმ II დანიშნა შინაგან საქმეთა ყოფილი სახელმწიფო მდივანი ბეტმან-ჰოლვეგი[93]. ახალ კანცლერს ვილჰელმ II ჯერ კიდევ თავისი ახალგაზრდობიდან იცნობდა, როდესაც სამხედრო მანევრებზე მყოფი, ხშირად მის მშობლებთან დადიოდა სტუმრად. ხშირი და მჭიდრო კონტაქტები მასთან ხელს უწყობდა ბეტმან-ჰოლვეგის სწრაფ სამსახურებრივ და საზოგადოებრივ კარიერას შემდგომში[94]. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ბიულოვი ბეტმანის კანდიდატურის წინააღმდეგი იყო[95].

იმპერატორის არჩევანი არ იყო შემთხვევითი. ტიპიური პრუსიელი ბიუროკრატი[96] თავისი გაუწონასწორებელი მონარქის ნებისურვილის უსიტყვო შემსრულებელი, ნამდვილი საკანცელარიო მოხელე იყო, ამასთანავე ბეტმან-ჰოლვეგი მოკლებული იყო ყოველგვარ გამოცდილებას და დიპლომატიურ მოქნილობას საგარეო პოლიტიკურ საქმეებში[97]. ოსტენ-საკენი იტყობინებოდა ბერლინიდან: „საყოველთაო შეფასებით, ახალი კანცლერი გამოირჩევა დიდი შრომისუნარიანობით, თავისი საქმის საფუძვლიანი ცოდნით... ის არ არის ცუდი ორატორი, მაგრამ მის მჭევრმეტყველებას არა აქვს არავითარი საერთო თავად ბიულოვის ბრწყინვალე ორატორულ ნიჭთან... მიუხედავად ყველა ამ თვისებისა იმპერიის კანცლერის პოსტზე

---

[92] К. Либкнехт. Избранные речи, письма и статьи, М., 1961, стр. 128-129.

[93] АВПР, ф. Канцелярия, д. 20, лл. 189-190, Остен-Сакен Извольскому, 10/23 июля 1909 г.

[94] H. Zmarzlik. Bethmann - Hollweg als Reichskanzler 1909—1914, Düsseldorf, 1957, S. 23.

[95] Там же.; см. также, Б. Бюлов, Воспоминания, стр. 388.

[96] იხ. E. Eyck. Das persönliche Regiment Wilhelms II. Politische Geschichte des deutschen Kaiserreiches von 1890 bis 1914, Erlenbach - Zürich, 1948, S. 539.

[97] Б. Бюлов, Воспоминания, стр. 389—390.

ჩვეულებრივი, თუნდაც ნიჭიერი მოხელის მოწვევას ცნობილი და გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწეების შემდეგ, არ შეუძლია არ დააფიქროს კანცლერის ხელისუფლების პრესტაჟი მოსახლეობის თვალში. ამას გარდა ბეტმან-ჰოლვეგის მთლიანი გამოუცდელობა საგარეო პოლიტიკაში ადიდებს კანცლერის საზიანოდ de facto-ს, საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივნის მნიშვნელობას, რომელიც თავად ბიულოვის დროს ასრულებდა მეორეხარისხოვან როლს"[98]. მართლაც, ამ გარემოებამ მკაფიოდ იჩინა თავი მას შემდეგ, რაც საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანი გახდა კიდერლენ-ვეხტერი (1910 წ. ივლისი), რომელიც გარდაცვალებამდე (1912 წ.) დიდ როლს ასრულებდა გერმანიის საგარეო პოლიტიკაში და ხშირად, არ უწევდა რა ანგარიშს კანცლერის აზრს, დამოუკიდებლად მოქმედებდა[99]. თავისი მოღვაწეობის დასაწყისში ბეტმან-ჰოლვეგი თავდაჯერილობას იჩენდა, რითაც „თავისი პასუხისმგებელი სამსახურის დასაწყისიდანვე იხვეჭს გარკვეულ პოპულარობას გერმანიის საზოგადოებისა და პრესის ლიბერალურ წრეებში"[100]. თუმცა, ეს წრეები გამოთქვამდნენ ვარაუდს, რომ მალე განახლდებოდა საშინაო პოლიტიკური ბრძოლა როგორც ფინანსური საკითხების ნიადაგზე, ისე პრუსიის საარჩევნო უფლების რეფორმის ჩატარების გამო[101]. ამასთან მონოპოლიების ბატონობა და საბაჟო პოლიტიკა, რომელიც ტარდებოდა იუნკრობისა და მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესების შესაბამისად, იწვევდა ფასების ზრდას და მშრომელების ცხოვრების დონის გაუარესებას. ამას ხელს უწყობდა აგრეთვე ახალი საგადასახადო რეფორმა, რომელიც მიიღო რაიხსტაგის კონსერვატიულ-კლერიკალურმა უმრავლესობამ 1909 წ. ზაფხულში[102]. დიდ უკმაყოფილებას იწვევდა აგრეთვე რეაქციული ძალების გააფთრებული წინააღმდეგობა გერმანიის პოლიტიკური წყობის დემოკრატიზაციის ყოველგვარი ფორმის მიმართ, განსაკუთრებით კი პრუსიაში სამკლასიანი საარჩევნო სისტემის ცვლილებისადმი[103].

---

[98] АВПР, ф. Канцелярия, д. 20, Л. 198, Остен-Сакен Извольскому, 10/23 июля 1909 г.

[99] Дипломатический словарь, Т. 2, М. 1971, стр. 48; см. также Вильгельм II, Мемуары, стр. 66.

[100] АВПР, ф. Канцелярия, д. 17, л. 69, Остен - Сакен Сазонову, 24 июля / 6 августа 1909 г.

[101] იქვე.

[102] იქვე.

[103] საკავშირო საბჭოში პრუსიას გაბატონებული მდგომარეობა ეკავა, სადაც მის წარმომადგენელთა ხმებს გადამწყვეტი გავლენა ჰქონდა. იმპერიის რაიხსკანცლერი იმავე დროს იყო პრუსიის პრემიერ-მინისტრი და პრუსის დელეგაციის ხელმძღვანელი საკავ-

პრუსიის საარჩევნო უფლების დემოკრატიზაციისათვის მოძრაობაში მონაწილეობას იღებდა უწინარეს ყოვლისა პროლეტარიატი, აგრეთვე ქალაქის წვრილბურჟუაზიული ფენა. ამ მოძრაობამ მიიღო მასობრივი ხასიათი და გამოიხატა მთელი რიგი მძლავრი პოლიტიკური დემონსტრაციების გამართვით 1910 წელს. ვიდრე მუშათა მოძრაობის აღმავლობა გაამწვავებდა მდგომარეობას, მთავრობამ თვითონ მიმართა პრუსიის საარჩევნო უფლების რეფორმას და 1910 წ. თებერვლის დასაწყისში „ხანგრძლივი მოსამზადებელი სამუშაოების შემდეგ პრუსიის ლანდტაგის განსახილველად შეიტანა პრუსიის საარჩევნო უფლების რეფორმის პროექტი"[104]. ეს პროექტი გამოხატავდა მხოლოდ ცდას, დაეწესებინათ პირდაპირი არჩევნები ორსაფეხურიანის ნაცვლად, შემოეღოთ სამსაზურებრივი და საგანმანათლებლო ცენზი საგადასახადოს თანაბრად და რამდენადმე გაეფართოებინათ პირველი კლასის ამომრჩეველთა წრე. მთავრობის პროექტი მთლიანად ხელუხლებლად ტოვებდა არჩევნების არსებული წესის ძირითად ნაკლს: სამკლასიან არჩევნებს, ხმების ღიად მიცემას და ქალაქებისა და სამრეწველო ოლქების უფლებათა შეზღუდვას. „ახალი რეფორმა ითვალისწინებს ახლანდელი საარჩევნო სისტემის მხოლოდ განვითარებას და თანამედროვე პირობებთან შეგუებას, არ შეაქვს რა მასში არავითარი ძირეული გარდაქმნა"[105]. ამ აშკარად შეზღუდული ხასიათის პროექტმაც კი ვერ დააკმაყოფილა ლანდტაგის ბურჟუაზიული პარტიები. თუმცა მათ არ უარყვეს ეს პროექტი, მაგრამ დაიწყეს დაუმთავრებელი კამათი ამომრჩეველთა სამ კლასად გაყოფისა და ოლქების გადანაწილების შესახებ. ყოველი პარტია ცდილობდა, უზრუნველეყო თავისთვის მანდატების ყველაზე უფრო მეტი რაოდენობა შეცვლილი საარჩევნო უფლების მიხედვით. „მთავრობის კანონპროექტი, — იტყობინებოდა ოსტენ-საკენი,—

შირო საბჭოში. ასევე იმპერიის წამყვანი სტატს-მდივნები შედიოდნენ პრუსიის სამინისტროების შემადგენლობაში. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ რაიხსკანცლერი, იმპერიის ერთადერთი მინისტრი არ იყო პასუხისმგებელი რაიხსტაგის წინაშე, მაშინ როცა ის, როგორც პრუსიის პრემიერ-მინისტრი, პასუხს აგებდა დანდტაგის წინაშე. ამდენად, რაიხსტაგი პარლამენტის მხოლოდ ილუზია იყო და გავლენას ვერ ახდენდა აღმასრულებელ ხელისუფლებაზე. პრუსიის ლანდტაგი, პირიქით, აღმასრულებელ ხელისუფლებას განაგებდა და პრუსიის მინისტრების მეშვეობით გავლენას ახდენდა რაიხსკანცლერზე და საკავშირო საბჭოზე და ამდენად განსაზღვრავდა იმპერიის მთელ პოლიტიკას. ამით აიხსნებოდა ის, რომ რეაქციული ელემენტები, განსაკუთრებით პრუსიის იუნკრობა, ყოველგვარად უშლიდნენ ხელს პრუსიის საარჩევნო უფლების შეცვლას.

[104] АВПР, ф. Канцелярия, д. 18, л. 39, Остен-Сакен Извольскому, 5/18 февраля 1910 г.

[105] იქვე, ფ. 39.

არ შეიცავს გერმანელი ლიბერალების ორ მთავარ მოთხოვნას: ფარულ კენჭისყრას და საარჩევნო ოლქების ახლებურ დაყოფას. ქალაქებისა და სოფლის მოსახლეობის შეცვლილი თანაფარდობის შესაბამისად"[106]. ბურჟუაზიულ პარტიებს ისეთი რეფორმა სურდათ, რომელიც არ შეეხებოდა იუნკრობის ბატონობის საფუძვლებს, ე. ი. ფაქტიურად არსებულ მდგომარეობას არ შეცვლიდა. ამიტომ იყო, რომ „პრუსიელი აგრარიები — საარჩევნო სისტემის ლიბერალური სახით ყოველგვარი ცვლილების მოწინააღმდეგენი, არ თანაუგრძნობენ კანონპროექტს... უფრო ზომიერი ფენები მოსახლეობისა, მათ რიცხვში ზოგიერთი ნაციონალ-ლიბერალები ნანობენ, რომ მთავრობის კანონპროექტში არ არის ხმების საიდუმლო მიცემა, რაც ხდის რეფორმას მათთვის მიუღებელს"[107]. მაგრამ საქმეში ისევ მუშათა კლასი ჩაერია, რომელიც აღაშფოთა რეფორმის უსუსურმა პროექტმა და მისმა განხილვამ. ბერლინში, მაინის ფრანკფურტში და სხვა ქალაქებში მოხდა მასობრივი მუშათა დემონსტრაციები, რომელნიც მოითხოვდნენ პრუსიაში საყოველთაო, პირდაპირ, ფარულ და თანაბარ საარჩევნო უფლებას და არა არსებული სისტემის უმნიშვნელო შესწორებას. რაც შეეხება მემარცხენეებს, ისინი არ შერიგებიან იმას, რომ რეფორმას აკლდა ფართო დემოკრატიული მოთხოვნები და მთავრობის კანონპროექტს თვლიდნენ „ხალხის გამოწვევად", „ომის გამოცხადებად"[108]. დარწმუნდა რა თავისი მანევრების წარუმატებლობაში, მთავრობამ უკან წაიღო კანონპროექტი და განაცხადა, რომ უაზრო იყო მისი შემდგომი განხილვა, რადგან ლანდტაგის პარტიებმა ვერ შეძლეს შეთანხმება და ამ საკითხის გადაწყვეტა[109]. შემდგომ წლებშიც, პირველ მსოფლიო ომამდე, არაერთხელ წამოიჭრა საკითხი რეფორმის შესახებ, მაგრამ მთავრობა ყოველთვის მიზანშეუწონლად თვლიდა მას იმ მიზეზით, რომ ლანდტაგში არ არსებობდა უმრავლესობა ამ საკითხის გადასაწყვეტად ისევე, როგორც ეს იყო 1910 წელს[110].

რაც შეეხება ელზას-ლორენისათვის ავტონომიის მიცემის საკითხს, ბეტმან-ჰოლვეგის მთავრობას აქაც მტკიცე ოპოზიცია შეხვდა მემარჯვენე პარტიების მხრიდან, რომელნიც მხოლოდ სისუსტეს და მეტისმეტ დათმობებს ხედავდნენ მემარცხენე ელემენტების მოთხოვნებისადმი და „როგორც მოსალოდნელი იყო, ელზასის და ლო-

---

[106] იქვე, ფ. 40.

[107] იქვე, ფ. 54.

[108] იქვე.

[109] „სახალხო გაზეთი", 1910 წ. 22 მაისი/5 ივნისი.

[110] რეფორმა ჩატარდა მხოლოდ 1917 წელს.

რენის სახელმწიფოებრივი წყობის რეორგანიზაციის საკითხზე. მოკავშირე მთავრობამ (პრუსიის — ვ. ჩ.) არ ჩათვალა შესაძლებლად დათანხმებულიყო რაიხსტაგის კომისიის დასკვნაზე, რომლის მიხედვითაც ელზას-ლორენს უნდა მინიჭებოდა სრულუფლებიანი მოკავშირე სახელმწიფოს უფლებები"[111]. მიუხედავად ამისა, რაიხსტაგმა მაისის მეორე ნახევარში მაინც მიიღო კანონპროექტი ელზას-ლორენის საკითხზე პარლამენტის კომისიის მიერ დადგენილი რედაქციით[112]. ბეტმან-ჰოლვეგს მიაჩნდა, რომ დადგა დრო, როცა საბოლოოდ უნდა მომხდარიყო იმპერიის ამ ოლქების შერწყმა დანარჩენ გერმანიასთან, რომელიც ჯერ კიდევ ბისმარკმა წამოიწყო[113]. ბეტმან-ჰოლვეგს სამართლიანობისათვის მებრძოლად მოჰქონდა თავი და აცხადებდა: „ელზას-ლორენის მცხოვრებლები მეტად აღარ უნდა გრძნობდნენ თავს მეორეხარისხოვან გერმანელებად" და „მე არ მსურს ავიღო საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა, რომ მათთვის არაფერი გაკეთდება"[114]. ავტონომია, რომელიც გათვალისწინებული იყო ელზას-ლორენისათვის, ძალზე შეზღუდულ ხასიათს ატარებდა და უმნიშვნელოდ აფართოებდა მის, როგორც საიმპერიო მხარის, უფლებებს[115], კვლავინდებურად ტოვებდა მას პრუსიის უწინდელ მორჩილებაში; მაგრამ ამ უმნიშვნელო ცვლილებამაც კი კონსერვატორების გააფთრებული წინააღმდეგობა გამოიწვია. ცნობილი პუბლიცისტი, პანგერმანელი ჰარდენი უარყოფითად შეხვდა ამ შეუმჩნეველ გარდაქმნებს და მკაცრი კრიტიკით გამოვიდა პრუსიის მიმართ, რომელიც, ჰარდენის აზრით, დიდ დათმობებზე წავიდა. ჰარდენი ცდილობდა დაემტკიცებინა მსგავსი გარდაქმნების უდროობა, ვიდრე ჯერ კიდევ არ იყო გარკვეული საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთობანი[116].

ივნისის დასაწყისში რაიხსტაგმა მიიღო ახალი კონსტიტუციის პროექტი ელზას-ლორენისათვის[117], ლიბერალებმა თავიანთი კმაყოფილება გამოხატეს იმის გამო, რომ ელზასსა და ლორენში შემოიღეს არჩევითი სისტემა, ხმების საერთო და თანაბარ მიცემაზე დაფუძნებული. მაგრამ კონსერვატიულმა წრეებმა ამაში დაინახეს საშიში პრე-

---

[111] АВПР, ф. Канцелярия, д. 18, л. 73, Шебеко Сазонову, 4/17 марта 1911 г.

[112] Там же, л. 120, Остен-Сакен Нератову, 13/26 мая 1911 г.

[113] Там же, л. 121.

[114] Там же,

[115] „სახალხო გაზეთი", 1911 წ., 28 მაისი/10 ივნისი.

[116] АВПР, ф. Канцелярия, д. 18, л. 122, Остен-Сакен Нератову, 13/26 мая 1911 г.

[117] Там же, л. 127, Остен-сакен Нератову, 27 мая/9 июня 1911 г.

ცედენტი, რომელმაც, მათი აზრით, ლიბერალური სიახლეების ნიადაგზე შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს კანცლერი თვით პრუსიის მიმართაც[118]. ავტონომიამ ვერ დაამშვიდა ელზას-ლორენის მოსახლეობა — „უკმაყოფილონი რეფორმით, რომელიც კიდევ უფრო დამოკიდებულს ხდის ამ ოლქს იმპერიაზე და ართმევს სრული ავტონომიური და თვითმყოფადი განვითარების შესაძლებლობას"[119].

მემარცხენე ოპოზიცია მთავრობას საყვედურობდა, რომ ის მემარჯვენე პარტიების ინტერესების შესაბამისად მოქმედებდა. რაიხსტაგის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის პოზიცია ამ საკითხში იზიარებდა მემარცხენე ბურჟუაზიული პარტიების აზრს და მხოლოდ დემაგოგიური გამოსვლებით უმალავდა მუშათა მასებს თავის მხარდაჭერას ბურჟუაზიული პოლიტიკისადმი. პოლიტიკური წყობის დემოკრატიზაცია არ შეიძლებოდა ჩატარებულიყო რეფორმების გზით. პრუსიის საარჩევნო უფლების რეფორმა მიეკუთვნებოდა ისეთ დემოკრატიულ მოთხოვნებს, რომელთა გადაწყვეტა მხოლოდ რევოლუციის გზით შეიძლებოდა.

---

[118] Там же.
[119] Там же, л. 128.

თავი II

გერმანიის საგარეო პოლიტიკის გააქტიურება და საზღვაო შეიარაღების გაძლიერება (1909-1911 წწ.)

1. 1908-1909 წწ. ბოსნიის კრიზისი და მისი გავლენა გერმანიის საგარეო პოლიტიკურ მდგომარეობაზე

ბოსნიის კრიზისი წარმოადგენდა მნიშვნელოვან ეტაპს საერთაშორისო ურთიერთობათა განვითარებაში პირველი მსოფლიო ომის წინ. ზოგიერთი ისტორიკოსი მას პირველი მსოფლიო ომის უშუალო დასაწყისად მიიჩნევს[1]. ამ კრიზისის შედეგად ძალზე დაძაბული ვითარება შეიქმნა ევროპის კონტინენტზე.

გერმანელი და ავსტრიელი იმპერიალისტები ყოველნაირად ცდილობდნენ, ხელი შეეშალათ სამხრეთ სლავი ხალხების ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისა და გაერთიანებისათვის. ამ კრიზისის მწვერვალობასა და დასასრულზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა გერმანიის იმპერიალიზმის აქტიურმა მხარდაჭერამ ავსტრია-უნგრეთისადმი, რომელმაც გულდასმით მოამზადა ეს კრიზისი[2].

1908 წ. ზაფხულში თურქეთში დაიწყო ახალგაზრდათურქთა რევოლუცია, რის შედეგადაც დამხობილ იქნა სულთან აბდულ-ჰამიდის თვითმპყრობელობა. ამ არეულობის გამოყენება სცადა ავსტრია-უნგრეთმა[3], რომელსაც ეშინოდა, რომ თურქეთის ახალი მთავრობა, ინგლისის მხარდაჭერით დაიმედებული, მოითხოვდა ბოსნიისა და ჰერცოგოვინის დაბრუნებას[4]. ამიტომ ჩქარობდნენ ვენაში, რომ თურ-

---

[1] А. М. Зайончковский, указ. соч., стр. 151.

[2] См. И. И. Кублашвили. К вопросу о подготовке боснийского кризиса 1908—1909 гг. Тр. Кутаисского гос. пед. института, 1956, т. 15, стр. 147—172.

[3] ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილების თანახმად, ბოსნია და ჰერცეგოვინა ფორმალურად ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში რჩებოდა, თუმცა მათი მართვის უფლება გადაცემული ჰქონდა ავსტრია-უნგრეთს.

[4] История дипломатии, т. 2, М., 1963, стр. 649.

ქეთი და ევროპის ქვეყნები მომხდარი ფაქტის წინაშე დაეყენებინათ[5].

კრიზისს უშუალოდ წინ უძღოდა მეფის რუსეთის, ავსტრია-უნგრეთის და იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრების: იზვოლსკის, ერენტალისა და ტიტონის მოლაპარაკება ბუხლაუში[6] 1908 წ. 15 სექტემბერს, რომლის დროსაც მიღწეულ იქნა ზეპირი შეთანხმება. ის იყო იმპერიალისტური მეტოქეობის შედეგი ისეთ მნიშვნელოვან პრობლემაზე, როგორსაც მაშინ წარმოადგენდა ბალკანეთის საკითხი. მინისტრები საიდუმლოდ შეთანხმდნენ, რომ 1) რუსეთი და იტალია დაიკავებდნენ კეთილსასურველ პოზიციას ავსტრია-უნგრეთის მიერ ბოსნიისა და ჰერცოგოვინის ანექსიის შემთხვევაში; 2) იტალია და ავსტრია-უნგრეთი კი რუსეთის მისწრაფების მიმართ, შეეცვალა შავი ზღვის სრუტეების რეჟიმი; 3) ავსტრია-უნგრეთი უარს იტყოდა ზოგიერთ უპირატესობაზე, რომელსაც ანიჭებდა მას ბერლინის ტრაქტატის 25-ე მუხლი; 4) ავსტრია-უნგრეთი და იტალია შეუთანხმდებოდნენ ჩერნოგორიას, რათა გადაეწყვიტათ ალბანეთის საკითხი[7].

ბუხლაუს შემდეგ იზვოლსკი შეეცადა, მიეღო ევროპის დიდი სახელმწიფოების — ინგლისის, გერმანიისა და საფრანგეთის თანხმობა შავი ზღვის სრუტეების გახსნის შესახებ, მაგრამ ამაოდ. ლონდონში იზვოლსკის კატეგორიული უარი უთხრეს[8], ხოლო პარიზში აგრძნობინეს, რომ არ აპირებდნენ კონფლიქტში ჩარევას[9].

სრუტეების გახსნა რუსეთისათვის როგორც ინგლისს, ისე საფრანგეთს, საშიშად მიაჩნდათ, რადგან ეს გააძლიერებდა რუსეთის პოზიციას კონსტანტინოპოლის რაიონსა და მთელ თურქეთში, სადაც მათ მნიშვნელოვანი იმპერიალისტური ინტერესები ჰქონდათ.

სამთა კავშირის წევრები — გერმანია და იტალია არ ეწინააღმდეგებოდნენ რუსეთის მისწრაფებას; გერმანია თანხმობას იძლეოდა იმ პირობით, თუ ეს უკანასკნელი მიიღებდა კომპენსაციას[10]; იტა-

---

[5] Т. М. Исламов. Политическая борьба в Венгрии накануне первой мировой войны, 1906-1914, М., 1972, стр. 265.

[6] «Красный архив», т. 3 (10), 1925, стр. 42.

[7] Там же.

[8] Ю. Я. Соловьев. Воспоминания дипломата (1893-1922), М., 1959, стр. 364.

[9] К. Грюнвальд, Франко-русские союзы, пер. с фран., М., 1968, стр. 253.

[10] იზვოლსკი 25 სექტემბერს ბერხტესგადენში შეხვდა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრს შონს. შონის აზრით, გერმანიას შეეძლო მოეთხოვა კომპენსაციის სახით შეთანხმების დადება რუსეთთან ბაღდადის რკინიგზის მშენებლობის შესახებ (Gr. Pol., Bd., 26, T. I, № 8935).

ლიის მთავრობაც მზად იყო, მხარი დაეჭირა რუსეთისათვის სრუტეების საკითხში, თუ ეს უკანასკნელი დათანხმდებოდა იტალიის მიერ ტრიპოლიტანიის დაპყრობაზე[11].

ამასობაში გერმანიის იმპერიალიზმის მხარდაჭერით დაიმედებულმა ავსტრია-უნგრეთმა განიზრახა ბალკანეთზე თავისი მდგომარეობის განმტკიცება და 1908 წ. 8 ოქტომბერს მოახდინა ბოსნიისა და ჰერცოგოვინის ანექსია[12], რითაც საფუძველი ჩაუყარა კონფლიქტს, რომელიც ყოველ წუთს ემუქრებოდა ევროპას დიდი ომის გაჩაღებით.

თურქეთის იმპერიის მიწებზე ეკონომიკური დამკვიდრება დიდი ხანია წარმოადგენდა გერმანიის პოლიტიკის ერთ-ერთ მამოძრავებელ მიზანს. ამ პოლიტიკის თავგამოდებული მომხრე იყო თვითონ იმპერატორი ვილჰელმ II. კანცლერმა ბიულოვმა ყოველივე ეს კარგად იცოდა, ამიტომ მიიღო ზომები, რომ ავსტრია-უნგრეთის განზრახვა ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ანექსიის შესახებ გაეგო იმპერატორს რაც შეიძლება გვიან. ეს ასეც მოხდა. ვილჰელმ II-მ მხოლოდ 6 ოქტომბერს გაიგო, რომ მალე მოხდებოდა ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ანექსია ავსტრია-უნგრეთის მიერ. იმპერატორი დასაწყისში უკმაყოფილოდ შეხვდა ამ ცნობას, რადგან მიაჩნდა, რომ ეს ზიანს მიაყენებდა გერმანიის ინტერესებს თურქეთში. ამიტომ კაიზერმა შესთავაზა კიდეც ბიულოვს, შეეცვალა გერმანიის საგარეო პოლიტიკური კურსი და დაუყოვნებლივ ემოქმედა, რომ ფრანც-იოსებს უარი ეთქვა ანექსიის გამოცხადებაზე და გადაეყენებინა ერენტალი[13]. მიუხედავად ამისა, ბიულოვმა საბოლოოდ მაინც დაიყოლია ვილჰელმ II — მხარი დაეჭირა ავსტრია-უნგრეთის ღონისძიებებისათვის.

თვითონ ბიულოვი ანექსიის ცნობას კმაყოფილებით შეხვდა და თავის მხრივ არწმუნებდა ვენას, რომ მის მთავრობას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, მხარი დაეჭირა ავსტრია-უნგრეთისათვის, როგორ სიძნელეებსა და გართულებებსაც არ უნდა ჰქონოდა ადგილი[14].

გერმანიის მთავრობის ასეთ ენერგიულ გამოსვლას ავსტრია-უნგრეთის მხარდასაჭერად ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ მას არ ეშინოდა მდგომარეობის გამწვავებისა, რადგან დარწმუნებული იყო,

---

[11] А. С. Ерусалимский. Германский империализм: История и современность, М., 1964, стр. 137.

[12] Die auswärtige Politik, Bd. 3, S. 236—237.

[13] Б. Бюлов. Воспоминания, стр. 337.

[14] Gr. Pol., Bd. 26, T. 1, № 9033, S. 160—162; См. также, И. П. Трайнин. Национальные противоречия в Австро-Венгрии и ее распад, М.—Л., 1947, стр. 254.

საფრანგეთი და ინგლისი არ ჩაებმებოდნენ ომში ბალკანეთის ამბების გამო.

თურქეთმა ავსტრია-უნგრეთის მოქმედება ბერლინის ტრაქტატის დარღვევად მიიჩნია, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ საკუთარი ძალებით მდგომარეობას ვერ შეცვლიდა და 1909 წ. 26 თებერვალს დათანხმდა ავსტრიელთა წინადადებას — ამ პროვინციებზე უარის სანაცვლოდ მიეღო 2500 ათასი ფუნტი სტერლინგი[15].

ერთი წინააღმდეგობა შედარებით ადვილად დაძლია ავსტრია-უნგრეთმა, მაგრამ მისი ურთიერთობა მეფის რუსეთთან უაღრესად დაიძაბა, რამაც ავტომატურად გამოიწვია მდგომარეობის გაუარესება გერმანიასა და რუსეთს შორის.

გერმანია ავსტრია-უნგრეთისადმი მხარდაჭერით ცდილობდა, დარტყმა მიეყენებინა რუსეთისათვის და შეემოწმებინა მისი კავშირის სიმტკიცე ინგლისსა და საფრანგეთთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოკავშირისადმი მხარდაჭერა ნაკარნახევი იყო არა ერთგულებით მისდამი, არამედ პოლიტიკური მოსაზრებებით. გერმანიას სურდა ავსტრია-უნგრეთის განმტკიცებით გაეფართოებინა თავისი სახელეთო ძლიერება[16]. იმავე დროს, იძულებული იყო ანგარიში გაეწია ავსტრია-უნგრეთისათვის, რადგან აწუხებდა სამთა კავშირის ბედი მომავალში[17]. ამასთანავე რუსეთის უკან დახევას, რაშიც გერმანია დარწმუნებული იყო, უნდა მოჰყოლოდა ცარიზმის პოზიციების დასუსტება ბალკანეთზე.

ნიკოლოზ II და სახელმწიფო სათათბირო ცნობას ანექსიის შესახებ ძალზე უკმაყოფილოდ შეხვდნენ. იზვოლსკი ერენტალს ლანძღვით იხსენიებდა—„ბინძურმა ურიამ" უსირცხვილოდ მომატყუაო[18].

ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ანექსიამ კიდევ უფრო მეტი აღშფოთება გამოიწვია სერბიასა და ჩერნოგორიაში, რადგან ისინი ამაში ხედავდნენ საფრთხეს საკუთარი სასიცოცხლო ინტერესებისათვის. ამასთან, ლახვარი ჩაეცა სერბიის მისწრაფებას — გაეთავისუფლებინა ეს სამხრეთ სლავური პროვინციები და მათი გაერთიანება მოეხდინა.

გერმანიის ელჩი ლონდონში გრაფი მეტერნიხი წინასწარმეტყველებდა, რომ უახლოეს მომავალში დიდ სახელმწიფოებს შორის

---

[15] A. Schreiner. Zur Geschichte der deutschen Aussenpolitik 1871—1945, Bd. 1, S. 259.

[16] F. Fischer. Griff nach der Weltmacht, S. 39.

[17] F. Fellner. Der Dreibund. Europäische Diplomatie vor dem Weltkrieg, München, 1960, S. 68.

[18] Б. Бюлов. Воспоминания, стр. 356.

ომი გაჩაღდებოდა, რადგან, მისი აზრით, რუსეთი არ დაუშვებდა სერბიის განადგურებას[19].

გერმანიის ელჩი პეტერბურგში გრაფი პურტალესი, მიუთითებდა რა აღმოსავლეთის კრიზისის ზრდაზე, ყველაფერში იზვოლსკის ადანაშაულებდა და აღნიშნავდა: 5-10 წლის შემდეგ რუსეთი იმდენად გაძლიერდებოდა, რომ არ მოერიდებოდა კონფლიქტს ახლო აღმოსავლეთში თავისი მიზნების მისაღწევად[20].

ის ფაქტი, რომ რუსეთი იმჟამად ომისათვის მზად არ იყო, ბევრს ნიშნავდა გერმანია-ავსტრიის ბლოკისათვის. გერმანელ იმპერიალისტებს ისიც ჰმატებდა გამბედაობას, რომ საფრანგეთის მხრივ არ იყო მოსალოდნელი რაიმე ხიფათი. მართალია, იტალიას მტრული პოზიცია ეკავა ავსტრია-უნგრეთის მიმართ, ხოლო ავსტრიელთა კიდევ ერთი მოკავშირე—რუმინეთი გაურკვეველ პოზიციაზე იდგა[21], ავსტრია-უნგრეთისათვის ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა, თუმცა მოგვიანებით, 1909 წ. მარტში, ამ უკანასკნელმა მაინც გააძლიერა სახმელეთო ჯარი იტალიის საზღვრებთან და სამხედრო-საზღვაო ფლოტი[22].

შექმნილი სიტუაცია გერმანიის იმპერიალიზმს მოქმედებისაკენ უბიძგებდა. ავსტრია-უნგრეთი სამხედრო გამოსვლისათვის სამზადისს შეუდგა. გენერალური შტაბის უფროსი კონრად ფონ ჰეტცენდორფი თავის მემუარებში წერდა, რომ მისმა შტაბმა ჯერ კიდევ ანექსიამდე ჩაატარა სამხედრო მზადება სერბიაზე თავდასასხმელად. გერმანიის მთავრობა და გენერალური შტაბი კარგად იყვნენ ინფორმირებული ავსტრიელთა მზადების შესახებ. ორიე ქვეყნის გენერალური შტაბის უფროსი ელოდა საბაბს, რომ ომი დაეწყოთ. 1909 წ. იანვარში მოლტკემ (უმცროსმა) და ჰეტცენდორფმა წერილები გაუცვალეს ერთმანეთს. აქ ისინი განიხილავდნენ სერბიის, რუსეთისა და საფრანგეთის წინააღმდეგ შესაძლო ომთან დაკავშირებულ საკითხებს. ჰეტცენდორფი თავის წერილში თვლიდა, რომ საომარი გეგმების განხორციელების შემთხვევაში რუსეთი ჩაატარებდა მობილიზაციას ავსტრია-უნგრეთის მოწინააღმდეგეთა მხარდასაჭერად, ეს კი შექმნიდა „Casus foederis". საპასუხო წერილში მოლტკე ეთანხმებოდა ვითარების ასეთ შეფასებას და წერდა: შეიძლება დადგეს დრო, როცა ავსტრია-უნგრეთს სხვა გამოსავალი არ ექნება, გარდა იმისა, რომ

---

[19] Gr. Pol., Bd. 26, T. 2, № 9189, S. 391—392.

[20] იქვე, № 9191, გვ. 398.

[21] К. Б. Виноградов. Боснийский кризис 1908—1909 гг., ЛГУ., 1960, стр. 141.

[22] Там же, стр. 144—145.

შეიჭრას სერბიაშიო და დასძენდა: „მე მჯერა, რომ ავსტრიის შეჭრამ სერბიაში შესაძლოა რუსეთის აქტიური გამოსვლა გამოიწვიოს. ეს შექმნის გერმანიისათვის „casus foederis“[23]. დასასრულს მოლტკე წერდა, რომ წერილის შინაარსი ცნობილი იყო როგორც კაიზერის, ასევე რაიხსკანცლერისათვის[24].

ვილჰელმ II-მ მოიწონა თავისი გენერალური შტაბის უფროსის გეგმა. უფრო მეტიც, კაიზერი უბიძგებდა ავსტრია-უნგრეთს ბალკანეთზე ახალი დაპყრობებისაკენ. იანვრის მეორე ნახევარში იგი სწერდა ფრანც-იოსებს, რომ ავსტრია-უნგრეთის ინტერესები უმჭიდროეს კავშირშია გერმანიის ინტერესებთან და რომ „თქვენი მტრები არიან ჩვენი მტრები“[25].

გერმანია-ავსტრიის ბლოკი შეგნებულად მიდიოდა ევროპული ომის რისკზე, რომელსაც გერმანელი იუნკრები და მხედრიონი უკვე მაშინ თვლიდნენ სასურველად, რადგან, მათი აზრით, ძოძავალში აღარ დადგებოდა ის ეთი მომენტი, როცა გერმანიისა და მისი მოწინააღმდეგეების ძალთა შეფარდება იქნებოდა მათთვის ესოდენ ხელსაყრელი[26]. მიუხედავად ასეთი განწყობილებისა ვილჰელმ II ერთგვარად მერყეობდა. მაგალითად, პურტალესის მოხსენებას, რომელშიც ელჩი იტყობინებოდა რუსეთის მშვიდობისმოყვარეობის შესახებ, იმპერატორმა ასეთი მინაწერი გაუკეთა: „შეიძლება, ტყუილად ვაწყენინეთ იზვოლსკის? ბისმარკისა და გორჩაკოვის კონფლიქტებმა გამოიწვია საფრანგეთ-რუსეთის კავშირი. ახლა ეს უბიძგებს რუსეთს უფრო მჭიდრო კავშირისაკენ საფრანგეთთან“[27]. ასეთი მოსაზრებების მიუხედავად, გერმანიის მთავრობამ მაინც გადამწყვეტი მხარდაჭერა აღმოუჩინა ავსტრია-უნგრეთის ექსპანსიონისტურ პოლიტიკას ბალკანეთზე[28].

გერმანელი იმპერიალისტები სერიოზულად ეკიდებოდნენ კრიზისით შექმნილ მდგომარეობას. იმისათვის, რომ გაენეიტრალებინა საფრანგეთი, იმ შემთხვევაში, თუ ბოსნიის კრიზისი კონფლიქტს გამოიწვევდა რუსეთთან, გერმანია დათმობაზე წავიდა და 1909 წ. 9

---

[23] Conrad v. Hötzendorf Franz, Generalfeldmarschall. Aus meiner Dienstzeit, Bd. I, S. 106, 380; Handbuch der Verträge 1871—1964, S. 117-118.

[24] Handbuch der Verträge 1871—1964, S. 118; Conrad v. Hötzendorf Franz, Generalfeldmarschall, დასახ. ნაშრ., გვ. 380.

[25] Gr. Pol., Bd. 26, T. 2, № 9193, S. 401—402.

[26] П. Рорбах. Война и германская политика, стр. 88.

[27] Gr. Pol., Bd. 26, T. 2, № 9195, S. 406.

[28] АВПР, ф. канцелярия, д. 20, л. 46, Остен-Сакен Извольскому, 12 Февраля / 30 января 1909 г.

თებერვალს დადო შეთანხმება საფრანგეთთან მაროკოს შესახებ[29], თავისთვის არახელსაყრელ პირობებში[30].

დიდი ბრიტანეთი ცდილობდა, ხელი შეეშალა გერმანიის პოზიციების განმტკიცებისათვის ბალკანეთში, რომელიც მნიშვნელოვანი სტრატეგიული რაიონი იყო აზიისაკენ მიმავალ გზაზე. გერმანია ჯერ კიდევ საკმაოდ ჩამორჩებოდა ინგლისს საზღვაო შეიარაღებაში, ამიტომ მომენტს ბრძოლისათვის ხელსაყრელად მიიჩნევდნენ გერმანიასთან საზღვაო ომის მომხრეები. მაგრამ ლონდონში იცოდნენ საფრანგეთისა და მეფის რუსეთის არასაკმარისი მზადების შესახებ ომისათვის.

1909 წ. 9 თებერვალს ბერლინს ესტუმრა ედუარდ VII. მისი ვიზიტის დასასრულს გერმანიაში გამოქვეყნდა ოფიციალური განცხადება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ გერმანიასა და ინგლისს შორის მიღწეულ იქნა ურთიერთგაგება. ეს იყო აშკარა სიყალბე, რადგანაც გერმანიას აზრადაც არ მოსვლია, ხელი შეეწყო კონფლიქტის მშვიდობიანი დასრულებისათვის. მას არ სურდა არავითარი შუამავლობის გაწევა. მეფის რუსეთის ელჩი ბერლინში, ოსტენ-საკენი შონთან თავისი პირადი საუბრის შესახებ იტყობინებოდა: „მე შემეძლო ადრევე გამეკეთებინა დასკვნა გერმანიის ორჭოფული დამოკიდებულების შესახებ ინგლისის წინადადებაზე — მოეხდინათ ზემოქმედება ვენისა და ბელგრადის კაბინეტებზე, მათ შორის არსებული გაუგებრობის მშვიდობიანად მოგვარების მიზნით"[31]. ოსტენ-საკენი იმავე მოხსენებაში წერდა: „ბალკანეთის არეულობის დასაწყისიდანვე ბერლინის კაბინეტი ერთგული რჩება მის მიერ მიღებული მიკერძოებითი გადაწყვეტილებისა, უსიტყვოდ დაუჭიროს მხარი ბარონ ერენტალის გამომწვევ პოლიტიკას, უარყოფს რა სერბიის უფლებას არა მარტო მისთვის სასურველ კომპენსაციაზე, არამედ მის მიერ თვით თავდაცვისათვის მიღებულ ზომებზე, რაც ავსტრიის თვალში თითქოსდა წარმოადგენს გამოწვევას"[32].

---

[29] Международная политика новейшего времени в договорах, нотах и декларациях, ч. I, М. 1925, стр. 341—342. (რაც შეეხება თვითონ ინციდენტს, ის წარმოიშვა 1908 წ. 25/IX-ს მაროკოს ქ. კასაბლანკაში, სადაც მოხდა შეჯახება საფრანგეთის საოკუპაციო ხელისუფლებასა და გერმანიის საკონსულოს შორის. ამან საბაბის როლი შეასრულა გერმანიასა და საფრანგეთს შორის მაროკოს გამო წარმოშობილ კონფლიქტში).

[30] С. Фей, происхождение мировой войны, т. I, пер. с англ., М.—Л., 1934, стр. 180—181.

[31] АВПР, ф. Канцелярия, д. 17, л. 19, Остен-Сакен Извольскому, 11/24 февраля 1909 г.

[32] იქვე.

1909 წ. 16 მარტს სეგენი, ავსტრია-უნგრეთის ელჩი გერმანიაში, იტყობინებოდა: „იმპერატორმა ვილჰელმმა, იმპერიის კანცლერის სრული თანხმობით, მხურვალედ განაცხადა, რომ გერმანია, როგორც აქამდე, ახლაც სავსებით უჭერს მხარს ჩვენს ცდას მშვიდობისათვის, მაგრამ ომის შემთხვევაშიც მთლიანად ჩვენს მხარეზე იქნება. სამოკავშირეო ხელშეკრულებას გერმანია განიხილავს თავისი საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, ამიტომ იგი იძულებული იქნება, მთელი ძალებით მხარი დაუჭიროს ავსტრია-უნგრეთს, რადგან ეს თვითონ გერმანიის ინტერესებს უპასუხებს, ახლა „სლავური საფრთხე“ სულ უფრო საშიში ხდება“[33]. იგივე აზრს ავითარებდა რორბახიც თავის წიგნში: „თუ ჰაბსბურგების მონარქია დაიშლება, მაშინ უახლოეს ხანაში ჩვენ მარტო მოგვეხდება რუსეთის მეთაურობით სლავური სამყაროს მძიმე დაწოლის გადატანა. ავსტრიის მხარდაჭერითა და დაცვით ჩვენ ვზრუნავთ საკუთარი არსებობის სიმტკიცეზე“[34]. ბოლოს კი რორბახი დასძენდა, რომ აუცილებელი იყო ავსტრია-უნგრეთის, როგორც დიდი სახელმწიფოს შენარჩუნება[35].

გერმანიის მთავრობა დარწმუნებული, რომ რუსეთი ვერ გადაწყვეტდა საქმის ომამდე მიყვანას, აქეზებდა ავსტრია-უნგრეთს შეჭრილიყო სერბიაში და ამით ბოლო მოეღო გაურკვეველი მდგომარეობისათვის[36].

ფრანც-იოსებმა, თვლიდა რა, რომ ომის დაწყების შესაძლებლობა არსებობდა, შენბრუნის სასახლეში ერთ-ერთ მიღებაზე განაცხადა: „თუ ეს ასე უნდა იყოს, მაშინ სჯობს იგი ახლავე მოხდეს“. იმპერატორის ეს სიტყვები, რომელმაც შოვინისტური წრეების აღფრთოვანება გამოიწვია, მალე მთელს ვენაში გავრცელდა[37].

გერმანიის პრესა ამ დროისათვის ორად გაიყო. პრესის უმნიშვნელო ნაწილი გამოდიოდა მთავრობისადმი გაფრთხილებით და მიუთითებდა, რომ გერმანიის მოქმედება ომის საფრთხეს შეიცავდა. „ბალკანეთის ამბები, — იტყობინებოდა რუსი დიპლომატი ბულაცელი, — სულ უფრო ახდენენ გავლენას საზოგადოებრივ აზრზე გერმანიაში და ყოფენ პრესას ორ საწინააღმდეგო ბანაკად. ერთი მხრივ, გაისმის ხმები, რომ ბრმად არ მიჰყვნენ ავსტრიას, მიუთითებენ რა

---

[33] F. Stieve. Die Tragödie der Bundesgenossen. Deutschland und Österreich — Ungarn 1908—1914, München, 1930, S. 63.

[34] П. Рорбах. указ. соч., стр. 87.

[35] Там же.

[36] Gr. Pol. Bd. 26, T. 2, № 9451, S. 683.

[37] Ю. А. Писарев, Освободительное движение югославянского народов Австро-Венгрии 1905—1914, М., 1962, стр. 195.

გარდუვალ ევროპულ ომში გერმანიის ჩათრევის საფრთხეზე, რომელიც არ უქადის მას რაიმე არსებით სარგებელს"[38].

მეორე მხრივ, გერმანიის შოვინისტური პრესა, პირიქით, ყველა საშუალებას იყენებდა, რომ გაემართლებინა თვითონ ავსტრია-უნგრეთის მოქმედება და, რა თქმა უნდა, გერმანიისა, როგორც ავსტრიის ექსპანსიონისტური პოლიტიკის ერთგული დამცველისა. ასეთი იყო, მაგალითად, კათოლიკური გაზეთი „გერმანია". გაზეთი „ფოსიშე ცაიტუნგ" განმარტავდა, თუ რატომ უჭერდა მხარს გერმანია ავსტრია-უნგრეთს ასე მტკიცედ და ერთგულად და აღნიშნავდა, რომ სამთა კავშირი მშვიდობის გარანტია იყო და სარგებლობა მოჰქონდა თვითეული მისი მონაწილისათვის. ეს მაშინ, როცა მეგობრობის შესუსტება ბერლინსა და ვენას შორის, გაზეთის აზრით, იმუქრებოდა ისეთი საშიში შედეგებით მსოფლიო პოლიტიკისათვის, რომელთა განჭვრეტაც კი ძნელი იქნებოდა. ამით სურდათ დაეფარათ გერმანიის იმპერიალიზმის აგრესიული ბუნება და მოწინააღმდეგისთვის მიეწერათ დაძაბული ვითარების შექმნა. პრესას მიაჩნდა, რომ მომენტი გადამწყვეტი დარტყმისათვის ჩინებული იყო, რადგან რუსეთი ახლა მხოლოდ იკრებდა ძალებს, ახლო მომავალში კი გაცილებით საშიში იქნებოდა. აფასებდა რა პრესის აზრს, ბულაცელი იტყობინებოდა: „სამწუხაროდ, აქაური პრესის ხმები, რომელნიც მოუწოდებენ კეთილგონიერებისა და თავდაჭერილობისაკენ, იხშობა ვნებების სულ უფრო გამჩაღებელი სტატიებით, დაწყებული მეტად თუ ნაკლებად შენიღბული მინიშნებით , თითქოსდა, რუსეთის ორმაგ თამაშზე და დამთავრებული მთლიან ცინიზმამდე მისული რჩევებით, ისარგებლონ ხელსაყრელი შემთხვევით — რუსეთის ახლანდელი სისუსტით, სლავური საკითხის გადასაჭრელად"[39]. შემდეგ ბულაცელს მოყავს პრესის აზრი, რომელიც მოუწოდებს გამოსვლისაკენ, რადგან „ყოველგვარი დაყოვნებით რუსეთის ძალები მტკიცდება და ხელსაყრელი მომენტი შეიძლება სამუდამოდ იქნეს დაკარგული. ამ თვალსაზრისით ავსტრია წარმოადგენს გზის გამკვლევს პანგერმანული იდეისათვის ბრძოლაში და გერმანია ვალდებულია, რაც არ უნდა მოხდეს, მხარი დაუჭიროს მას და იაროს მის მხარდამხარ თავისივე ეროვნული ინტერესებისათვის, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე გერმანიის უპირატესი გავლენისათვის ბრძოლაში, რათა უკუაგდოს რუსეთის საუკუნოებრივი პოლიტიკა მისი ტრადიციული პოზიციებიდან აღმოსავ-

---

[38] АВПР, ф. Канцелярия, д. № 17, Л. 29, Булацель Извольскому, 8/21 марта 1909 г.

[39] იქვე, ფ. 30.

ლეთში"[40]. გერმანიის შოვინისტური პრესის გავლენას რომ აფასებდა, ბულაცელი აკეთებდა დასკვნას: „გერმანიის საზოგადოებრივი აზრი აფასებს რა ომისა და მშვიდობის შანსებს, სულ უფრო ექვემდებარება ნაციონალისტურ შთაგონებას და პოლიტიკური და რასობრივი გაღიზიანება სლავური სამყაროს მიმართ იზრდება"[41].

გაზეთი „კიოლნიშე ცაიტუნგ" ხოტბას ასხამდა გერმანია-ავსტრიის მეგობრობას და სიმტკიცეს, რომელიც მათ გამოიჩინეს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ანექსიის შემდეგ და დაუფარავად აღნიშნავდა, რომ სწორედ გერმანიის მხარდაჭერის წყალობით შეძლო ბარონმა ფონ ერენტალმა თავისი გეგმების განხორციელება. გაზეთი „გერმანია" ასევე დაუფარავად აცხადებდა, რომ სწორედ გერმანიის პოზიციამ განაპირობა რუსეთის უკან დახევა, რომ მართალია, „გერმანია დიდ რისკს ეწევა, მაგრამ ის მზად იქნება გადადგას ასეთი ნაბიჯი შოვინისტური წრეების ზემოქმედებით"[42].

მშვიდობის საკითხი 1909 წ. მარტში ბეწვზე ეკიდა. ბერლინი ვენასთან ერთად დიდი ომის გეგმებს აწყობდა[43]. ამასვე მოწმობს ოსტენ-საკენის ცნობა, რომ გერმანიამ ჩაატარა რეზერვისტთა სიების შემოწმება, განიხილა რკინიგზების მდგომარეობა[44] და ა. შ.

შექმნილი ვითარება მეფის რუსეთისაგან მოითხოვდა ენერგიულ ღონისძიებებს, რადგან სერბია მხოლოდ იმ შემთხვევაში იმოქმედებდა, თუ სხვა სახელმწიფოების, პირველ რიგში კი რუსეთის, მხარდაჭერის იმედი ექნებოდა. ეს უკანასკნელი არ იყო მზად ომისათვის, ამასთანავე თავისი მოკავშირის — საფრანგეთის მხარდაჭერის იმედიც არ ჰქონდა. ასეთი დასკვნის საფუძველს იძლეოდა პარიზში რუსეთის ელჩის ნელიდოვის მოხსენებები[45]. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა პიშონმა ნელიდოვს განუცხადა კიდეც: „ჩვენ პატიოსნად შევასრულებთ მოკავშირის როლს, მაგრამ რამდენადაც ორივე ჩვენი ქვეყნისათვის, რომელთაგან არც ერთს არ სურს ომი, შეიქმნა ძალზე სახიფათო მდგომარეობა, მე ვთვლი ჩემს მოვალეობად, განვაცხადო, რომ მოვერიდოთ საფრთხეს და არ მივიყვანოთ

---

[40] АВПР, ф. Канцелярия, д. № 17, л. 29, Булацель Извольскому, 8/21 марта 1909 г.

[41] იქვე.

[42] იქვე, ფ. 31.

[43] А. В. Игнатьев. Русско-английские отношения накануне первой мировой войны (1908—1914 гг.), М., 1962, стр. 92.

[44] А. И. Балобаев. Милитаристская пропаганда в Германии в 1908—1909 гг. Тр. томского ун-та, 1965, Т. 180, стр. 13.

[45] См. А. М. Зайончковский, указ. соч., стр. 151—152.

საქმე უკიდურესობამდე"[46]. ასევე დიდი ბრიტანეთიც, თავისი პოლიტიკის ერთგული, ორპოფულად იქცეოდა[47]. მეფის რუსეთს კი მარტოს გამოსვლა არ შეეძლო, რადგანაც მას „ჯერ კიდევ არ გააჩნდა სამხედრო საყრდენი პოლიტიკური გამოსვლისათვის"[48]. ყოველივე ეს აიძულებდა რუსეთს, რომ მიეცა რჩევა სერბიისათვის—უარი ეთქვა ტერიტორიულ კომპენსაციაზე; ერენტალი კი დაჟინებით მოითხოვდა იზვოლსკისაგან, რომ აეძულებინა სერბია — ეცნო ანექსია. წინააღმდეგ შემთხვევაში ერენტალი მას მხილებით ემუქრებოდა[49], რაც როგორც ჩანს, ეხებოდა ავსტრია-უნგრეთსა და რუსეთს შორის საიდუმლო გარიგებას სერბიის ეროვნული ინტერესების საზიანოდ. ცხადია, ასეთი ფაქტის მზის სინათლეზე გამოტანა მძლავრ დარტყმას მიაყენებდა რუსეთის გავლენას მთელს ბალკანეთზე.

1909 წ. 17 მარტს ერცჰერცოგმა ფრანც-ფერდინანდმა გრაფ ბროკდორფ-რანცაუს განუცხადა: „იზვოლსკის ქცევა საეჭვოა, თუ მეტი არა; ის ატყუებს თავის მონარქს. ჩვენ გვაქვს ნათლად გამოხატული მისი თანხმობა ანექსიაზე; მან კიდევაც ითხოვა ბერლინში ოსტენ-საკენის მეშვეობით, რომ ჩვენ დავთანხმდეთ და თავი შევიკავოთ წერილობითი დოკუმენტების გამოქვეყნებისაგან"[50]. იზვოლსკი იძულებული გახდა, უკან დაეხია.

ამ დროს სცენაზე კვლავ გერმანია გამოდის. 1909 წ. 21 მარტს პეტერბურგში გაგზავნილ იქნა ულტიმატური ხასიათის ნოტა. კანცლერმა ბიულოვმა მითითება მისცა გერმანიის ელჩს პეტერბურგში პურტალესს, მოეთხოვა გარკვეული პასუხი — ცნობდა თუ არა რუსეთი ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ანექსიას. ამასთანავე, რუსეთს უარი უნდა ეთქვა ამ საკითხის თაობაზე საერთაშორისო კონფერენციის მოწვევაზე, რომლის იდეაც ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა ედ. გრეიმ წამოაყენა. პურტალესს უნდა განეცხადებინა აგრეთვე, რომ გერმანიის მოთხოვნაზე უარი ან ორპოფული პასუხი გამოიწვევდა სერბიაზე ავსტრია-უნგრეთის თავდასხმას, რომელსაც მხარს დაუჭერდა გერმანია. ამავე დროს მთელი პასუხისმგებლობა შესაძლო შედეგებისათვის რუსეთს დაეკისრებოდა[51]. გერმანიის ამ

---

[46] Там же, стр. 194.

[47] И. И. Астафьев, Русско-германские дипломатические отношения 1905—1911 гг., М., 1972, стр. 170; см, также, П. Т. Мун. Империализм и мировая политика, М.—Л., 1928, стр. 154—155.

[48] П. Рорбах, указ. соч., стр. 38.

[49] Б. Бюлов. Воспоминания, стр. 355.

[50] Gr. Pol., Bd. 26, T. 2, № 9453, S. 686.

[51] იქვე, № 9460, გვ. 693, შენიშვნა.

დემარშმა გადამწყვეტი როლი შეასრულა. მეფის რუსეთს სხვა არაფერი დარჩენოდა გარდა იმისა, რომ უკან დაეხია, გერმანიის მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა და ეცნო ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ანექსია. 1909 წ. 22 მარტს ნიკოლოზ II-მ რუსეთის თანხმობის შესახებ ტელეგრაფით აცნობა ვილჰელმ II-ს.

გერმანიამ თავისი მოთხოვნების შესახებ, რომელიც პეტერბურგს წაუყენა, ვენას მხოლოდ 24 მარტს აცნობა, როცა რუსეთისაგან უკვე ჰქონდა გარკვეული პასუხი. ეს კიდევ ერთხელ უსვამდა ხაზს იმ გარემოებას, რომ გერმანია თავისი მოკავშირის ინტერესებს უგულვებელყოფდა[52].

31 მარტს ასევე დიდი მარცხი იწვნია სერბიამაც, რომელიც იძულებული იყო განეცხადებინა, რომ ცნობდა ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ანექსიას, და იგი არ ლახავდა მის უფლებებს. გერმანია-ავსტრიის ბლოკი გამარჯვებას ზეიმობდა[53]. განსაკუთრებით გახარებული იყო გერმანია, რომელიც კრიზისის შედეგებს განიხილავდა, როგორც უაღრესად ხელსაყრელს თავისთვის. ბიულოვი 1909 წ. 29 მარტს რაიხსტაგში გამოსვლისას იმასაც კი აცხადებდა, რომ გერმანია ავსტრია-უნგრეთის მიმართ „ნიბელუნგურ ერთგულებას“ იჩენდა[54], ხოლო ამის ნათელსაყოფად წაიკითხა ინსტრუქცია, რომელიც გერმანიის მთავრობამ გაუგზავნა ჩირშკის ჯერ კიდევ 1908 წ. ოქტომბერში. მასში ნათქვამი იყო: „თვით შესაძლებელ გართულებათა წარმოშობის შემთხვევაში ავსტრიას სავსებით შეუძლია იმედი ჰქონდეს თავისი მოკავშირისა“[55].

გერმანიამ თუმცა მიაღწია დიპლომატიურ გამარჯვებას და კრიზისის შედეგად ანტატის ქვეყნების, უწინარეს ყოვლისა კი, მეფის რუსეთის პოზიციები ბალკანეთზე დროებით შესუსტდა, მაინც გერმანიის იმპერიალიზმის ცდები — გამოეყენებინა ინგლის-რუსეთის წინაღმდეგობანი და გაეთიშა ანტანტა, უშედეგოდ დამთავრდა. პირიქით, გამოიკვეთა მძლავრი ანტიგერმანული კოალიციის შექმნის შესაძლებლობა. გერმანიის აქტიურმა ჩარევამ და მხარდაჭერამ ავსტრია-უნგრეთისადმი უაღრესად გაამწვავა გერმანია-ავსტრიის ბლოკის ურთიერთობა მეფის რუსეთთან და უბიძგა ამ უკანასკნელს, რომ უფრო მეტად დაახლოვებოდა ინგლისსა და საფრანგეთს. ასეთი შე-

---

[52] К. Б. Виноградов. Боснийский кризис, стр. 147.

[53] L. Rathmann. Berlin-Bagdad. Die imperialistische Nahostpolitik des Kaiserlichen Deutschlands, Berlin, 1962, S. 76.

[54] A. Schreiner, დასახ. ნაშრ., გვ. 259.

[55] АВПР, ф. Канцелярия, д. 20, лл. 101—102, депеша Булаценя от 18/31 марта 1909 г.

დეგი კი განაპირობებდა დაძაბულობას და შეიცავდა დიდი ომის საფრთხეს, რომელიც დროებით აცილებულ იქნა.

ბოსნიის კრიზისის დროს მიღწეულმა წარმატებამ გერმანიის დიპლომატია ოპტიმისტურად განაწყო, მაგრამ სულ მალე იგი მიხვდა, რომ მისი გამარჯვება არ იყო სრულყოფილი, ანტანტის ქვეყნები უფრო შემჭიდროვდნენ. ამიტომ დღის წესრიგში დგება ახალი ბრძოლის საკითხი მოწინააღმდეგეთა გათიშვის მიზნით. გერმანია რწმუნდებოდა, რომ „ომის შემთხვევაში საქმე ექნებოდა გაერთიანებულ მოწინააღმდეგეებთან, რომელიც ედუარდ VII დიპლომატიური ოსტატობის შედეგი იყო. ამ მომენტიდან გერმანიის დიპლომატიის ამოცანა გახდა გაეთიშა თავის მოწინააღმდეგეთა კავშირი ან უკიდურეს შემთხვევაში უთანხმოება შეეტანა მასში, ხოლო დროებითი წარუმატებლობის შემთხვევაში დალოდებოდა ევროპული კონიუნქტურის ცვლილებას თავისი მიზნების განსახორციელებლად“[56]. იმისათვის, რომ რუსეთის მმართველ წრეებში შეესუსტებინათ გაღიზიანების გრძნობა განვლილი კრიზისის შედეგების გამო, გერმანიის დიპლომატია შეუდგა ცბიერად ლაპარაკს იმ ღვაწლზე, რაც რუსეთს მიუძღოდა ბოსნიის კრიზისის მშვიდობიანად მოგვარებაში. აი, რას აცნობებდა ბულაცელი იზვოლსკის: „ესმის რა შეიარაღებული კონფლიქტის მთელი საფრთხე და შესაძლებელ გართულებათა საშიშროება, გერმანული პოლიტიკის პასუხისმგებელმა ხელმძღვანელებმა, ყველაფრის მიუხედავად, უკანასკნელ დროს გამოამჟღავნეს უკიდურესი წინდახედულება და ბერლინის კაბინეტის ახლანდელი ცდები — არ მიანიჭოს დიდი მნიშვნელობა თავის შუამავლურ როლს და კრიზისის მშვიდობიანი მოგვარება მიაწეროს რუსეთის პოლიტიკის ინიციატივას—ფრიად მრავალმნიშვნელოვანია“[57]. გერმანია იწყებს მზადებას ახალი ცდისათვის, რომ როგორმე გადაიბიროს რუსეთი და ამით ანტანტის ჯაჭვი გაწყვიტოს. ამასთან თავი ისე უჭირავს, რომ ანგარიში გაუწიონ, როგორც რეალურ ძალას ევროპაში. „გერმანიის მთავრობის მთავარი მისწრაფება, — იტყობინებოდა ბულაცელი,— მრავალი მონაცემებით იფარება სურვილში აღადგინოს რუსეთთან სანდო ურთიერთობა და ამასთანავე დაამტკიცოს, რომ გერმანია წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს საერთაშორისო პოლიტიკაში“[58]. ანტანტის ყოველ ახალ შეკავშირებას გერმანია განიხილავდა,

---

[56] H. Herzfeld. Die deutsche Rüstungspolitik vor dem Weltkriege, Bonn und Leipzig, 1923, S. 14—15.

[57] АВПР, ф. Канцелярия, д. 17, л. 31, Булацель Извольскому, 20 марта/2 апреля 1909 г.

[58] იქვე, ფ. 35.

როგორც მის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებას. აი რას წერდა ბერლინიდან რუსი დიპლომატი შებეკო: „მისი უდიდებულესობა (ვილჰელმ II.—ვ. ჩ.) უარს ამბობს განიხილოს ჩვენი დაახლოება ინგლისთან, როგორც უბრალო შეთანხმება ჩვენი შუა აზიური პოლიტიკის ზოგიერთი განსაზღვრული პუნქტის მიმართ, რაც გვიტოვებს ჩვენ მოქმედების თავისუფლებას მსოფლიო პოლიტიკის ყველა დანარჩენ საკითხებში“[59]. შემდეგ შებეკოს მოჰყავდა ვილჰელმ II-ის აზრი იმის შესახებ, რომ დიდი ბრიტანეთი რუსეთს აქცევს თავისი პოლიტიკის ორბიტაში, რომლის საფუძველსაც გერმანიისადმი მტრობა წარმოადგენს: „იმპერატორი ამ შეთანხმებაში ხედავს ჩვენი მთლიანი დამონების პირველ ნაბიჯს, გაკეთებულს, ჩვენი ნების საწინააღმდეგოდ ინგლისური პოლიტიკის მიერ, რომლის მთავარ ფაქტორს წარმოადგენს, ცალკეული პირებისა და პოლიტიკური ჯგუფების ყველა მშვიდობისმოყვარული გამოსვლების მიუხედავად, შეურიგებელი მტრობა გერმანიისადმი, რაც ემყარება ამ ორი ქვეყნის ეკონომიკურ მეტოქეობას მსოფლიო ბაზარზე“[60].

ედუარდ VII-ის გარდაცვალება რომ გაიგეს გერმანიაში, შვებით ამოისუნთქეს, რადგან ის მიაჩნდათ გერმანიის წინააღმდეგ მიმართული მტრული პოლიტიკის სულისჩამდგმელად. მაგრამ ოფიციალური გერმანია მწუხარებას გამოხატავდა. „ინგლისის მეფის ედუარდ VII მოულოდნელმა გარდაცვალებამ, — წერდა ოსტენ-საკენი, — გერმანიის ყველა საზოგადოებრივ წრეში ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა. გერმანიის პრესა დიდი პატივისცემით იხსენებს განსვენებული მონარქის სახელს, მაგრამ იქვე მიუთითებს, მართალია, თავაზიან ფორმებში, რომ მეფე ედუარდ VII ჰქონდა მისწრაფებანი, რომელნიც გერმანული პოლიტიკის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდნენ“[61]. გერმანია ცდილობდა, წარმოედგინა თავისი ბრძოლა, მიმართული სამთა კავშირის განმტკიცებისა და სამთა შეთანხმების გათიშვისაკენ, როგორც ინგლისის პოლიტიკით გამოწვეული იძულებითი ღონისძიება. ედ. გრეი თავის მოგონებებში წერდა, რომ გერმანიის მმართველი წრეები „გარემოცვის პოლიტიკის“ თეორიას იმისათვის იყენებდნენ, რომ გაემართლებინათ გერმანიის მზარდი შეიარაღება საზოგადოებრივი აზრის თვალში[62]. ოსტენ-საკენი იტყობინებოდა,

---

[59] АВПР. ф. канцелярия, д. 19, л. 21, Шебеко Сазонову, 19 апреля/2 мая 1910 г.

[60] იქვე, ფ. 22.

[61] АВПР. ф. Канцелярия, д. 18, Л. 155, Остен-Сакен Извольскому, 30 апреля/13 мая 1910 г.

[62] იხ. Lord Grey. Fünfundzwanzig jahre Politik 1892—1916, München, 1926, Bd. I, S. 199.

ბერლინიდან: „აქ ნათლად აქვთ შეგნებული, რომ უკანასკნელ წლებში გერმანია იყო ინგლისური პოლიტიკის მთავარი ობიექტი, რომელიც ესწრაფვოდა მის იზოლაციას, რაც გერმანიას თავის მხრივ აიძულებდა, უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე ებრძოლა სამთა კავშირის განმტკიცებისათვის და შეძლებისდაგვარად შეეტანა გამთიშავი ელემენტები სამთა შეთანხმების რიგებში[63]". აფასებდა რა გერმანული პრესის აზრს ამ საჭირბოროტო საკითხებზე, ოსტენ-საკენი წერდა: „უკლებლივ ყველა გერმანული გაზეთის გამოხმაურების მიხედვით ეს შეთანხმება (სამთა ანტანტა — ვ. ჩ.) მთლიანად განსვენებული მეფის პირად ინიციატივას უნდა უმადლოდეს"[64]. ე. ეიკს გაზვიადებულად მიაჩნია საკითხის ამგვარად დაყენება და ლეგენდას უწოდებს იმას, რომ, გერმანელთა აზრით, ედუარდ VII იყო ინგლისის საგარეო პოლიტიკის ნამდვილი წარმმართველი და ე. წ. „გარემოცვის პოლიტიკის" ინიციატორი[65].

1909 წ. მაისში ვილჰელმ II სტუმრად იყო ვენაში ფრანც-იოსებთან. ამ ვიზიტმა პრესის დიდი გამოხმაურება გამოიწვია. იგი მიიჩნიეს გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთს შორის მეგობრობის განმტკიცების ახალ დადასტურებად. ამასთანავე პრესა კმაყოფილებით აღნიშნავდა, რომ სამთა კავშირს გააჩნდა მშვიდობისმოყვარული მიზნები და დიდი მნიშვნელობა ევროპაში საერთო პოლიტიკური წონასწორობის შენარჩუნებისათვის[66]. ამ ვიზიტს გერმანიის პრესა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იმის გამოც, რომ ამ დროისათვის გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მშენებლობასთან დაკავშირებით ურთიერთობა ინგლისთან სულ უფრო უარესდებოდა, ამიტომ საჭირო იყო ეჩვენებინათ, რომ გერმანია სულაც არ იმყოფებოდა იზოლირებულ მდგომარეობაში[67]. მას აშინებდა, რომ ბოსნიის კრიზისის შემდეგ რუსეთი უფრო დაუახლოვდებოდა ინგლისს, რომელთანაც 1907 წ. დადო შეთანხმება კოლონიურ საკითხებზე. „გერმანია გულმოდგინედ ეძებს თავისი ურთიერთობის გაუმჯობესებას საფრანგეთთან და ეშინია რუსული და ინგლისური პოლიტიკის უფრო მეტად დაახლოების შესაძლებლობისა არა მარტო სპეციალურ აღმოსავლურ, არამედ საერთოდ მსოფლიო საკითხებზე"[68].

---

[63] АВПР, ф. Канцелярия, д. 18, Л. 155—156.

[64] იქვე; იხ. აგრეთვე, Ллойд Джордж. Военные мемуары, пер. с англ., Т. I—2, М., 1934, стр. 49.

[65] E. Eyck. Das persönliche Regiment Wilhelms II., S. 546.

[66] АВПР. ф. Канцелярия, д. № 17, л. 59, Булацель Чарикову, 15/28 мая 1909 г.

[67] იქვე.

[68] იქვე, ფ. 60.

ეკონომიკური თვალსაზრისითაც გერმანია-ავსტრიის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი ხელსაყრელი იყო უფრო ძლიერი გერმანიისათვის. გერმანელი იმპერიალისტები ჰაბსბურგების მონარქიას განიხილავდნენ, როგორც ხელსაყრელ ტრამპლინს ახლო აღმოსავლეთში ნახტომისათვის. როგორც ოსტენ-საკენი იტყობინებოდა: „გერმანიის პოლიტიკური წრეები უკვე შეეგუენ იმ აზრს, რომ ავსტრია უნდა გახდეს აღმოსავლეთში გერმანული კულტურის გავრცელების ავანგარდი და დაუბრუნდეს თავის ისტორიულ მოწოდებას — იყოს გერმანიის აღმოსავლეთი ზღუდე (das deutsche Ostreich zu sein)“[69].

ვილჰელმ II, ტახტზე ასვლის დროიდან მოყოლებული, ცდილობდა თავისი ბაბუის ვილჰელმ I ზეპირ ანდერძს რუსეთთან მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნებისა და განვითარების შესახებ. ბოლო წლებში კი მის შეხედულებებში ცვლილება მოხდა: „იმპერატორი ვილჰელმი ყველა დამამშვიდებელი განცხადების მიუხედავად, სულ უფრო უთმობს ავსტრიის სურვილებს, გამოიყენოს თავისი მოკავშირის მეტისმეტი ნდობა საკუთარი საშინაო და საგარეო სიმტკიცის ალსადგენად“[70].

გერმანია ხელიდან არ უშვებდა შესაძლებლობას, რათა ხაზი გაესვა, რომ ვენასთან მტკიცე მეგობრობა აკავშირებდა. როცა 1909 წ. 7 ოქტომბერს შესრულდა 30 წლისთავი გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთს შორის სამხედრო-პოლიტიკური კავშირის დადებიდან, გერმანიის პრესა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, გულთბილად გამოეხმაურა ამ თარიღს და აღნიშნა, რომ ამ ორ მოკავშირე ქვეყანას შორის გულითადი ურთიერთობა არსებობდა[71].

ბოსნიის კრიზისის შემდეგ მეფის რუსეთს, მართალია, მტრული დამოკიდებულება ჰქონდა ავსტრია-უნგრეთის მიმართ, მაგრამ რუსეთის საზოგადოებრივი აზრი, რომელზეც დიდ გავლენას ახდენდა პანსლავური პრესა, იმ დროიდან უმთავრესად მაინც გერმანიის წინააღმდეგ იყო განწყობილი. რუსული პრესა, ილაშქრებდა რა გერმანიის წინააღმდეგ, მიზნად ისახავდა საზოგადოების დარწმუნებას, რომ გერმანიასთან ომის გარდუვალობის გამო საჭირო იყო კარგად მომზადება. ანტანტის ქვეყნების პრესაში ასევე მიმდინარეობდა ანტიგერმანული კამპანია, რომელშიც აღნიშნული იყო გერმანის როლი ბოს-

---

[69] იქვე, ფ. 82, Остен-Сакен Извольскому, 30 окт./12 ноябр. 1909 г.

[70] იქვე.

[71] იქვე, д. 20 Л. 245. Остен-Сакен Извольскому, 2/15 октября 1909 г.

ნიის კრიზისის მიმდინარეობასა და მსვლელობაში. ყოველივე ეს ართულებდა გერმანიის ცდებს, გადაებირებინა რუსეთი თავის მხარეზე. გერმანიაში, განსაკუთრებით პანგერმანული პრესა, თვლიდნენ, რომ ბოსნიის კრიზისის დროს გერმანიისა და რუსეთის ურთიერთობაზე საზიანო გავლენას ახდენდა რუსეთის პრესა. ამის გამო იყო, რომ ვილჰელმ II-მ 1909 წ. 8 მაისს წერილით მიმართა ნიკოლოზ II-ს და შესთავაზა, ბოლო მოეღოთ საგაზეთო კამპანიისათვის: „რამდენიმე კვირის წინ, როდესაც მოვლენები იმუქრებოდნენ, მიეღოთ საშიში ხასიათი, შენმა ბრძნულმა და გაბედულმა გადაწყვეტილებამ უზრუნველყო მშვიდობა ხალხებისათვის. მე ძალზე კმაყოფილი ვიყავი, რომ შესძელი შეგესრულებინა შენი მოვალეობა ჩემი დახმარებით. ბუნებრივია, მე ველოდი, რომ მთელი მსოფლიო ჩვენ ორივეს მოგვესალმებოდა... მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ და გასაკვირად ვამჩნევ, რომ მადლობის ნაცვლად ძალიან ბევრი გვკიცხავს ორივეს. განსაკუთრებით წარმოუდგენელი სიმდაბლით იქცევა პრესა (რუსული — ვ. ჩ.) ჩემს მიმართ. ზოგიერთი გაზეთი აცხადებს, რომ მე ვარ ანექსიის ინიციატორი და სხვა სისულელეებთან ერთად მე მადანაშაულებენ იმაში, რომ რუსეთი ჩავარდა დამცირებულ მდგომარეობაში სწორედ ჩემი წინადადების გამო. რა თქმა უნდა, შენ ეს უკეთესად იცი. თუმცა ამ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება, რადგანაც საზოგადოებრივი აზრი უმთავრესად იქმნება გაზეთებით“[72]. ნიკოლოზ II საპასუხო წერილში ეთანხმებოდა კაიზერს, რომ რუსულ პრესაში, მართლაც, ჰქონდა ადგილი ანტიგერმანულ კამპანიას, მაგრამ თავს იმით იმართლებდა, რომ თანამედროვეობას თან მოჰყვა პრესისათვის დამხასიათებელი ეს უარყოფითი მხარე[73]. იმ მიზნით, რომ უკეთ განეხილათ საკითხები, ნიკოლოზ II სთავაზობდა კაიზერს შეხვედრას ფინეთის ყურეში.

ნიკოლოზ II-ის წინადადებამ ძალიან გაახარა ვილჰელმ II, რომელიც შეუდგა სამზადისს. იმპერატორს ამ ვიზიტის დროს უნდა ხლებოდა საგარეო საქმეთა სტატს-მდივანი შონი, რომელსაც ბიულოვმა დირექტივის სახით მისცა ინსტრუქცია, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელა რუსეთთან მოლაპარაკების დროს, ამ ინსტრუქციის ასლი ბიულოვმა ვილჰელმ II წარუდგინა[74]. შეხვედრა შედგა 17 ივნისს ფინეთის შხერებში, ფრედერიკსჰაფენის ახლოს. მას არ მოუტა-

[72] См. Переписка Вильгельма II с Николаем II. 1891—1914, М., 1923, стр. 153—155; Gr. Pol., Bd. 26, T. 2, 9533, S. 786—787.

[73] Gr. Pol., Bd. 26, T. 2, S. 788, Anmerkung.

[74] См. Б. Б ю л о в, Воспоминания, стр. 378—379.

ნია რაიმე არსებითი შედეგი გერმანიის პოლიტიკისათვის. ორივე მხარე თავის ძველ პოზიციებზე დარჩა. გერმანიას არ სურდა უარი ეთქვა ვენისათვის მხარდაჭერაზე, ეს კი გამორიცხავდა რაიმე შეთანხმების შესაძლებლობას რუსეთსა და გერმანიას შორის. გერმანიის ასეთი პოზიცია იმით იყო ნაკარნახევი, რომ მას სამთა კავშირი ჯერ კიდევ საკმაოდ მონოლითურ კავშირად მიაჩნდა, თუმცა მის მონაწილეთაგან ავსტრია-უნგრეთს უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებდა, ვიდრე იტალიას. ეს, რა თქმა უნდა, განპირობებული იყო, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური მოსაზრებით. ამას ემატებოდა ისიც, რომ გერმანიაც და ავსტრია-უნგრეთიც სულ უფრო უნდობლად უყურებდნენ იტალიის საეჭვო მოქმედებას უკანასკნელ ხანს.

ბოსნიის კრიზისმა, მართალია, დიდი დარტყმა მიაყენა რუსეთს, მაგრამ იგი სრულებითაც არ აპირებდა გულხელდაკრეფილი ლოდინს, თუ რას იღონებდნენ შემდგომ მისი მეტოქეები. სრუტეების საკითხი კვლავ მტკივნეული იყო რუსეთისათვის. 1909 წ. ოქტომბერში ნიკოლოზ II რაკონიჯში სტუმრად ეწვია იტალიის მეფეს ვიქტორ ემანუილ III. ორივე მონარქს თან ახლდნენ საგარეო საქმეთა მინისტრები, რომელთა მოვალეობაც იყო პოლიტიკური მოლაპარაკების გამართვა. რაკონიჯის შეხვედრას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მას უნდა გაერკვია ორივე მხარის პოზიცია მნიშვნელოვან საკითხებში. ამასთანავე შეიძლებოდა რუსეთის მხრივ იტალიის მერყევი პოზიციის გამოყენება და მისი სამთა კავშირისაგან უფრო მეტად ჩამოცილება.

ჯერ კიდევ მაროკოს 1905 წ. კრიზისმა აჩვენა, რომ სამთა კავშირში უთანხმოება სუფევდა[75]. მიზეზები იმისა, რომ იტალია სულ უფრო იხრებოდა ანტანტისაკენ, რა თქმა უნდა, განპირობებული იყო აღნიშნული კავშირის ქვეყნებს შორის არსებული იმპერიალისტური წინააღმდეგობებით[76].

იტალია ბოსნიის კრიზისის შემდეგ სულ უფრო რწმუნდებოდა, რომ სამთა კავშირში ყოფნა მას არავითარ სარგებლობას არ მოუტანდა. ამიტომ, როგორც კი საშუალება მიეცა, გამოვიდა ავსტრია-უნგრეთის წინააღმდეგ მახლობელ აღმოსავლეთში. მართალია, ამას ჯერ-ჯერობით დიპლომატიური გზით მიაღწია რაკონიჯში.

სამთა კავშირის ურთიერთობის ისტორიაში უკანასკნელი ფაზა რამდენადმე რაკონიჯის შეხვედრით დაიწყო, მაგრამ არა იმიტომ, როგორც ყოველთვის ამტკიცებდნენ გერმანიის და ავსტრიის მხრი-

---

[75] L. Rathmann. Berlin-Bagdad, S. 67.

[76] იქვე.

დან, თითქოს ამით იტალიამ საბოლოოდ მტრის ბანაკში გადაინაცვლა და მხოლოდ ფორმალურად რჩებოდა ძველ მოკავშირეებთან, არამედ იმიტომ, რომ 1909 წ. შეთანხმებით იტალია კმაყოფილი დარჩა. იგი აძლევდა მას შესაძლებლობას, ევროპული საკითხების საბოლოო გადაწყვეტისას მიეღო დიდი სახელმწიფოებისაგან გარანტია იტალიის ინტერესების დაცვისა აფრიკასა და ადრიატიკის რაიონში[77].

1909 წ. 24 ოქტომბერს იზვოლსკი და ტიტონი აზრთა გაზიარების შემდეგ შეთანხმდნენ, წინააღმდეგობა გაეწიათ ავსტრია-უნგრეთის ექსპანსიისათვის ბალკანეთზე, შეენარჩუნებინათ იქ Status quo და არ დაეშვათ არავითარი შეთანხმება მესამე სახელმწიფოსთან ერთმანეთის ინფორმირების გარეშე იმ საკითხებზე, რომელიც ორივე მხარის ინტერესებს შეეხებოდა. იტალია ვალდებულებას იღებდა, დადებითად მოჰკიდებოდა მეფის რუსეთის ინტერესებს შავი ზღვის სრუტეების საკითხში; ასეთივე ვალდებულებას იღებდა მეფის რუსეთი იტალიის ინტერესების მიმართ კირენაიკასა და ტრიპოლიტანიაში[78]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იტალია იმავე დროს აწარმოებდა საიდუმლო მოლაპარაკებას ავსტრია-უნგრეთთან და კიდევაც სთავაზობდა მას, რომ ერთმანეთის ინფორმირების გარეშე არ დაეშვათ შეთანხმება სხვა სახელმწიფოებთან ბალკანეთის შესახებ. ცოტა მოგვიანებით. 30 ნოემბერს, ასეთი შეთანხმება კიდევაც დაიდო მათ შორის.

მიუხედავად იმისა, რომ რაკონიჯის შეთანხმება იტალიასა და რუსეთს შორის საიდუმლოდ იქნა დადებული, იტალიის ორჭოფული პოლიტიკა შეუმჩნეველი არ დარჩენილა მისი მოკავშირეების — გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთისათვის. რაკონიჯის შეხვედრამ მათი უკმაყოფილება გამოიწვია, ამიტომ იტალია ცდილობდა დაერწმუნებინა ისინი, რომ რუსეთთან არავითარი მოლაპარაკება არ ჰქონია, რომ ეს იყო მხოლოდ აზრთა გაზიარება, რომლის დროსაც გამოითქვა სურვილი, ხელი შეეწყოთ ბალკანეთზე Status quo-ს შენარჩუნებისათვის[79].

ვილჰელმ II რაიხსტაგის ახალი სესიის გახსნისას თავის გამოსვლაში, ეხებოდა რა იტალიის მოქმედებას რაკონიჯში, ცდილობდა, არ გაეღიზიანებინა იტალია და არ ებიძგებინა მისთვის მოწინააღმდეგე ბანაკისაკენ. ამასთანავე, კაიზერის გამოსვლა წარმოადგენდა იტალიის გაფრთხილებას, რომ მისი საქმიანობა სულაც არ იყო საიდუმლო მი-

---

[77] F. Fellner, დასახ. ნაშრ., გვ. 74.

[78] იქვე, გვ. 71; იხ. აგრეთვე, Сборник договоров России с другими государствами 1856—1917, М., 1952, Док. № 63, стр. 402—404.

[79] Gr. Pol., Bd. 27, T. I, № 9881; S. 409.

სი მოკავშირეებისათვის. „იმპერატორის მიერ გამოთქმული იმედი, რომ მომავალშიც შენარჩუნებულ იქნება სამთა კავშირის სახელმწიფოთა ერთსულოვნება, წარმოადგენს საყვედურს ხშირ თავდასხმებზე იტალიის ორპირული პოლიტიკისადმი უკანასკნელ ხანებში“[80].

რაკონიჯის შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებდა იტალიისა და მეფის რუსეთის იმპერიალისტურ მისწრაფებათა ურთიერთმხარდაჭერას. იმავე დროს ერთ მნიშვნელოვან მიზანსაც ემსახურებოდა — ჩამოეცილებინათ იტალია სამთა კავშირისაგან და გადაეყვანათ ანტანტის მხარეზე, ან უკიდურეს შემთხვევაში მიეღწიათ მისი ნეიტრალიტეტისათვის[81]. რაკონიჯის შეთანხმება მოასწავებდა ახალ ეტაპს იტალიის გზაზე — სამთა კავშირიდან სამთა შეთანხმებისაკენ[82].

ყოველივე ამას გერმანიის მმართველი წრეები კარგად ხედავდნენ და მით უფრო არასასიამოვნო იყო მათთვის მოკავშირის ასეთი ქცევა მაშინ, როცა მეფის რუსეთი ბოსნიის კრიზისის შემდეგ კიდევ უფრო დაუახლოვდა ინგლისს. ბერლინი მოუსვენრობამ მოიცვა. ისინი გრძნობდნენ, რომ გერმანიის გარშემო მტრული ატმოსფერო შეიქმნა, სამთა კავშირი კი, მოჩვენებითი სიძლიერის მიუხედავად (თუმცა გერმანია ყოველთვის ხაზს უსვამდა სამთა კავშირის ძლიერებას), სულ უფრო სუსტდებოდა. მოვლენათა ასეთი მსვლელობა გერმანიას ემუქრებოდა არასახარბიელო პერსპექტივებით. რაკონჯის შეხვედრამ ერთხელ კიდევ დაარწმუნა გერმანელი იმპერიალისტები ამაში. „უკანასკნელ წლებში დადებულმა მთელმა რიგმა საერთაშორისო შეთანხმებებმა, — იტყობინებოდა შებეკო, — რომელშიც გერმანია არ იღებდა მონაწილეობას, ინგლისთან შეტაკების საშიშროებასთან ერთად, რაც გაძლიერდა მასთან ჩვენი დაახლოების შემდეგ, წარმოშვეს გერმანიაში ეჭვიანობის გრძნობა. ეს განსაკუთრებული ძალით გამომჟღავნდა რაკონიჯის შეხვედრის შემდეგ, რომელშიც გერმანიამ დაინახა მისწრაფება, ჩამოაცილონ მას ერთ-ერთი მოკავშირე. ამან გამოხატულება ჰპოვა მმართველი წრეებისა და პრესის ზოგიერთი ორგანოს არაჯანსაღ გულფიცხობაში“[83].

ნაბიჯი, რომელიც გადადგა იტალიამ რაკონიჯში, ცხადია, მოწ-

---

[80] АВПР, ф. Канцелярия, д. № 18, л. 223, секретная телеграмма графа Остен-Сакена. Берлин, 17/30, ноября 1909 г.

[81] Gr. Pol., Bd., 27, T. I, № 9882, S. 411—412.

[82] იხ. იქვე, Bd. 26, T. I, № 9538, S. 793—796.

[83] АВПР, ф. Канцелярия, д. 19. лл. 13—14, Шебеко Извольскому, 5/18 марта 1910 г.

მობდა სამთა კავშირის შემდგომ დასუსტებას და წარმოადგენდა ბოსნიის კრიზისის უშუალო შედეგს[84].

იტალია, თვლიდა რა თავის მოწინააღმდეგედ ავსტრია-უნგრეთს, ცდილობდა ისეთი პოლიტიკა გაეტარებინა, რომ ესარგებლა სამთა კავშირით თავისი არმიის გასაძლიერებლად. შემდეგ კი ამაზე დაყრდნობით მოეთხოვა გერმანიისაგან ან სოლიდური გარანტია ავსტრიის წინააღმდეგ ან შესდგომოდა სხვა მოკავშირების ძებნას[85].

რაკონიჯის შეთანხმებით მეფის რუსეთი კმაყოფილი დარჩა, რადგან ჯერ კიდევ არსებობდა ბალკანეთის ქვეყნებზე, განსაკუთრებით სერბიაზე, ავსტრია-უნგრეთის თავდასხმის საშიშროება[86].

მეფის რუსეთს აღელვებდა ის ფაქტი, რომ საფრანგეთმა ბოსნიის კრიზისის დროს მას მხარი არ დაუჭირა. პეტერბურგს უკვე ეპყრა ეპარებოდა მოკავშირის უსიტყვო მხარდაჭერაში ისეთ ვითარებაში, როცა არსებობდა „გერმანიის, ავსტრიისა და რუმინეთის ერთობლივი გამოსვლის შესაძლებლობა მარტო რუსეთის წინააღმდეგ, რომლის მხარეზეც იქნებოდნენ მხოლოდ სერბია და ჩერნოგორია"[87].

2. გერმანიის დიპლომატია და ბრძოლა სპარსეთში გავლენის გაძლიერებისათვის

გერმანიასა და მეფის რუსეთის შორის ბოსნიის კრიზისის შემდეგ „მეგობრობის" განახლების ცდებს ხელს უწყობდა ისიც, რომ გერმანია ჯერ კიდევ თავს იკავებდა სპარსეთში პოლიტიკური გავლენისათვის ბრძოლისაგან. ბურჟუაზიულმა რევოლუციამ და არეულობამ სპარსეთში სერიოზული უთანხმოებანი გამოიწვია ინგლისსა და მეფის რუსეთს შორის, რომლებიც ეჭიშპებოდნენ ერთმანეთს აქ გავლენის სფეროებისათვის. გერმანია მათ მეტოქეობას კმაყოფილებით ხვდებოდა, რადგან ამაში ხედავდა შესაძლებლობას, ფეხი მოეკიდებინა სპარსეთში[88]. „ამ მხრივ, — ატყობინებდა ბულაცელი ჩარიკოვს, — ძალზე საინტერესოა სპარსეთში ჩვენი მოქმედების შეფა-

---

[84] F. Stieve, დასახ. ნაშრ., გვ. 56.

[85] ЦГИАЛ, ф. № 1276, оп. № 6, д. № 516, л. 2, письмо военного министра Сухомлинова председателю Совета Министров Столыпину.

[86] იქვე.

[87] იქვე, ფ. 3.

[88] სპარსეთის ბურჟუაზიული რევოლუცია, რომელიც დაიწყო 1905 წ. ამ დროისათვის დიდ აღმავლობას განიცდიდა. 1909 წ. აპრილში მეფის რუსეთის მთავრობამ თავისი ჯარები გაგზავნა თავრიზში და ჩააქრო იქ სახალხო აჯანყება. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისი რუსეთთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა რევოლუციის ჩაქრობაში, მათი ინტერესები სპარსეთში მაინც მწვავედ ეჯახებოდნენ ერთმანეთს.

სება გერმანული პრესის მიერ, რადგანაც გერმანული პრესა ცდილობს დაამტკიცოს, რომ ჩვენს მიერ მიღებული გადამწყვეტი ზომები უნდა დაუპირისპირდეს ინგლისის ინტერესებს"[89].

კანცლერი ბიულოვი ჯერ კიდევ გადადგომამდე, 1909 წ. მარტში, რაიხსტაგში გამოსვლისას აცხადებდა, რომ გერმანიას მხოლოდ ეკონომიკური ინტერესები გააჩნდა სპარსეთში და თუ რუსეთი ხელს არ შეუშლიდა ამაში, მაშინ შესაძლებელი გახდებოდა რუსეთ-გერმანიის შეთანხმება სპარსეთის საქმეებში[90]. გერმანიას მთელი სპარსეთის თავის კოლონიად გადაქცევა სურდა, რომ მომავალში გამოეყენებინა ის როგორც პლაცდარმი ინგლისისა და რუსეთის სამფლობელოებზე თავდასხმისათვის[91]. იგი მხოლოდ შესაფერის მომენტს ელოდა და ისიც დადგა. რუსეთის ცარიზმთან დაკავშირებული შაჰი მოჰამედ-ალი 1909 წლის 16 ივლისს ჩამოაგდეს. გერმანია ცდილობდა მიეღო რკინიგზის მშენებლობის კონცესია სპარსეთში, რასაც მოჰყვებოდა პოზიციების გაფართოება ვაჭრობის სფეროშიც, ამიტომ იყო, რომ „ბაღდადის რკინიგზის მშენებლობით დაინტერესებული წრეები კვლავ პროპაგანდას უწევდნენ რამდენიმე წლის წინ წარმოშობილ აზრს, რომ სასურველია, გერმანიის ზნეობრივი და კულტურული გავლენის განმტკიცება მცირე აზიაში, ამ ადგილებში გერმანული საქველმოქმედო ორგანიზაციების დაარსებით"[92]. ექსპანსია ეკონომიკის სფეროში[93] საშუალებას მისცემდა გერმანიას პოლიტიკურადაც მოეხდინა ზეგავლენა სპარსეთზე, რაც მისი მოწინააღმდეგეების — ინგლისისა და რუსეთისათვის საზიანო იქნებოდა. დროებით რომ შეენიღბა თავისი მიზნები სპარსეთში, გერმანია ყოველთვის აღნიშნავდა, რომ მის მისწრაფებებს არ ჰქონდა პოლიტიკური ხასიათი[94]. სინამდვილეში, გერმანია ყოველგვარი საშუალებით ცდილობდა დამკვიდრებულიყო ამ მეტად მნიშვნელოვან რაიონში. რო-

---

[89] АВПР, ф. Канцелярия, д. 17, л. 60, Булацель Чарикову, 15/28 мая 1909 г.

[90] „სახალხო გაზეთი", 1910 წ. 8/21 მაისი.

[91] М. С. Иванов. Очерки истории Ирана, М., 1952, стр. 218—219.

[92] АВПР, ф. Канцелярия, д. 20, Л. 382, Остен-Сакен Извольскому, 25 декабря/7 января 1909—1910 гг.

[93] უნდა აღინიშნოს რომ სპარსეთის საგარეო ვაჭრობაში გერმანიამ შეძლო მესამე ადგილის დაკავება მეფის რუსეთისა და ინგლისის შემდეგ. 1901/02—1913/14 წლებში გერმანიის საქონელბრუნვა სპარსეთთან გაიზარდა 2,5 მლნ. კრანიდან 33 მლნ. კრანამდე (იხ. С. Л. Агаев. Германский империализм в Иране, М., 1969, стр. 7).

[94] АВПР, ф. Канцелярия, д. 20 л. 383, Остен-Сакен Извольскму, 25 дек./7 января, 1909—1910 гг.

გორც ოსტენ-საკენი წერდა: „დიდი ხანია რაც ფრთხილი გერმანული პოლიტიკა შეეგუა თავისი ეროვნული პიონერების გაბედული ღონისძიებების მარჯვედ გამოყენებას, რომელთა შრომა სხვადასხვაგვარ სარბიელზე ემსახურება ერთ გარკვეულ მიზანს: გერმანიის წინსვლას ნაჩვენები გზით აღმოსავლეთისაკენ"[95].

გერმანული პრესა სპარსეთის საქმეებს უხვად აშუქებდა და განიხილავდა ამ ქვეყანაში გერმანიის ეკონომიკური ექსპანსიის საკითხებს. ოფიციალური გერმანია კი დუმილს ამჯობინებდა, რაც მას საშუალებას აძლევდა, საჭირო მომენტში პრესის ზოგიერთი ორგანოს განცხადებების უარყოფით გამოსულიყო, რომ ინგლისისა და რუსეთის უკმაყოფილება აეცილებინა. შებეკოს ცნობით, „მართალია, გერმანიის პრესა უკანასკნელ დროს აქტიურად ეხმაურება სპარსეთის საქმეებს და კერძოდ უცხოელი, განსაკუთრებით კი გერმანელი მეწარმეების შეშრას სპარსეთში, მიუხედავად ამისა, არც საგარეო საქმეთა აქაური დეპარტამენტის ორგანო „კიოლნიშე ცაიტუნგ", არც საიმპერიო მთავრობის ოფიციოზი „ნორდ დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგ" არ ეხებიან სპარსეთის საქმეებს"[96]. რაც შეეხება „პრესის დამოუკიდებელ ორგანოებს, — განაგრძობს შემდეგ შებეკო, — არ შემიძლია არ მივუთითო ჩვენდამი ჩვეულებრივად კეთილგანწყობილ „ჰამბურგერ ნახრიხტენ"-ზე. დასახელებული გაზეთის აზრით, ინგლისი, თითქოსდა ატარებს რა თავის ჩვეულებრივ პოლიტიკას, ცდილობს გამოიყენოს ირანის ამბები, რათა შეძლებისამებრ უფრო მეტად დააშოროს გერმანია რუსეთს, რომ გადაიბიროს ეს უკანასკნელი თავის მხარეზე გერმანიის იმპერიასთან თავის მომავალ ბრძოლაში"[97]. „ჰამბურგერ ნახრიხტენ"-ი ურჩევს თავის მთავრობას სიფრთხილეს, რათა შეცდომები აიცილოს თავიდან; ამასთან რუსეთთან დაახლოებას ის სასარგებლოდ მიჩნევს. გაზეთის აზრით, „გერმანელი კაპიტალისტების მისწრაფება სპარსეთის ბაზრებისაკენ უადვილებს დიდ ბრიტანეთს ამ მიზნის (გერმანიასა და რუსეთს შორის ურთიერთობის გამწვავების — ვ. ჩ.) მიღწევას და იმპერიის მთავრობამ განსაკუთრებით ფრთხილად უნდა იმოქმედოს სპარსეთში, რათა არ გაიმეოროს თავისი შეცდომები მაროკოს საკითხში და არ გააუარესოს ძველი ურთიერთობანი ჩვენს სამშობლოსთან (რუსეთთან —ვ. ჩ.), რაც ასე საჭიროა ორივე მეზობლისათვის"[98].

---

[95] АВПР, ф. Канцелярия, д. 20, л. 384, Остен-Сакен Извольскому, 25 дек. (7 января) 1909—1910 гг.

[96] Там же, д. 18, Л. 142, Шебеко Сазоноау, 16/29 апр. 1910 г.

[97] იქვე, ფ. 144.

[98] იქვე.

„რაინიშ-ვესტფელიშე ცაიტუნგ"-ი მოითხოვდა, რომ გერმანიას თავისი სამხედრო ძალა გამოეყენებინა და მოეთხოვა თანასწორუფლებიანობა სპარსეთში: „თუ ბერლინში ამ საშუალებას უფრთხიან, მაშინ სჯობს ამთავითვე შეწყვიტონ ქაღალდის პროტესტების პოლიტიკა. უკან დახევა გერმანიის დიპლომატიის ხელახალი შერცხვენა იქნებოდა და გერმანიას წაართმევდა ღირსების უკანასკნელ ნატამალსაც კი"[99].

1910 წ. დასაწყისში იწურებოდა რუსეთსა და სპარსეთს შორის 1890 წ. დადებული შეთანხმების[100] მოქმედების ვადა. ასეთი ხელსაყრელი შესაძლებლობის ხელიდან გაშვება ბერლინს არ სურდა. იმ მიზნების შესახებ, რომელიც გერმანიის დიპლომატიას ამოძრავებდა, შებეკო აცნობებდა პეტერბურგს: „ფოსიშე ცაიტუნგის" გუშინდელ ნომერში გამოქვეყნებული კორესპონდენცია თეირანიდან... მოწმობს იმას, თუ რაოდენ არიან დაინტერესებულნი ამჟამად გერმანიის მმართველი წრეები სპარსეთის საკითხით. ეს ინტერესი გამოწვეულია გერმანიის მრეწველობის სურვილით, ისარგებლოს ახლანდელი არეულობით სპარსეთში და ჩვენი შეთანხმების ვადის დამთავრებით მასთან რკინიგზის ახალი ხაზების მშენებლობის თაობაზე, რათა დაიპყროს ახალი ბაზარი ბაღდადის რკინიგზის თეირანთან შეერთების მეშვეობით"[101]. გერმანია ცდილობდა გამოსულიყო შუამავლის როლში რუსეთსა და ინგლისს, ერთი მხრივ, და სპარსეთს შორის, მეორე მხრივ. ამავე დროს გერმანიას სურდა, გავლენა მოეხდინა იმ გადაწყვეტილებებზე, რომელსაც მიიღებდნენ ინგლისი და რუსეთი თავიანთი ინტერესების დასაცავად სპარსეთში. დათმობა გერმანიისადმი ზიანს მიაყენებდა ინგლისისა და რუსეთის პრესტიჟს, გერმანიისას კი, პირიქით, გაზრდიდა[102].

სპარსეთის საკითხებზე ინგლისის ელჩთან საუბარში ბეტმან-ჰოლვეგმა გერმანიის მთავრობის სურვილი შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: „აღნიშნული საკითხი უნდა შევიდეს საერთოპოლიტიკურ შეთანხმებაში გერმანიასა და ინგლისს შორის. რუსეთმა და ინგლისმა უნდა დაამოწმონ თავიანთი დაპირება ღია კარების მიმართ და გერმანიის ვალდებულების სანაცვლოდ — არ შეეცადოს რკინიგზის, ტელეგრაფისა და მსგავსი კონცესიების მიღებას ბრიტანეთის ზონა-

---

[99] „სახალხო გაზეთი" 1910 წ., 9/22 მაისი.

[100] ეს შეთანხმება ითვალისწინებდა, რომ სპარსეთს უარი უნდა ეთქვა უცხო სახელმწიფოებისათვის საკუთარ ქვეყანაში რკინიგზის მშენებლობაზე.

[101] АВПР, ф. Канцелярия, д. 19, Л. 16, Шебеко Сазонову, 16/29 апреля 1910 г.

[102] ЦГИАЛ, ф. 1276, опись 6, д. 512, Л. 3.

ში — ინგლისმა თავის მიღებულ კონცესიებში გერმანიას უნდა დაუთმოს მისი წილი მასალების მიწოდებასა და ა. შ. გერმანია პრეტენზიას აცხადებს მონაწილეობაზე სხვა, მესამე, სახელმწიფოების თანაბრად სპარსეთის სესხებისა და სპარსეთის სამსახურში ეკსპერტების დანიშვნის საკითხებში"[103].

გერმანიის შეჭრა სპარსეთსა და სპარსეთის ყურის აუზში საფრთხეს უქმნიდა როგორც რუსეთის, ასევე ინგლისის ინტერესებს. სპარსეთის ყურისკენ გერმანელი იმპერიალისტების წინსვლით შეშფოთებული ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდი ლენსდაუნი თემთა პალატაში გამოვიდა განცხადებით, რომ ინგლისის მმართველმა წრეებმა უნდა „განიხილონ რომელიმე სხვა სახელმწიფოს მიერ სპარსეთის ყურეში გამაგრებული ნავსადგურის შექმნა, როგორც სერიოზული მუქარა ბრიტანეთის ინტერესებისათვის და, რა თქმა უნდა, ვალდებულნი არიან, წინააღმდეგობა გაუწიონ ამას მათს განკარგულებაში არსებული ყოველგვარი საშუალებით"[104]. მაგრამ ხელის შეშლა გერმანიისათვის არც ისე ადვილი იყო. რუსეთი მოითხოვდა ტრანსირანული რკინიგზის ხაზის მშენებლობას, გერმანია კი ესწრაფოდა რკინიგზის ხაზის გაყვანას ირან-თურქეთის საზღვრიდან სპარსეთის სასიცოცხლო ცენტრალური რაიონებისაკენ.

„ჩვენს მიერ ჯულფიდან თეირანამდე რკინიგზის ხაზის მშენებლობის შესაძლებლობა, — სწერდა შებეკო საზონოვს, — და კიდევ უფრო მეტი, ჩვენს მიერ კონცესიის მიღება რკინიგზის მშენებლობაზე ბაღდადიდან შავი ზღვის რომელიმე პუნქტამდე, დიდი ხანია აწუხებთ ბაღდადის რკინიგზის მშენებლობის ინიციატორებს და, მართლაც, როგორც ერთი, ისე მეორე, მიაყენებდა მას დიდ ზიანს. აი რატომ შეადგენს ახლანდელ მომენტში ბაღდად—ხანიკინის რკინიგზის მშენებლობა და გერმანული კაპიტალის მონაწილეობა ხანიკინიდან თეირანამდე გზის მშენებლობაში იმ მიზანს, რომელსაც ესწრაფვის გერმანიის დიპლომატია"[105].

გერმანიამ მრავალჯერ სცადა მიეღო კონცესია გზის მშენებლობისათვის, რომელიც შეაერთებდა ირანს ბაღდადის რკინიგზასთან. გერმანიის საგარეო საქმეთა უწყების სტატს—მდივნის ბარონ ფონ შონის აზრით, „გერმანიას სრულებითაც არ სურს მიიღონს კონცესიები, რომელნიც გამოიწვევენ რუსეთისა და ინგლისის უკმაყოფილებას,

---

[103] ЦГВИА, ГУГШ, ф. 2000, оп. I. д. 3898, Л. 47, управляющий Мин. ин. Дел Российскому посланнику в Тегеране, 2/15 апр. 1910 г.

[104] М. Брукс, Нефть и внешняя политика, М., 1949, стр. 57.

[105] АВПР, ф. Канцелярия, д. 19, лл. 16—17, Шебеко Сазонову, 16/29 апр. 1910 г.

მაგრამ ამ მთავრობების პროექტი ქმნის პრინციპულად ყველაზე უფრო ხელსაყრელ მდგომარეობას რუსეთისა და ინგლისისათვის, რაც გერმანიის საზოგადოებრივი აზრის თვალში შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც გერმანიის ეკონომიკური ინტერესების დამცირება. გერმანია უარს არ იტყვის მეგობრული ხელშეკრულების დადებაზე, რომელიც თეორიულად შეუნარჩუნებს მას უფლებებსა და ღირსებებს და იმავე დროს აღიარებს რუსეთისა და ინგლისის პოლიტიკურ და სტრატეგიულ ინტერესებს"[106].

სპარსეთის მთავრობას როგორც ლონდონმა, ისე პეტერბურგმა მოსთხოვა, მათთან კონსულტაციების გარეშე არავისთვის მიეცა რკინიგზის მშენებლობის კონცესია[107]. გერმანია მტრულად შეხვდა მოწინააღმდეგეების ასეთ პოზიციას, რადგან იგი მიაჩნდა სპარსეთში ეკონომიკური თანასწორობის დარღვევად, და თავის მხრივ მოითხოვა მოლაპარაკება სპარსეთის საკითხებზე. ამასთან დაკავშირებით შებეკო ურჩევდა თავის მოხსენებაში პეტერბურგს, რომ გერმანიასთან საჭიროა მოლაპარაკება, წინააღმდეგ შემთხვევაში — „სპარსეთის საკითხმა შეიძლება მიიღოს ბოსნიის კრიზისის მსგავსი მიმართულება"[108].

1910 წ. აგვისტოში გერმანიის ელჩმა პეტერბურგში პურტალესმა განუცხადა საზონოვს, რომ ბერლინში უკმაყოფილონი იყვნენ სპარსეთში გავლენის სფეროების განაწილების მოუწესრიგებლობით და წინადადებით მიმართა, განეახლებინათ მოლაპარაკება ამ საკითხზე[109]. იმავე დროს გერმანიის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელები არწმუნებდნენ საზონოვს, რომ გერმანიას არავითარი პოლიტიკური მიზნები არ ჰქონდა სპარსეთში და არ ესწრაფვოდა კონცესიების მიღებას რუსეთის ზონაში[110].

რუსეთი დათანხმდა გერმანიის მოთხოვნას სპარსეთის საკითხებზე მოლაპარაკების გამართვის შესახებ.

1910 წ. ივნისში შონი დაინიშნა ელჩად პარიზში და გერმანიის სახელმწიფო მდივანი გახდა კიდერლენ-ვეხტერი, რომლის დანიშვნის შემდეგ საგარეო პოლიტიკა უფრო ენერგიულად წარიმართა. ოსტენ-საკენის ცნობით, „გერმანიის საგარეო საქმეთა დეპარტამენტის

---

106 ЦГИАЛ, ф. 1276, оп. 6, д. 512, л. 5.

107 „სახალხო გაზეთი", 1910 წ. 9/22 მაისი.

108 АВПР, ф. Канцелярия, д. № 19, лл. 20—23, Шебеко Сазонову, 19 апреля/2 мая 1910 г.

109 «Красный архив», 1933, Т. 3 (58), стр. 54.

110 Там же, 1923, Т. 3, стр. 7—8.

განწყობილება შესამჩნევად შეიცვალა, კერძოდ სპარსეთის საკითხში, სადაც გერმანია გარეგნულად აქტიურობას იჩენს»[111].

1910 წ. ნოემბერში ნიკოლოზ II, რომელსაც ახლდა საზონოვი, პოტსდამში შეხვდა ვილჰელმ II-ს. კაიზერი და გერმანიის დიპლომატია, იმედოვნებდნენ, რომ ამ ვიზიტით საგარეოპოლიტიკურ პოზიციებს განიმტკიცებდნენ. მათ, უწინარეს ყოვლისა, ამოძრავებდათ მისწრაფება — შეემოწმებინათ ანტანტასთან რუსეთის კავშირის სიმტკიცე, რათა მოვლენათა ხელსაყრელი განვითარების შემთხვევაში გაეთიშათ ანტანტის ერთსულოვნება, რომ მომავალში თვითეულ მის წევრს ცალ-ცალკე გასწორებოდნენ. ეს იყო გერმანიის დიპლომატიის მთავარი მიზანი. ოფიციალური მოლაპარაკების საგანს კი წარმოადგენდა ბაღდადის რკინიგზასა და ჩრდილოეთ სპარსეთთან დაკავშირებული საკითხების განხილვა.

გერმანიის დიპლომატია ცდილობს, უარი ათქმევინოს რუსეთს საფრანგეთისა და ინგლისის პოლიტიკისადმი მხარდაჭერაზე იმ შემთხვევაში, თუ ეს პოლიტიკა მიმართული იქნება გერმანიის წინააღმდეგ. ამას ისახავდა მიზნად გერმანიის სახელმწიფო მდივანი კიდერლენ-ვეხტერი, როცა არწმუნებდა საზონოვს, რომ თავს ვალდებულად არ თვლიდა მხარი დაეჭირა ავსტრია-უნგრეთის მისწრაფებისათვის ბალკანეთზე. რაც შეეხება ახლო აღმოსავლეთს, კიდერლენის განცხადებით, გერმანია არ ესწრაფვოდა იქ რაიმე პოლიტიკურ მიზნებს, ემხრობოდა status quo-ს და თურქეთის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას. ბაღდადის რკინიგზის მშენებლობა კი გერმანიას მიაჩნდა მხოლოდ ეკონომიკური ხასიათის ღონისძიებად. რაც შეეხება სპარსეთს, გერმანიამ კვლავ დაადასტურა, რომ არ ჰქონდა იქ პოლიტიკური ინტერესი და ესწრაფვოდა მხოლოდ სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას[112].

საზონოვი მიესალმა გერმანიის ასეთ პოზიციას და თავის მხრივ განაცხადა, რომ ბოსნიის კრიზისი წარსულს ჩაბარდა და რუსეთის საგარეო პოლიტიკაზე გავლენას აღარ მოახდენდა მომავალში. საზონოვის აზრით, რუსეთის ერთადერთ ამოცანას იმ დროს შეადგენდა საკუთარი საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცება, ხოლო 1907 წ. შეთანხმება ინგლისთან მიზნად ისახავდა მხოლოდ უთანხმოების მოწესრიგებას შუა აღმოსავლეთში; რუსეთი არც ფიქრობდა, მხარი დაეჭირა მისთვის, თუ ის ანტიგერმანულ პოლიტიკას გაატა-

---

[111] АВПР, ф. Канцелярия, д. № 204, лл. 2—4, Остен-Сакен Сазонову, 6/19 августа, 1910 г.

[112] Gr. Pol., Bd. 27, T. 2, № 10155, S. 842.

რებდა. რადგან რუსეთსა და გერმანიას, როგორც მეზობელ სახელმწიფოებს, მეგობრულად უნდა ეცხოვრათ[113]. ამაზე ოცნებობდა სწორედ კიდერლენ-ვეხტერი, მაგრამ იმედები არ გაუმართლდა — მისი მოლაპარაკება საზონოვთან მხოლოდ საუბრის ხასიათს ატარებდა და ქაღალდზე არ ყოფილა ფიქსირებული. ამიტომ გასაკვირი არც არის, რომ შეთანხმების ხელმოწერამდე საქმე არ მისულა. რუსეთს აზრადაც არ მოსვლია ისეთი ნაბიჯის გადადგმა, რაც უეჭველია ანტანტის გათიშვას გამოიწვევდა. გერმანიის მმართველი წრეები კარგად გრძნობდნენ ამას, მაგრამ სურდათ ხელთ ჰქონოდათ საბუთი, რათა საჭიროების შემთხვევაში დაერწმუნებინათ ინგლისი რუსეთის ღალატში და ამით მიეღწიათ მისგან შესაბამისი ღონისძიებებისათვის.

კიდერლენ-ვეხტერს რუსეთთან საერთო პოლიტიკური შეთანხმების დადება მიაჩნდა გერმანიის დიპლომატიის მთავარ ამოცანად; იგი წერდა: „რუსეთის დაპირებანი ინგლისთან მისი დამოკიდებულების შესახებ ჩემთვის წარმოადგენს მთელი შეთანხმების ალფასა და ომეგას. ის უნდა იქნეს ჩამოყალიბებული იმგვარად, რომ იმ დღესვე, როცა მის შესახებ გაიგებენ ინგლისელები, მან სახელი გაუტეხოს რუსეთს"[114]. რუსეთს მსგავსი შეთანხმების დადება შეუძლებლად მიაჩნდა, ამიტომ მოლაპარაკება გაჭიანურდა. რომ დაემშვიდებინა ინგლისი და საფრანგეთი, საზონოვმა პეტერბურგში დაბრუნებისას „ნოვოე ვრემიას" კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: გერმანიის მხრიდან არავითარ ცდას არ ჰქონდა ადგილი — ჩამოეცილებინა რუსეთი საფრანგეთისა და ინგლისისაგან, რადგანაც გერმანიის პოლიტიკურ მოღვაწეებს ესმოდათ, რომ რუსეთი თავისი მოკავშირეების ერთგული იყო და ამასთან არავითარი მიზეზი არ გააჩნდა, უარი ეთქვა თავის ვალდებულებებზე მათ მიმართ[115].

მიუხედავად ამისა, გერმანია ყოველგვარად ცდილობდა, უთანხმოება გამოეწვია რუსეთსა და მის მოკავშირეებს შორის. ამას ისახავდა მიზნად ბეტმან-ჰოლვეგის განხცადება რაიხსტაგში, თითქოს გერმანიამ მიაღწია შეთანხმებას რუსეთთან. კანცლერმა თავისი გამოსვლისას აცნობა დეპუტატებს „პოტსდამის შეხვედრის დადებითი შედეგების შესახებ. მისი სიტყვით, სანდო და ახლო ურთიერთობა გერმანიასა და რუსეთს შორის განახლდა"[116]. იმავე დროს გერმა-

---

[113] Gr. Pol., Bd. 27, T. 2, № 10159, S. 846.

[114] Gr. Pol., Bd. 27, T. 2, № 10167, S. 861—862.

[115] «Новое время», 27 октября/9 ноября 1910 г.

[116] АВПР, ф. Канцелярия, д. 18, л. 368, Остен-Сакен Сазонову, 28 ноября /11 декабря 1910 г.; იხ. აგრეთვე, Gr. Pol., Bd. 27, T. 2, № 10159, Beilage 2.

ნიის პრესა განსაკუთრებით აღნიშნავდა კანცლერის განცხადებას იმის შესახებ, რომ რუსეთი და გერმანია ერთნაირად იყვნენ დაინტერესებული ახლო აღმოსავლეთში არსებული Status quo-ს შენარჩუნებით და რომ ორივე ქვეყნის მთავრობა არავითარ კომბინაციაზე არ წავიდოდა, რომელიც მიაყენებდა ზიანს მათს ურთიერთმეგობრულ დამოკიდებულებას[117].

კანცლერის ამ განცხადებამ დიდი შეშფოთება გამოიწვია პარიზსა და ლონდონში[118], სადაც დარწმუნებული იყვნენ, რომ მოლაპარაკებანი გერმანიასა და რუსეთს შორის მხოლოდ სპარსეთის საკითხსა და ბაღდადის რკინიგზის მშენებლობას შეეხებოდა. განსაკუთრებული აღშფოთებით შეხვდნენ განცხადებას საფრანგეთში. ფრანგული გაზეთები მიუთითებდნენ, რომ რუსეთის პოლიტიკა ბოლოს უღებდა სამთა შეთანხმებას[119]. ინგლისმა და საფრანგეთმა სასწრაფოდ მიმართეს ღონისძიებებს, რომ ზეგავლენა მოეხდინათ რუსეთზე, თუმცა ეს უკანასკნელი ამის გარეშეც არ აპირებდა გერმანიასთან საერთო პოლიტიკურ შეთანხმებაზე ხელის მოწერას, რუსეთის უარი მეტყველებდა იმაზე, რომ გერმანიის დიპლომატიამ თავის მიზანს ვერ მიაღწია, ხოლო ანტანტა კიდევ უფრო განმტკიცდა, რადგან რუსეთმა სამთა კავშირთან დაახლოებაზე საბოლოოდ აიღო ხელი. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ანტანტისათვის, რადგან ინგლის-გერმანიის წინააღმდეგობები იმ დროისათვის ძალზე გამწვავდა. რაც პოტსდამის მოლაპარაკების დროსაც გამომჟღავნდა[120].

ყურადღების ღირსია გერმანიის საგარეო პოლიტიკის შეფასება მთავრობის ოფიციალური ორგანოს „ნორდდოიჩე ალგემაინე ცაიტუნგის“ მიერ. გაზეთი თავის საახალწლო გამოშვებაში აფასებდა გერმანიის საგარეო პოლიტიკურ მოღვაწეობას გასულ 1910 წ. და მიუთითებდა, რომ მან ჩაიარა „შედარებით მშვიდ პოლიტიკურ ვითარებაში, ვიდრე ადრინდელმა წლებმა. თუმცა დროის ამ პერიოდშიც მჟღავნდებოდა ზოგიერთის მხრივ მისწრაფება, დაერღვიათ პოლიტიკური ცხოვრების მშვიდობიანი მსვლელობა. გერმანიის საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედს... წარმოადგენს ყველაზე ახლო და გულითადი ურთიერთობა სამთა კავშირის შემადგენლობაში შემავალ ორ დანარჩენ სახელმწიფოსთან. მტკიცე კავშირს, რომლითაც გერმანია დაკავშირებულია თავის მოკავშირეებთან, სულაც არ შეუშლია ხე-

---

[117] АВПР, ф. Канцелярия, д. 18. Л. 368.

[118] H. Herzfeld, დასახ. ნაშრ., გვ. 18.

[119] И. И. Астафьев. Русско-германские дипломатические отношения 1905—1911 гг. М., 1972, стр. 257.

[120] «Красный архив», 1923, Т. 3, стр. 6.

ლი მისთვის გასული წლის განმავლობაში... განემტკიცებინა მეგობრული ურთიერთობა სხვა სახელმწიფოთა მიმართ"[121]. რაც შეეხება ბალკანეთის საქმეებს, გაზეთი მიუთითებდა, რომ სამთა კავშირის სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელთა შორის აზრთა გაზიარებისას გამოირკვა, როგორც პოტსდამის შეხვედრისას, რომ სასურველი იყო Status quo-ს შენარჩუნება ბალკანეთის ნახევარკუნძულზე[122].

გერმანიასა და რუსეთს შორის გაჭიანურებული მოლაპარაკებანი დამთავრდა იმით, რომ 1911 წ. 19 აგვისტოს მიღწეულ იქნა შეთანხმება სპარსეთის პრობლემებისა და ბაღდადის რკინიგზის მშენებლობის შესახებ: გერმანია უარს ამბობდა ეკონომიკურ კონცესიებზე (რკინიგზები, გზატკეცილები, ტელეგრაფი და სხვ.) სპარსეთის ჩრდილოეთ ნაწილში, რომელიც რუსეთის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა[123]. შეთანხმება შეიცავდა დადგენილებას, რომ მომავალში, როცა გერმანელები მიიყვანდნენ ბაღდადის რკინიგზის ხანეკინამდე, რუსეთს შეეძლო გაეყვანა რკინიგზის ხაზი თეირანიდან დასავლეთის საზღვრისაკენ, ხანეკინამდე[124].

გერმანიისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ რუსეთი დათანხმდა, არ გაეწია შემდგომში წინააღმდეგობა ბაღდადის რკინიგზის მშენებლობისათვის, რომელიც ემუქრებოდა ინგლისის პოზიციებს სპარსეთის ყურეში[125]. ასეთი შეთანხმება, მართალია, უადვილებდა გერმანიას სპარსეთში შეჭრას, მაგრამ მთავარი მიზანი — ანტანტის გათიშვა, მაინც განუხორციელებელი დარჩა. ვ. ი. ლენინი, ეხებოდა რა რუსეთ-გერმანიის შეთანხმებას თავის რვეულებში იმპერიალიზმის შესახებ, 1911 წ. ქვეშ წერდა: „რუსეთის ხელშეკრულება გერმანიასთან (19. IIV), აგრეთვე თავისებური „ურთიერთდაზღვევა" (ბაღდადი სპარსეთის სამაგიეროდ)"[126].

რუსეთის თანხმობა ბაღდადის რკინიგზის მშენებლობის თაობაზე არ ეწინააღმდეგებოდა მისი მოკავშირეების ინტერესებს, რადგანაც იმავე პერიოდში, 1911 წ. მარტში, გერმანიამ შესთავაზა ინგ-

---

[121] АВПР, ф. Канцелярия, д. 18, Л. 399, Остен-Сакен Сазонову, 21 дек./16 янв. 1910—1911 гг.

[122] იქვე.

[123] O. Hauser. Deutschland und der englisch — russische Gegensatz, S. 120; см. также, «Сборник договоров России с другими государствами 1856—1917 гг.», М., 1952, Док. № 64, стр. 405—407.

[124] იხ. O. Hauser, დასახ. ნაშრ. გვ. 128—129. L. Rathmann. Berlin, —Bagdad, S. 90.

[125] «Красный архив», № 3(58), 1933, стр. 49, 51.

[126] ვ. ი. ლენინი, რვეულები იმპერიალიზმის შესახებ, თხზ., ტ. 39, გვ. 714.

ლისს, რომ შესაფერისი კომპენსაციის საფასურად ბაღდადის რკინიგზის საზოგადოება ხელს აიღებდა უკანასკნელი მონაკვეთის (ბაღდადი-სპარსეთის ყურე) მშენებლობაზე. ინგლისის პრესა გამოთქვამდა აზრს, რომ პოტსდამის 1911 წ. შეთანხმებამ, მართალია, არ დაშალა ანტანტა, მაგრამ დარტყმა კი მიაყენა მას, რადგანაც ინგლისის პოზიციები მისთვის მნიშვნელოვან ბაღდადის რკინიგზის საკითხში არსებითად დასუსტებული აღმოჩნდა[127]. ამ საკითხის შესახებ ედ. გრეის გამოსვლამ ინგლისის თემთა პალატაში, იტყობინებოდა შებეკო, კეთილსასურველი შთაბეჭდილება მოახდინა ბერლინზე[128]. ედ. გრეიმ თავის სიტყვაში თუმცა აღიარა, რომ ბაღდადის რკინიგზა იყო გერმანული ხასიათის წარმოება, მაგრამ იმავე დროს გამოხატა მტკიცე განზრახვა, არავითარ შემთხვევაში არ დაეთმოთ ინგლისის პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები ამ გზის უკანასკნელი მონაკვეთის საკითხზე დავისას[129].

გრეის გამოსვლას შედარებით ნაკლები თანაგრძნობით შეხვდნენ გერმანიაში, განსაკუთრებით კი პანგერმანული წრეები, რომელნიც „მთავარ ყურადღებას აქცევდნენ... ინგლისის განზრახვას — მოეთხოვათ არა მარტო კონტროლი გზის უკანასკნელ მონაკვეთსა და მის ბოლო პუნქტზე სპარსეთის ყურეში, არამედ აგრეთვე ზოგიერთი კომპენსაცია ახალი რკინიგზის კონცესიის სახით, რომელიც შეაერთებდა ბაღდადის რკინიგზის უკანასკნელ მონაკვეთს რომელიმე პუნქტთან ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე[130].

გრეის გამოსვლას ინგლისის პარლამენტში, სადაც ის შეეხო ბაღდადის რკინიგზის მშენებლობის საკითხს, ოფიციალური გერმანია დადებითად გამოეხმაურა და სტატიაც უძღვნა „ნორდდოიჩე ალგემაინე ცაიტუნგ“-ში. გაზეთი ხაზს უსვამდა გრეის სიტყვის იმ ნაწილს, სადაც ეს უკანასკნელი იმოწმებდა ბეტმან-ჰოლვეგის გამოსვლას გერმანიის რაიხსტაგში 1910 წ. დეკემბერში, რომელშიც კანცლერმა მიუთითა, რომ ინგლისისა და გერმანიის მთავრობებს შორის ურთიერთუნდობლობას არ ჰქონდა ადგილი[131]. საერთოდ, „ნორდდოიჩე ალგემაინე ცაიტუნგ“-ი სიმპათიით გამოეხმაურა გრეის უკანასკნელი განცხადებების შემრიგებლურ ტონს[132].

პოტსდამის მოლაპარაკებანი არავითარ წინააღმდეგობას არ ბა-

---

[127] А. В. Игнатьев. Русско-английские отношения накануне первой мировой войны (1908—1914 гг.), М., 1962, стр. 101.

[128] АВПР, ф. Канцелярия, д. 18, л. 58, Шебеко Сазонову, 4/17 марта 1911 г.

[129] იქვე.

[130] იქვე, ფ. 58—59.

[131] იქვე, ფ. 60.

[132] იქვე.

დებდა ავსტრია-უნგრეთთან ორი მიზეზის გამო: ჯერ ერთი, გერმანია მოკავშირეს თავისი ყოველი ნაბიჯის შესახებ ატყობინებდა, მეორეც, ავსტრია-უნგრეთს შუა აღმოსავლეთში განსაკუთრებული ინტერესები არ ჰქონდა.

ვილჰელმ II თავის მემუარებში აღნიშნავდა, რომ გერმანიისა და რუსეთის სახელმწიფო მოღვაწეებს შორის პოტსდამის მოლაპარაკებებმა წარმატებით ჩაიარეს და მათ მომავლისათვის კარგი პერსპექტივები დასახეს, ხოლო, რაც შეეხება ძველ უსიამოვნებებს, ისინი სამუდამოდ დავიწყებულ იქნა[133]. გერმანიის პრესაც იგივეს ამტკიცებდა და შეთანხმებას ახასიათებდა როგორც გერმანიის დიდ მოღწევას. რომელმაც ბირი გამოუთხარა მის იზოლაციას. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ ხელშეკრულების არსს ობიექტურად აფასებდა „სახალხო გაზეთი"[134].

მართალია, პოტსდამის შეთანხმება გერმანიისათვის უფრო ხელსაყრელი იყო, რადგან იგი აძლევდა ბაღდადის რკინიგზის მშენებლობისა და სპარსეთში გერმანიის ექსპორტის გაზრდის შესაძლებლობას მომავალში, მაგრამ მიუხედავად ამისა, მთავარი მიზანი, რომელსაც ესწრაფვოდა გერმანიის იმპერიალიზმი, მიუღწეველი დარჩა. რუსეთი ვერ გადაიბირა თავის მხარეზე და ვერც უთანხმოება ჩამოაგდო ანტანტის წევრებს შორის. პირიქით, გერმანიის ურთიერთობა მათთან, რუსეთის გამოკლებით (ისიც დროებითი), კვლავ გამწვავდა.

3. სამხედრო-საზღვაო შეიარაღების გაძლიერება გერმანიაში

პირველი მსოფლიო ომის წინ ევროპის დიდ კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ადგილი ჰქონდა წინააღმდეგობათა გამწვავებას, რაც დაძაბულ ვითარებას ქმნიდა კონტინენტზე. გაძლიერდა ომისათვის მზადება სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური და იდეოლოგიური მიმართულებებით. განსაკუთრებულ აქტიურობას იჩენდა გერმანია, რომლის მმართველი წრეები და განსაკუთრებით ფინანსური ოლი-

---

[133] Вильгельм II. Мемуары, стр. 68.

[134] „გერმანელებისათვის ამ საქმეში, — წერდა გაზეთი, — ის უფროა გასახარი, რომ ეს ხელშეკრულება სწორედ მაშინ დაიდო, როდესაც გერმანია - საფრანგეთის დამოკიდებულებანი გამწვავდნენ და საფრანგეთმა რუსეთს მიმართა ვითარცა პოლიტიკურ მოკავშირეს... შეეძლებელია ეს ორი სახელმწიფო ამას გულგრილად შეხვდნენ.. ევროპის პოლიტიკის საერთო მსვლელობაზე ეს ხელშეკრულება რასაკვირველია, ვერ იმოქმედებს, მაგრამ გერმანელებს მაინც წაათამამებს და ეს კი სწორედ რომ უდროვოა" („სახალხო გაზეთი", 1911 წ., 19 აგვ./1 სექტ.).

გარქვის წარმომადგენლები ცდილობდნენ გერმანიის მონოპოლისტური კაპიტალის ბატონობა გაევრცელებინათ მთელ მსოფლიოზე. ყოველივე ეს იწვევდა სახალხო მეურნეობის მილიტარიზაციას, ბიძგს აძლევდა გამალებულ შეიარაღებასა და სამხედრო ხარჯების უზარმაზარ ზრდას.

პანგერმანული კავშირი, საფლოტო კავშირი, კოლონიური საზოგადოება და სხვა ორგანიზაციები, რომელნიც წარმოადგენდნენ იარაღს მძიმე მრეწველობის მაგნატების, ჰამბურგელი გემთმფლობელების, პრუსიელი იუნკრებისა და კაიზერული გერმანიის ფინანსისტების ხელში, ეწეოდნენ ომის პროპაგანდას ფართო მასშტაბებით, ცდილობდნენ ეჩვენებინათ, თითქოს შეიარაღება მიმდინარეობდა მხოლოდ ეროვნული მიზნებისათვის. ვ. ი. ლენინი წერდა: „ცნობილია, რომ უკანასკნელ წლებში ინგლისიც და გერმანიაც მეტისმეტად აძლიერებენ შეიარაღებას. ამ ქვეყნების კონკურენცია მსოფლიო ბაზარზე სულ უფრო და უფრო მწვავდება. სამხედრო შეტაკება სულ უფრო მრისხანედ ახლოვდება. ორივე ქვეყნის ბურჟუაზიული შოვინისტური პრესა ხალხის მასებში მილიონობით ისვრის აღმგზნებ სტატიებს, რომელნიც ავსებენ „მტერზე“ წასისიანებით, „გერმანიის შემოსევის“ თუ „ინგლისის თავდასხმით“ გარდუვალ საფრთხეზე გოდებით, გაძლიერებული შეიარაღების აუცილებელ საჭიროებაზე ყვირილით“[135].

ამ პერიოდისათვის წინააღმდეგობანი გერმანიასა და ინგლისს შორის სულ უფრო მწვავე ფორმებს იღებს და ხდება საერთაშორისო ურთიერთობების განმსაზღვრელი ფაქტორი. ამ ორი ქვეყნის ურთიერთმტრობა ემყარება ეკონომიკურ წინააღმდეგობებს და მისგან გამომდინარე გამალებული შეიარაღების პოლიტიკას. გერმანიაც და ინგლისიც ენერგიისა და სახსრების დაუზოგავად ეწევიან სამხედრო-საზღვაო ფლოტის გრანდიოზულ მშენებლობას.

იუნკრების სამხედრო იდეოლოგმა, გენერალური შტაბის უფროსმა შლიფენმა შეიმუშავა „ელვისებური“ ომის სტრატეგია, რომელიც მან ჩამოაყალიბა მემორანდუმში „ომი საფრანგეთის წინააღმდეგ“[136]. ამ გეგმის თანახმად უპირატესობა ენიჭებოდა სახმელეთო ძალების განვითარებას. იგი გერმანიას წარმოსახავდა, როგორც სუსტ და დაუცველ ქვეყანას, რომელიც გარშემორტყმული იყო შეიარაღებული მეზობლებით. ამით შლიფენს სურდა დაესაბუთებინა, რომ

---

[135] ვ. ი. ლენინი, ინგლისის სოციალ-დემოკრატიული პარტიის კონგრესი, თხზ. ტ. 17, გვ. 194.

[136] იხ. G. Ritter. Der Schliffen-Plan. Kritik eines Mythos, S. 145-160.

გერმანიისათვის აუცილებელი იყო მძლავრი სახმელეთო ჯარი. აი რას წერდა იგი: ევროპის „ცენტრში დგანან დაუცველი გერმანია და ავსტრია, მათს გარშემო კი განლაგებული არიან, თხრილებსა და მიწაყრილებს უკან, დანარჩენი სახელმწიფოები... არსებობს დაჟინებული მისწრაფება, შეაერთონ ყველა ეს სახელმწიფო შუალედურ სახელმწიფოებზე ერთობლივი თავდასხმისათვის“[137].

შლიფენი სტატიაში „თანამედროვე ომი“ (1909 წელი) უთითებდა ეკონომიკურ ფაქტორზე იმისათვის, რომ დაემტკიცებინა ხანგრძლივი ომის შეუძლებლობა „ეპოქაში, როცა ერის მთელი არსებობა დამოკიდებულია ვაჭრობისა და მრეწველობის უწყვეტ განვითარებაზე და გაჩერებული მექანიზმი კვლავ უნდა ამოქმედდეს სწრაფი გადაწყვეტილების დახმარებით. დამშევის სტრატეგია უაზრობაა, როცა მილიონების (ჯარისკაცების — ვ. ჩ.) შენახვა მოითხოვს მილიარდობით ხარჯს“[138]. ეკონომიკურ ფაქტორს შლიფენი უმატებდა პოლიტიკურ ფაქტორსაც: „ყველანი გრძნობენ, — წერდა იგი, — რყევას უდიდესი ხარჯების, შესაძლებელი დიდი დანაკარგების და წითელი მოჩვენების მოლოდინში, რომელიც იღვიძებს მათს ზურგში“[139]. ცხადია, შლიფენი ითვალისწინებდა, რომ გერმანია როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური მიზეზებით ვერ შეძლებდა ხანგრძლივი ომის წარმოებას ორ ფრონტზე სახელმწიფოების უფრო ძლიერ კოალიციასთან.

გერმანიის ფინანსურ მაგნატებს აინტერესებდათ ომი, უწინარეს ყოვლისა, ინგლისის წინააღმდეგ, მისი უმდიდრესი კოლონიების დაპყრობისა და საბოლოოდ მსოფლიო ბატონობის მოპოვების მიზნით. ამას შეესაბამებოდა გეგმები ადმირალ ტირპიცისა, რომელიც გამოდიოდა გერმანიის მონოპოლისტური ბურჟუაზიის იდეოლოგის როლში. იგი მთავარ იმედებს ამყარებდა დიდი სამხედრო-საზღვაო ფლოტის მშენებლობაზე, რომლის შემადგენლობაში იქნებოდნენ სახაზო გემები. მართალია, შლიფენის გეგმა უპირატესობას ანიჭებდა სახმელეთო და არა საზღვაო ძლიერებას, მაგრამ ეს უკანასკნელი მაინც მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა გერმანიის იმპერიალიზმის სამხედრო დოქტრინაზე.

XIX ს. ბოლოს გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტს მეხუთე

---

[137] А. Шлиффен. Канны, М., 1938, стр. 368—369.
[138] Там же, стр. 364.
[139] Там же, стр. 370.

ადგილი ეკავა მსოფლიოში და ჩამორჩებოდა ინგლისს, საფრანგეთს, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მეფის რუსეთს[140].

გერმანიის იმპერიალიზმის მნიშვნელოვანი ღონისძიება. მიმართული ომის მომზადებისაკენ განაწილებული მსოფლიოს გადანაწილების მიზნით, იყო გერმანიის 1898 წ. სამხედრო-საზღვაო კანონი ფლოტის გაძლიერების შესახებ[141], რომელიც ითვალისწინებდა: 1904 წლამდე სახაზო გემების რიცხვი გაეზარდათ 17-მდე, ჯავშნოსნებისა 9-მდე, მსუბუქი კრეისერებისა 26-მდე, დამხმარე გემებისა შესაბამის რაოდენობამდე[142].

ტირპიცის მიხედვით „ფლოტის წარმატებით მშენებლობისათვის აუცილებელი იყო მშვიდობა, მეორე მხრივ კი, თვით ეს მშენებლობა ხელს უწყობდა მშვიდობას"[143]. სინამდვილეში, გამალებული საზღვაო შეიარაღების დაწყება კიდევ უფრო ამწვავებდა წინააღმდეგობებს ინგლისსა და გერმანიას შორის და საფუძველს უყრიდა მათს მომავალ დიდ შეტაკებას.

გერმანიის 1898 წ. სამხედრო კანონი ფლოტის გაძლიერების შესახებ მიმართული იყო, უწინარეს ყოვლისა, ინგლისის საზღვაო ძლიერების წინააღმდეგ. მძლავრი ფლოტის შექმნით გერმანია ფიქრობდა, აეძულებინა ინგლისი, დაეთმო პოზიციები კოლონიურ ასპარეზზე. ადმირალი ტირპიცი რაიხსტაგში გამოსვლისას გერმანიის საზღვაო პროგრამის დასაბუთებას ცდილობდა. ის მიმართავდა დეპუტატებს: „თუ შეიქმნება ისეთი ფლოტი, როგორიც ეს დასახულია, ამით თქვენ შექმნით ფლოტს ქვეყნის თავდაცვისათვის, რომლის წინააღმდეგ თვით პირველი რანგის საზღვაო სახელმწიფოც ვერ შეძლებს შეტევითს მოქმედებას"[144].

დაახლოებით ასეთივე შეფასებას აძლევდა და, ამდენად, ამართლებდა კიდეც გერმანიის მიერ მძლავრი სამხედრო-საზღვაო ფლოტის შექმნას კანცლერი ბიულოვი. იგი წერდა: „ვაშენებთ რა საკუთარ ფლოტს, ჩვენ მხედველობაში გვაქვს სწორედ ეროვნული თავდაცვის იარაღის შექმნა და ჩვენი ეროვნული უშიშროების გაძლიერება, ჩვენ არასოდეს ვიყენებდით მას სხვა მიზნით"[145].

---

[140] W. Hubatsch. Der Admiralstab und Die obersten Marinebehörden in Deutschland 1848—1945, Frankfurt a/M., 1958, S. 86.

[141] იხ. O. Hauser. Deutschland und der englisch-zussische Gegensatz 1900—1914, S. 10.

[142] შვიდი წლის განმავლობაში (1898—1904 წწ.) გათვალისწინებული იყო შვიდი სახაზო გემის, ორი მძიმე და შვიდი მსუბუქი კრეისერის, აგება.

[143] А. Тирпиц. указ. соч., стр. 213.

[144] Международные отношения 1870—1918, сб. док., стр. 126.

[145] Б. Бюлов. Внешняя политика Германии, Одесса, 1915, стр. 71.

მოძრაობას მძლავრი სამხედრო-საზღვაო ფლოტის შექმნისათვის სათავეში ედგა თვითონ იმპერატორი ვილჰელმ II, რომელიც გერმანიის ექსპანსიონისტური გეგმების განხორციელების მნიშვნელოვან პირობად თვლიდა როგორც დიდი და ძლიერი არმიის, ასევე მძლავრი საზღვაო ფლოტის არსებობას[146]. ვილჰელმ II ჯერ კიდევ 1890 წ. 23 სექტემბერს შტეტინში ახალი ნავსადგურის გახსნასთან დაკავშირებით თავის გამოსვლაში აცხადებდა: „ჩვენი მომავალი ზღვაზეა"[147]. ცოტა მოგვიანებით, 1900 წ. 1 იანვარს, ვილჰელმ II, ლაპარაკობდა რა საზღვაო ფლოტის შესახებ, ასაბუთებდა მის დიდ მნიშვნელობას გერმანიისათვის მომავალ ბრძოლებში. „იმას, რაც გააკეთა ჩემმა ბაბუამ სახმელეთო ჯარებისათვის, — ამბობდა ვილჰელმ II.—მე გავაკეთებ ფლოტისათვის. ვიმოქმედებ ყოველგვარი მერყეობის გარეშე; განვაგრძობ და დავამთავრებ ფლოტის რეორგანიზაციის ჩემს საქმეს იმგვარად, რომ ჩემი საზღვაო ძალები გაუთანაბრდნენ სახმელეთოს, მაშინ გერმანიის იმპერია შეძლებს, დაიკავოს ის მსოფლიო მდგომარეობა, რაც მას ჯერ კიდევ არ გააჩნია. ამ ორი არმიით მე იმედი მაქვს განვახორციელო, ღმერთის შემწეობით, ფრიდრიხ-ვილჰელმ I-ის სიტყვები: „იმისათვის, რომ რამეს მიაღწიო ამ ცხოვრებაში, მხოლოდ კალამი და ქაღალდი არ არის საკმარისი, თუ მათ მხარს არ უჭერს იარაღის ძალა"[148].

ამ დროისათვის ინგლისი ბურებს ეომებოდა და ესაჭიროებოდა რა გერმანიის ნეიტრალიტეტი, თავის პროტესტს ენერგიულად ვერ გამოთქვამდა. გერმანიის მთავრობამ ისარგებლა ამ მომენტით და 1900 წლის 12 ივნისს რაიხსტაგში გაიყვანა ახალი კანონი (20 წლის ვადით), რომელიც ითვალისწინებდა ფლოტის შემადგენლობის და გემთმშენებლობის პროგრამის გადიდებას. ეს პროგრამა იყო ინგლისის საზღვაო ჰეგემონიაზე აშკარა თავდასხმა.

ინგლისი გერმანიის იმპერიის სამხედრო-საზღვაო ძლიერების ყოველგვარ გადიდებას განიხილავდა, როგორც პირდაპირ გამოწვევას და მუქარას დიდი ბრიტანეთის არსებობისათვის[149].

საზღვაო შეიარაღების გაძლიერებას პროპაგანდას უწევდა საფლოტო კავშირი, რომელიც ავრცელებდა წიგნებსა და ბროშურებს, ატარებდა ლექციებს, მოხსენებებს. სახსრები ამ მიზნებისათვის სპეციალური შეწირულების სახით უპირატესად გროვდებოდა გერმანე-

---

146 Вильгельм II. Мемуары, стр. 75.

147 Жюль Арреш. Вильгельм II, пер. с франц., М., 1914, стр. 143.

148 Там же, стр. 141.

149 Е. В. Тарле, указ. соч., стр. 89.

ლი თავადებისა და სხვა კერძო პირებისაგან. როგორც გაზეთი „ფორვერტსი“ უთითებდა, ეს თანხა შეადგენდა 411812 მარკას[150].

პანგერმანული კავშირი მოითხოვდა ისეთი გერმანული ფლოტის შექმნას, რომელიც ტოლს არ დაუდებდა დიდი ბრიტანეთის ფლოტს გასაღების ბაზრებისა და ნედლეულის წყაროებისათვის ბრძოლაში. მაგალითად, ერთ-ერთ მოწოდებაში, რომლებიც იმ დროს მრავლად იბეჭდებოდა, ნათქვამი იყო: „გერმანიის იმპერიის ვიწრო საზღვრებს არ შეესაბამება ჩვენი ხალხის ბედი, მისი ისტორია, მისი კულტურა, მისი შინაგანი მიზანსწრაფვა, რაც აძლევს მას უფლებას გაბატონებულ მდგომარეობაზე“[151].

სამხედრო-საზღვაო შეიარაღების მომხრეებმა ისარგებლეს ალხესირასის კონფერენციაზე გერმანიის საგარეო პოლიტიკის წარუმატებლობით და მოითხოვეს 1906 წ. სამხედრო-საზღვაო პროგრამის მიღება, ვითომდა იმისათვის, რომ, როგორც ტირპიცი აღნიშნავდა, არ შეექმნათ გერმანიისათვის „ახალი საფრთხე კიდევ უფრო ღრმა დამცირებისა მომავალში“[152].

1906 წ. ინგლისში წყალში ჩაუშვეს ახალი ზემძლავრი სამხედრო გემი „დრედნოუტი“[153]. ამ მოვლენას ძალზე დიდი ბნიშვნელობა ჰქონდა. დიდი ბრიტანეთის საადმირალო ფიქრობდა, რომ ზემძლავრი ხომალდების შექმნით განამტკიცებდა საკუთარ საზღვაო უპირატესობას, რადგან იმედოვნებდა, რომ წლების განმავლობაში გერმანული ნავსაშენები ვერ შეძლებდნენ დრედნოუტების აგებას, და ასეთი გიგანტური გემების კილის არხში გატარებას[154]. მაგრამ საადმირალო შეცდა. უკვე 1906 წ. გერმანია შეუდგა დრედნოუტების მშენებლობას. შექმნილი ვითარება გერმანიისათვის უფრო ხელსაყრელი ჩანდა, რადგან აქედან მოყოლებული სამხედრო-საზღვაო ფლოტის ძლიერება უნდა გაზომილიყო უმთავრესად დრედნოუტების რაოდენობით. ჯავშნოსნების ყველა ძველი ესკადრა ამ ახალი ტიპის გემებთან შედარებით მნიშვნელობას კარგავდა და ამდენად საზღვაო შეიარაღებაში უპირატესობისათვის ბრძოლა თითქმის თავიდან იწყებოდა[155].

---

[150] См. Гейдорн. Монополии - пресса - война, стр. 35, прим., 1; Deutschland im ersten Weltkrieg, Bd. I, S. 79.

[151] АВПР, ф. Канцелярия, д. 20, Л. 288, 1909 г., All-Deutscher verband. Aufruf zum Beitritt.

[152] А. Тирпиц. Воспоминания, стр. 234.

[153] dreadnought, ინგ. — უშიშარი, საერთო სახელწოდება ახალი ტიპის გემებისა, რომელთაც გააჩნდათ მთელი რიგი ტექნიკური უპირატესობანი ძველ ჯავშნოსნებთან შედარებით შეიარაღების, სიჩქარის და ა. შ. მიხედვით.

[154] А. Тирпиц, Воспоминания, стр. 224.

[155] П. Рорбах. Указ. соч., стр. 42.

გერმანიისა და სხვა სახელმწიფოების მიერ დრედნოუტების მშენებლობის წარმატებითმა დაწყებამ ინგლისის საზღვაო ძალების შედარებითი შესუსტება გამოიწვია „...ამჟამად გერმანიისა და ინგლისის დიდი საბრძოლო გემების შეფარდება გამოიხატება 10:16. დრედნოუტების მშენებლობის გარეშე ეს შეფარდება ვერასოდეს იქნებოდა მიღწეული. შეიძლება ითქვას, რომ ინგლისმა დაუშვა რა, მისი აზრით, პირველი შეცდომა — ჰელჰოლანდის დათმობა, თხუთმეტი წლის შემდეგ მიუმატა მეორე — დრედნოუტების მშენებლობა"[156]. ეს იმ დროს, როცა ინგლისს დიდი უპირატესობა ჰქონდა ძველი ტიპის ჯავშნოსნების რაოდენობითა და სიძლიერით[157].

გერმანელი იმპერიალისტები დრედნოუტების გამოჩენას აღფრთოვანებით შეხვდნენ. ამაში ისინი ხედავდნენ საზღვაო შეიარაღებაში ჩამორჩენის ლიკვიდაციის კარგ შესაძლებლობას და, ცხადია, ასეთი ხელსაყრელი ვითარების ხელიდან გაშვება არ სურდათ.

სამხედრო-საზღვაო უწყების მეთაურმა ადმირალმა ტირპიცმა 1907 წ. მეორე ნახევარში წარადგინა საკავშირო საბჭოში ახალი კანონის პროექტი საზღვაო ფლოტის გაძლიერების შესახებ. გერმანიის რაიხსტაგში სამხედრო-საზღვაო კანონპროექტის განხილვასთან დაკავშირებით ინგლისში შეიქმნა საგანგაშო განწყობილება როგორც სამხედრო, ისე საზღვაო წრეებში. რომ შეემცირებინა ეს მღელვარება, ვილჰელმ II-მ 1908 წ. 16 თებერვალს წერილით მიმართა დიდი ბრიტანეთის საადმირალოს პირველ ლორდს ტვიდმოუტს. წერილში იმპერატორი ცდილობდა, გაემართლებინა საზღვაო ფლოტის მშენებლობა გერმანიაში და ირწმუნებოდა, რომ ის არ იყო მიმართული ინგლისის წინააღმდეგ. კაიზერის წერილს, როგორც ჰალგარტენი შენიშნავს, „არ გააჩნდა სხვა ისტორიული მნიშვნელობა, გარდა იმისა, რომ მან ერთხელ კიდევ აჩვენა მსოფლიოს გერმანიის მბრძანებლის უგნურება"[158].

მილიტარისტული წრეების მოთხოვნამ რაიხსტაგსა და პრესაში, გაეძლიერებინათ საზღვაო ფლოტი, წარმატებას მიაღწია და 1908 წ. აპრილში რაიხსტაგმა მიიღო ადმირალ ტირპიცის პროექტი ფლოტის გაძლიერების შესახებ[159]. ეს კანონპროექტი, რომელიც ინგლის-გერმანიის წინააღმდეგობებს განსაკუთრებით ამწვავებდა, ამცირებდა საბაზო გემების სამსახურის ვადას 25-დან 20 წლამდე, რაც მოწმობდა

---

[156] იქვე, გვ. 52—53.

[157] 1908 წ. ინგლისს გააჩნდა 51 ჯავშნოსანი, გერმანიას — 24.

[158] Г. Хальгартен. Указ. соч., стр. 397.

[159] Э. Лемонон. Англия и Германия, М.-Л., 1925, стр. 89.

გემთმშენებლობის შემდგომ დაჩქარებას. 3 წლის განმავლობაში, 1911 წლამდე, ყოველწლიურად გერმანიაში უნდა აგებულიყო ოთხი სახაზო გემი[160].

გერმანია განაგრძობდა საზღვაო შეიარაღების გრანდიოზული პროგრამის განხორციელებას და ელოდა იმ მომენტს, როდესაც გერმანიის საიმპერატორო სამხედრო-საზღვაო ფლოტი საკმაოდ მომძლავრდებოდა ინგლისის ფლოტის წინააღმდეგ საბრძოლველად. როგორც რუსი დიპლომატი ბულაცელი იტყობინებოდა ბერლინიდან, „შეიარაღებული მშვიდობის თეორია არის გერმანიის რეალური პოლიტიკის მთავარი საფუძველი და ამ პრინციპით ხელმძღვანელობენ გერმანიაში უპირატესად ინგლისის მიმართ... მშვიდობისმოყვარული დაპირებების საფარქვეშ გრძელდება დაუღალავი შრომა საზღვაო ბრძოლისუნარიანობის სრულყოფისათვის"[161].

გერმანიის ეს დაუოკებელი სწრაფვა იწვევდა ურთიერთობის გაუარესებას უველაზე მძლავრ საზღვაო სახელმწიფოსთან. როგორც ტირპიცი წერდა. თვით ფლოტის მშენებლობის ფაქტი აღიქმებოდა ინგლისში, როგორც წინააღმდეგობა ზღვებზე მისი მონოპოლიური ბატონობის შენარჩუნებისათვის და სწორედ ამ მიზეზით ფლოტის მშენებლობამ გაართულა ურთიერთობა ინგლისთანო[162].

დიდი ბრიტანეთის მთავრობა შეაშფოთა გერმანიის აქტიურობამ საზღვაო მშენებლობის დარგში, რადგან კარგად ხედავდა, რომ გერმანიის ეს ღონისძიებანი მიმართული იყო, უწინარეს ყოვლისა, მის წინააღმდეგ და ემუქრებოდა მის ბატონობას ზღვაზე. ინგლისის მიერ ამ ბატონობის დაკარგვა მოასწავებდა მისი კოლონიური იმპერიის დამსხვრევას. ამიტომ იყო, რომ საადმირალოს პირველი ლორდი ადმირალი ფიშერი აცხადებდა: „ჩვენ შეგვიძლია მშვიდად ვიძინოთ ლოგინში, ვიდრე ჩვენი ფლოტი უძლეველია"[163].

ინგლისის მთავრობა არაერთხელ შეეცადა მოლაპარაკებას გერმანიასთან საზღვაო შეიარაღების შემცირების თაობაზე, მაგრამ ამ უკანასკნელს არ სურდა დათმობაზე წასვლა. ასე იყო, მაგალითად, 1908 წ. ზაფხულში, როცა ლონდონმა შესთავაზა გერმანიის მთავრობას, შეთანხმებულიყვნენ ახალი სამხედრო ხომალდების მშენებლობის შეზღუდვის შესახებ. გერმანიამ ეს წინადადება კატეგორიუ-

---

[160] Deutschland im ersten Weltkrieg, Bd. I, S. 107; H. Otto, K. Schmiedel, H. Shnitter. Der erste Weltkerieg, S. 21.

[161] АВПР, ф. Канцелярия, д. 17, л. 34, Бутлацель Извольскому, 20 марта/2 апреля 1909 г.

[162] А. Тирпиц, указ. соч. стр. 21.

[163] Ллойд-Джордж. Военные мемуары, т. I—2, стр. 151.

ლად უარყო, რადგან ვარაუდობდა, თუ ასეთი შეთანხმება დაიღებოდა, ინგლისი შეძლებდა იმ დიდ უპირატესობათა განმტკიცებას, რაც იმ დროისათვის ჰქონდა გერმანიის საზღვაო ფლოტთან შედარებით. მიუხედავად ამისა „ბიულოვმა გამოთქვა ბუნდოვანი ვარაუდი, რომ გერმანიას შეუძლია წავიდეს ზოგიერთ დათმობაზე სამხედრო-საზღვაო მშენებლობის მხრივ, თუ სამაგიეროდ მიიღებს პოლიტიკურ დათმობებს"[164]. ცხადია, ეს დათმობები გულისხმობდა ინგლისის ნეიტრალიტეტს საფრანგეთთან ომის შემთხვევაში, ეს კი თავის მხრივ ემუქრებოდა ანტანტას დაშლით. რა თქმა უნდა, ინგლისი ასეთ შეთანხმებაზე არ წავიდოდა. ვილჰელმ II-ს კი საერთოდ არ სურდა მოეწმინა რაიმე ფლოტის მშენებლობის შეზღუდვის შესახებ[165]. იმპერატორმა, როგორც ბიულოვი წერს თავის მოგონებებში, განუცხადა მას, რომ „არავის მისცემს უფლებას, ჩაერიოს მის განკარგულებებში ფლოტის შესახებ"[166]. საზღვაო შეიარაღებით დაინტერესებული იყვნენ გერმანიის სამხედრო მრეწველობის მაგნატები: კრუპი, შტუმი, ტისენი, კირდორფი, სიმენსი და სხვ., რომელნიც დიდ მოგებებს იღებდნენ შეკვეთებზე. ისინი დიდ გავლენას ახდენდნენ ვილჰელმ II-ზე. ცხადია, ასეთ ვითარებაში ინგლისთან ყოველგვარი შეთანხმების დადების შესაძლებლობა მოჩვენებითი იყო და თუ ასეთ ცდებს მაინც ჰქონდა ადგილი, ის გამიზნული იყო, უწინარეს ყოვლისა, პროპაგანდისათვის.

გერმანიის საზღვაო ფლოტის მშენებლობის პროპაგანდისტები, ამახინჯებდნენ რა ფაქტებს, ადანაშაულებდნენ დიდ ბრიტანეთს გამალებულ საზღვაო შეიარაღებაში. ეს სჭირდებოდათ იმისათვის, რომ გაემართლებინათ გერმანიის პოზიცია, რომელსაც არ სურდა რაიმე დათმობაზე წასვლა საზღვაო ფლოტის მშენებლობის საკითხში. როცა 1908 წ. ტირპიცის უწყება გადავიდა დრედნოუტების დაჩქარებულ მშენებლობაზე, ინგლისში დაიწყო ანტიგერმანული კამპანია. ამასთან დაკავშირებით ტირპიცი წერდა, რომ „საზღვაო პანიკა" ინგლისში გამოიწვია ბრიტანეთის საადმირალოს ლორდის ფიშერის ბოროტმა განზრახვამ[167].

გერმანიის 1908 წ. სამხედრო-საზღვაო პროგრამის პასუხად დიდი ბრიტანეთის საადმირალომ ახალი კოლოსალური თანხები მოითხოვა და მიიღო კიდეც. 1909 წ. მარტში პარლამენტმა დაამტკიცა

---

[164] А. Дж. П. Тэйлор. указ. соч., стр. 454.

[165] A. v. Tirpitz. Politische Dokumente. Bd. I. Der Aufbau der deutschen Weltmacht, Berlin, 1924, S. 131 ff.

[166] Б. Бюлов. Воспоминания, стр. 334.

[167] А. Тирпиц. Воспоминания, стр. 228.

სამხედრო-საზღვაო ბიუჯეტი 1909—1910 ფინანსური წლისათვის. ერთი წლის განმავლობაში ინგლისის მთავრობას ნება ეძლეოდა, აეგო „რვა დრედნოუტი, უფრო პატარა ხომალდების დიდი რაოდენობის ჩაუთვლელად“[168]. იმავე დროს თუ მთავრობა საჭიროდ ჩათვლიდა, შეეძლო 1911 წ. დაეწყო კიდევ ოთხი დრედნოუტის აგება: ყოველივე ამით, ინგლისის მთავრობას სურდა აეძულებინა გერმანია დათანხმებოდა საზღვაო შეიარაღების შეზღუდვაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში გერმანია იძულებული გახდებოდა, გაეღო უზარმაზარი სახსრები გემთმშენებლობისათვის, რაც უთუოდ გავლენას მოახდენდა მის ეკონომიკაზე[169].

იმისათვის, რომ საკითხი ფლოტის მშენებლობის შესახებ არ გამხდარიყო მსჯელობის საგანი, გერმანულ პრესას მიეცა მითითება—არ განეხილა ახალი სამხედრო-საზღვაო პროგრამა, რომელიც მიიღო 1909 წ. მარტში ინგლისის პარლამენტმა[170].

მიუხედავად ამისა, დიდი ბრიტანეთის მთავრობა მკვეთრად გააკრიტიკეს გერმანიის მილიტარისტულმა წრეებმა და დაადანაშაულეს ის გამალებული შეიარაღების გაჩაღებაში. თავის მხრივ, არც ინგლისური ბურჟუაზიული პრესა დარჩენილა ვალში, ის შესაძლებლობას არ უშვებდა ხელიდან, რომ გაელაშქრა გერმანიის საზღვაო პოლიტიკის წინააღმდეგ.

გერმანიის ელჩი ლონდონში გრაფი მეტერნიხი საგარეო საქმეთა უწყებისადმი წარდგენილ თავის მოხსენებაში მიუთითებდა, რომ გამალებული საზღვაო შეიარაღება გამოიწვევდა ომს ინგლისთან. 1909 წლისათვის შექმნილ ვითარებას გერმანიასა და დიდ ბრიტანეთს შორის ის ასე ახასიათებდა: „აქამდე ინგლისი მზად იყო გამოეყენებინა ევროპული ომის შესაძლებლობა, რათა თავს დასხმოდა გერმანიას, ახლა კი მდგომარეობა გაუარესდა. თუ არ მოხდება შეთანხმება ხომალდების მშენებლობის შეზღუდვის შესახებ, მაშინ ინგლისი ამიერიდან თვითონ შეეცდება, გამოიწვიოს ომი“[171].

1908—1909 წწ. ბოსნიის კრიზისმა, რომელმაც ევროპის სახელმწიფოები ომის საფრთხის წინაშე დააყენა, ახალი ბიძგი მისცა გამალებულ შეიარაღებას, მილიტარიზმისა და შოვინიზმის პროპაგანდას გერმანიაში. „ბოსნიის კრიზისის თანადროულად გერმანიისა და

---

[168] История дипломатии. Т. II, М., 1963, стр. 228.

[169] თითოეული დრედნოუტის აგება დაახლოებით 50 მილიონი მარკა ჯდებოდა.

[170] Gr. Pol., Bd. 28, № 10264, S. 92—93.

[171] იქვე, № 10288, გვ. 128.

ინგლისის ფლოტებს შორის მეტოქეობამ თავის კულმინაციურ წერტილს მიაღწია"[172].

სახსრები შეიარაღებაზე სულ უფრო იზრდებოდა. ოსტენ-საკენის მონაცემებით ხარჯები, გათვალისწინებული არმიასა და ფლოტზე, საბოლოო ანგარიშით ჩვეულებრივი და განსაკუთრებული ბიუჯეტით 1910 წ-თვის აღწევდა უზარმაზარ თანხას — 1,25 მილიარდ მარკას[173].

1908 წ. ივლისში ვილჰელმ II-მ დებერიტცში მანევრების დროს გვარდიული კავალერიის დათვალიერების შემდეგ განაცხადა: „როგორც ჩანს, ჩვენი გარშემორტყმა და პროვოცირება სურთ. ჩვენ ამის ატანა არ შეგვიძლია. გერმანელები არასდროს იბრძოდნენ უკეთ. ვიდრე მაშინ, როცა მათ უხდებოდათ თავდაცვა ყოველი მხრიდან თავდასხმისაგან"[174]. ვილჰელმ II-ის ამ განცხადების თავდაცვის საჭიროების შესახებ მიზნად ჰქონდა, დაეფარა აშკარა აგრესიული ზრახვები, გერმანიის მისწრაფება — თვითონ ყოფილიყო თავდამსხმელი მხარე. საერთოდ კი, კაიზერი შესაძლებლობას არ უშვებდა ხელიდან, რათა გაემართლებინა გერმანიის მზარდი შეიარაღება და ჩაეგონებინა გერმანელი ხალხისათვის, რომ კარგად შეიარაღებული დიდი არმია მშვიდობის გარანტიას წარმოადგენდა. 1909 წ. 11 სექტემბერს იმპერატორმა ქ. კარლსრუეში ბურგომისტრის მისალმების პასუხად წარმოთქვა სიტყვა, რომელშიაც ლაპარაკობდა „გერმანელების თანდაყოლილი სამხედრო უნარის შესახებ — უნარისა, რომელიც მათ საშუალებას აძლევს ადვილად გადაიტანონ შეიარაღების სიმძიმე. მისი უდიდებულესობის რწმენით, ვიდრე არსებობს სინათლე, იქნებიან მტრები და მოშურნენი და, მაშასადამე, ომებიც, რომელთა წინააღმდეგ მტკიცე ბურჯს წარმოადგენს გერმანიის არმია"[175].

1909 წ. 3 ივნისს ბიულოვმა ჩაატარა საიდუმლო თათბირი საზღვაო შეიარაღების საკითხებზე; თათბირში მონაწილეობას იღებდნენ ადმირალი ტირპიცი, გენერალური შტაბის უფროსი მოლტკე (უმცროსი), გერმანიის ელჩი ლონდონში მეტერნიხი, საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანი შონი, შინაგან საქმეთა სახელმწიფო მდივანი ბეტმან-ჰოლვეგი და სამხედრო-საზღვაო კაბინეტის უფროსი ვიცე-ადმირალი მიულერი. ბიულოვმა სცადა, მიეღწია დათმობისათვის

---

172 Г. Хальгартен, указ. соч., стр. 427.

173 АВПР, ф. Канцелярия, д. 20, л. 333, Остен-Сакен Извольскому, 13/26 ноября 1909 г.

174 Э. Лемонон. Англия и Германия, стр. 77.

175 АВПР ф. Канцелярия, д. 20, л. 223, Остен-Сакен Извольскому, 4/17 сентября 1909 г.

ტირპიცის მხრივ, მაგრამ უშედეგოდ. ტირპიცმა მხოლოდ ის შესთავაზა, რომ თანახმა იყო მოცემულ მომენტში შენელებულიყო გემების მშენებლობის ტემპები იმგვარად, რომ შეფარდება ინგლისის მიმართ ყოფილიყო 3:4, მაშინ, როცა ინგლისს დიდი უპირატესობა გააჩნდა. ამასთან, ტირპიცს მხედველობაში ჰქონდა, რომ შემდგომში მშენებლობის ტემპები დაჩქარდებოდა, რათა დასახული პროგრამა ვადაზე შესრულებულიყო. მეტერნიხი ტირპიცის წინააღმდეგ გამოვიდა; მას მხარი დაუჭირა მოლტკემ, რომელიც ფლოტის გაძლიერების მოწინააღმდეგე იყო. მიუხედავად ამისა, თათბირის მონაწილეებმა საბოლოოდ მაინც გამოხატეს თავიანთი უარყოფითი დამოკიდებულება შეიარაღების შემცირებისადმი, თუმცა კარგად ესმოდათ, რომ გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის გაძლიერების პოლიტიკა ამწვავებდა ურთიერთობას ინგლისთან[176].

უნებისყოფო ბეტმან-ჰოლვეგს არ ჰქონდა უნარი, შეეჩერებინა გერმანიის მძლავრი წინსვლა შეიარაღების გზაზე. იგი მორჩილად მიჰყვებოდა ამ ნაკადს. მართალია, ბეტმან-ჰოლვეგის მთავრობას სურდა ინგლისთან საზღვაო შეიარაღებაზე შეთანხმებასთან ერთად საერთო პოლიტიკური შეთანხმების დადება, რაც ურთიერთნეიტრალიტეტს გულისხმობდა მესამე სახელმწიფოსთან ომის შემთხვევაში, მაგრამ ინიციატივას არ იჩენდა და მოლაპარაკების წარუმატებლობას უწყობდა ხელს. ინგლისსაც, თავის მხრივ, ასეთი შეთანხმების დადება კვლავ არასასურველად მიაჩნდა[177]. ბეტმან-ჰოლვეგმა და შონმა პანგერმანელების გავლენით მტკიცე პოზიცია დაიკავეს სამხედრო-საზღვაო ფლოტის მშენებლობის საკითხში. ამრიგად, არც ერთ მხარეს არ სურდა დათმობა. ასეთ ვითარებაში 1909 წ. დეკემბრის ბოლოს ინგლისში საარჩევნო ბრძოლის დაწყების საბაბით მოლაპარაკება შეწყდა. თავის მოგონებებში ბეტმან-ჰოლვეგი ცდილობს, პასუხისმგებლობა მოლაპარაკების წარუმატებლობის გამო მთლიანად ინგლისს დააკისროს: „მოლაპარაკებებმა ვერ მოიტანეს სასურველი შედეგი, რამდენადაც, ერთი მხრივ, ლონდონის კაბინეტმა განსაკუთრებული დაინტერესებულობა ვერ გამოიჩინა მათს წარმატებაში, მეორე მხრივ, ვერ მოინახა ფორმულა, რომელიც დააკმაყოფილებდა საადმირალოს"[178]. არსებითად ყველა მოლაპარაკება გერმანიასა და ინგლისს შორის ასე მიმდინარეობდა — სხვადასხვა მიზეზით ხან ერთი,

---

[176] იხ. Gr. Pol., Bd. 28, № 10306, 1909 წ. 3 ივნისის თათბირის ოქმი; Б. Б ю л о в, Воспоминания, стр. 362—365.

[177] Gr. Pol., Bd. 28, № 10355, S. 259.

[178] Т. Б е т м а н-Г о л ь в е г. Мысли о войне, пер. с нем., М.-Л., 1925, стр. 27.

ხან მეორე მხარე ფუშავდა მოლაპარაკებებს. ინგლისს სურდა, მიეღწია ისეთი შეთანხმებისათვის გერმანიასთან, რომ ამ უკანასკნელს საზღვაო ფლოტის მშენებლობის პროგრამის შეზღუდვით განეხორციელებინა საკუთარი საზღვაო ფლოტის მშენებლობაზე სახსრების ეკონომია და შეენარჩუნებინა უპირატესობა შემდგომი ხარჯების გარეშეც, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ გერმანია მოახდენდა თავისი გეგმების რეალიზაციას — სამხედრო-საზღვაო ძალების გაშლას, ინგლისის ეს მიზანი მიუღწეველი იქნებოდა.

გერმანიის მმართველი წრეები ცდილობდნენ, თუმცა ძალზე მოუქნელად, შეესუსტებინათ შთაბეჭდილება, გამოწვეული საზღვაო ფლოტის მშენებლობით; მარტო იმის განცხადება, რომ გერმანიის საზღვაო ძლიერების გადიდება არ იყო მიმართული დიდ ბრიტანეთის ინტერესების საწინააღმდეგოდ, არ იყო საკმარისი. მაგალითად, გერმანიის რაიხსტაგში საზღვაო უწყების ბიუჯეტის განხილვისას კამათში მონაწილეობა მიიღო კანცლერმა ბეტმან-ჰოლვეგმა, რომელმაც „უარყო მტკიცე ხმები საზოგადოებრივ წრეებში, თითქოს გერმანია თავისი ფლოტის საბრძოლო მზადყოფნის გაძლიერების პროგრამის ცხოვრებაში გატარებით ანგარიშს უწევს უმთავრესად ინგლისთან მომავალი შეტაკების შესაძლებლობას“[179]. შემდეგ ბეტმან-ჰოლვეგი ცდილობდა გაემართლებინა გერმანიის პოზიცია იმით, რომ ამ ქვეყანაში არაფერი კეთდებოდა ფარულად, რომ „გერმანია, აგებს რა თავის ფლოტს, სრულიადაც არ ისახავს რაიმე აგრესიულ მიზნებს, არამედ განსაკუთრებით მხედველობაში აქვს იმპერიის სანაპიროებისა და ვაჭრობის დაცვა. ასეთ დამოკიდებულებაში არ შეიძლება გერმანიის გამტყუნება, რამდენადაც ფლოტის აგება არ ხდება საიდუმლოდ ან რომელიმე სახელმწიფოსადმი მტრული მიზნით“[180].

1910 წ. 14 ივლისს ინგლისის პრემიერ-მინისტრი ასკვიტი გამოვიდა სიტყვით, რომელშიც აშუქებდა ინგლის-გერმანიის მოლაპარაკების მსვლელობას და ცდილობდა გაემართლებინა ინგლისის მთავრობის უმოქმედობა სამხედრო-საზღვაო საკითხში. ასკვიტის ამ გამოსვლიდან ცოტა ხნის შემდეგ განახლდა მოლაპარაკებანი ინგლისსა და გერმანიას შორის; ამჯერად ინგლისის მთავრობა თავის ძველ მოთხოვნას — გერმანიის საზღვაო ფლოტის მშენებლობის პროგრამის შეზღუდვას უკვე აღარ განიხილავდა, როგორც წინაპირობას შეთანხმებისათვის. მაგრამ გერმანიისაგან მოითხოვდა, რომ საზღვაო

---

[179] АВПР, ф. Канцелярия, д. 18, л. 103, Шебеко Извольскому, 5/18 марта 1910 г.

[180] Там же.

მშენებლობის პროგრამის საზღვრებს არ გასცილებოდა. ეს მიაჩნდა მას სამხედრო-საზღვაო ძალების მდგომარეობაზე ინფორმაციების ურთიერთგაცვლის შესახებ შეთანხმების საშუალებად. გერმანიის საგარეო საქმეთა უწყება, ესწრაფვოდა რა შეთანხმებას ინგლისთან პოლიტიკურ საფუძველზე, უკმაყოფილოდ უყურებდა ამ მოლაპარაკებას[181]. მოლაპარაკებანი კვლავ ჩაიშალა. ბეტმან-ჰოლვეგის მთავრობამ, იმისათვის, რომ „საზოგადოებრივ აზრს" არ გაეგო დაწვრილებით ინგლისის წინადადებების შესახებ, გასცა განკარგულება — „შესაძლებლობის მიხედვით აეკრძალოს გერმანულ პრესას ამ საკითხის განხილვა"[182].

გერმანელ მილიტარისტებს არც უფიქრიათ, უარი ეთქვათ საზღვაო გამალებულ შეიარაღებაზე. ინგლისსაც არ სურდა რაიმე შეთანხმების დადება საზღვაო შეიარაღების შეზღუდვის გარეშე. საერთოპოლიტიკური შეთანხმება კი გამორიცხული იყო. ამიტომ მოლაპარაკებანი ფაქტიურად წინასწარვე იყო განწირული წარუმატებლობისათვის. ამას არ შეეძლო არ გამოეწვია ურთიერთობების შემდგომი გამწვავება ამ ორ ქვეყანას შორის. ინგლისი დარწმუნებული იყო, რომ გერმანიას გადაწყვეტილი ჰქონდა, შესდავებოდა მას ზღვებზე ბატონობას და დაემყარებინა თავისი ჰეგემონია ევროპაში. გერმანიაც თავის მხრივ, დარწმუნდა, რომ ინგლისი გერმანიის იზოლაციასა და საფრანგეთსა და რუსეთთან ერთად მის წინააღმდეგ გამოსვლას ესწრაფვოდა.

საზღვაო ფლოტის მშენებლობა არ აძლიერებდა გერმანიის იმპერიალიზმის პოზიციას, პირიქით ასუსტებდა, რადგანაც საბაბს აძლევდა ინგლისს, წინააღმდეგობები მასთან უჩვეულოდ გაემწვავებინა და ხელი შეეწყო გერმანიის იზოლირებისათვის[183].

მძლავრი სამხედრო-საზღვაო ფლოტის შექმნით დაინტერესებულ წრეებს მიაჩნდათ, რომ მას უნდა შეესრულებინა მნიშვნელოვანი როლი გერმანიის იმპერიალიზმის აგრესიული მიზნების განხორციელებაში. ბერლინში აკეთებდნენ დასკვნებს, რომ საზღვაო შეიარაღებაში ბრძოლისუნარიანობის მაქსიმალური დონის მიღწევა იქნებოდა საუკეთესო საშუალება იმისა, რომ მოწინააღმდეგისათვის ეკარნახათ თავიანთი სურვილი. გერმანიის იმპერიალიზმი ადიდებდა თავის საზღვაო ძლიერებას, რათა რაც შეიძლება მალე ჩაბმულიყო ბრძოლაში მსოფლიოს ხელახალი გადანაწილების მიზნით.

---

[181] იხ. A. v. Tirpitz, დასახ. ნაშრ. გვ. 181; Gr. Pol., ტ. 28, № 10401, ინგლისის მემორანდუმი არევებზე შენიშვნებით.

[182] Gr. Pol., Bd. 28, № 10400, S. 350.

[183] Deutschland im ersten Weltkrieg, Bd. 1, S. 108.

თავი III

იმპერიალისტური გერმანიის მზადება ომისათვის (1911-1914 წწ.)

1. გერმანიის მმართველი წრეების ავანტიურისტული პოლიტიკის კრახი მაროკოს მეორე კრიზისის დროს და წინააღმდეგობების გამწვავება ინგლისთან

ექსპანსიონისტური პოლიტიკა, საერთაშორისო კონფლიქტების პროვოცირება, რაც საფუძვლად ედო გერმანიის მმართველი წრეების მისწრაფებებს, დაძაბულობას ქმნიდა ევროპის კონტინენტზე და შეიცავდა დიდი ომის წარმოშობის საფრთხეს. მაროკოს მეორე კრიზისმა ერთხელ კიდევ დაადასტურა ეს. გერმანიამ გადაწყვიტა, შეემოწმებინა ანტანტის სიმტკიცე, და თუ შეძლებდა, გაეთიშა კიდეც ის. ეს ხელს შეუწყობდა გამოსულიყო იმ საგარეო პოლიტიკური იზოლაციის მდგომარეობიდან, რომელშიც აღმოჩნდა ჯერ კიდევ მაროკოს პირველი კრიზისის შედეგად, რაც კარგად აჩვენა ალხესირასის კონფერენციამ[1].

მაროკო მდიდარი იყო სასარგებლო წიაღისეულით და, ცხადია, მისი ხელში ჩაგდებისათვის არაფერს იშურებდნენ გერმანიის მძიმე მრეწველობის მაგნატები. განსაკუთრებით აქტიურობდნენ მსხვილი მრეწველები — ძმები მანესმანები, რომლებიც ცდილობდნენ დაჰპატრონებოდნენ მაროკოს მადნით მდიდარ ოლქებს, მით უმეტეს, რომ ლორენის მადანი ვერ აკმაყოფილებდა გერმანიის სამხო მრეწველობის მოთხოვნილებებს. მანესმანებმა შეძლეს კიდეც მაროკოს სულთნის მოსყიდვა და 20000 ფრანკის საფასურად უკანასკნელმა მანესმანების განკარგულებაში დატოვა მადნის საბადოები[2].

მაროკოში გერმანიის დამკვიდრების ცდებს სერიოზულ წინააღ-

---

[1] იხ. გ. ქიღურაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 232—265.

[2] E. Eyck, დასახ. ნაშრ., გვ. 569; იხ. აგრეთვე А. Нордэн. Уроки германской истории, стр. 18.

მდეგობას უწევდა საფრანგეთი, რომელიც თავის მხრივ ამ ქვეყნის მთლიან დაპყრობას ისახავდა მიზნად. გერმანიას მაროკო იზიდავდა იმითაც, რომ მას ეკავა მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდებარეობა ხმელთაშუაზღვისა და ატლანტის ოკეანის გზაჯვარედინზე. მაროკოს ატლანტურ სანაპიროზე გერმანიის დამკვიდრებას სამხედრო და პოლიტიკური მოსაზრებით ეწინააღმდეგებოდა ინგლისიც, რომელიც ისედაც შეშფოთებული იყო სამხედრო-საზღვაო ფლოტის მშენებლობით გერმანიაში.

გერმანიასა და საფრანგეთს შორის 1909 წ. მიღწეული შეთანხმების თანახმად, გერმანია ცნობდა საფრანგეთის განსაკუთრებულ პოლიტიკურ და სამხედრო უფლებებს მაროკოში, მაგრამ ეკონომიური მოღვაწეობის სფეროში აღიარებული იყო გერმანული და ფრანგული კაპიტალის თანასწორობა[3].

1911 წლის დასაწყისში საფრანგეთი შეუდგა მზადებას მთელი მაროკოს ხელში ჩაგდების მიზნით. იმავე წლის გაზაფხულზე იფეთქა მაროკოს მკვიდრი ტომების აჯანყებამ სულთანის წინააღმდეგ. აჯანყებულნი გაემართნენ მაროკოს დედაქალაქ ფეცისაკენ. შეშინებულმა სულთანმა თხოვნით მიმართა ფრანგებს, აღმოეჩინათ სამხედრო დახმარება. ამას ელოდნენ ფრანგი იმპერიალისტები: მათ დიდი არმია გააგზავნეს მაროკოში ევროპული მოსახლეობის დაცვის და „უსაფრთხოების“ აღდგენის საბაბით. საფრანგეთის ამ ნაბიჯმა დიდი აღშფოთება გამოიწვია გერმანიის რეაქციულ პრესაში, რომელიც მოითხოვდა საპასუხო ღონისძიებებს. შოვინისტური გაზეთი „დი პოსტ“ ამასთან დაკავშირებით წერდა: „ალხეზირასის ტრაქტატი თავის დროზე დადებულ იქნა იმ განზრახვით, რომ ასეთი გზით შესაძლებელი ყოფილიყო მაროკოს სუვერინიტეტის და მთლიანობის უზრუნველყოფა. მოვლენათა მსვლელობამ აჩვენა, რომ ეს იმედი არარეალური აღმოჩნდა. საფრანგეთმა, — ალხეზირასის ტრაქტატის ხელმომწერმა ერთ-ერთმა სახელმწიფომ, — თვითონ გააუქმა ის, დაარღვია რა მისი ძირითადი დებულებანი. ამგვარად, გერმანიის იმპერიამ ახლა მიიღო მოქმედების სრული თავისუფლება... დაუყოვნებლივი მოქმედება ჩვენ გვეჩვენება აუცილებლობად“[4].

ფრანგები მკაცრად გაუსწორდნენ აჯანყებულებს, რამაც დიდი მღელვარება გამოიწვია თვითონ ფეცში, სადაც მოკლეს ფრანგი პოლკოვნიკი მარშანი. საფრანგეთის მთავრობამ გადაწყვიტა, გამოეყენებინა ეს ხელსაყრელი მომენტი ფეცის დასაკავებლად. მან თავისი ჯა-

---

[3] А. Норден, указ. соч., стр. 16.

[4] Цит. Г. Гейдорн, Монополии-пресса-война, стр. 441.

რების ფეცში შესაძლო შესვლის შესახებ 1911 წ. აპრილში გააფრთხილა გერმანიის მთავრობა. ამას მოჰყვა გერმანიის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივნის კიდერლენ-ვეხტერის პასუხი, რომ გერმანია წინააღმდეგი არ იქნებოდა ფრანგების მიერ მაროკოს ხელში ჩაგდებისა, მაგრამ იმ პირობით, თუ გერმანია მიიღებდა თუნდაც ერთ ნავსადგურს მაროკოში ატლანტის ოკეანის სანაპიროზე (მაგ, აგადირს) მისი მომიჯნავე ტერიტორიით.

საფრანგეთმა ეს წინადადება არ მიიღო და თავის მხრივ შესთავაზა, შეთანხმებულიყუნენ სხვა კომპენსაციაზე. ამასთან საფრანგეთი დროს აჭიანურებდა, მაშინ კიდერლენ-ვეხტერმა ურჩია კანცლერ ბეტმან-ჰოლვეგს და იმპერატორს, ენერგიული მოქმედებით აეძულებინათ საფრანგეთი, წასულიყო დათმობაზე[5].

კიდერლენ-ვეხტერმა თავისი მოსაზრება ჩამოაყალიბა ვილჰელმ II-ისადმი წარდგენილ 1911 წ. 3 მაისის მემორანდუმში: „ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ ...მომავალი მოლაპარაკებისათვის ისეთი ობიექტი, რომელიც აიძულებს ფრანგებს წავიდნენ კომპენსაციაზე. თუ ფრანგები დამკვიდრდებიან ფეცში თავიანთ თანამემამულეთათვის „საფრთხის“ თავიდან აცილების მიზნით, მაშინ ჩვენც გვექნება უფლება, ასევე ვიმოქმედოთ ჩვენი თანამემამულეებისათვის, რომელთაც ემუქრება საფრთხე. ჩვენ გვაქვს დიდი გერმანული ფირმები მოგადორსა და აგადირში. გერმანულ გემებს შეუძლიათ ხსენებულ ნავსადგურებში შესვლა ამ ფირმების დასაცავად.

...ასეთ პირობებში ჩვენ შეგვეძლება, მშვიდად ვადევნოთ თვალი მაროკოში მოვლენების შემდგომ მსვლელობას და დაველოდოთ, ხომ არ შემოგვთავაზებს საფრანგეთი შესაფერის კომპენსაციას, რის სანაცვლოდაც ჩვენ დავტოვებდით ორივე ნავსადგურს“[6].

1911 წ. აპრილს მაროკოში შექმნილი მდგომარეობის გამო რურის მძიმე მრეწველობის მაგნატების გაზეთი „რაინიშ-ვესტფელიშე ცაიტუნგ“ სტატიაში „მოქმედება, მოქმედება!“ წერდა, რომ ფრანგებმა პატივი უნდა სცენ „ხელშეკრულებებს და თუ მათ არ შეუძლიათ ან არ სურთ ეს გააკეთონ, მაშინ ჩვენ მოვითხოვთ თანაბარ უფლებებს, მოვითხოვთ მაროკოს გაყოფას გერმანიის იმპერიასა და საფრანგეთს შორის. თუ ამას საფრანგეთი სერიოზულად გაუწევს წინააღმდეგობას — ოო, მაშინ ის იქნება პასუხისმგებელი ომისათვის“[7].

---

[5] Е. В. Тарле, указ. соч., стр. 193.

[6] Gr. Pol., Bd. 29, № 10519, S. 105—107; A. Schreiner, დასახ. ნაშრ., გვ. 243.

[7] Цит. Г. Гейдорн, указ. соч., стр. 448—449.

1911 წ. აპრილის ბოლოს შებეკო ბერლინიდან ატყობინებდა საგარეო საქმეთა მინისტრს: „საზოგადოებრივი აზრი გერმანიაში ძალზე შეშფოთებულია მაროკოს ამბებით... მაროკოს ირგვლივ პანგერმანული პრესის მიერ ატეხილი აჟიოტაჟი იმუქრება, დაარღვიოს... ურთიერთობანი ბერლინსა და პარიზს შორის“[8].

საფრანგეთის ელჩს ბერლინში ჟიულ კამბონს დაევალებული ჰქონდა, განეცხადებინა გერმანიის მთავრობისათვის, რომ „საფრანგეთის ღონისძიებანი მიმართულია ფეცის დასაცავად... და „ღია კარების“ პრინციპის სრული შენარჩუნებით, მაროკოს ხელშეუხებლობის უზრუნველსაყოფად“. შებეკო შემდეგ აღნიშნავდა, რომ „საფრანგეთის ელჩის სიტყვებით, მისი განცხადება მიიღეს საკმაოდ ცივად და ბეტმან-ჰოლვეგმა აგრძნობინა მას, რომ ფეცის ოკუპაცია ფრანგების მიერ ჩაითვლება... ალხესირასის აქტისა და საფრანგეთ-გერმანიის 1909 წ. შეთანხმების დარღვევად“[9].

მაისის ბოლოს ევროპულ გაზეთებში გამოჩნდა ცნობები იმის შესახებ, რომ გერმანია იძულებული გახდებოდა დაკმაყოფილებულიყო საფრანგეთის მეორეხარისხოვანი კოლონიებიდან მცირეოდენი, უვარგისი ტერიტორიების კომპენსაციით. ამ ცნობებმა პანგერმანელების განსაკუთრებული გააფთრება გამოიწვია. რუსეთის ელჩი ბერლინში ოსტენ-საკენი თავის დეპეშაში საგარეო საქმეთა სამინისტროს მოახსენებდა, რომ ასეთი ცნობები „მიეწერება ფრანგულ და ინგლისურ წყაროებს“, რომელთაც მიზნად აქვთ „აამხედრონ საზოგადოებრივი აზრი გერმანიაში და განსაკუთრებით პანგერმანული წრეები მთავრობის წინააღმდეგ“[10].

პანგერმანული პრესა მკვეთრად აკრიტიკებდა საგარეო საქმეთა უწყების სახელმწიფო მდივნის პოლიტიკას მაროკოს საკითხში. ოსტენ-საკენი იგივე დეპეშაში იტყობინებოდა: „პანგერმანული კავშირის ორგანოები ერთსულოვნად გამოთქვამენ აღშფოთებას გერმანიის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელთა მიმართ, ამასთან კიდერლენ-ვეხტერი, საგარეო საქმეთა სამინისტროს მოღვაწეობის ისტორიაში პირველად, პრესის გააფთრებული თავდასხმების ობიექტად იქცა“[11].

ვილჰელმ II-ის თანხმობით გერმანიის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, სისრულეში. მოეყვანა კიდერლენ-ვეხტერის მემორანდუმში დასახული გეგმა.

---

[8] АВПР, ф. Канцелярия, д. 18, л. 99, Депеша Шебеко Наратову, 15/28 апреля 1911 г.

[9] Там же, л. 100.

[10] Там же, д. 19, лл. 34—35, Остен-Сакен Наратову, 7/20 мая 1911 г.

[11] Там же.

21 მაისს საფრანგეთის ჯარებმა დაიკავეს ფეცი. ეს აქტი გერმანიაში მიიჩნიეს მაროკოში აქტიური მოქმედების დაწყების ნიშნად.

კიდერლენ-ვეხტერმა მიიღო ვილჰელმ II ნებართვა აგადირში სამხედრო გემის გაგზავნის შესახებ. 1 ივლისს ციმერმანმა[12] პანგერმანელების ხელმძღვანელს ჰ. კლასს კონფიდენციალურად აცნობა, „დღეს, ახლა თხუთმეტიოდე წუთში გასკდება ყუმბარა"[13]. ეს „ყუმბარა" იყო ქვემეხიანი ნავი „პანტერა", რომელიც სამხრეთ აფრიკიდან ბრუნდებოდა, ბრძანების თანახმად პირველ ივლისს შევიდა აგადირის ნავსადგურში და ჩაუშვა ღუზა"[14]. ალხესირასის კონფერენციის დადგენილების თანახმად აგადირი დახურული იყო ყველა სახელმწიფოსათვის. მთელი მსოფლიო გერმანიის ასეთ მოქმედებას შეხვდა, როგორც პროვოკაციას[15].

მეორე დღესვე პანგერმანელების ყველა გაზეთი მიესალმა ამ აქტს. გაზეთი „რაინიშ-ვესტფელიშე ცაიტუნგ" პირველ გვერდზე ათავსებს სტატიას სათაურით: „ვაშა! აი ეს გმირობაა!". გაზეთი მოითხოვს მაროკოს გაყოფას, წინააღმდეგ შემთხვევაში საფრანგეთს ომით ემუქრება: „ახლა აგადირში რეიდზე გერმანული სამხედრო გემი დგას. ფრანგებს ჯერ კიდევ აქვთ შესაძლებლობა, შეგვითანხმდნენ მაროკოს გაყოფის შესახებ. თუ ისინი ამას არ მოისურვებენ, მაშინ „პანტერას" შეუძლია შეასრულოს საკმაოდ ცნობილი „ემსის დეპეშის" მსგავსი როლი" — წერდა სტატიის ავტორი[16].

მძიმე მრეწველობის მაგნატები მიესალმებოდნენ გერმანიის მოქმედებას მაროკოში ორი მიზეზით: ერთი მხრივ, მთავრობის მოქმედება მათ „ეროვნულ" საქმედ მიაჩნდათ, მეორე მხრივ, ეკონომიური მოსაზრების გამო დაინტერესებული იყვნენ მაროკოში დამკვიდრებით[17].

ოსტენ-საკენი იტყობინებოდა აგადირში „პანტერას" გამოჩენის შესახებ: „წარსულ შაბათს „ჩრდილოეთ გერმანიის გაზეთის" საღამოს გამოცემაში მოთავსებული ცნობა მაროკოს ნავსადგურ აგადირში სამხედრო გემის „პანტერას" გაგზავნის შესახებ... აქ მიღებულ იქნა პატრიოტული ენთუზიაზმით"[18]. შემდეგ ოსტენ-საკენს მოყავდა

---

[12] გერმანიის საგარეო საქმეთა უწყების სახელმწიფო მდივნის თანაშემწე.

[13] F. Fischer. Krieg Der Illusionen, S. 120.

[14] Gr. Pol., Bd. 29, № 10576, S. 152, Anmerkung.

[15] იქვე, № 10639, გვ. 228.

[16] Г. Хальгартен. Империализм до 1914 года, стр. 494.

[17] F. Fischer. Krieg Der Illusionen, S. 121.

[18] АВПР, ф. Канцелярия, д. № 18, л. 153, Остен-Сакен Нератову, 22 июня/5 июля 1911 г.

ფრანკფურტის გაზეთის აზრი, რომ „საფრანგეთს არ უნდა ეშინოდეს მაროკოში რაიმე განზრახვისა ტერიტორიული მონაპოვრების შესახებ, ვიდრე თვითონ არ განიზრახავს ამ ქვეყნის „ტუნიზაციას“[19].

„პანტერას“ აგადირში გაგზავნის მომენტში გერმანელმა დიპლომატმა მეტერნიხმა ამ პროვოკაციული ნაბიჯის გასამართლებლად განუცხადა ლონდონში ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის მუდმივ თანაშემწეს ნიკოლსონს, რომ „1866 და 1870 წწ. შორის გაიმარჯვა რა ყველა თავის მტერზე, გერმანია იქცა დიდ ქვეყნად; ამასთან ინგლისმა და დამარცხებულმა საფრანგეთმა მას შემდეგ გაიყვეს მთელი მსოფლიო, გერმანიას კი მისი ნამცეცებიღა ერგო. ახლა შეიქმნა ისეთი ვითარება, როცა გერმანიას შეუძლია, განაცხადოს პრეტენზია რაღაც რეალურსა და მნიშვნელოვანზე“[20]. ამით მეტერნიხმა არსებითად გამოხატა ინგლის-გერმანიის უთანხმოებათა არსი, რაც თავისთავად უკვე იმას მოწმობდა, რომ გერმანიის საფრანგეთთან შეტაკების მომენტში ინგლისი არ დარჩებოდა მაყურებლის როლში. რამდენიმე დღის შემდეგ ქვემეხიანი ნავი „პანტერა“ შეცვალეს კრეისერით „ბერლინი“[21], რამაც გერმანიის მოქმედებას კიდევ უფრო პროვოკაციული ხასიათი მისცა. აი, რას წერდა ამის შესახებ „სახალხო გაზეთი“: „ამით გერმანიამ დემონსტრაცია მოახდინა და საფრანგეთს დაანახვა, რომ მისი პროტესტებისა არ ეშინია“[22].

პანგერმანული კავშირის თავმჯდომარე ჰ. კლასი, რომელმაც ეს პოსტი 1908 წ. დაიკავა, აქვეყნებს სპეციალურ ბროშურას „ვესტ-მაროკო დოიჩ!“ ეს ბროშურა ოსტენ-საკენმა თან დაურთო თავის დეპეშას, რომელიც გაუგზავნა საგარეო საქმეთა სამინისტროს[23]. პანგერმანელების ხელმძღვანელი ჰ. კლასი ამ ბროშურაში ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ გერმანიის იმპერიის მონაწილეობის გარეშე მაროკოს საკითხი ვერ გადაწყდებოდა[24] და მოითხოვდა მაროკოს მთელი ატლანტური სანაპიროს დაპყრობას[25].

---

[19] Там же, л. 154.

[20] МОЭИ, сер. 2, Т. 18, ч. 1, № 220.

[21] АВПР, ф. Канцелярия, д. 18, л. 155, Остен-Сакен Нератову, 22 июня/5 июля 1911 г.

[22] „სახალხო გაზეთი“, 1911 წ. 2/15 ივლისი.

[23] См. АВПР, ф. канцелярия, д. 18, л. 164, Остен-Сакен Нератову, 22 июля/4 авг. 1911 г.; იხ. აგრეთვე, E. Eyck, დასახ. ნაშრ., გვ. 68.

[24] H. Class. West-Marokko deutsch! München, 1911, S. 5.

[25] იქვე, გვ. 11.

გერმანიის გენერალური შტაბი მოლტკეს მეთაურობით საფრანგეთთან ომის დაუყოვნებლივ დაწყების მომხრე იყო[26].

გერმანიის მთავრობა მაროკოში მოვლენათა მსვლელობის შესახებ არავითარ განცხადებას არ აქვეყნებდა და ლოდინის ტაქტიკას ადგა. მას, უწინარეს ყოვლისა, აინტერესებდა ინგლისის პოზიცია. დასაწყისში გერმანია ფიქრობდა, რომ ინგლისი ნეიტრალური დარჩებოდა მაროკოს კონფლიქტის დროს[27]. ამის საფუძველს იძლეოდა ფრანგების მიერ ფეცის ოკუპაციის შემდეგ ვილჰელმ II ვიზიტი ლონდონში დედოფალ ვიქტორიას ძეგლის გახსნასთან დაკავშირებით[28]. ინგლისელებმა მაშინ გულითადი შეხვედრა მოუწყვეს კაიზერს. გერმანიაში ასეთი დამოკიდებულება ჩათვალეს, როგორც ინგლისის უკმაყოფილების გამოხატვა საფრანგეთის მოქმედებაზე. ვილჰელმ II-ს ინგლისში მოგზაურობისას ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, — წერდა ბეტმან-ჰოლვეგი 1911 წ. 21 მაისს თავის ჩანაწერში, — რომ იქ უკმაყოფილონი იყვნენ მაროკოში საფრანგეთის მოქმედებით. იმ სითბოთი და მისალმებით, რაც ინგლისელმა ხალხმა მის პატივსაცემად გამოიჩინა, მან დაასკვნა, რომ ხალხი ამგვარად არა მარტო მის პატივისცემას, არამედ გერმანიასთან დაახლოების სურვილსაც გამოხატავდა[29]. მდგომარეობის ასეთი შეფასება შეურიგებელს ხდიდა გერმანელ იმპერიალისტებს. მაგალითად, ბეტმან-ჰოლვეგი თავის მოხსენებაში ატყობინებდა კაიზერს კიდერლენ-ვეხტერის აზრს: „რათა მივაღწიოთ დამაკმაყოფილებელ შედეგებს, ჩვენ უთუოდ მოგვიხდება მკვეთრი პოზიციის დაკავება"[30]. ვილჰელმ II ამ მოხსენების არეებზე თავისი შენიშვნის ბოლოს წერდა: „გარდა ამისა საჭიროა ჩვენს მოკავშირეებს ადრე შევატყობინოთ ამის შესახებ. ისინი თავის მხრივ შესაძლოა ჩათრეულ იქნენ საქმეში"[31].

---

[26] H. v. Moltke. Errinerungen. Briefe. Dokumente, 1877—1916, Stuttgart, 1922, S. 362.

[27] ინგლისის გენერალურმა შტაბმა ჯერ კიდევ 1911 წ. აპრილში შეიმუშავა გეგმა, საჭიროების შემთხვევაში კონტინენტზე საექსპედიციო არმიის გაგზავნის შესახებ (Br. Doc., V. 7, № 639).

[28] დიდი ბრიტანეთის დედოფალი ვიქტორია (1837—1901 წწ.) იყო ბებია როგორც ჯორჯ V-სთვის, ისე ვილჰელმ II-სთვის. ინგლისის მეფის მიწვევით კაიზერი თავის მეუღლესა და ქალიშვილთან ერთად 1911 წ. მაისის შუა რიცხვებში ესტუმრა ლონდონს.

[29] Gr. Pol., Bd. 29, № 10662, S. 120—121; საინტერესოა აღინიშნოს, რომ მოგვიანებით ვილჰელმ II თავის მემუარებში ცდილობდა თავის გამართლებას და მაროკოს კრიზისის წარმოშობას ბეტმან-ჰოლვეგს და საგარეო საქმეთა უწყებას აბრალებდა (Вильгельм II, Мемуары, пер. с нем., Л., 1923, стр. 70).

[30] Ллойд Джордж. Военные мемуары, т. 1—2, стр. 57.

[31] იქვე.

გერმანიის მმართველი წრეები ფუჭი იღუზიის ტყვეობაში იმყოფებოდნენ. ამას მოწმობდა დიდი ბრიტანეთის მთავრობის განცხადება გერმანიის მთავრობისადმი, რომ „ინგლისს არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია, არ დაინტერესდეს მაროკოს საკითხით, რამდენადაც თავისი საკუთარი ინტერესები გააჩნია მაროკოში, უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე გერმანიის ინტერესებია... რომ აგადირში გერმანიის ხომალდის გამოჩენა ქმნის ახალ ვითარებას, რომლის მიხედვითაც ინგლისს არ შეუძლია საკუთარი მონაწილეობის გარეშე არავითარი გადაწყვეტილების ცნობა“[32]. ინგლისის მთავრობის ამ განცხადებამ გერმანელ იმპერიალისტებს იმედები გაუქარწყლა, ისინი დარწმუნდნენ, რომ მწარედ შეცდნენ ინგლისის პოზიციის შეფასებისას. ეს კი იმის შედეგი იყო, რომ გერმანიის დიპლომატია ინგლისთან დაძაბულობის შესუსტებას გადაჭარბებით აფასებდა[33].

გერმანიის მოკავშირეები სამთა კავშირის ხაზით—ავსტრია-უნგრეთა და იტალია — არ ჰქონდათ რა უშუალო ინტერესები მაროკოში. ცდილობდნენ, არ ჩარეულიყვნენ კონფლიქტში. განსაკუთრებით არასასიამოვნო იყო გერმანიისათვის ავსტრია-უნგრეთის ახალი დამოკიდებულება, რაკი მისი მთავრობა, როგორც სხვა ქვეყნის მთავრობები, ინფორმირებული იყვნენ გერმანის ღონისძიების შესახებ მათს განხორციელებამდე[34]. 26 აგვისტოს ვენის ოფიციოზში გამოქვეყნდა გერმანიის წინააღმდეგ მიმართული სტატია. თუმცა გაზეთის რედაქცია აცხადებდა, რომ არ ეთანხმებოდა სტატიის ავტორს, მთელმა ევროპულმა პრესამ მისი გამოქვეყნების ფაქტი შეაფასა, როგორც ავსტრია-უნგრეთის უკმაყოფილება გერმანიის მოქმედებით. გაზეთი მიუთითებდა, რომ პოლიტიკა, რომელსაც ატარებდა გერმანია, სულ უფრო საშიში ხდებოდა და თუ გერმანია უარს არ იტყოდა მასზე, მაშინ გარდუვალ კონფლიქტში ინგლისი საფრანგეთის მხარეზე იქნებოდა[35]. ასევე, არც იტალია იჩენდა სურვილს, მხარი დაეჭირა გერმანიისათვის. ის ამზადებდა ომს თურქეთთან ტრიპოლიტანიის დაპყრობის მიზნით და ამიტომ ესაჭიროებოდა კარგი ურთიერთობის შენარჩუნება როგორც საფრანგეთთან, ისე ინგლისთან.

გერმანიის დიპლომატია ცდილობდა, მაროკოს საკითხი საფრანგეთთან ორმხრივი მოლაპარაკების გზით გადაეწყვიტა, რათა შეძლე-

---

[32] МОЭИ, Серия, 2, Т. 18, № 167; იხ. ავრეთვე, „სახალხო გაზეთი“, 1911 წ. 2/15 ივლისი.

[33] H. Herzfeld, დასახ. ნაშრ., გვ. 17.

[34] Fr. Stieve, დასახ. ნაშრ., გვ. 76.

[35] Ю. Ратиани, Агадирский кризис и позиция России — «Военно-исторический журнал», 1939, № 2, стр. 47.

პასუხად მოეხერხებინა ინგლისის გვერდის ავლით აფრიკული სამფლობელოების ხელში ჩაგდება, რაც, უეჭველია, ზიანს მიაყენებდა ინგლისის ინტერესებს და გააუარესებდა მის ურთიერთობას საფრანგეთთან[36]. გერმანიის დიპლომატია იმედოვნებდა, რომ აიძულებდა საფრანგეთს, წასულიყო დათმობაზე, მაგრამ ეს არც ისე იოლი იყო. საფრანგეთი თავისი მოკავშირეების იმედით უკან არ იხევდა. ამასთანავე, 1911 წ. აგვისტოში საფრანგეთის გენერალური შტაბი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ იმ შემთხვევაში, თუ გერმანია მაროკოსათვის საფრანგეთთან ომის პროვოცირებას მოახდენდა, იტალია არ გაჰყვებოდა მას[37]. ამის გამო საფრანგეთი ცდილობდა, რათა გერმანიას ეცნო მისი პროტექტორატი მაროკოზე, სამაგიეროდ, მას შეეძლო შეეთავაზებინა კომპენსაციის სახით ტერიტორია თავისი აფრიკული სამფლობელოებიდან.

გერმანია იძულებული შეიქნა, განეახლებინა მოლაპარაკებანი საფრანგეთთან კომპენსაციის შესახებ. გერმანიის მოქმედებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მეფის რუსეთის სულ უფრო ენერგიულმა ღონისძიებებმა, რასაც საბოლოო შედეგიც მოჰყვა[38]. რუსეთი იმ დროს ომისათვის არ იყო მზად და კიდევ რამდენიმე წელი ესაჭიროებოდა, რომ ბრძოლისუნარიანი გამხდარიყო. ამიტომ იყო, რუსეთის მმართველ წრეებში ემხრობოდნენ იმ აზრს, რომ არ იყო სასურველი, კრიზისი გერმანიასა და საფრანგეთს შორის კონფლიქტამდე მისულიყო[39].

ბერლინში ჟ. კამბონთან მოლაპარაკების დროს კიდერლენ-ვეხტერი აცხადებდა, რომ ის იძულებული იყო გაეთვალისწინებინა გერმანიის „საზოგადოებრივი აზრის“ განწყობილება და ამიტომ მოითხოვდა საფრანგეთის კონგოს მთლიანად[40]. განმარტავდა რა მიზეზებს, რის გამოც გერმანიის დიპლომატიამ აშკარად მიუღებელი მოთხოვნები წარუდგინა საფრანგეთს, ბეტმან-ჰოლვეგი სწერდა ვილჰელმ II-ს 1911 წ. 20 ივლისს: „ჩვენ გამოვედით საკუთარი მოთხოვნებით.

---

[36] В. В. Герчикова. Попытки Германии ослабить тройственное согласие во время Агадирского кризиса 1911 года. Тр. Томского гос. ун-та, 1970, сер. историч. т. 207, стр. 42.

[37] МОЭИ, сер. 2, Т. 18, ч. 1, № 372.

[38] См. Л. А. Нейман. Франко-русские отношения во время Марокканского кризиса 1911 г. Французский ежегодник 1969 г., М., 1971, стр. 77—78.

[39] См. Ю. Ратиани. указ. статья, стр. 51—52; F. Haselmayr. Diplomatische Geschichte des zweiten Reiches von 1871—1918. Bd. 6. Der Weg in die Katastsophe (1909—1918), 1. Teil, München, 1963, S. 109.

[40] Gr. Pol., Bd. 29, № 10613, S. 192; F. Fischer. Krieg Der Illusionen, S. 122—123.

საჭირო იყო ფრანგებისაგან ქედმაღლობის ჩამოცილება, ამიტომ კიდერლენმა კამბონთან საუბარში დაასახელა საფრანგეთის კონგო მთლიანად. ეს გაკეთდა განგებ, რათა თავისუფლად ვიმოქმედოთ მოლაპარაკების განახლებისას"[41]. იმავე დროს გერმანიის დიპლომატია მიზნად ისახავდა, საბოლოოდ გაერკვია ინგლისისა და მეფის რუსეთის პოზიცია. მოლაპარაკებანი გერმანიასა და საფრანგეთს შორის საიდუმლო ხასიათს ატარებდა, მაგრამ გერმანელი დიპლომატები ვარაუდობდნენ, რომ გერმანიის მოთხოვნები ცნობილი გახდებოდა საფრანგეთის მოკავშირეებისათვის და ეს, მართლაც, ასე მოხდა. როგორც გერმანიის ელჩი ლონდონში მეტერნიხი იტყობინებოდა ბერლინში, მან ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთან საუბრის საფუძველზე გამოიტანა დასკვნა, რომ პარიზის მეშვეობით ინგლისის მთავრობამ იცოდა მოლაპარაკების შესახებ[42].

ამ პერიოდისათვის გერმანიაში ხშირად იმართებოდა პანგერმანული კავშირისა და სხვა მილიტარისტული ორგანიზაციების კრებები, რომელნიც განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ და, ოსტენ-საკენის აღნიშვნით, მკვეთრად გამოხატულ ანტიინგლისურ ხასიათს ატარებდნენ[43].

1911 წ. 20 ივლისს პარიზში თათბირზე ინგლისის გენერალური შტაბის წარმომადგენელი ვილსონი ფრანგებს არწმუნებდა, რომ ომის შემთხვევაში კონტინენტზე გაიგზავნებოდა საექსპედიციო არმია — 6 ქვეითი, 1 საკავალერიო დივიზიისა და 2 საკავალერიო ბრიგადის შემადგენლობით[44].

გერმანიის მმართველი წრეები საფრანგეთთან მოლაპარაკების დროს განაგრძობდნენ მის დაშინებას და მაროკოს საკითხით ინგლისის დაინტერესებულობის უგულვებელყოფას[45]. ამას მოჰყვა რადიკალური ჯგუფის ლიდერის ლოიდ-ჯორჯის 1911 წ. 21 ივლისს წარმოთქმული სიტყვა. მან განაცხადა, „თუ ჩვენ თავს მოვეხვევენ ისეთ ვითარებას, რომლის დროსაც შესაძლებელი იქნება მშვიდობის შენარჩუნება, მხოლოდ უარის თქმით იმ დიდ და კეთილშობილ როლზე, რასაც ინგლისი მრავალი ასეული წლის მანძილზე ასრულებდა გმირულ მიღწევათა წყალობით... მაშინ პირდაპირ ვიტყვი, რომ ასე-

---

[41] Gr. Pol., Bd. 29, № 10613, S. 192; F. Haselmayr, დასახ. ნაშრ., გვ. 112.

[42] იქვე, № 10615, გვ. 197.

[43] АВПР, ф. Канцелярия, д. 18, л. 188, Остен-Сакен Нератову, 19 августа/1 сентября 1911 г.

[44] Br. Doc., V. 7, № 640.

[45] F. Fischer. Krieg Der Illusionen, S. 206.

თი მშვიდობა დამცირება იქნებოდა ჩვენთვის"[46]. რა თქმა უნდა, ამ სიტყვის აზრი ინგლისის ქება-დიდებას არ ისახავდა მიზნად. მიუხედავად იმისა, რომ ლოიდ-ჯორჯის სიტყვაში არც გერმანია და არც მაროკო ნახსენები არ ყოფილა, ის წარმოადგენდა პირდაპირ გაფრთხილებას გერმანიის მიმართ[47]. ამას თვითონ ლოიდ-ჯორჯიც აღნიშნავდა შემდგომ თავის მემუარებში: „საქმე იყო არა მარტო გერმანელების თავხედობა, არამედ ის, რომ მათ არ შეეძლოთ წარმოედგინათ, თუ რაოდენ გადაჭრით დაუპირდა მხარს ინგლისი საფრანგეთს. ამ პრინციპებმა მაიძულა მე, წარმომეთქვა სიტყვა... გადავწყვიტე მესარგებლა შემთხვევით, რათა გამეკეთებინა განცხადება, რომელიც გააფრთხილებდა გერმანიას იმ საფრთხის გამო, რომელიც ემუქრებოდა მას მისი მინისტრების უგნურების გამო"[48]. ამ სიტყვის მიზანი ისიც იყო, რომ ინგლისში გამოეწვიათ ანტიგერმანული განწყობილება და ამით გაეადვილებინათ ინგლისის მთავრობისათვის გამალებული შეიარაღება და გერმანიასთან მოსალოდნელი ომისათვის სამზადისი. აქ მთელი სიღრმით იჩინა თავი ინგლის-გერმანიის შეურიგებლობამ. გერმანიის დიპლომატიის ცდები, დაესუსტებინა ანტანტა, წარუმატებლად დამთავრდა[49]. მდგომარეობა ისე დაიძაბა, რომ საფრანგეთ-გერმანიის კონფლიქტი ინგლისსა და გერმანიას შორის ომის წარმოშობით იმუქრებოდა. ინგლისის სამხედრო-საზღვაო ფლოტი საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანეს. გ. რიტერის აზრით, არავითარი ეჭვი არ არსებობდა, რომ „ინგლისი მერყეობის გარეშე მთელი თავისი ძლიერებით გამოვიდოდა საფრანგეთის მხარეზე იმ შემთხვევაში, თუ ის მაროკოს გამო გერმანიის იმპერიასთან აღმოჩნდებოდა კონფლიქტში"[50].

დიდი ბრიტანეთის ასეთმა პოზიციამ საფრანგეთი უფრო შეურიგებელი გახადა გერმანიის მიმართ, დაპირისპირება კი მათ შორის კიდევ გამწვავდა[51]. რუსეთის ელჩი პარიზში იზვოლსკი იტყობინებოდა ჟ. კამბონის განცხადების შესახებ კიდერლენ-ვეხტერისადმი, რომ „საფრანგეთი არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდება გერმანიას მაროკოს არც ერთ ნაწილში დამკვიდრებაზე"[52].

---

[46] Ллойд Джордж. указ. соч., стр. 58, прим.
[47] F. Haselmayr. დასახ. ნაშრ., გვ. 115.
[48] Ллойд Джордж. указ. соч., стр. 57.
[49] В. В. Герчикова, указ. статья, стр. 47.
[50] G. Ritter. Staatskunst und Kriegshandverk. Das Problem des „Militarismus" in Deutschland Bd. 2. Die Hauptmächte Europas und das wilhelmische Reich (1890—1914), München, 1960, S. 214.
[51] F. Fischer. Krieg Der Illusionen, S. 135.
[52] МОЭИ, сер. 2, Т. 18, № 192.

გერმანელი იმპერიალისტები დარწმუნდნენ, რომ საფრანგეთის წინააღმდეგ გამოსვლა შეუძლებელი გახდა, ამიტომ მილიტარისტული პროპაგანდა, დაუყოვნებლივ, ენერგიულად წარმართეს ინგლისის წინააღმდეგ. ამით ბერლინში სურდათ მიეღწიათ გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის შემდგომი განვითარებისა და ასიგნებების გადიდებისათვის.

ოსტენ-საკენი აღნიშნავდა, რომ „ინგლისის წინააღმდეგ გაღიზიანების გრძნობა... იზრდება უკანასკნელ დროს". გერმანიის მთავრობა ხედავს თავის მთავარ მეტოქეს „ინგლისის და არა საფრანგეთის სახით"[53]. შემდეგ ოსტან-საკენი წერს, რომ გერმანიის ოფიციალური წრეები ადანაშაულებენ ინგლისის მთავრობას იმაში, რომ მას სურს „ხელი შეუშალოს მაროკოს კრიზისის მშვიდობიან მოგვარებას"[54]. ამჯერად გერმანიის მთავრობა სწორად აფასებდა ინგლისის მმართველი წრეების პოზიციებს, რომელნიც თანახმა იყვნენ ომის გაჩაღებისა გერმანიის წინააღმდეგ. მაგრამ ინგლისის მთავრობას ეშინოდა ქვეყნის შიგნით უკმაყოფილების ზრდისა იმ შემთხვევაში, თუ სერიოზული საბაბის გარეშე თავს დაესხმოდა გერმანიას, ამიტომ მას სურდა, რომ თვითონ გერმანიას გაეჩაღებინა ომი. უნდა აღინიშნოს, რომ მაროკოს მეორე კრიზისის დროს ინგლისის მიმართ თავიანთი მთავრობის პოლიტიკით უკმაყოფილო იყო გერმანიის არმიის ხელმძღვანელობა. გენერალური შტაბის უფროსი მოლტკე 1911 წ. 19 აგვისტოს სწერდა თავის მეუღლეს, რომ განიცდიდა მაროკოს მოვლენებს და თუ გერმანია არ გამოიჩენდა ენერგიულობას თუნდაც ომის ფასად, მაშინ მომავალს უიმედოდ ჩათვლიდა და ამის გამო გაღიზიანებოდა[55].

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერის ავგ. ბებელის აზრით, გერმანიის მრეწველობას უნდა ჰქონოდა სხვა სახელმწიფოების თანაბრად მაროკოში დაშვების შესაძლებლობა, მაგრამ ბებელი „კატეგორიულად გამოდიოდა გერმანიის საფრანგეთთან ომში ჩაბმის წინააღმდეგ. გერმანული კრეისერის გაგზავნაა აგადირში ის დიდ შეცდომად თვლიდა, რომლისთვისაც იმპერიის კანცლერსა და საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანს პასუხი უნდა ეგოთ რაიხსტაგის წინაშე"[56]. „გერმანიის სოციალ-დემოკრატები, — წერდა „სა-

---

[53] АВПР, ф. Канцелярия, д. 18, л. 189, Остен-Сакен Нератову, 19 авг./1 сент. 1911 г.

[54] Там же.

[55] H. v. Moltke, დასახ. ნაშრ., გვ. 362.

[56] АВПР, ф. Канцелярия, д. 18, лл. 191—192, Шебеко Нератову, 2/15 сент. 1911 г.

ხალხო გაზეთი“,—კიცხავენ მთავრობის მოქმედებას და ავანტიურას უწოდებენ მას. ხოლო აგადირში გემის გაგზავნა მხოლოდ პროვოკაციაა, რომელსაც ომის გამოწვევა აქვს აზრად“[57].

გერმანია იძულებული გახდა უკან დაეხია. მაროკოს მეორე კრიზისი, რომელმაც კოლონიური ტერიტორიების გადანაწილების გამო ომის საფრთხე წარმოშვა, დასასრულს მიუახლოვდა. საფრანგეთსა და გერმანიას შორის 1911 წ. 4 ნოემბერს დადებულ შეთანხმებას ხელი მოაწერეს კიდერლენ-ვეხტერმა და ჟიულ კამბონმა. შეთანხმება შეიცავდა ორ დამოუკიდებელ ხელშეკრულებას — ერთი ეხებოდა მაროკოს, მეორე აფრიკის ეკვატორიული ნაწილის სამფლობელოებს[58].

პირველი ხელშეკრულებით, რომლის თანახმად უქმდებოდა საფრანგეთ-გერმანიის 1909 წ. შეთანხმება მაროკოს შესახებ, გერმანია ცნობდა საფრანგეთის უპირატეს პოლიტიკურ უფლებებს მაროკოში, რაც არსებითად ამ ქვეყანაზე პროტექტორატის დაწესებას ნიშნავდა. მეორე მხრივ, საფრანგეთი აღიარებდა იქ ყველა სახელმწიფოსათვის სრული ეკონომიკური თანასწორობის გარანტიას. მეორე ხელშეკრულებით გერმანია იღებდა საფრანგეთისაგან კომპენსაციის სახით საფრანგეთის კონგოს მნიშვნელოვან ნაწილს 275000 კვადრ. კმ. ტერიტორიით, თავის მხრივ კი თმობდა საფრანგეთის სასარგებლოდ მიწის პატარა ზოლს ჩადის ტბის მახლობლად. ეს ხელშეკრულება ითვალისწინებდა, აგრეთვე, სხვადასხვა დადგენილებას დათმობილ ტერიტორიებზე მიმოსვლის საშუალებათა გამოყენების შესახებ[59].

ვ. ი. ლენინი ასე ახასიათებდა ამ მორიგებას: „გერმანია ბეწვზეა საფრანგეთთან და ინგლისთან ომისაგან. ძარცვავენ („იყოფენ“) მაროკოს. ცვლიან მაროკოს კონგოზე“[60].

კომპრომისმა მაროკოს საკითხზე საფრანგეთში და განსაკუთრებით გერმანიაში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. შეთანხმებას უარყოფითად შეხვდნენ პანგერმანელები და მას პროტესტით გაემეხმაურნენ. რუსეთის ელჩი ბერლინში აცნობებდა საგარეო საქმეთა სამინისტროს: „თითქმის მთელი პრესა, რომელიც არ არის მთავრობის გავლენის ქვეშ, განსაკუთრებით კი პანგერმანული ორგანოები, მასში გერმანიის მთლიან დამარცხებასა და საფრანგეთის წინაშე კაპიტულაციას ხედავენ. აშკარად გამოითქმის აზრი, რომ არ არის

---

[57] „სახალხო გაზეთი“, 1911 წ. I/14 ივლისი.

[58] АВПР, ф. Канцелярия, д. 18, л. 218, Остен-Сакен Нератову 27 окт./9 ноябр. 1911 г.

[59] იქვე.

[60] ვ. ი. ლენინი, რვეულები იმპერიალიზმის შესახებ, თხზ., ტ. 39, გვ. 713.

საჭირო გუავდეს სანიმუშო არმია და მძლავრი ფლოტი, თუ საჭირო მომენტში არ ისარგებლებ საკუთარი ძალით, უკან დაიხევ უფრო სუსტი მოწინააღმდეგის წინაშე"[61].

ცნობილი პუბლიცისტი, პოლიტიკოსი და გეოგრაფი რორბახი კიცხავდა პანგერმანულ პრესას ასეთი გამოსვლებისათვის[62]. მას მიაჩნდა, რომ მაროკოს მეორე კრიზისი გერმანიის გამარჯვებით დამთავრდა და მან აიძულა საფრანგეთი, მრავალ დათმობაზე წასულიყო[63]. სინამდვილეში, საფრანგეთის მხრიდან არავითარ დათმობას არ ჰქონია ადგილი, პირიქით, გერმანია იძულებული გახდა, დათანხმებოდა კომპენსაციას. „გერმანიის დიპლომატიური წარუმატებლობა მარტო ის კი არ იყო რომ საეჭვო კომპენსაციებს ითვალისწინებდა, არამედ უწინარეს ყოვლისა ის, რომ მისი საგარეო პოლიტიკური იზოლაცია და ომის საფრთხე განუწყვეტლივ ძლიერდებოდა"[64].

ქართული პრესაც შესაბამისად გამოეხმაურა ამ ფაქტს. „სახალხო გაზეთი" წერდა: „მაროკოს თაობაზე საფრანგეთ-გერმანიის დავა გათავდა ...ერთმანეთს იმას ედავებოდნენ, იმისთვის აპირებდნენ სისხლის ღვრასა და ერთი ეაი-ვაგლახის დაწევას, რაც არც ერთს ეკუთვნოდა და არც მეორეს... თუმცა ორივე მხარე უკმაყოფილოა დადებული ხელშეკრულებისა, თუმცა ორივე მხარე გულში თავს დამარცხებულად სთვლის, მაგრამ მოგებაში მაინც საფრანგეთია"[65].

მაროკოს შესახებ საფრანგეთ—გერმანიის შეთანხმების განხილვა კარდახშულ ვითარებაში მიმდინარეობდა რაიხსტაგის საბიუჯეტო კომისიაში[66]. განხილვიდან რამდენიმე დღის შემდეგ ოფიციოზურმა ვოლფის სააგენტომ გამოაქვეყნა პირველი სხდომის ოქმის ტექსტი. კიდერლენ-ვეხტერმა რაიხსტაგში ვრცელი სიტყვა წარმოთქვა და გაამართლა გერმანული კრეისერის აგადირში გაგზავნა. მან მთელი პასუხისმგებლობა საფრანგეთს დააკისრა და განუმარტა დეპუტატებს, რომ სამხედრო გემის გაგზავნა აგადირში წარმოადგენდა მხოლოდ თანასწორობის გარანტიას ვაჭრობისა და მრეწველობის სფეროში; რომ ხომალდის გაგზავნას მიზნად ჰქონდა გერმანიის ქვეშევრდომების სიცოცხლისა და საკუთრების დაცვა. შემდგომ მან ილაპარაკა საფ-

---

[61] АВПР, ф. Канцеляря, д. 18, л. 219, Остен-Сакен Нератову, 27 октября/9/ноября 1911 г.

[62] П. Рорбах, указ. соч., стр. 45.

[63] Там же, стр. 49—50.

[64] A. Schreiner, დასახ. ნაშრ., გვ. 245.

[65] „სახალხო გაზეთი", 1911 წ. 17/30 ნოემბერი.

[66] АВПР. ф. Канцелярия. д. 18, л. 245, Остен-Сакен Нератову, 29 окт/11 ноября 1911 г.

რანგეთთან მოლაპარაკების მსვლელობაზე და წარმოადგინა დადებული შეთანხმება როგორც გერმანიის დიპლომატიის გამარჯვება[67]. კიდერლენ-ვეხტერმა აღნიშნა, რომ ინგლისი აქტიურად ერეოდა მაროკოს საკითხში და ენერგიული მხარდაჭერა აღმოუჩინა საფრანგეთს[68]. ამ ცნობამ გამოიწვია ახალი ანტიინგლისური გამოსვლები გერმანიის ბურჟუაზიულ პრესაში. „თითქმის ყველა მიმართულების პრესა მეორე დღესვე თავს დაესხა ინგლისს კრიტიკული სტატიებით, — წერდა ოსტენ-საკენი, — ამასთან ის ხაზს უსვამდა იმის აუცილებლობას, რომ მხედველობაში მიეღოთ ინგლისთან შეტაკების შესაძლებლობა, რომელიც ამჯერად აცილებული იქნა, გარკვეულ გარემოებათა დამთხვევისას მთლიანად არსებობს ახლაც და იარსებებს შორეულ მომავალშიც. მსოფლიო პოლიტიკაში მნიშვნელოვანია იცოდე, სად ეძებო მტერი, უკანასკნელი თვეების მოვლენებმა კი ნათლად აჩვენეს, სად იმყოფება ის; ეს პრესის ზოგიერთი ორგანოს აზრით, მთელი კრიზისის ერთ-ერთ დადებით მხარეს წარმოადგენს“[69].

ეს სწადდა გერმანიის მთავრობასაც — ის ატარებდა როგორც სახმელეთო, ისე საზღვაო გამალებული შეიარაღების კურსს და მილიტარიზმის პროპაგანდისათვის საუკეთესო შესაძლებლობა ეძლეოდა. ოსტენ-საკენი წერდა, რომ პანგერმანული წრეების გაზეთების ოფიციოზური ცნობების შედეგად „ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ გერმანია განვლილ ზაფხულს ბეწვზე ეკიდა ინგლისთან სამხედრო შეტაკების მხრივ“[70].

კიდერლენ-ვეხტერის სიტყვა რაიხსტაგში მთლიანად იცავდა საფრანგეთსა და გერმანიას შორის 1911 წ. 4 ნოემბრის შეთანხმებას. იგივე აზრი ედო საფუძვლად ბეტმან-ჰოლვეგის გამოსვლას რაიხსტაგში. კანცლერის განცხადებას, რომ გერმანიის მთავრობა ინგლისის მიმართ არავითარ დათმობაზე არ წასულა, ირონიული სიცილით შეხვდნენ, ხოლო სიტყვებს გერმანიის ძლიერებისა და მისი წარმატებების შესახებ, სრული სიჩუმით[71]. ასეთი გამოსვლები საშუალებას აძლევდნენ მილიტარისტებს, გაეკეთებინათ დასკვნები, რომ გერ-

---

[67] ვალენტინს ეს შეთანხმება მიაჩნია საფრანგეთის დამცირებად და ინგლისის გაფრთხილებად (V. Valentin, დასახ. ნაშრ., გვ. 105).

[68] АВПР, ф. Канцелярия, д. 18, л. 246. Остен-Сакен Нератовву, 11/24 ноября, 1911 г.

[69] იქვე,

[70] იქვე.

[71] «Новое время», 28 окт./10 нояб. 1911 г; იხ. აგრეთვე, „Stenographische Berichte über die Verhandlungen des Deutschen Reichstages“, 1911, Bd. 268, S. 7708—7713, ბეტმან ჰოლვეგის სიტყვა რაიხსტაგში.

მანიას არა აქვს სხვა გამოსავალი გარდა შემდგომი გამალებული შეიარაღებისა.

ნაციონალ-ლიბერალების ლიდერმა ბასერმანმა რაიხსტაგში გამოსვლისას განაცხადა, რომ „პანტერას“ ნახტომმა ძალიან გაამწვავა მდგომარეობა, ამიტომ ქვემეხოსნის გაგზავნა აგადირში შეცდომას წარმოადგენდა[72].

კონსერვატორების ლიდერმა ჰეიდებრანდმა თავის გამოსვლაში ლოიდ ჯორჯის სიტყვას დამამცირებელი გამოწვევა უწოდა, რომელსაც გერმანელი ხალხი არ დაივიწყებდა. ის ადანაშაულებდა ინგლისს იმაში, რომ ის ესწრაფვოდა ომის გაჩაღებას გერმანიასა და საფრანგეთს შორის. მისი განცხადებით გერმანელმა ხალხმა გაიგო, სად იმყოფებოდა ნამდვილი მტერი[73].

კანცლერის სიტყვა რაიხსტაგის სხდომაზე გააკრიტიკეს სოციალ-დემოკრატებმა. ავგუსტ ბებელი აღნიშნავდა, რომ გერმანიის იმპერიალისტურ პრესაში ატეხილი კამპანია გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სისუსტის შესახებ, რომელიც თითქოსდა გამომჟღავნდა განვლილი კრიზისის დროს, მიზნად ისახავს, მიაღწიოს სამხედრო-საზღვაო უწყებისათვის ახალი კრედიტების მიცემას. ბებელი აფრთხილებდა მმართველი წრეებს, რომ გერმანიის მიერ ახალი საზღვაო კანონის მიღება საფუძველს აძლევდა ინგლისს გაეძლიერებინა თავისი ფლოტი პრინციპით: ორი ერთეული ერთის წინააღმდეგ. ყოველივე ეს უაღრესად ამწვავებდა მდგომარეობას ევროპის ამ უძლიერეს სახელმწიფოებს შორის და წარმოშობდა ევროპული ომის საშიშროებას[74].

აგადირის კრიზისის დასრულებას ხელი შეუწყო ინგლისის პოზიციამ. რომელმაც აშკარად დაუჭირა მხარი საფრანგეთს. ინგლისთან ერთად გერმანიაზე სერიოზული გავლენა მოახდინა მეფის რუსეთმაც, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობის გამწვავებას მაროკოს კრიზისის გამო სახიფათოდ თვლიდა თავისი ინტერესებისათვის[75]. პეტერბურგი ცდილობდა, დაეყოლიებინა პარიზი, წასულიყო დათმობაზე გერმანიასთან მოლაპარაკების მსვლელობაში, რათა ამ უკანასკნელისათვის მიეცათ კომპენსაცია ეკვატორულ აფრიკაში. ასეთ პოზიციას პეტერბურგი იმით ხსნიდა, რომ რუსეთი ცოტა ხნის

---

[72] E. Eyck, დასახ. ნაშრ., გვ. 584.

[73] იქვე.

[74] „Stenographiche Berichte über die Verhandlungen des Deutschen Reihstages“, 1911, Bd. 268, S. 7729—7730.

[75] Л. А. Нейман, указ. ст., стр. 67.

წინ შეუდგა არმიის რეორგანიზაციას და ამდენად არ შეეძლო გერმანიის წინააღმდეგ ეფექტური ომის წარმოება[76].

მაროკოს ავანტიურა, რომელმაც უაღრესად დაძაბა წინააღმდეგობანი იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის, დამთავრდა გერმანიის სრული დიპლომატიური მარცხით — მან თავის საწადელს ვერ მიაღწია[77].

ადმირალი ტირპიცი თავის მოგონებებში, მართალია, წერდა გერმანიის დიპლომატიური მარცხის შესახებ მაროკოს მეორე კრიზისის დროს, მაგრამ ისე, რომ ცდილობდა ამ ფაქტის გამოყენებას ახალი საზღვაო შეიარაღების დასასაბუთებლად[78].

მაროკოს მეორე კრიზისი მოწმობდა, რომ გერმანიის იმპერიალისტურმა საგარეო პოლიტიკამ კიდევ ერთხელ განიცადა მძიმე დარტყმა. გერმანიამ ვერ შეძლო სამთა ანტანტის გათიშვა. გერმანიის საერთაშორისო მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. რაც ხელს უწყობდა მისი იზოლირებული მდგომარეობის შემდგომ გაძლიერებას. ასეთ სავალალო შედეგამდე გერმანია მიიყვანა ვიწრო კლასობრივმა და არა ეროვნული ინტერესების დაცვის პოლიტიკამ[79]. მაროკოს მეორე კრიზისის შედეგად კიდევ უფრო გაძლიერდა ინგლის-გერმანიის ანტაგონიზმი. მან ხელი შეუწყო გამალებული შეიარაღების დაჩქარებას ყველა იმპერიალისტურ ქვეყანაში, კერძოდ გერმანიაში, და გაზარდა მსოფლიო ომის წარმოშობის საფრთხე.

ინგლისის პოზიციით გამოწვეული უკმაყოფილების გრძნობა კრიზისის დამთავრების შემდეგაც იჩენს თავს გერმანიის მმართველ წრეებში. განსაკუთრებით აქტიურობენ პანგერმანული და მილიტარისტული ორგანიზაციები. მაგალითად, პანგერმანელები კვლავ მთავრობის კრიტიკით გამოდიან და მოითხოვენ გერმანიის პასუხისმგებელი სახელმწიფო მოღვაწეების გადადგომას; ამასთან ამტკიცებენ, რომ მხოლოდ ასეთი ღონისძიებანი იხსნიან გერმანიას საგარეო-პოლიტიკური წარუმატებლობისაგან და მომავალში ბედნიერებას მოუტანენ მას[80].

გერმანიის მთელი ბურჟუაზიული პრესა ინგლისის წინააღმდეგ ილაშქრებდა. ყველაფერი ეს კი გავლენას ახდენდა საზოგადოების ფართო ფენებზე, რომელიც ინგლისის პოზიციამ 1911 წ. საფრანგეთ-გერმანიის მოლაპარაკების დროს „საბოლოოდ დაარწმუნა იმაში..

---

[76] См. МОЭИ, сер. 2, т. 18, ч. 1, стр. 377—378, 384—391.

[77] Г. Хальгартен, указ. соч., стр. 505.

[78] А. Тирпиц, указ. соч., стр. 234.

[79] А. Норден, указ. соч., стр. 23.

[80] «Россия», 3/16 декабря, 1911 г.

რომ მათ უნდა შეხედონ ინგლისს, როგორც თავის შეურიგებელ მტერს, რომელიც უთუოდ მიზნად ისახავს გერმანის საზღვაო ძლიერების შემუსვრას"[81]. ასევე გააღიზიანა მილიტარისტული წრეები ანტანტის სიმტკიცემ. მაგალითად, გენერალი ბერნჰარდი თავის მოწოდებაში გერმანელი ხალხისადმი წერდა, რომ „დავამ მაროკოს გამო ნათლად დაამტკიცა გერმანიის მსოფლიო მდგომარეობის მოჩვენებითობა, ხოლო ყოველგვარი პოლიტიკა, რომელიც გერმანიის გაძლიერებას ემსახურება, იწვევს მძლავრი სამთა შეთანხმების მხრიდან მტრობას, რაშიც გადამწყვეტ როლს ახლა თამაშობს ინგლისი"[82].

გერმანიის მმართველი წრეები შეშფოთებით ადევნებდნენ თვალს თავიანთი ქვეყნის მდგომარეობის გაუარესებას. ამიტომ ბეტმან-ჰოლვეგი და მისი პოლიტიკის მომხრენი ცდილობდნენ, მიეღწიათ დაძაბულობის შესუსტებისათვის ინგლისთან, თუნდაც დროებით, რომ ამით საშუალება მისცემოდათ უკეთ მომზადებულიყვნენ გადამწყვეტი ბრძოლისათვის მასთან. მაროკოს მეორე კრიზისის დროს შექმნილი სიტუაცია ხელს უწყობდა იტალიის მმართველ წრეებს, განეხორციელებინათ თავიანთი ექსპანსიონისტური მიზნები ტრიპოლიტანიისა და კირენაიკის მიმართ. იტალიას არ აწუხებდა მისი მოკავშირეების — სამთა კავშირის წევრების — პოზიცია, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ისინი წინააღმდეგობას არ გაუწევდნენ. ამის საფუძველს იძლეოდა შეთანხმება სამთა კავშირის შესახებ, რომლის თანახმადაც გერმანიამ და ავსტრია-უნგრეთმა ივალდებულეს. წინააღმდეგობა არ გაეწიათ იტალიის მოქმედებისათვის ტრიპოლიტანიაში[83]. იმავე დროს იტალია იმედოვნებდა, რომ წინააღმდეგობა არ შეხვდებოდა საფრანგეთისა და რუსეთის მხრივაც, რადგანაც იტალიის მიერ საფრანგეთთან 1902 წ. და რუსეთთან 1909 წ. დადებული საიდუმლო შეთანხმებანი ითვალისწინებდნენ ამ ორ ქვეყანასთან ურთიერთინტერესებისა და მისწრაფებების პატივისცემას და მხარდაჭერას. დიდი სახელმწიფოებიდან რჩებოდა მხოლოდ ინგლისი. მაგრამ ამ უკანასკნელმაც საგარეო საქმეთა მინისტრის გრეის მეშვეობით 16 აგვისტოს განაცხადა, რომ დიდი ბრიტანეთი კვლავაც აღმოუჩენდა დიპლომატიურ დახმარებას იტალიას[84]. ამრიგად, იტალიის სწრაფვას არაფერი ეღობებოდა წინ.

---

[81] АВПР, ф. канцелярия, д. 19, лл. 80—81, Остен-Сакен Сазонову, 9·22 декабря 1911 г.

[82] Ф. Бернгарди, Наша будущность, Возвание к германскому народу, СПб., 1914, стр. 26.

[83] Т. Бетман-Гольвег. Мысли о войне, стр. 45.

[84] В. В. Лощинин. Английская дипломатия и итало-турецкая война 1911—1912 гг. — Первая мировая война. 1914—1918, М., 1968, стр. 94.

1911 წ. 28 სექტემბერს იტალიის საქმეთა რწმუნებულმა მარტინომ გადასცა თურქეთის მთავრობას ულტიმატუმი, რომლითაც მოითხოვდა თურქეთისაგან, ეცნო ტრიპოლიტანიის ოკუპაცია იტალიის მიერ, წინააღმდეგ შემთხვევაში ომით ემუქრებოდა მას[85]. თურქეთმა უარი თქვა ულტიმატუმის მიღებაზე, რასაც იტალიამ 29 სექტემბერს ომის გამოცხადებით უპასუხა და გაგზავნა ძლიერი საექსპედიციო კორპუსი პატარა რაზმის წინააღმდეგ, რომელიც იცავდა ტრიპოლიტანიის სანაპიროს[86].

გერმანის დიპლომატია ამ მოვლენამ რთული ამოცანების წინაშე დააყენა, რადგანაც „მოულოდნელად გაჩაღებულმა ტრიპოლიტანიის კრიზისმა, გერმანიაში გამოიწვია დიდი განგაში და ძნელად დასაფარავი გაღიზიანება იტალიის წინააღმდეგ"[87]. გერმანიას ჭირდა განსვლა თავისი მოკავშირის — იტალიის წინააღმდეგ, რომ ამით საბოლოოდ არ ებიძგებინა მისთვის ანტანტისაკენ. მაგრამ, მეორე მხრივ, არც თურქეთის დასუსტება სურდა, სადაც მას ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის მნიშვნელოვანი იმპერიალისტური ინტერესები ჰქონდა[88]. ამას ადასტურებდა შებეკო, რომელიც წერდა: „ერთი მხრივ, თურქეთის ყოველგვარი დასუსტება წარმოადგენს მისთვის (გერმანიისათვის — ვ. ჩ.) უკიდურესად არასასურველ მოვლენას და პირდაპირ ეწინააღმდეგება იმ პოლიტიკურ პროგრამას, რომელსაც ის უსიტყვოდ მისდევდა წლების მანძილზე; აიარაღებდა და ანტკიცებდა თურქეთს რუსეთისა და ინგლისის წინააღმდეგ. მეორე მხრივ, ასევე არასასურველი იყო მისთვის აშკარად მტრული პოზიციის დაკავება იტალიის წინააღმდეგ, რათა საბოლოოდ არ გაეწყვიტა ის სუსტი კავშირი, რომელიც ჰქონდა ამ სახელმწიფოს სამთა კავშირთან"[89].

უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიის დიპლომატიის აზრით, თურ-

---

[85] МОЭИ, сер. 2, т. 18, ч. II, № 478.

[86] გაზ. „მნათობი", 1911, 20 სექტ. /3 ოქტომბერი; E. E y c k, დასახ. ნაშრ., გვ. 584.

[87] АВПР, ф. Канцелярия, д. 19, л. 64, Шебеко Нератову, 16/29 сентября 1911 г.

[88] ამიტომ იყო, რომ გერმანიის მთავრობას ისე ეჭირა თავი, თითქოს არ სჯეროდა, თუ იტალიის მთავრობა რაიმე მტრული ღონისძიების გატარებას იფიქრებდა თურქეთის მიმართ (МОЭИ, сер. 2, Т. 18, ч. II, № 643).

[89] АВПР, ф. Канцелярия, д. 19, л. 65, 1911 г.; იხ. აგრეთვე, E. E y c k, დასახ. ნაშრ., გვ. 596; გაზ. „მნათობი", 1911 წ. 20 სექტ. /3 ოქტ.

ქეთის ყოველგვარ დასუსტებას უნდა გაეადვილებინა გერმანიისათვის მთელი თურქეთის ხელში ჩაგდება[90].

დიდი ბრიტანეთი ცდილობდა შექმნილი სიტუაციის გამოყენებას და იტალიის გადაბირებას ანტანტის მხარეზე. ინგლისი წინააღმდეგი რომ ყოფილიყო იტალიისა, ეს უკანასკნელი ვერ გაბედავდა ომის დაწყებას, რადგან დიდი ბრიტანეთის ხმელთაშუა ზღვის ესკადრა, რომელსაც ბაზა კუნძულ მალტაზე ჰქონდა, არ დაუშვებდა იტალიის ფლოტს აფრიკის ჩრდილოეთ სანაპიროებთან. მაგრამ ინგლისი, ითვალისწინებდა რა, უწინარეს ყოვლისა, გერმანიასთან არსებულ გადაულახავ წინააღმდეგობებს, ცდილობდა იტალიის ღონისძიებების გამოყენებას თავისი ინტერესებისათვის[91] და ამ აზრით, „იტალია-თურქეთის ომი წარმოადგენდა, არსებითად, მხოლოდ ეპიზოდს ინგლის-გერმანიის დუელში"[92].

თავისთავად ცხადია, რომ ინგლისის მხარდაჭერა იტალიისადმი წარმოადგენდა კარგ საბაბს გერმანიის მმართველი წრეებისათვის, რათა აემხედრებინათ საზოგადოებრივი აზრი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ, რომელიც ყველგან და ყოველთვის გერმანიის საძულველ მტრად გამოდიოდა. „გერმანიის საზოგადოებრივი აზრი, — იტყობინებოდა შებეკო, — აღელვებული, ხმამაღლა ადანაშაულებს ინგლისს ახლანდელი პოლიტიკური კრიზისის ხელოვნურად გაღვივებაში იმ მიზნით, რომ გამოიწვიოს შეტაკება იტალიასა და თურქეთს შორის და ამით დაასუსტოს ერთდროულად, მოკავშირე და გერმანიისადმი მეგობრულად განწყობილი სახელმწიფოები და ორივე მათგანი დააეჭვოს მათთვის გერმანიის მეგობრობის სარგებლობაში"[93].

ომი ტრიპოლიტანიაში გაჭიანურდა. იტალიამ ვერ შეძლო ქვეყნის შუაგულში შეღწევა, ამიტომ გადაწყვიტა გამოსულიყო თურქეთის წინააღმდეგ მის ევროპულ ტერიტორიაზეც. ეს ღონისძიება Status quo-ს საკითხს ბალკანეთზე, რომელზეც იტალიასა და ავსტრია-უნგრეთს შორის სპეციალური შეთანხმება არსებობდა, განსაკუთრებით ამწვავებდა[94].

გარდა ამისა, ავსტრია-უნგრეთს იტალია თავის მეტოქედ მიაჩნდა და ამდენად მისი გზიდან ჩამოცილებაც სურდა. ჯერ კიდევ

---

[90] М. Г. Оруджев. Из истории проникновения германского империализма в Турцию, Баку, 1961, стр. 74.

[91] F. Fischer. Krieg Der Illusionen, S. 206.

[92] В. В. Лощинин, Английская дипломатия и итало-турецкая война 1911—1912 гг. — Первая мировая война 1914—1918. М., 1968, стр. 98.

[93] АВПР, ф. Канцелярия, д. № 19, л. 66, Шебеко Нератову, 16/29 сентября 1911 г.

[94] Т. Бетман-Гольвег. Мысли о войне, стр. 45.

1907 წ. კონრად ფონ ჰეტცენდორფმა განუცხადა ფრანც-იოსებს: „ჩვენი მომავალი ბალკანეთზეა, ჩვენი დაბრკოლებაა იტალია. აუცილებელია, უწინარეს ყოვლისა, ანგარიშის გასწორება იტალიასთან"[95]. კონრადი ამჯერადაც პრევენტულ ომს მოითხოვდა იტალიის წინააღმდეგ, მაგრამ წარუმატებლად, რის გამოც გენერალური შტაბის უფროსის პოსტიდან გადადგა.

გერმანია-ავსტრიის ბლოკი იძულებული იყო, დათმობაზე წასულიყო იტალიის მიმართ, თუმცა ამ უკანასკნელის ორჭოფული მოქმედება, რომელზედაც მიუთითებდნენ გერმანიის მესვეურნი რაკონიჯის შემდეგ, სულ უფრო საეჭვო ხდებოდა[96]. იტალია, — წერს ჰარტუნგი, — არა მარტო სამხედრო, არამედ პოლიტიკური მხრივაც არ იყო საიმედო მოკავშირე[97]. შეთანხმება სამთა კავშირის შესახებ თუმცა განახლებულ იქნა 1912 წ., მაგრამ იტალიის ყოფნა მასში მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა.

გერმანიის დიპლომატია ყოველნაირად ცდილობდა მშვიდობით მოეგვარებინა კონფლიქტი იტალიასა და თურქეთს შორის, მაგრამ ეს ცდა წარუმატებლად დამთავრდა[98]. გერმანია არჩევანის წინაშე აღმოჩნდა — ვისთვის დაეჭირა მხარი. ბოლოს მან მაინც მოკავშირე იტალია არჩია.

თავის ამ წარუმატებლობას ბერლინი ინგლისის მტრულ პოლიტიკას მიაწერდა და ილაშქრებდა მის წინააღმდეგ. ამას მოწმობს ოსტენ-საკენის მოხსენება: „მძიმე მდგომარეობა, რომელშიც ჩაყენებულია გერმანია იტალიასა და თურქეთს შორის ომით, ძალიან აწუხებს გერმანიის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელებს. გერმანიის დიპლომატიის წარუმატებლობანი მთლიანად მიეწერება აქ სამთა შეთანხმების სახელმწიფოთა ხრიკებს და იწვევს გერმანიის მმართველ წრეებში დიდ გაღიზიანებას ინგლისის წინააღმდეგ, რომელიც ითვლება გერმანიის წინააღმდეგ მიმართული ყველა ინტრიგის ინიციატორად"[99].

ამ პერიოდისათვის თურქეთს ახალი დიდი საფრთხე დაემუქრა იმ დროს შექმნილი ბალკანეთის სახელმწიფოების კავშირის მხრივ, რომელიც თურქეთზე თავდასხმას ამზადებდა. ამან აიძულა ახალ-

---

[95] Conrad v. Hötzendorf, დასახ. ნაშრ., ტ. 4, გვ. 171.

[96] F. Fischer. Krieg Der Illusionen. S. 206; Т. Бетман-Гольвег. Мысли о войне, стр. 47.

[97] F. Hartung. Deutsche Geschichte 1871—1916, S. 291.

[98] АВПР, ф. Канцелярия, д. 19, Л. 74, Остен-Сакен Нератову, 14/27 октяб. 1911 г.

[99] Там же.

გაზრდათურქთა მთავრობა ზავი დაედო იტალიასთან. 1912 წ. 15 ოქტომბერს შვეიცარიაში ხელმოწერილ იქნა პრელიმინარული საზავო ხელშეკრულება. ტრიპოლიტანია და კირენაიკა იტალიას დარჩა, ხოლო მის მიერ დაკავებული კუნძულები ეგეოსის ზღვაში (დოდეკანოზის კუნძულები) უკან უბრუნდებოდა თურქეთს. გერმანიის დიპლომატიას ახალი საზრუნავი გაუჩნდა. თურქეთის იმპერიას ემუქრებოდა გაყოფა.

2. გერმანია გამალებული შეიარაღების გზაზე

მაროკოს მეორე კრიზისის შემდეგ გერმანელი იმპერიალისტები კიდევ უფრო დაჟინებით სვამენ საკითხს მსოფლიოს ძირფესვიანი გადანაწილების შესახებ. ამ კრიზისის შედეგად საბოლოოდ ჩამოყალიბდნენ ურთიერთმტრული დაჯგუფებანი, რომელნიც სამი წლის შემდეგ შეეტაკნენ ერთმანეთს. ამასთან ძალთა თანაფარდობამ გამოიწვია გერმანიის საბოლოო იზოლაცია მსოფლიო პოლიტიკაში[100].

1911 წ. მაროკოს კრიზისმა კარგად აჩვენა ინგლის-გერმანიის ანტაგონიზმის სიმწვავე და ინგლისის ბურჟუაზიის მტრობა გერმანიისადმი. გერმანიის იმპერიალიზმის აგრესიული საგარეო პოლიტიკის გაძლიერება და ომისათვის მზადება სულ უფრო მეტ სახსრებს მოითხოვდა და იწვევდა მზარდი შეიარაღების შემდგომ დაჩქარებას, შესაბამისად როგორც სახმელეთო, ისე სამხედრო-საზღვაო ძალების ზრდას.

1911 წ. გერმანიის არმიის რიცხვობრივი შემადგენლობა გაიზარდა თუმცა უმნიშვნელოდ, რამაც მხედრიონის და კონსერვატორების უკმაყოფილება გამოიწვია. პრესაში გამოჩნდა მათი მოთხოვნები არმიის შემდგომი გაძლიერების აუცილებლობის შესახებ, რაკი გერმანია მაროკოს მეორე კრიზისის დროს აღმოჩნდა ომის საფრთხის წინაშე სწორედ თავისი შეიარაღებული ძალების არასაკმარისი განვითარების გამო[101].

1911 წ. ბოლოს, დეკემბრის დასაწყისში, გენერალური შტაბის უფროსმა მოლტკემ რაიხსკანცლერ ბეტმან-ჰოლვეგს გადასცა მემორანდუმი, რომელშიც მოითხოვდა როგორც არმიის, ისე სამხედრო-საზღვაო ფლოტის სასწრაფოდ და გადაუდებლად გაძლიერებას[102].

---

[100] А. Норден, указ. соч. стр. 23.

[101] Центральный государственный военно-исторический архив Москвы (ЦГВИА), ф. 2000, д. 2465, л. 4.

[102] Deutschland im ersten Weltkrieg, Bd. I, S. 116.

1912 წლისათვის სახსრები შეიარაღებაზე კვლავ გაიზარდა. ელჩი ოსტენ-საკენი ბერლინიდან იტყობინებოდა, რომ გერმანიის იმპერიის ბიუჯეტი 1912 წლისათვის, საკავშირო საბჭოს მიერ განხილული და დამტკიცებული, გამოქვეყნდა „ნორდდოიჩე ალგემაინე ცაიტუნგ“-ში. გაზეთის მიერ მოყვანილი ციფრობრივი მონაცემების საფუძველზე ის აკეთებდა დასკვნას, რომ „იმპერიის მთავრობა თელის აუცილებლობად, მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება თავისი სამხედრო-საზღვაო ძალების განვითარებას; ყოველ შემთხვევაში ოფიციოზური გაზეთი გარკვევით აცხადებს, რომ მოკავშირე მთავრობები სამხედრო ძლიერების შენარჩუნებასა და განვითარებაში ხედავენ თავის ყველაზე უფრო სერიოზულ ამოცანას“[103].

მიღებული ბიუჯეტის თანახმად, სახსრები, გამოყოფილი არმიის საჭიროებისათვის, სულ შეადგენდა 770,4 მილიონ მარკას, სამხედრო-საზღვაო ფლოტისათვის კი 457.2 მილიონ მარკას, რაც ერთად აღებული იყო მთელი ბიუჯეტის 43.5%[104]. მაგრამ, ბაზაროვის ცნობით, არსებობს „საკმაო საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ გერმანიის მთავრობა წლის განმავლობაში გამოვა არმიასა და ფლოტზე ახალი ასიგნებების მოთხოვნით, რომლებიც წარედგინება რაიხსტაგს დამატებითი ბიუჯეტის ფორმით“[105]. ამავე დროს ცნობილი გახდა, რომ გერმანიის მთავრობა მიზნად ისახავდა 1912—1917 წლებში დამატებით სამი დრედნოუტის მშენებლობას. ინგლისის მთავრობამ გადაწყვიტა ამის პასუხად, კიდევ უფრო გაეძლიერებინა თავისი შეიარაღება, მაგრამ საჭიროდ ჩათვალა ეჩვენებინა თავისი თითქოს და პაციფისტური განწყობილება. ამ მიზნით ბერლინში მიავლინეს სამხედრო მინისტრი ჰოლდენი.

1912 წ. თებერვალში ჰოლდენი ბერლინში შეხვდა კანცლერ ბეტმან-ჰოლვეგს. საუბარი შეეხო ნეიტრალიტეტის შესახებ პოლიტიკურ შეთანხმებას. ასეთი შეთანხმებით დაინტერესებული იყო ბეტმან-ჰოლვეგი, სურდა რა ინგლისის ჩამოცილება საფრანგეთისა და რუსეთისაგან. კანცლერმა შესთავაზა ჰოლდენს, რომ ინგლისს და გერმანიას აეღოთ ვალდებულება — დაეცვათ ნეიტრალიტეტი იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მათგანი აღმოჩნდებოდა ომში ჩათრეუ-

---

[103] АВПР, ф. Канцелярия, д. 18, Л. 282, Остен-Сакен Сазонову, 23 декабря 1911 г., / 5 января 1912 г.

[104] ЦГВИА, ф. 2. 000, оп. 1, д. 2461, лл. 1—2, рапорт полковника Базарова, военного агента в Берлине, 30 дек. /12 январ. 1911—1912 гг.

[105] Там же.

ლი[106]. ინგლისის თანხმობა ასეთ ხელშეკრულებაზე პირდაპირი უარის თქმა იქნებოდა ანტანტაზე, ამიტომ ჰოლდენმა უარყო ბეტმან-ჰოლვეგის წინადადება და თავის მხრივ შესთავაზა, გადაედოთ გერმანიაში გეგმით გათვალისწინებული დრედნოუტების მშენებლობის ვადები, რითაც შეიქმნებოდა გერმანიის კოლონიურ მოთხოვნათა დაკმაყოფილების შესაძლებლობა. შეიძლებოდა დაბრუნებოდნენ პორტუგალიის კოლონიების გაყოფის და ბაღდადის რკინიგზის მშენებლობის საკითხებს. ამ უკანასკნელის დაფინანსება ფერხდებოდა ინგლისის მიერ.

მეორე დღეს ჰოლდენი შეხვდა კაიზერს და ადმირალ ტირპიცს, ამ შეხვედრაზეც საზღვაო ფლოტის მშენებლობის საკითხი განიხილებოდა, მაგრამ მოლაპარაკებამ უშედეგოდ ჩაიარა. იმ დროს, როცა ჰოლდენი მოლაპარაკებას აწარმოებდა ბერლინში, ინგლისის სამხედრო-საზღვაო მინისტრი უინსტონ ჩერჩილი თავის გამოსვლაში გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტს ახასიათებდა როგორც ზედმეტს და აცხადებდა, რომ რაიხსტაგის მიერ დასახული კანონპროექტის მიღების შემთხვევაში ინგლისი დამატებითი საზღვაო შეიარაღების ღონისძიებებს განახორციელებდა[107]. არ არის გასაკვირი, რომ ჰოლდენის მისია წარუმატებლად დამთავრდა[108], თუმცა ინგლისმა ამით პაციფიზმის დემონსტრირება მოახდინა და ვიზიტის შედეგად კარგი ინფორმაციაც მიიღო გერმანიის ფლოტის შესახებ[109]. მალე, ჰოლდენის ვიზიტის შემდეგ, ედ. გრეიმ ოფიციალურად აცნობა გერმანიის ელჩს, რომ შეთანხმება მათს ქვეყნებს შორის ნეიტრალიტეტის შესახებ შეუძლებელი იყო მანამდე, ვიდრე გრძელდებოდა შეჯიბრი სამხედრო-საზღვაო შეიარაღებაში. მიუხედავად ამისა, ჰოლდენის ვიზიტი გერმანიის მმართველ წრეებს უქმნიდა ისეთ შთაბეჭდილებას, რომ შემდეგში ინგლისის მხრივ აღარ შეხვდებოდათ ისეთი წინააღმდეგობა, როგორიც მაროკოს მეორე კრიზისის დროს[110].

ჰოლდენის მისიის შედეგები ედ. გრეიმ შეატყობინა პოლ კამბონს და დასძინა, რომ ინგლისმა უარი თქვა, ხელი მოეწერა გერმანიასთან ხელშეკრულებაზე ნეიტრალიტეტის შესახებ. ედ. გრეის განცხადება, რომ არავითარი შეთანხმება არ სურდა, რომელიც გამოიწვევდა ცვლილებებს ინგლისის დამოკიდებულებაში საფრანგეთის და

---

[106] F. Fischer. Krieg Der Illusionen, S. 183; Т. Бетман-Гольвег. Мысли о войне, стр. 32.

[107] Г. Хальгартен, указ. соч., стр. 525.

[108] E. Eyck, დასახ. ნაშრ., გვ. 618;

[109] Е. В. Тарле, указ. соч., стр. 234.

[110] W. Hubatsch. Der Admiraltstab..., S. 153.

რუსეთის მიმართ, მოწმობდა, რომ ჰოლდენის ვიზიტს დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ ლონდონში[111].

1912 წ. მარტში ჩერჩილმა პარლამენტში განაცხადა, რომ ამიერიდან ინგლისი 60%-ით მეტ დრედნოუტებს ააგებდა ვიდრე გერმანია; იმ შემთხვევაში კი, თუ გერმანია პროგრამით გათვალისწინებული დრედნოუტების მშენებლობის გარდა ააგებდა სხვა ახალ გემებსაც. ინგლისი წყალში ჩაუშვებდა ორ დრედნოუტს ყოველი გერმანულის ნაცვლად[112]. იმავე წლის სექტემბერში საფრანგეთისა და ინგლისის საზღვაო შტაბებს შორის დაიდო ინგლის-საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო კონვენცია, რომელიც ურთიერთხელსაყრელი ღონისძიებების განხორციელებას ითვალისწინებდა: საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტს უნდა დაეცვა ინგლისის ინტერესები ხმელთაშუა ზღვის აუზში, ინგლისის სამხედრო-საზღვაო ფლოტს კი საფრანგეთის ჩრდილოეთი სანაპიროები[113]. ეს ღონისძიებანი განამტკიცებდა ინგლის-საფრანგეთის კავშირს. ორივე ქვეყანა ემზადებოდა დიდი ომისათვის გერმანიასთან.

1912 წ. დასაწყისში გერმანიის გენერალური შტაბის მოთხოვნათა საფუძველზე სამხედრო სამინისტრომ შეიმუშავა და მთავრობას წარუდგინა წინადადება, რომელიც ითვალისწინებდა ორი ახალი საარმიო კორპუსის შექმნას.

1912 წ. მარტში ბუნდესრატმა (საკავშირო საბჭო) მიიღო მთავრობის კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებდა გერმანიის იმპერიის სახმელეთო და საზღვაო ძალების გადიდებას. ამით გერმანიის არმია იზრდებოდა ორი ახალი პრუსიული საარმიო კორპუსით, რომელთაგან ერთი იმპერიის აღმოსავლეთი, მეორე კი დასავლეთი საზღვრებისათვის იყო გათვალისწინებული. არმიის რაოდენობა 32 ათასი კაცით დიდდებოდა, რაც გერმანიის არმიის რიცხვს მშვიდობიანობის დროს 683 ათასამდე ზრდიდა[114]. რაც შეეხება სამხედრო-საზღვაო ფლოტს, ორ იმჟამად მცურავ შეიარაღებულ ესკადრას უნდა დამატებოდა მესამე: 5 სახაზო გემის, 4 ჯავშნოსნის და 4 პატარა კრეისერის შემადგენლობით, რომლებიც არსებული სარეზერვო ეს-

---

[111] O. Hauser. Deutschland und der englisch-russische Gegensatz 1900—1914, S. 230.

[112] Е. В. Тарле. указ. соч., стр. 234.

[113] Т. Бетман-Гольвег. Мысли о войне, стр. 40; „სახალხო გაზეთი", 1912 წ. 6/19 სექტემბერი.

[114] АВПР. ф. Канцелярия, д. 18, л. 77, Шебеко Сазонову, 16/29 марта 1912 г.

კადრიდან უნდა მიეღოთ[115]. გარდა ამისა, უნდა აგებულიყო კიდევ 3 ახალი სახაზო გემი და 2 პატარა კრეისერი[116]. ცხადია, სამხედრო-საზღვაო ფლოტის პირადი შემადგენლობაც შესაბამისად უნდა გაზრდილიყო. ახალი შევსება ითვალისწინებდა საერთო შემადგენლობის 75 ოფიცრით და 1600 დაბალი ჩინის წარმომადგენლებით გადიდებას[117]. უნდა აღინიშნოს, რომ ახალი კანონპროექტი მიიღო თანაგრძნობით რაიხსტაგის ყველა პოლიტიკურმა პარტიამ უკიდურესი სოციალისტებისა და პანგერმანელების გამოკლებით. მაგრამ თუ პირველნი პრინციპულად აცხადებდნენ პროტესტს გერმანიის შეიარაღებული ძალების ყოველგვარი გადიდების მიმართ, მეორენი პირიქით, „სახმელეთო და საზღვაო ძალების დასახულ გაძლიერებას თვლიდნენ არასაკმარისად მტრების დასაშინებლად და თავიანთი ფართო დაპყრობითი გეგმების განსახორციელებლად“[118]. ტირპიცი ზეიმობდა. მოგვიანებით ის თავის მოგონებებში ტრაბახობდა ამ წარმატებით და ამართლებდა საზღვაო ფლოტის გაძლიერების პოლიტიკას[119].

ინგლისი შეშფოთებული ადევნებდა თვალს გერმანიის საზღვაო შეიარაღების ზრდას და თავის მხრივ ცდილობდა უპირატესობა შეენარჩუნებინა ყოველგვარ ფასად. მაგალითად, ცხრილი გვიჩვენებს გერმანიასა და ინგლისში გემთმშენებლობის ტემპებს და მათზე გაღებულ სახსრებს[120] (იხ. მე-4 ცხრილი).

დიდი ბრიტანეთისა და გერმანიის საზღვაო ბიუჯეტი
1910—1914 წწ. (მლნ. ფუნტი სტერლინგი)

ცხრილი 4

დ-დი ბრიტანეთი		+ ან —	გერმანია		+ ან —
წელი	ბიუჯეტი		წელი	ბიუჯეტი	
1909—10 წ.	35.1	+2,8	1909—10 წ.	20,4	+3,8
1910—11 წ.	40,6	+5,5	1910—11 წ.	22,1	+1,7
1911—12 წ.	44,3	+3,7	1911—12 წ.	22,8	+0,7
1912—13 წ.	44,1	—0,2	1912—13 წ.	23,5	+0,7
1913—14 წ.	46,3	+2,2	1913—14 წ.	24,0	+0,5

[115] G. Ritter. Staatskunst und Kriegshandwerk. Bd. 2. Die Hauptmächte Europas und das Wilhelmische Reich 1890—1914, S. 218.

[116] АВПР, ф. Канцелярия, д. 18, л. 77.

[117] Там же.

[118] Там же, Л. 78.

[119] E. Eyck, დასახ. ნაშრ., გვ. 618.

[120] Н. М. Лукин. Избранные труды, Т. 3, М., 1963, стр. 208.

როგორც ცხრილიდან ჩანს, ინგლისი საკმაოდ უსწრებდა გერმანიას სამხედრო-საზღვაო ფლოტის მშენებლობაზე დაბანდებული სახსრების ზრდით, ამასთანავე ინგლისმა შეძლო დიდი უპირატესობის შენარჩუნება სამხედრო ხომალდების რაოდენობის მხრივ პირველი მსოფლიო ომის წინ, რასაც კარგად აჩვენებს შემდეგი ცხრილი (იხ. მე-5 ცხრილი)[121].

. საზღვაო ძალების რაოდენობა

ცხრილი 5

გემების ტიპი	დიდი ბრიტანეთი		გერმანია	
	1910 წ.	1913 წ.	1910 წ.	1913 წ.
დრედნოუტები და ზედრედნოუტები	60	26 } 66	35	17 } 37
დრედნოუტის ტიპის სახაზო გემები		40		20
კრეისერები (ჯავშნიანი)	32 }	123	41	9 } 45
კრეისერები (ჯავშნიანი გემბანებით)	52			36
ნაღმოსნები, კვემხოსნები	135	118	47	47
საესკადრო ნაღმოსნები	188	228	93	152
წყალქვეშა ნავები	65	85	8	26

გამალებული საზღვაო შეიარაღება განსაკუთრებით დიდ მოგებას აძლევდა კრუპს, რომლის ნავსაშენში — „გერმანია ვერფტ“-ში, კილში, აიგო 57 დიდი სამხედრო გემი უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში ომის წინ[122]. საერთოდ კი, კრუპის კონცერნი ომის წინ, ინგლის-გერმანიისა და საფრანგეთ-გერმანიის წინააღმდეგობების გამწვავების პირობებში, სხვა მონოპოლიებთან ერთად, დაინტერესებული იყო სამხედრო კონფლიქტების პროვოცირებით და მიისწრაფოდა მსოფლიო ბაზრებზე თავისი პოზიციების გაფართოებისაკენ[123].

1914 წლისათვის კრუპის კონცერნი იქცა მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს სამხედრო-სამრეწველო კონცერნად, რომლის ქარხნებში მუშებისა და მომსახურე პერსონალის რიცხვი 1913 წ. აღწევდა 81.000

---

121 Там же, стр. 204.

122 К. Микульский. Концерн Круппа, М., 1959, стр. 17.

123 Там же, стр. 22.

კაცს[124]. კრუპის კონცერნი მჭიდროდ იყო დაკავშირებული მთავრობასთან და თვითონ იმპერატორი ფირმის მეპაიედ ითვლებოდა[125].

ომის დაწყების წინ, 1914 წ. ივლისში, ინგლისს მწყობრში ჰყავდა 29 დრედნოუტი (20 სახაზო გემი და 9 სახაზო კრეისერი), გერმანიას — 18 (14 სახაზო გემი და 4 სახაზო კრეისერი). მშენებლობის სტადიაში იყო ინგლისის 13 და გერმანიის 8 დრედნოუტი. გარდა ამისა, ინგლისის ფლოტს გააჩნდა 40 საესკადრო ნაღმოსანი, გერმანიას —20. თუ დრედნოუტების გამოჩენამდე ინგლისისა და გერმანიის ფლოტების სახაზო ძალების შეფარდება შეადგენდა 2:1, დრედნოუტების გამოჩენის შემდეგ 1,6:1 [126].

საზღვაო ფლოტის მშენებლობას, გ. რიტერის აზრით, ხელს უშლიდა მწვავე წინააღმდეგობანი არმიისა და ფლოტის ხელმძღვანელობას შორის[127]. წინააღმდეგობანი, რა თქმა უნდა, არსებობდნენ, მაგრამ ისინი არ ასრულებდნენ გადმწყვეტ როლს. მით უმეტეს, რომ „ფლოტს მის ბრძოლაში დამოუკიდებელი ხაზისათვის მხარს უჭერდნენ მძიმე მრეწველობის, პირველ რიგში გემთმშენებელი, საბარბაზნე მეწარმეები“[128]. დაპირისპირებას თუ მაინც ჰქონდა ადგილი, ეს უნდა აიხსნას თვითონ გერმანიის შეიარაღებული ძალების ორგანიზებით. „არმია და ფლოტი შეადგენდა ორ სრულიად განცალკევებულ უწყებას, ემორჩილებოდა რა უშუალოდ კაიზერს“[129], ვილჰელმ II კი არ გააჩნდა უნარი, გადაეჭრა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები ერთიან მძლავრ ძალად[130].

გამალებული შეიარაღება სრული სვლით იქაფავდა გზას, ამიტომ გერმანიაში მიღებული ღონისძიებანი კვლავ არასაკმარისი აღმოჩნდა და 1913 წ. მარტში რაიხსტაგს განსახილველად გადაეცა კანონპროექტი გერმანიის იმპერიის შეიარაღებული ძალების ახალი გადიდების შესახებ 136 ათასი კაცით: 4000 ოფიცერი, 15000 უნტეროფიცერი და 117000 ჯარისკაცი[131]. კანონპროექტი ითვალისწი-

---

[124] А. А. Демин. О роли концерна Круппа в экономике и политике агрессивного германского империализма. Вестник ЛГУ, сер. экон., философ. и права, вып. 3, № 17, 1956, стр. 31.

[125] Там же.

[126] В. А. Алафузов. Доктрины германского флота, М., 1956, стр. 19.

[127] G. Ritter. Staatskunst und Kriegshandwerk. Bd. 2. Die Hauptmächte Europas und das Wilhelmische Reich 1890—1914, S. 239.

[128] В. А. Алафузов, указ. соч., стр. 31.

[129] Там же.

[130] Там же.

[131] АВПР, ф. Канцелярия, д. 40, л. II, Свербеев Сазонову, 28 марта /10 апр. 1913 г.; ЦГВИА, ГУГШ, ф. 2.000, оп. 1, д. 2465, Л. 19.

ნებდა აკრეთვე არმიაში დაახლოებით 63000 კაცის გაწვევას[132]. მიუხედავად იმისა, რომ ახალი კანონპროექტი უნდა განხორციელებულიყო მხოლოდ 1916 წ. 1 მარტისათვის, „სინამდვილეში, — იტყობინებოდა სვერბეევი, — ის განხორციელდება თითქმის მთელი თავისი მოცულობით 1913 წ. 1 ოქტომბრისათვის. ამგვარად, უნდა ჩაითვალოს, რომ ამ დროისათვის გერმანის იმპერიას ეყოლება არმია დაახლოებით 838 ათასი კაცის შემადგენლობით"[133]. ყველა ამ საგანგებო სამხედრო ღონისძიების გატარებას უზარმაზარი თანხები ეწირებოდა. სამხედრო ხარჯები 1913 წლისათვის არმიასა და ფლოტზე გათვალისწინებული იყო შემდეგი რაოდენობით: არმიაზე 939,8 ათ. მარკა, ფლოტზე 447,1 ათ. მარკა, რაც სულ შეადგენდა 1377500 ათ. მარკას. ამას ემატებოდა სამხედრო საჭიროებისათვის განკუთვნილი ერთდროული ხარჯები საერთო საფინანსო სამმართველოს ბიუჯეტით, რომელიც შეადგენდა 126,3 ათ. მარკას. ამგვარად, საერთო ჯამში სახსრები არმიასა და ფლოტზე შეადგენდნენ 1,5 მილიარდ მარკაზე მეტს, ან დაახლოებით მთელი საიმპერიო ბიუჯეტის 50%[134].

გერმანიის მთავრობა თავის ამ ღონისძიებებს ასაბუთებდა უკანასკნელ ხანებში ბალკანეთზე მომხდარი მოვლენებით, რომელთაც შეცვალეს მანამდე არსებული ძალთა შეფარდება ევროპაში. ამას გარდა, მიაჩნდათ, რომ „ომის გაჩაღების შემთხვევაში, არმია უნდა შედგებოდეს ახალგაზრდებისაგან... რომლებიც დაიცავენ გერმანიის საზღვრებს მტრებისაგან"[135].

უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროისათვის მილიტარისტული პროპაგანდა უმთავრესად ანტიფრანგულ ხასიათს ატარებდა, თუმცა მეფის რუსეთსაც თავის წილს მიუზღავდნენ და ადანაშაულებდნენ იმაში, რომ აგრესიულად იყო განწყობილი გერმანიის წინააღმდეგ[136]. გერმანიის მმართველი წრეები ჯერ კიდევ არ კარგავდნენ იმედს, რომ შეძლებდნენ ანტანტის გათიშვას, ამიტომ ასეთი ხასიათის სტატიებს ოფიციოზური პრესა ხანდისხან კიცხავდა კიდეც.

1913 წ. 3 აპრილს გაიხსნა რაიხსტაგის მორიგი სესია, სადაც კანცლერმა ბეტმან-ჰოლვეგმა თავისი გამოსვლისას განაცხადა, რომ

---

[132] АВПР. ф. Канцелярия, д. 40, л. 11, 1913 г.

[133] Там же, л. 12; Deutschland im ersten Weltkrieg Bd. 1, S. 121.

[134] ЦГВИА, ГУГШ, ф. 2.000, оп. 1, д. 2464, л. 33, рапорт военного агента в Берлине Базарова, 3/16 дек. 1912 г.

[135] АВПР, ф. канцелярия, д. 40, л. 15, Свербеев Сазонову 28 марта /10 апр. 1913 г.

[136] Там же, д. 48, л. 51. Доверительное письмо посла в Берлине в министерство иност. дел, 1/14 апр. 1913 г.

შეიარაღებული ძალების გაძლიერება გადაუდებელ ამოცანად მიაჩნდა. მან გამოთქვა რწმენა, რომ გარდუვალი იყო ევროპული მასშტაბის ომი, რომელშიც გერმანია მიიღებდა მონაწილეობას, რომ ამ ომში სლავები და გერმანელები ერთმანეთის წინააღმდეგ გამოვიდოდნენ[137]. თუმცა მეორე დღეს ბეტმან-ჰოლვეგი ცდილობდა რუსეთის ელჩის დარწმუნებას, რომ მას მხედველობაში არ ჰქონია რაიმე მტრული დამოკიდებულების გამოხატვა რუსეთის მიმართ[138]. რუსეთის ელჩი, აანალიზებდა რა კანცლერის სიტყვას, აკეთებდა დასკვნას, რომ კანცლერის მიერ სლავიანობასთან მტრული დამოკიდებულების აღნიშვნა ემსახურებოდა მიზანს — გამოეყენებინა ის მთავრობას შეიარაღებაზე კრედიტების მისაღებად[139]. კანცლერი გერმანიის ურთიერთობას საფრანგეთთან დადებითად ახასიათებდა, ხოლო ინგლისთან საზღვაო შეტოქეობით გამოწვეულ წინააღმდეგობებს შესუსტებულად თვლიდა და მიაჩნდა, რომ მასთან ურთიერთობაში მომავლისათვის კარგი პერსპექტივები არსებობდა[140]. ცხადია, კანცლერს ინგლისის გულის მოგება სურდა და აშკარად ცრუობდა. სინამდვილეში გერმანიასა და ინგლისს შორის ამ დროს არავითარ წინააღმდეგობათა შესუსტებას არ ჰქონია ადგილი[141].

8 აპრილს რაიხსტაგში გამოვიდა ცნობილი პანგერმანელი, ნაციონალ-ლიბერალი ბასერმანი. ის მხარს უჭერდა გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მშენებლობის შემდგომ გაფართოებას და აშტკიცებდა, რომ საზღვაო შეიარაღება არ იყო ინგლისის წინააღმდეგ მიმართული. უფრო მეტიც, აცხადებდა, რომ მძლავრი შეიარაღება მშვიდობის შენარჩუნების კარგი საშუალება იყო[142].

გერმანელი ხალხის მნიშვნელოვანი ნაწილი გამოდიოდა გამა-

---

137 გერმანიის მმართველ წრეებში, ისევე როგორც არმიის ხელმძღვანელობაში არ თოდ იყო გავრცელებული აზრი რომ დიდ სახელმწიფოებს შორის არსებულ პოლიტიკურ წინაღმდეგობებს საფუძვლად ედო რასობრივი წინაღმდეგობანი და ამიტომ ომი გარდუვალი იყო. 1913 წ. 10 თებერვალს მოლტკე სწერდა პეტცენდორფს: „როგორც ადრე, ახლაც ვიზიარებ იმ აზრს, რომ ადრე თუ გვიან გაჩაღდება ევროპული ომი, რომელიც იქნება ბრძოლა უწინარეს ყოვლისა გერმანელებსა და სლავებს შორის“ Conrad v. Hötzendorf, დასახ. ნაშრ., ტ. 3, გვ. 146—147).

138 АВПР, ф. канцелярия, д. 37, л. 5, Секретная телеграмма посла в Берлине Свербеева, 25 марта/7 апр. 1913 г.

139 Там же, л. 6, Свербеев в мин. ин. дел, 28 марта/10 апр. 1913 г.

140 Там же.

141 იხ. F. Fischer. Griff nach der Weltmacht, S. 47—48.

142 „Stenographische Berichte über die Verhandlungen des Deutschen Reichstages“, 1913, Bd. 289, S. 4544.

ლებული შეიარაღებისა და ომისათვის მზადების წინააღმდეგ, მიმდინარეობდა გერმანელი მშრომელების ომის საწინააღმდეგო გამოსვლები. განსაკუთრებულ აქტიურობას მილიტარიზმთან ბრძოლაში იჩენდნენ მემარცხენე სოციალ-დემოკრატები კ. ლიბკნეტხის მეთაურობით, რომელიც 18 აპრილს რაიხსტაგში გამოსვლისას აკრიტიკებდა გერმანიის იმპერიალიზმის პროპაგანდისტებს და ააშკარავებდა სამხედრო პოლიტიკის არსს[143]. სოციალ-დემოკრატიის მემარჯვენე ლიდერები კი სოლიდარობას უცხადებდნენ აშკარა მილიტარისტებსა და შოვინისტებს[144].

მთავრობის მიერ რაიხსტაგში შეტანილ კანონპროექტს მხარი დაუჭირა რაიხსტაგში წარმოდგენილმა ყველა პარტიამ სოციალ-დემოკრატთა გამოკლებით, რომლის მემარჯვენე ლიდერები კანონპროექტის წინააღმდეგ გამოვიდნენ წმინდა ტაქტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე.

კანონპროექტი არმიის გაძლიერების შესახებ რაიხსტაგმა დაამტკიცა ხმების დიდი უმრავლესობით და მისცა მას კანონის ძალა 1913 წ. 1 ოქტომბრიდან. ორი წლის მანძილზე (1911—1913 წწ.) გერმანია მესამედ ადიდებდა არმიის შემადგენლობას მშვიდობიანობის პირობებში. შეიარაღებისაკენ მიმართული ეს ღონისძიებანი ემსახურებოდნენ ომისათვის გერმანიის იმპერიალიზმის აქტიურ მზადებას[145].

გერმანიის ამ ღონისძიებებს საფრანგეთმა შესაბამისად უპასუხა. სახელმწიფო მოღვაწეები, განსაკუთრებით კი პრეზიდენტი პუანკარე, ვერ ხედავდნენ სხვა გამოსავალს, გარდა სამხედრო სამსახურის ვადის ორიდან სამ წლამდე გაზრდისა[146]. სხვაგვარად ძნელი იქნებოდა საფრანგეთისათვის, გასტოლებოდა გერმანიას არმიის ზრდით, რადგან შედარებით ცოტა მოსახლეობა ჰყავდა. 1933 წ. 7 აგვისტოს მიღებული კანონი ჯარში სამსახურის ვადას ორიდან სამ წლამდე ადიდებდა, რაც საფრანგეთის არმიის რაოდენობას $^1/_3$-ით ზრდიდა[147]. საფრანგეთის მთავრობის ეს ღონისძიება, ჰ. დელბრიუკის აზრით, ხელს უწყობდა ომის წარმოშობას[148]. დელბრიუკი ცდილობდა გერმანიის მოწინააღმდეგეთა დადანაშაულებას, რომ ამით დაემ-

[143] См. К. Либкнехт. Избранные речи, письма и статьи, М., 1961, стр. 182.

[144] Г. Гейдорн, указ. соч. стр., 479, 484—486.

[145] „სახალხო გაზეთი“, 1913 წ. 26 მაისი/8 ივნისი.

[146] E. Eyck, დასახ. ნაშრ., გვ. 662.

[147] F. Haselmayr, დასახ. ნაშრ., გვ. 262; „სახალხო გაზეთი“, 1913 წ. 28 მაისი/10 ივნისი.

[148] H. Delbrück. Der Friede von Versailles, Berlin, 1930, S. 13.

ტაციებინა თითქოს მის ქვეყანას ომი არ სურდა. მისი მოწინააღმდეგენი კი, დასძენს დელბრიუკი, ომის საშუალებით ფიქრობდნენ ელზას-ლორენის დაპყრობას და კონსტანტინოპოლზე გაბატონებას[149].

მეფის რუსეთი, თავის მხრივ, ცდილობდა არ ჩამორჩენოდა სხვებს. 1912 წლისათვის მისი არმია აღწევდა 1384900 კაცს, 1913 წ. ბოლოს კი რუსეთში მიიღეს „დიდი პროგრამა არმიის გაძლიერებისათვის", რომელიც გათვალისწინებულ იყო 1917 წლამდე. ამ პროგრამის თანახმად რუსეთის შეიარაღებული ძალები მშვიდობიანობის დროს იზრდებოდნენ 480 ათასი კაცით, ე. ი. თითქმის 39%-ით[150]. მაგრამ რუსეთის არმიის მობილიზაცია და საზღვართან თავმოყრა დიდ დროს მოითხოვდა. სწორედ ამ გარემოების გამოყენება სურდა გერმანიას და გეგმავდა კიდეც საფრანგეთის განადგურებას, ვიდრე რუსეთი მოასწრებდა ომში ჩაბმას. ეს ფრანგების შეშფოთებას იწვევდა. ამიტომ იყო, რომ 1912-1913 წწ. საფრანგეთისა და მეფის რუსეთის გენერალური შტაბების უფროსთა (ჟოფრი და ჟილინსკი) თათბირზე გამოითქვა აზრი, რომ აუცილებელი იყო მობილიზაციის ვადების მინიმუმამდე დაყვანა, რის ერთ-ერთ მთავარ საშუალებად მიიჩნიეს სარკინიგზო ხაზების განვითარება. ეს განსაკუთრებით ეხებოდა რკინიგზის იმ ხაზის მშენებლობას, რომელიც შეაერთებდა აღმოსავლეთ რუსეთს ვარშავის რაიონთან[151]. ამაზე საკითხზე ამახვილებდა ყურადღებას საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი პუანკარე ნიკოლოზ II-სთან საუბარში პეტერბურგში თავისი ვიზიტის დროს[152].

იმისათვის, რომ რუსეთს გერმანიის საზღვრებისაკენ სტრატეგიული რკინიგზის ხაზების მშენებლობა წამოეწყო, საფრანგეთის

---

[149] იქვე, გვ. 11—12; მილიტარიზმის აღმაშენებას „სახალხო გაზეთი" ასე აფასებდა: „ჯერამდე ჩამჯდარ ევროპას კვლავ სამხედრო აღტყინების ცინი აღეძრა... 1913 წელსაც პირველად გერმანიამ დაჰკრა ბუკსა და ნაღარას, მას უპასუხა საფრანგეთმა, რადგან გერმანიის სამხედრო გაძლიერება უწინარეს ყოვლისა მის დასაცველის მეზობლებისაკენაა მიმართული... ვილჰელმმა მოხდენილად ისარგებლა ბალკანეთის ომით და დიდი ხნიდან გულის ნახუტები განზრახვა განხორციელების გზაზე დააყენა, ეს იყო სწორედ ნამდვილი მიზეზები იმ სამხედრო აღტყინებისა, რომელიც ასე უეცრად მოედო არა თუ ევროპის კონტინენტს, არამედ ზღვით შემოფარგლულ ინგლისსაც-კი" („სახალხო გაზეთი", 1914 წ. 26 მაისი/8 ივნისი).

[150] Д. В. Верхховский, В. Ф. Ляхов, Первая мировая война 1914—1918 гг., М., 1964, стр. 22.

[151] ЦГИАЛ, ф. 1276, оп. 5, д. 589. л. 20; იხ. აგრ. ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრ., გვ. 196.

[152] «Материалы по истории франко-русских отношений за 1910—1914 гг.». М., 1952, стр. 349; А. Зайончковский. указ. соч., стр. 297.

მთავრობა სთავაზობდა ყოველწლიურ სესხს 500 მილიონი ფრანკის რაოდენობით 5 წლის განმავლობაში[153].

გამალებული შეიარაღება აჩქარებული ტემპებით მიმდინარეობდა. გერმანია ცდილობდა, მოწინააღმდეგეებზე უკეთ მომზადებულიყო და მოწინავე პოზიციები შეენარჩუნებინა. მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის იმპერიის ფინანსური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი არ იყო შეიარაღებაზე უზარმაზარი თანხების დაბანდების გამო[154], მთავრობა არ იშურებდა სახსრებს. 1914 წლისათვის სახელმწიფო ხარჯთაღრიცხვის გასავალში პირველი ადგილი ეკავა სამხედრო საჭიროებისათვის გამოყოფილ ხარჯებს. ისინი შეადგენდნენ არმიაზე — 1216629 მარკას, ფლოტზე — 478952 მარკას, რაც სულ უდრიდა 1704581 მარკას. საერთო ჯამში კი ხარჯები არმიასა და ფლოტზე შეადგენდა 1887 ათ. მარკას, ანუ მთელი საიმპერიო ბიუჯეტის დაახლოებით 54%-ს[155].

პირველი მსოფლიო ომის წინ გერმანია ყველა სახელმწიფოს უსწრებდა საველე არტილერიის რაოდენობის მხრივ. მას ჰქონდა 7992 მსუბუქი და 1395 მძიმე ქვემეხი[156]. ტექნიკურად გერმანიის არმია შეიარაღებული იყო ევროპის სხვა ქვეყნების არმიებზე უკეთ; ეს უპირატესობა კი განსაკუთრებით შესამჩნევი იყო სწორედ არტილერიაში, რომელსაც გერმანიის უმაღლესი სარდლობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა[157]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად მიღებული ღონისძიებებისა გერმანიის არმია რიცხვობრივად მაინც ჩამორჩებოდა მოწინააღმდეგეებს, თუმცა ბრძოლისუნარიანობით, ორგანიზებულობითა და გაწვრთნილობით[158] მას პირველი ადგილი ეკავა ევროპაში[159]. ვ. ი. ლენინი ეხებოდა რა ამ საკითხს, აღნიშნავდა: „გერმანიის იმპერიალიზმის ავაზაკები ყველაზე ძლიერნი იყვნენ „თავიან-

---

[153] В. И. Бовыкин. Из истории возникновения первой мировой войны. М., 1961, стр. 103.

[154] АВПР, ф. Канцелярия д. 38, Т. 1, л. 24, Свербеев Сазонову, 22 ноября/5 декабря 1913.

[155] ЦГВИА, ф. 2000, оп. 1, д. 2464, л. 87, Военный агент полковник Базаров по сведениям агента министерства торговли и промышленности статского советника Миллера 5/18 декабря, 1913 г.

[156] Д. В. Вержховский, В. Ф. Ляхов, указ. соч., стр. 23.

[157] Там же, стр. 25.

[158] საინტერესოა აღინიშნოს, რომ აზრს გერმანიის არმიის უპირატესობის შესახებ იზიარებდნენ ინგლისშიც. ლოიდ-ჯორჯთან საუბარში, ეხებოდა რა საფრანგეთის არმიას, ჟიტჩენერმა თქვა, რომ „გერმანელები დახოცავენ მათ, როგორც ტყის ქათმებს" (Ллойд Джордж, указ. соч., стр. 70).

თი“ ჯარების ორგანიზებულობითა და დისციპლინით“[160] და „გერმანიაში, დისციპლინის მხრივ მაინც, ჯარისკაცები ნიმუშს წარმოადგენდნენ“[161]. არმიის მსგავსად, ომის წინ გერმანიის ფლოტიც საუკეთესოდ იყო ორგანიზებული და ქმნიდა მრისხანე ძალას. მაგრამ „ამ მრისხანე ძალის სტრატეგიული და ოპერატიული გამოყენების საკითხები სუსტად იყო დამუშავებული და წარმოადგენდა გერმანიის ფლოტის აქილევსის ქუსლს“[162].

არმიისა და ფლოტის ძლიერება ადიდებდა გერმანელი იმპერიალისტების აგრესიულობას და ხელს უწყობდა მათ, რაც შეიძლება მალე ჩაბმულიყვნენ ბრძოლაში მსოფლიოს ხელახალი გადანაწილების მიზნით.

3. ცაბერნის კრიზისი და საერთაშორისო მდგომარეობის გამწვავება თურქეთში გერმანიის სამხედრო მისიის გაბზავნის გამო

პირველი მსოფლიო ომის წინ მდგომარეობა ელზასსა და ლორენში მკვეთრად შეიცვალა. ამ პროვინციების მოსახლეობა უკმაყოფილო იყო ეროვნული ჩაგვრისა და გერმანიზაციის პოლიტიკით, რასაც თავისი შედეგები მოჰქონდა.

ელზას-ლორენს დიდი სამხედრო-სატრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, ამიტომ გერმანიის მთავრობა ცდილობდა, გადაექცია იგი პლაცდარმად საფრანგეთის წინააღმდეგ მოქმედებისათვის. მთავრობა იძულებული იყო, გაეტარებინა ზოგიერთი რეფორმა ელზას-ლორენში. 1911 წ. რაიხსტაგმა მიიღო მისთვის კონსტიტუცია, მაგრამ იმდენად შეზღუდული, რომ მდგომარეობა ფაქტიურად არ შეცვლილა. მას ავტონომიაც კი არ მიუღია და კვლავინდებურად გერმანიის იმპერიის სამფლობელოდ ითვლებოდა, სადაც გრძელდებოდა პრუსიელთა თავნებობა. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ „40 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ელზასის მოსახლეობას ძალით „აგერმანელებდნენ“, ყოველგვარი შეეწროებით „უმორჩილებდნენ“ მეფურ-პრუსიულ, სამხედრო, მოხელეურ დისციპლინას, რომელსაც „გერმანული კულტურა“ ეწოდება“[163]. ჯერ კიდევ 1912 წ. მაისში, სტრასბურგში

---

159 А. Зайончковский. Мировая война 1914—1918 гг. М., 1931, стр. 31; Г. Ферстер, Г. Гельмерт. Г. Отто, Г. Шниттер, Прусско-германский генеральный штаб, пер. с нем., М., 1966. стр. 127.

160 ვ. ი. ლენინი, წერილი ამერიკელ მუშებს, თხზ. ტ. 28, გვ. 57.

161 ვ. ი. ლენინი, საბჭოების სრულიად რუსეთის VI საგანგებო ყრილობა, თხზ., ტ. 28, გვ. 180.

162 В. А. Алафузов, указ. соч., стр. 26.

163 ვ. ი. ლენინი, ცაბერნი, თხზ., ტ. 19, გვ. 615.

ყოფნისას, ვილჰელმ II-მ თავისი გამოსვლით ელზას-ლორენის ლანდტაგის წინააღმდეგ მღელვარება გამოიწვია გერმანიის საზოგადოების წრეებში[164]. ფრანგულ გაზეთში — „მატენ“ გამოქვეყნდა სტატია, რომელიც აუწყებდა მკითხველებს, რომ სტრასბურგის მერთან საუბარში ვილჰელმ II-მ უკმაყოფილება გამოთქვა ელზას-ლორენის მოსახლეობის მიმართ, ემუქრებოდა, რომ გააუქმებდა ცოტა ხნის წინათ ბოძებულ კონსტიტუციას და შეუერთებდა ელზას-ლორენს პრუსიას[165]. რამდენიმე დღის შემდეგ რაიხსტაგში გამოსვლისას რაიხსკანცლერი ბეტმან-ჰოლვეგი ამართლებდა ვილჰელმ II-ს და ამბობდა, რომ იმპერატორს განზრახვა არ ჰქონია შეელახა ელზას-ლორენის კონსტიტუციური უფლებები და მისი განცხადება ითვალისწინებდა მხოლოდ შეხსენებას, რომ ანტიგერმანული პოლიტიკისაკენ მიმართული ყოველი ცდა დასაწყისშივე ყოფილიყო აღმოფხვრილი[166]. დაძაბულობა ელზას-ლორენში არ სუსტდებოდა, მაგრამ 1913 წ. შემოდგომაზე ცაბერნში მომხდარმა შემთხვევამ ყველაფერს გადააჭარბა. ცაბერნში დაბანაკებული იყო ქვეითი პოლკი. მასში მრავალი აღგილობრივი მცხოვრები მსახურობდა[167]. დიდი პოლიტიკური მოვლენების საბაბად იქცა ლეიტენანტ ფორსტნერის საქციელი 1913 წ. 28 ოქტომბერს. მან შეურაცხყოფა მიაყენა ადგილობრივ მცხოვრებლებს — ელზასელებს—უწოდა მათ „Waches“ (ღორები) და ურჩია ბატალიონის რეკრუტებს, საჭიროების შემთხვევაში უკან არ დაეხიათ და დაეხოცათ ისინი[168]. იმის მაგივრად, რომ სამხედრო ხელისუფლებს გაეკიცხა ფორსტნერი და დაესაჯა ის, მოხდა პირიქით, პოლკის მეთაურმა პოლკოვნიკმა რეიტერმა მხარი დაუჭირა ფორსტნერის მოქმედებას და იარაღის დახმარებით გარეკა დემონსტრანტები, 1913 წ. 28 ნოემბერს კი თვითნებურად დააპატიმრა 27 მოქალაქე. მხედრიონის თვითნებობამ, კონსტიტუციის დაცინვამ და სამართლის ელემენტარული ნორმების უგულვებელყოფამ აღაშფოთა მშვიდობიანი მოსახლეობა და გამოიწვია მათი შეტაკება ოფიცრებთან, რომელთაც დამამცირებელი სიტყვებით მიმართავდნენ. ეს უკანასკნელნი, თავის მხრივ, უხეშობას არ ერიდებოდნენ და ხშირად იარაღს იყენებდ-

---

[164] АВПР, ф. Канцелярия, д. 18. л. 96, Шебеко Сазонову, 11/24 мая 1912 г.

[165] Там же, л. 97; E. E y c k, დასახ. ნაშრ., გვ. 665.

[166] АВПР, ф. Канцелярия, д. 18, л. 98, 1912 г.

[167] ცაბერნში (ელზასი) ცხოვრობდა დაახლ. 9 ათასი კაცი. მოსახლეობა უმთავრესად წვრილბურჟუაზიული იყო.

[168] АВПР, ф. Канцелярия, д. 43, л. 2, Свербеев Сазонову, 21 ноябр./4 декаб. 1913 г.; E. E y c k, დასახ. ნაშრ., გვ. 667.

ნენ[169]. ამგვარად, უმნიშვნელო ინციდენტმა დიდი პოლიტიკური სკანდალის ხასიათი მიიღო. ვ. ი. ლენინი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავდა: „რაც ათეული წლების განმავლობაში ჩაგვრით, შარისმოდებით და შეურაცხყოფით, ათეული წლების განმავლობაში ძალად გაპრუსიელებით დაგროვდა გულში, ყოველივე ამან გარეთ გადმოხეთქა"[170]. ცაბერნის მოვლენებთან დაკავშირებით რაიხსტაგის მიმდინარე სხდომაზე რაიხსკანცლერ ბეტმან-ჰოლვეგს მიმართეს შეკითხვებით, რომლითაც კიცხავდნენ მთავრობის და განსაკუთრებით სამხედრო ხელისუფალთა მოქმედებას[171]. ბეტმან-ჰოლვეგი თავის გამოსვლაში არ უარყოფდა, რომ ფორსტნერმა შეურაცხყო ელზასელი მოსახლეობა, მაგრამ ყოველნაირად ცდილობდა სამხედრო ხელისუფალთა გამართლებას[172].

რაიხსტაგის ცალკეული ფრაქციების წარმომადგენელთა გამოსვლები უკიდურესად მკვეთრი იყო და მთავრობის წინააღმდეგ იყო მიმართული[173]. მიღებულ იქნა დადგენილება, ჩაეტარებინათ კენჭისყრა კანცლერისათვის უნდობლობის ვოტუმის გამოცხადების საკითხზე[174], მაგრამ იმის მიუხედავად, რომ რაიხსტაგმა 293 ხმით 54-ის წინააღმდეგ (ოთხმა თავი შეიკავა) უნდობლობის ვოტუმი გამოუცხადა კანცლერს. ამ უკანასკნელის მდგომარეობა სრულებითაც არ შესუსტებულა[175]. სოციალისტი დეპუტატების მოთხოვნაზე — გადამდგარიყო, რადგან სახალხო წარმომადგენლების ნდობა დაკარგა, ბეტმან-ჰოლვეგმა განაცხადა, რომ „იმპერატორს, ერთადერთს, ეკუთვნის კანცლერის დანიშვნისა და გათავისუფლების უფლება და... ძალიან ენერგიულ წინააღმდეგობას გაუწევს ყოველგვარ ცდას, შეავიწროვონ იმპერატორის უფლებები, რომელიც მას კონსტიტუციით აქვს მინიჭებული"[176].

ცაბერნის კონფლიქტი მილიტარისტებისა და შოვინისტების გა-

---

[169] АВПР, ф. Канцелярия, д. 43, л. 2, 1913 г.

[170] ვ. ი. ლენინი, ცაბერნი, თხზ., ტ. 19, გვ. 615.

[171] АВПР, ф. Канцелярия, д. 43, лл. 3—4, 1913 г.

[172] Там же, л. 4.

[173] См. Г. А. Глушков. Цаберский конфликт 1913 года в Германии. Уч. зап. Кировского Гос. пед. ин-та, 1958, вып. 17, Т. 1, стр. 31—36.

[174] АВПР, ф. Канцелярия, д. 43, л. 4, 1913 г.

[175] Там же, д. 36. л. 33, Секретная телеграмма посла в Берлине, 21 ноября/4 дек. 1913; G. Ritter. Staatskunst und Kriegshandwerk. Bd. 2. Die Hauptmächte Europas und das Wilhelmische Reich 1890—1914, S. 170.

[176] АВПР, ф. Канцелярия, д. 36, Л. 37, Свербеев Сазонову, 5/18 декаб. 1913 г.

მარჯვებით დამთავრდა[177]. ამას აღნიშნავდა სვერბეევიც, რომელიც წერდა ბერლინიდან, რომ ცაბერნის ამბებმა აჩვენეს გერმანიაში სამხედრო პარტიის ძლიერება და სამხედრო სულისკვეთება[178].

ცაბერნის ამბებმა გავლენა მოახდინა გერმანიის საგარეო პოლიტიკურ მდგომარეობაზე. იგი ხელს უწყობდა გერმანიასა და საფრანგეთს შორის ურთიერთობის გაუარესებას და საფრანგეთში შოვინისტური აგიტაციის გაძლიერებას, რომელიც განსაკუთრებით აქტიურად მიმდინარეობდა გერმანიის წინააღმდეგ საფრანგეთის პრეზიდენტად პუანკარეს არჩევის შემდეგ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ცაბერნის მოვლენების დასაწყისში ფრანგული პრესის ნაწილი დროებით თავს იკავებდა გერმანიის წინააღმდეგ მკვეთრი გამოსვლებისაგან. რუსეთის ელჩი პარიზში აცნობებდა საზონოვს, რომ ფრანგულმა, გაზეთებმა მცირეოდენის გამოკლებით, ცაბერნის ინციდენტთან დაკავშირებით შეინარჩუნეს ზომიერი და კეთილგონივრული ტონი; ამას აღიარებდა გერმანიის საგარეო საქმეთა სტატს-მდივანი ფონ იაგოვიც ბერლინში საფრანგეთის ელჩთან, ჟ. კამბონთან, საუბარში[179]. ფრანგული პრესის ასეთი პოზიცია იმით აიხსნებოდა, რომ საფრანგეთი ცდილობდა, ხელი არ შეეშალა შინაგანი წინააღმდეგობების განვითარებისათვის გერმანიაში[180]. ცაბერნის მოვლენებთან დაკავშირებით გერმანიაში ანტიფრანგულ პროპაგანდას ფართოდ ეწეოდა კონსერვატიული და ნაციონალ-ლიბერალური პრესა, რაც საფრანგეთის პოლიტიკური მოღვაწეების შეშფოთებას იწვევდა. ისინი აღნიშნავდნენ გერმანიაში მხედრიონის გავლენის ზრდას, რომელნიც დარწმუნებული იყვნენ საფრანგეთ-გერმანიის ომის გარდუვალობაში[180].

ცაბერნის კრიზისი იყო პირველი მსოფლიო ომის პრელუდია[182]. მან თვალნათლივ აჩვენა, თუ რაოდენ იყო იზოლირებული კაიზერული რეჟიმი, წარმოაჩინა მილიტარისტულ-ფეოდალური თავადაზნაუ-

---

[177] ეს არც იყო გასკვირი, რადგან გერმანიის პოლიტიკურ ცხოვრებაში გენერალიტეტი უზარმაზარ როლს ასრულებდა (Г. Николсон. Дипломатия, пер. с англ., ОГИЗ, 1941, стр. 89).

[178] АВПР, ф. Канцелярия, д. 216, Л. 7, Свербеев Сазонову, 21 янв./3 февр. 1914 г.

[179] «Материалы по истории франко-русских отношений...», стр. 453—454.

[180] იმავე დროს საფრანგეთის მთავრობა, ითვალისწინებდა რა თავის არასაკმარ მზადყოფნას ომისათვის, ცაბერნის ამბების გამო, გერმანიასთან ურთიერთობის გამწვავებას ერიდებოდა (См. Г. А. Глушков, указ. ст., стр. 31—32).

[181] „Материалы по истории франко-русских отношений...", стр. 453.

[182] G. Ritter. Staatskunst und Kriegshandwerk, Bd. 2. Die Hauptmächte Europas und das Wilhelmische Reich 1890—1914, S. 170.

რობის აბსოლუტური ბატონობა და ის, რომ პარლამენტარიზმი იყო მხოლოდ საფარი კაიზერული რეჟიმისათვის. ამ მოვლენების ფონზე ერთხელ კიდევ გამოჩნდა გერმანიის ბურჟუაზიის უუნარობა, წინააღმდეგობა გაეწია გაბატონებული მხედრიონისათვის, მაშინაც კი, როცა მის მხარეზე იდგა ხალხის მასების უმრავლესობა.

ბალკანეთის ნახევარკუნძულზე 1912-1913 წწ. წარმოებული ომების გამოყენებას თავისი ინტერესებისათვის ცდილობდნენ როგორც სამთა კავშირის, ისე ანტანტის ქვეყნები. ბალკანეთის ომები წარმოადგენდნენ ამ ორი იმპერიალისტური დაჯგუფების ინტერესთა დაჯახების შედეგს. თვითეული მათგანი, ცდილობდა რა მსოფლიოს ხელახალ გადანაწილებას, ბრძოლაში ითრევდა ბალკანეთის სახელმწიფოთა ბურჟუაზიულ-მემამულურ მთავრობებს, რათა უზრუნველეყოთ მომავალ მსოფლიო ომში თავისთვის ძალთა ხელსაყრელი განლაგება.

1912-1913 წწ. ბალკანეთის ომებმა საგრძნობი დარტყმა მიაყენეს გერმანიის პოზიციებს ბალკანეთსა და ახლო აღმოსავლეთში. მართალია, ბალკანეთის ქვეყნების კავშირი დაიშალა, რაც უთუოდ ხელსაყრელი იყო გერმანიისათვის, მაგრამ ამავე დროს თურქეთმა დაკარგა თავისი ევროპული ტერიტორიის უდიდესი ნაწილი და ევროპიდან განდევნილი აღმოჩნდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მართალია, თურქეთის დამარცხება არ იყო სასიამოვნო ფაქტი გერმანიის მმართველი წრეებისათვის, მაგრამ იმავე დროს სწორედ თურქეთის დასუსტებამ გაუადვილა გერმანიას მახლობელ აღმოსავლეთში შეჭრა, რომელიც ბალკანეთის ომების შემდეგ სულ უფრო ინტენსიურ ხასიათს იღებს. გერმანიის იმპერიალიზმი მიისწრაფოდა დაემყარებინა თავისი პროტექტორატი მთელს წინა აზიაზე[183]. გერმანიის მმართველი წრეები გეგმავდნენ თურქეთის ჩათრევას სამთა კავშირში, რათა გამოეყენებინათ იგი მოსალოდნელ ომში[184]. ამ განზრახვის განხორციელებას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ 1913 წ. იანვარში თურქეთში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალების შედეგად[185] დაეცა ინგლისური ორიენტაციის მქონე ქემალ-ფაშას კაბინეტი და ხელისუფლებას

---

[183] А. С. Аветян. Германский империализм на Ближнем Востоке. М., 1966, стр. 17.

[184] ამ მისწრაფებას ის უფრო აძლიერებდა, რომ იტალიის ერთგულება სამთა კავშირისადმი საეჭვო ხასიათს ატარებდა.

[185] გერმანიის საელჩო კონსტანტინოპოლში თანაუგრძნობდა შეთქმულებას, რომელშიც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა გერმანიის ელჩმა თურქეთში ვანგენჰაიმმა (Дипломатический словарь, т. 2, М., 1950, стр. 30; А. С. Аветян, დასახ. ნაშრ., გვ. 16).

სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდათურქების მთავრობა მაჰმუდ-შევქეთ-ფაშას მეთაურობით.

ბალკანეთის პირველ ომში განცდილმა მარცხმა აიძულა თურქები, 1913 წ. დასაწყისში თხოვნით მიემართათ გერმანიის იმპერატორისათვის, გაეგზავნა თურქეთში გერმანელი გენერალი მათი არმიის რეორგანიზაციისათვის. გასაგებია, ვილჰელმ II-მ სიამოვნებით მიიღო ეს წინადადება[186]. გადაწყდა თურქეთში ახალი სამხედრო მისიის მივლინება[187].

1913 წ. ნოემბერში გერმანიასა და თურქეთს შორის დაიდო შეთანხმება კონსტანტინოპოლში გერმანიის სამხედრო მისიის გაგზავნის შესახებ. მისია შედგებოდა 42 კაცისაგან. ამასთან გერმანიის მთავრობა უფლებას იტოვებდა, გაედიდებინა ეს რიცხვი ყოველ წელს[188]. სამხედრო მისიას გენერალ ლიმან ფონ სანდერსის მეთაურობით ევალებოდა თურქეთის არმიის რეორგანიზაცია, რომელიც აუცილებელი გახდა ბალკანეთის ომებში თურქეთის დამარცხების შედეგად.

გერმანიის მმართველი წრეები ცდილობდნენ, თურქეთი კვლავ ბრძოლისუნარიანი გაეხადათ, რომ მას სარგებლობა მოეტანა გერმანიის პოლიტიკისათვის მახლობელ აღმოსავლეთში. გარდა ამისა, ბერლინი ცდილობდა, თუ ამის შესაძლებლობა მიეცემოდა, იმდენად გაეძლიერებინა თავისი გავლენა ბოსფორის სანაპიროზე, რომ საჭიროების შემთხვევაში ხელში ჰყოლოდა თურქეთი[189]. გერმანიის მმართველი წრეების ამ მისწრაფებას სწორად აფასებდა გაზეთი „რეჩი“ და მიუთითებდა, რომ გერმანიას სურდა თურქეთის მერყეევი მდგომარეობის გამოყენება და მისი ხელში ჩაგდება[190]. გერმანია-თურქეთის შეთანხმება კონსტანტინოპოლში სამხედრო მისიის გაგზავნის შესახებ შესაძლებელი გახდა სწორედ ახალგაზრდათურქების პროგერმანული ორიენტაციის გამო[191].

ლიმან ფონ სანდერსი დაინიშნა კონსტანტინოპოლსა და მის რაიონში განლაგებული თურქული არმიული კორპუსის მეთაურად. ამით გერმანიას საშუალება ეძლეოდა, საჭიროების შემთხვევაში კონ-

---

[186] E. Eyck, დასახ. ნაშრ., გვ. 682; მ. Г. Оруджев, დასახ. ნაშრ., გვ. 85.

[187] F. Fischer. Krieg Der Illusionen, S. 484.

[188] ЦГВИА, ГУГШ, ф. 2000, оп. 1, д. 2465, Л. 34, 1913 г.

[189] Там же, д. 2870. Л. 50, 27 янв. /9 февр. 1914 г.

[190] «Речь», 10/23 декабря, 1913 г.

[191] И. И. Кублашвили, Германская военная экспансия в Турции и царская Россия. Миссия германского генерала Лимана фон Сандерса в Турции. Тр. Кутаисского гос. пед. ин-та, 1959, т. 20, стр. 5.

ტროლი გაეწია როგორც თურქეთის დედაქალაქისათვის, ისე სრუტეებისათვის. მისიის გამგზავრების წინ ვილჰელმ II-მ გამოთქვა მოსაზრებანი ამ მისიის დანიშნულების შესახებ. აქ მოვიტანთ მხოლოდ ნაწილს, ჩვენი აზრით, უმთავრეს პუნქტებს:

2) „მისიის საბოლოო ამოცანას შეადგენს:

ა) თურქეთის არმიის გერმანიზაცია, თურქეთის სამხედრო სამინისტროს მოღვაწეობის უშუალო კონტროლისა და წარმართვის გზით;

ბ) ყურადღებით თვალყურისდევნება და მკაცრი კონტროლი სხვა სახელმწიფოების პოლიტიკისადმი თურქეთში;

3) მისიის მუშაობა საერთოდ ნაკლებად შესამჩნევი უნდა იყოს, განსაკუთრებით ამჟამად, როცა მისიის მოღვაწეობას არ მიუღია მომხდარი ფაქტის მნიშვნელობა...

არახელსაყრელი პოლიტიკური პირობები, რომლებიც შეიქმნა ევროპის კონტინენტის უმრავლესი ქვეყნების მტრული დამოკიდებულებით მისიის მიმართ, არ უნდა გახდეს ხელის შემშლელი მუშაობაში, რამდენადაც მისი წარმატებანი უზრუნველყოფილია მისიის პირადი შემადგენლობის გამოცდილებით...“[192].

გენერალ სანდერსს ავანსის სახით ხარჯებისთვის მიეცა 1 მილიონი მარკა, ამასთან უფლება—დაეხარჯა თანხები საკუთარი შეხედულების მიხედვით. გარდა ამისა, სანდერსს გადასცეს იმპერატორის ხელმოწერილი 50 ბრძანებულება სხვადასხვა სახის ორდენით დაჯილდოების შესახებ, წოდებისა და გვარის აღნიშვნის გარეშე, რათა შესაძლებელი ყოფილიყო საჭიროების შემთხვევაში თურქი მოხელეებისა და გავლენიანი პირების დაჯილდოება[193].

გერმანიის მმართველი წრეების ექსპანსიონისტურმა პოლიტიკამ ახალი დიპლომატიური კრიზისი გამოიწვია, რომელმაც კარგად აჩვენა ის დიდი წინააღმდეგობანი, რომლებიც არსებობდა იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის თურქეთზე გავლენის მოპოვებასა და შავი ზღვის სრუტეების ხელში ჩაგდებისათვის წარმოებულ მწვავე ბრძოლაში. გერმანიის მილიტარისტული პრესა ამასთან დაკავშირებით მოითხოვდა მთავრობისაგან, ანგარიში არ გაეწიათ სხვა სახელმწიფოების აზრისათვის და არაფერი დაეთმოთ მათთვის ამ საკითხში[194].

---

[192] ЦГВИА, ГУГШ, ф. 2000, оп. 1, д. 2870, л. 18, Начальник штаба Киевского военного округа Начальнику ген. штаба, 9/22 янв. 1914.

[193] Там же.

[194] АВПР, ф. Канцелярия, д. 48, лл. 165—166, Свербеев Сазонову, Доверительно, 21 нояб. /4 дек. 1913 г.

ბიულოვი თავის მოგონებებში წერდა, რომ ერთ-ერთი საუკეთესო გერმანელი გენერლის ლიმან ფონ სანდერსის დანიშვნა არა ინსტრუქტორად, არამედ თურქეთის არმიული კორპუსის მეთაურად დარდანელზე, წარმოადგენდა რუსეთისათვის ფეხის დაშერას მტკივნეულ ადგილზე[195]. ცნობას ამ მისიის შესახებ პეტერბურგში დიდი უკმაყოფილებით შეხვდნენ[196]. ის მოასწავებდა დიდ დარტყმას რუსეთის მისწრაფებისადმი, ხელში ჩაეგდო შავი ზღვის სრუტეები, რაც საშუალებას მისცემდა რუსეთს, განემტკიცებინა თავისი მდგომარეობა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, დუნაისპირა ქვეყნებში და ხელს შეუწყობდა ვაჭრობის განვითარებას. ეს მიზანი აერთიანებდა თვითმპყრობელობასა და ბურჟუაზიას, რომელნიც ოცნებობდნენ ახალი ბაზრებისა და კოლონიების ხელში ჩაგდებაზე. ამ მიზნების განხორციელებისათვის კი შავი ზღვის სრუტეებს დიდ მნიშვნელობა ენიჭებოდა.

რუსეთის ელჩს ბერლინში სვერბეევს მიეცა მითითება, ეცნობებინა გერმანიის მთავრობისათვის, რომ ლიმანის მისია უარყოფით გავლენას მოახდენდა რუსეთ-გერმანიის ურთიერთობებზე და, ამდენად, მისასალმებელი იქნებოდა, თუ ლიმანის მოღვაწეობის ადგილი კონსტანტინოპოლიდან გადაინაცვლებდა თურქეთის რომელიმე სხვა რაიონში.

სვერბეევი 1/14 ნოემბერს აცნობებდა საგარეო საქმეთა მინისტრს საზონოვს თავისი მოლაპარაკების შედეგებს ციმერმანთან. ელჩი აღნიშნავდა, რომ „ციმერმანი განაგრძობს მტკიცებას, რომ, ერთი მხრივ, რუსეთის ეშვებს და შიშს არა აქვთ არავითარი საფუძველი, მეორე მხრივ, გერმანია მოკლებულია შესაძლებლობას, უარი თქვას თურქეთის თხოვნაზე..."[197] სინამდვილეში, გერმანიამ, ცდილობდა რა თურქეთის გადაქცევას პლაცდარმად მომავალ ომში ანტანტის ქვეყნების წინააღმდეგ, თავს მოახვია მას სამხედრო მისიის გაგზავნა. ბიულოვი თავის მოგონებებში წერდა, რომ „გენერალ ლიმან ფონ სანდერსის გაგზავნა მას შემდეგ, რაც ითქვა რუსეთის ელჩის მიმართ საგარეო საქმეთა ბერლინის უწყების მიერ, შედგა იმპერატორის უშუალო განკარგულებით და განხორციელდა სამხედრო კაბინეტის მიერ საგარეო საქმეთა უწყების წინასწარი შეკითხვის გარეშე"[198].

რუსეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კოკოვცოვი იმ დროს

---

[195] Б. Бюлов, Воспоминания, стр. 421.

[196] Е. Еуск. დასახ. ნაშრ., გვ. 684.

[197] «Материалы по истории франко-русских отношений...» стр. 635.

[198] Б. Бюлов. Воспоминания, стр. 421-422; см. также, И. И. Кублашвили, указ. ст., стр., 8—11.

იმყოფებოდა პარიზში სტრატეგიული რკინიგზის ხაზების მშენებლობისათვის 500 მილიონის სესხის მოსაგვარებლად. უკან დაბრუნებისას კოკოვცოვი ბერლინში შეხვდა ვილჰელმ II და ბეტმან-ჰოლვეგს და განუცხადა რუსეთის მოსაზრებანი სანდერსის სამხედრო მისიასთან დაკავშირებით. კოკოვცოვის ეს შეხვედრები უშედეგოდ დამთავრდა[199]. უფრო მეტიც, ვილჰელმ II-მ თავის გასამართლებლად კოკოვცოვს განუცხადა, რომ ის შეუთანხმდა ამ საკითხზე ნიკოლოზ II-სა და ინგლისის მეფეს ჯორჯ V-ს მათი პოტსდამში ყოფნისას, 1913 წლის 10 მაისს, და არავითარ წინააღმდეგობას მაშინ ადგილი არ ჰქონია[200]. იგივეს ადასტურებს ბეტმან-ჰოლვეგი თავის მემუარებში და აღნიშნავს, რომ სანდერსის მისიაში „მხოლოდ გოლც-ფაშას ადრინდელი მისიის განახლებას ხედავდნენ, რაც სავსებით ბუნებრივად მიაჩნდათ"[201]. სინამდვილეში სულ სხვაგვარად იყო საქმე. არც ნიკოლოზ II-ს, არც ჯორჯ V არ მიუციათ თანხმობა ვილჰელმისათვის სამხედრო მისიის გაგზავნის შესახებ. უბრალოდ, ისინი წინააღმდეგი არ იყვნენ საინსტრუქტორო მისიის გაგზავნისა, დაახლოებით ისეთის, როგორიც იყო ფონ დერ გოლცის მისია[202]. ვილჰელმ II-მ კი ასეთი თანხმობა თავისთვის სასურველი მოსაზრებით გაიგო.

ვილჰელმ II-სა და ბეტმან-ჰოლვეგთან თავისი შეხვედრებიდან კოკოვცოვმა გამოიტანა დასკვნა, რომ გერმანიის მთავრობა ადვილად არ დათმობდა თავის პოზიციას ამ საკითხში, თუ ის საერთოდ იფიქრებდა დათმობაზე წასვლას[203].

გერმანიასა და რუსეთს შორის დაძაბულ მდგომარეობას კიდევ უფრო აღვივებდა რუსული პრესა, რომელმაც ფართოდ გაშალა კამპანია ახალი გერმანული სამხედრო მისიის წინააღმდეგ. მაგალითად, გაზეთი „ნოვოე ვრემია" მიუთითებდა, რომ კონსტანტინოპოლში გერმანელი გენერლის ყოფნა მას მთელი თურქეთის გამგებლად ხდიდა, და ამის გამო ახალგაზრდათურქები გაკიცხვას იმსახურებდ-

---

[199] См. «Материалы по истории франко-русских отношений..» стр. 625.

[200] F. Fischer. Krieg Der Illusionen. S. 486.

[201] Т. Бетман-Гольвег. Мысли о войне, стр. 57, см. также, А. Дж. П. Тэйлор. Борьба за господство в Европе, стр. 510.

[202] См. А. С. Аветян, указ. соч., стр. 61—62; И. И. Кублашвили, указ. статья, стр. 21—22; (1883—1895 წწ. თურქეთში იმყოფებოდა გერმანიის სამხედრო მისია ფონ დერ გოლცის მეთაურობით. იმის გარდა, რომ ეს მისია ეწეოდა თურქეთის არმიის რეორგანიზებას, ის ხელს უწყობდა მსხვილ გერმანულ ფირმებს მიეღოთ დიდი სამხედრო შეკვეთები. 1909—1910 წწ. გოლცი ხელმძღვანელობდა ახალგაზრდათურქების მიერ წამოწყებულ არმიის გარდაქმნებს).

[203] «Материалы по истории франко-русских отношений...», стр. 626.

ნენ. გაზეთი მიუთითებდა: „თურქული პოლიტიკა მუშავდება უკვე არა კონსტანტინოპოლში, არამედ ბერლინში“[204].

ლიმან ფონ სანდერსს ფართო უფლებამოსილებანი მიანიჭეს და გამოუყვეს 1 მილიონი მარკა ყოველწლიურად მისიის საქმიანობისათვის, მაშინ როცა ადრინდელ მისიებს ეძლეოდათ მხოლოდ 30 ათასი მარკა წელიწადში[205].

მეფის რუსეთმა დახმარებისათვის ინგლისსა და საფრანგეთს მიმართა და შესთავაზა, მოეხდინათ ზეგავლენა ბერლინზე, ხოლო თუ ეს მიზანშეწონილი არ იქნებოდა, მაშინ ერთობლივად ემოქმედათ კონსტანტინოპოლში[206]. რუსეთის მსგავსად ინგლისიც და საფრანგეთიც წინააღმდეგი იყვნენ გერმანიის ექსპანსიისა ახლო აღმოსავლეთში, სადაც თურქეთს ეკონომიკური, გეოგრაფიული და სტრატეგიული თვალსაზრისით ეკავა ძალზე ხელსაყრელი მდგომარეობა. აქედან გერმანიას შეეძლო უშუალოდ დამუქრებოდა რუსეთის სამხრეთ საზღვრებს და დიდი ბრიტანეთის უდიდეს კოლონიას — ინდოეთს[207]. საფრანგეთის მთავრობა გამოთქვამდა მზადყოფნას, მხარი დაეჭირა მოკავშირის ყოველგვარი მოქმედებისათვის, მაგრამ მას აინტერესებდა, რა ღონისძიებების მიღებას ფიქრობდა რუსეთი იმ შემთხვევაში, თუ სამთა ანტანტის ქვეყნების ერთობლივ გამოსვლას ბერლინსა ან კონსტანტინოპოლში სასურველი შედეგი არ მოჰყვებოდა[208]. საფრანგეთის პრეზიდენტი პუანკარე თავის მხრივ არწმუნებდა იზვოლსკის, რომ საფრანგეთი მზად იყო მხარი დაეჭირა მოკავშირისათვის[209]. მაგრამ ყველაფერი ეს სიტყვიერი დაპირებები იყო. საფრანგეთის დიპლომატია ერიდებოდა რაიმე ოფიციალური განცხადების გაკეთებას წერილობითი ფორმით, იმ მიზნით, რომ ებიძგებინათ რუსეთისათვის ენერგიული მოქმედებისაკენ[210]. დიდი ბრიტანე-

---

[204] «Новое время», 12/25 ноября 1913 г.

[205] А. С. Аветян, указ. соч., стр. 64.

[206] «Материалы по истории франко-русских отношений...», стр. 642.

[207] გარდა ამისა, ინგლისს თავისი სურსათის მნიშვნელოვანი ნაწილი შეჰქონდა სამხრეთ რუსეთიდან სრუტეების გავლით და გერმანიის გაძლიერება ბოსფორზე რაიმე გართულების შემთხვევაში დაემუქრებოდა ინგლისს სურსათის მიწოდების შეწყვეტით. См. ЦГВИА, ГУГШ, ф. 2000, оп. 1, д. 3825, л. 430, Копия рапорта военного агента в Великобритании от 1/14 янв. 1914 г. за № 4 в отдел Генерал-квартирмейстера генер. штаба.

[208] «Материалы по истории франко-русских отношений...», стр. 481.

[209] Там же, стр. 479.

[210] ეს კარგად ჩანს პუანკარეს შეხედულებებში, რომელიც წერდა: „როცა რუსეთი უზრუნველყოფს კონსტანტინოპოლის ხელში ჩაგდებას, ის, ეჭვს გარეშეა, დაკარგავს ყოველგვარ ინტერესს ომისადმი გერმანიასთან“ (Р. Пуанкаре. На службе Франции, Т. 1, М., 1936, стр. 340.).

თიც დაუშეებლად თვლიდა გერმანიის გაბატონებას კონსტანტინოპოლში[211], მაგრამ მიუხედავად ამისა ინგლისის დიპლომატია ლავირებას ეწეოდა, ხოლო გრეიმ უარყო რუსეთის წინადადება ერთობლივი ნოტის გაგზავნის შესახებ და თავის მხრივ შესთავაზა — გაეკეთებინათ ზეპირი განცხადება კონსტანტინოპოლში, რაც ფაქტიურად ნიშნავდა უარის თქმას მხარდაჭერაზე. ინგლისის ასეთი პოზიცია განპირობებული იყო პოლიტიკური მოსაზრებებით. ინგლისს სურდა, განემტკიცებინა გერმანიისათვის რწმენა, რომ ომის წარმოშობის შემთხვევაში ინგლისი დარჩებოდა ნეიტრალური. სწორედ ამიტომ იყო, რომ ინგლისმა თავისი მოკავშირეების ზურგს უკან ფაქტიურად ნება დართო თურქეთში ახალი გერმანული სამხედრო მისიის დამკვიდრებას[212].

14 დეკემბერს ლიმან ფონ სანდერსი ჩავიდა კონსტანტინოპოლში, ხოლო 15 დეკემბერს ანტანტის ქვეყნების ელჩებმა კონსტანტინოპოლში გააკეთეს ზეპირი განცხადება თურქეთის მთავრობისადმი ლიმანთან კონტრაქტის თაობაზე. თურქეთმა გერმანიის მხარდაჭერის იმედით უყურადღებოდ დატოვა ეს მიმართვა. მაშინ საზონოვის წინადადებით 1914 წ. 13 იანვარს შედგა განსაკუთრებული თათბირი, რომელზეც უნდა განეხილათ შექმნილი მდგომარეობა და შესაბამისი ღონისძიებანი დაესახათ. ამ თათბირში მონაწილეობდნენ კოკოვცოვი (თავმჯდომარე), საზონოვი, საზღვაო მინისტრი გრიგოროვიჩი და გენ. შტაბის უფროსი ჟილინსკი. თათბირზე შეუძლებლად მიიჩნიეს რუსეთის სამხედრო გამოსვლა და მიიღეს გადაწყვეტილება გაენეგრძოთ მოლაპარაკება გერმანიასთან[213]. საბოლოოდ დაძაბული მოლაპარკებანი გერმანიასა და რუსეთს შორის დამთავრდა გერმანიის მოჩვენებითი დათმობით[214].

1914 წ. 14 იანვარს ვილჰელმ II-ის განკარგულებით ლიმან ფონ სანდერსს მიენიჭა კავალერიის გენერლის წოდება, ერთი დღის შემდეგ კი სულთანმა თურქეთის მარშლის წოდება უბოძა[215]. ამის

---

[211] «Материалы по истории франко-русских отношений ..», стр. 644.

[212] И. И. Кублашвили, указ. статья, стр. 24.

[213] См. История дипломатии. т. 2, М., 1963, стр. 763.

[214] სიდნეი ფეი, მაგ., წერდა: „მთელი ეს ისტორია გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლებოდა გადაჭრილიყო ისეთი სერიოზული გერმანია-რუსეთის დიპლომატიური კრიზისი, გონივრულად და მშვიდობიანად, იმის წყალობით, რომ გერმანია დათანხმდა წასულიყო ზოგიერთ დათმობაზე, რუსეთი კი შეკავებულ იქნა საფრანგეთისა და ინგლისის მიერ, ძალზედ უკიდურესი და აჩქარებული ნაბიჯებისაგან" (С. Фей. Происхождение мировой войны. т. 1, пер. с анг. М—Л., 1934, стр. 360).

[215] გერმანიასა და თურქეთს შორის დადებული შეთანხმება ითვალისწინებდა, რომ გერმანელ ოფიცერს თურქეთში მოღვაწეობისას უნდა ჰქონოდა ერთი რანგით უფრო მაღალი წოდება.

გამო ის ავტომატურად გათავისუფლდა კონსტანტინოპოლის 1-ლი არმიული კორპუსის მეთაურის პოსტიდან და დაინიშნა მთელი თურქული არმიის გენერალ-ინსპექტორად. ეს ახალი დანიშვნა სრულებითაც არ ასუსტებდა ლიმანის მოღვაწეობის არეს, პირიქით, აფართოებდა მას. იმის გამო, რომ გერმანიასთან მდგომარეობის შემდგომი გამწვავება თავიდან აეცილებინა, რუსეთის დიპლომატია გარეგნულად კმაყოფილი შეხვდა ამ გადაწყვეტილებას, მაგრამ კარგად ხედავდა, რომ სინამდვილეში არავითარ დათმობას გერმანიის მხრიდან ადგილი არ ჰქონია[216]. რუსეთის ელჩი ბერლინში სვერბეევი წერდა: „გენერალ ლიმანის გათავისუფლება პირველი კორპუსის მეთაურობისაგან წარმოადგენს მხოლოდ ფორმალურ დათმობას, რომელიც არ ართმევს უკანასკნელს მის გადამწყვეტ გავლენას სამხედრო საქმეებზე თურქეთში ...რაც არ უნდა იყოს გენერალი სანდერსი და როგორც არ უნდა იწოდებოდეს, ის ალბათ შეძლებს თავი მოუყაროს თავის ხელში სამხედრო ხელისუფლებას და გახდეს ოტომანის არმიის ფაქტიური უფროსი“[217].

ლიმან ფონ სანდერსის მისიამ გამოიწვია დიდი დიპლომატიური კონფლიქტი უშუალოდ პირველი მსოფლიო ომის წინ. თუმცა ანტანტის ქვეყნებმა ფორმალურად მიაღწიეს თავის მისწრაფებებს, სინამდვილეში გამარჯვებული აღმოჩნდა გერმანია, რომელმაც შეძლო თავისი გეგმების განხორციელება და გავლენის გაძლიერება კონსტანტინოპოლში, მიაღწია სამხედრო მისიის უფროსის უფლებების გაფართოებას[218].

თურქეთში დამკვიდრებას უნდა გაეადვილებინა გერმანიისათვის შემდგომი წინსვლა აღმოსავლეთისაკენ. კერძოდ, გერმანიის მმართველი წრეები თვალს მიაპყრობდნენ არაბულ აღმოსავლეთს და მიისწრაფოდნენ ბაზების შექმნისაკენ ინდოეთისაკენ მიმავალ გზაზე ადენში, იემენსა და ირანის სამხრეთ სანაპიროზე[219]. ასეთ ვითარებაში ბაღდადის რკინიგზის მშენებლობა ემსახურებოდა მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში როგორც ეკონომიკური ექსპანსიის მიზნებს, ისე პლაცდარმის შექმნას ინგლისთან მომავალი ბრძოლისათვის[220]. ამიტომ იყო, რომ მახლობელი აღმოსავლეთის საკითხებზე ინგლის-გერმანიის წინააღმდეგობებში მთავარი ადგილი ეკავა ბაღ-

---

[216] С. Д. Сазонов. Воспоминания, Париж. 1927, стр. 148.

[217] «Материалы по истории франко-русских отношений»..., стр. 690.

[218] А. С. Аветян, указ. соч., стр. 95.

[219] F. Fischer. Griff nach der Weltmacht, S. 37.

[220] В. В. Готлиб. Тайная дипломатия во время первой мировой войны, пер. с англ., М., 1960, стр. 32—33.

დადის რკინიგზის პრობლემას, რომელიც რეალურ მუქარას უქმნიდა ინგლისს. ამის გამო დიდი ბრიტანეთი, ჰქონდა რა მტკიცე საყრდენი სპარსეთის ყურეში, მიისწრაფვოდა თავისი კონტროლის ქვეშ ჰქონოდა ინდოეთისაკენ მიმავალი გზა[221].

ბაღდადის რკინიგზის მშენებლობა მრავალი ხელსაყრელი გარიგების შესაძლებლობას აძლევდა გერმანელ მონოპოლისტებსა და ბანკირებს, რომლებიც იღებდნენ დიდ მოგებას მოწყობილობებისა და მასალების გატანით რკინიგზის მშენებლობისა და ექსპლოატაციისათვის. კაპიტალის ექსპორტით „დოიჩე ბანკს“ გაბატონებული მდგომარეობა ეკავა თურქეთში. 1912 წ. ბოლოს თურქეთის ვალი „დოიჩე ბანკისადმი“ შეადგენდა 29 მილიონ თურქულ ფუნტს, რაც თურქეთის მთელი სახელმწიფო ვალის 20% იყო[222]. „დოიჩე ბანკი“ საერთოდ დიდ როლს ასრულებდა თურქეთში[223].

ბაღდადის რკინიგზის მშენებლობაზე პირველ მსოფლიო ომამდე გერმანიამ დააბანდა უზარმაზარი თანხა ერთი მილიარდი მარკის რაოდენობით[224] და ამ მხრივ მნიშვნელოვნად გაუსწრო სხვა იმპერიალისტურ ქვეყნებს.

მიუხედავად იმისა, რომ წინააღმდეგობანი გერმანიასა და ინგლისს შორის გადაუჭრელი იყო, ურთიერთობა ამ ქვეყნებს შორის გარეგნულად უმჯობესდებოდა. ინგლისი ცდილობდა, შეენიღბა თავისი მტრობა გერმანიასთან და მასთან მოლაპარაკებაც კი დაიწყო აფრიკაში პორტუგალიის კოლონიების გაყოფის თაობაზე[225]. ამავე დროს. წყდებოდა საკითხი ბაღდადის რკინიგზის მშენებლობის შესახებ, რომლის დაფინანსება შეფერხებული იყო. ამას ხელი შეუწყო აგრეთვე თურქეთის დამარცხებამ ბალკანეთის ომებში, ამიტომ გერმანია იძულებული იყო დაეწყო მოლაპარაკება ინგლისთან[226]. მოლაპარაკებანი გაჭიანურდა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია იაგოვისათ-

---

[221] L. Rathmann, დასახ. ნაშრ., გვ. 92.

[222] იქვე, გვ. 83.

[223] См. Б. М. Туполев. Экспансия германского империализма в Юго-Восточной Европе в конце XIX—начале XX в., М., 1970, стр. 228.

[224] V. Valentin, დასახ. ნაშრ., გვ. 78.

[225] პორტუგალიის კოლონიები გერმანიას იმიტომ იზიდავდა, რომ მათი ხელში ჩაგდების შემთხვევაში გერმანიას გაუადვილდებოდა შეჭრა აფრიკის მთელ კონტინენტზე. მოლაპარაკებანი ძირითადად დამთავრებულ იქნა 1913 წ. მაისში, ბერლინში ჯორჯ V ყოფნის დროს. საბოლოოდ შეთანხმება დაიდო 1914 წ. ივლისში პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე. ინგლისის ასეთი ნაბიჯით შეცდომაში შესული გერმანია ამ შეთანხმებებს მიიჩნევდა დიდი ბრიტანეთის ლოიალურობის ნიშნად.

[226] Г. Хальгартен, указ. соч., стр. 617.

ვის, განეცხადებინა 1914 წ. მაისში, რომ მოლაპარაკებანი ინგლისსა და გერმანიას შორის ატარებდა მეგობრულ ხასიათს, როგორითაც საერთოდ იყო გამსჭვალული გერმანიის ურთიერთობა ინგლისთანო[227]. როგორც ჩანს, გერმანიის მმართველ წრეებს—არა მარტო სურდათ ინგლისთან დროებით „მეგობრული" ურთიერთობის დამყარება, არამედ სჯეროდათ კიდეც ასეთი დამოკიდებულების არსებობისა ინგლისის მხრიდან. ხანგრძლივი მოლაპარაკებანი ბოლოს, როგორც იქნა დამთავრდა და 1914 წ. 15 ივნისს ლონდონში ხელმოწერილ იქნა შეთანხმება ინგლისსა და გერმანიას შორის ბაღდადის რკინიგზის შესახებ[228]. ბაღდადის რკინგიზის ბოლო მონაკვეთი, რომელიც სპარსეთის ყურეს ეკეროდა (ბასრა-სპარსეთის ყურე) მთლიანად რჩებოდა ინგლისის განკარგულებაში; სამაგიეროდ, გერმანია იღებდა გარანტიას რკინიგზის მშენებლობაზე ბაღდადამდე. გერმანიის კაპიტალი იღებდა სოლიდურ წილს ბაღდადისა და ბასრის საპორტო ნაგებობათა მშენებლობაში და შატ-ელ-არაბზე, ტიგროსზე და ევფრატზე ნაოსნობაში[229].

1914 წ. 15 ივნისის შეთანხმება გერმანიასა და ინგლისს შორის ბაღდადის რკინიგზის შესახებ ფაქტიურად წარმოადგენდა მახლობელ აღმოსავლეთში გავლენის სფეროების განაწილებას მათ შორის და ახასიათებდა მსოფლიოს გადანაწილებისათვის ბრძოლას, სადაც პირველხარისხოვანი როლი ეკუთვნოდა ფინანსურ კაპიტალს[230]. იაგოვი აღიარებდა, რომ ეს შეთანხმება გერმანიასა და ინგლისს შორის მიზნად ისახავდა გავლენის სფეროების განაწილებას მახლობელ აღმოსავლეთში[231]. იგივეს ადასტურებდა ლიხნოვსკიც თავის მოგონებებში[232]. ასეთივე შეთანხმება საფრანგეთთან გერმანიამ დადო უფრო ადრე, 1914 წ. 15 თებერვალს, რომლის თანახმადაც გერმანიის გავლენის სფეროში ექცეოდა სამხრეთი ანატოლია და მესოპოტამიის ნაწილი, საფრანგეთს რჩებოდა ჩრდილოეთი ანატოლია და სირია[233].

---

[227] «Новое время», 2/15 мая 1914 г.

[228] См. Ю. В. Ключников, А. Сабанин. Международная политика новейшего времени в договорах, нотах и декларациях, ч. 1, М., 1925, стр. 381—385.

[229] L. Rathmann. Berlin-Bagdad, S. 93—94.

[230] A. Schreiner, დასახ. ნაშრ., გვ. 249.

[231] იხ. G. v. Jagow. Ursachen und Ausbruch des Weltkrieges, Berl., 1919, S. 62—63.

[232] К. М. Лихновский. Моя миссия в Лондоне, 1912—1914 гг. 1918, стр. 4, 18.

[233] L. Rathmann, დასახ. ნაშრ., გვ. 91.

ეს შეთანხმებანი, ცხადია, არ სპობდა გერმანიის წინააღმდეგობებს ამ ქვეყნებთან, პირიქით, ყოველი მათგანი ცდილობდა, განემტკიცებინა თავისი პოზიციები ამ რაიონში, რაც თავისთავად იწვევდა დაძაბულობას. გერმანია თავის გეგმებს არ ღალატობდა. ლიმან ფონ სანდერსის მისია თავის საქმეს წარმატებით ახორციელებდა. თურქეთის არმიის გაწვრთნა შედეგიანად მიმდინარეობდა და როცა 1914 წ. ივლისში თურქეთის სულთანმა მოაწყო საზეიმო დათვალიერება, ანტანტის წარმომადგენლები დემონსტრაციულად არ დაესწრნენ მას. აი რას წერდა შემდგომ ამის შესახებ ამერიკის ელჩი: „ის, რაც 1914 წ. იანვარში იყო უდისციპლინო დაძონძილი ბრბო, ახლა მოაბიჯებდა მწყობრი ნაბიჯით... ხაკისფერ ფორმაში... გამოწყობილი“[234]. გერმანიის პოლიტიკა თურქეთის მიმართ დამთავრდა იმით, რომ 1914 წ. 2 აგვისტოს კონსტანტინოპოლში დაიდო საიდუმლო შეთანხმება კავშირის შესახებ გერმანიასა და თურქეთს შორის[235]. ამ შეთანხმების დადებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ლიმან ფონ სანდერსის მისიის საქმიანობამ[236]. თურქეთი აღმოჩნდა გერმანიის მხარეზე მეტად საჭირო მომენტში. ეს კი განპირობებული იყო გერმანიის ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენისადმი თურქეთის დამორჩილებით.

4. სარაევოს მკვლელობა და გერმანია

ბალკანეთი 1912-1913 წწ. ომების შემდეგ კიდევ უფრო, ვიდრე ოდესმე, რჩებოდა ერთ-ერთ დაძაბულ რაიონად, სადაც ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო აფეთქება. ამას ხელს უწყობდა ის ფაქტი, რომ ევროპა ორ ურთიერთდაპირისპირებულ მტრულ ბანაკად იყო გათიშული. ამავე დროს იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის არსებული წინააღმდეგობანი 1914 წ. ზაფხულში უაღრესად დაიძაბა.

ბალკანეთის ქვეყნებისათვის დიდ საფრთხეს წარმოადგენდა გერმანია-ავსტრიის ბლოკის ექსპანსია სამხრეთ-აღმოსავლეთი მიმართულებით, ამიტომ გასაკვირი არაა, რომ სამხრეთ სლავი ხალხები ენერგიულ წინააღმდეგობას უწევდნენ იმპერიალისტური ქვეყნების ამ მისწრაფებას.

---

[234] Цит. В. В. Готлиб, указ. соч., стр. 47.

[235] См. М. Г. Оруджев. Из истории проникновения германского империализма в Турцию. Баку, 1961, стр. 96—97; Handbuch der Verträge 1871—1964. S. 140.

[236] А. С. Аветян, указ. соч., стр. 120.

გერმანიის მმართველი წრეები, ემზადებოდნენ რა მსოფლიოს გადანაწილების მიზნით გადამწყვეტი ბრძოლებისათვის, ეძებდნენ გამოსავალს ომის სწრაფად მომზადებაში. ასეთ ვითარებაში ბარანევოს მკვლელობამ გერმანის იმპერიალიზმს კარგი საბაბი მისცა მოქმედებისათვის. ვ. ი. ლენინი წერდა, რომ „გერმანიის ბურჟუაზიამ დაიწყო მძარცველური ლაშქრობა სერბიის წინააღმდეგ, სურს დაიმორჩილოს იგი და ჩაახშოს სამხრეთ სლავთა ეროვნული რევოლუცია"[237].

პირველი მსოფლიო ომის წინ ავსტრია-უნგრეთის იმპერია იღგა ღრმა კრიზისის წინაშე, რომელიც გამოწვეული იყო ეროვნული მოძრაობის ზრდით[238]. იმპერიის მმართველი ზედაფენა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ არსებობდა მხოლოდ ერთი გზა, რათა აეცილებინათ იმპერიის დაშლა. ეს იყო შეიარაღების ზრდა და პრევენტიული ომი სერბიის წინააღმდეგ. მაგრამ სერბიასთან ომის შემთხვევაში ავსტრიას უნდა გაეთვალისწინებინა ის გარემოება, რომ სერბიის ზურგს უკან იდგა რუსეთი, რომელსაც საფრანგეთისა და ინგლისის მხარდაჭერის იმედი ჰქონდა. ასეთ ვითარებაში ვენისათვის აუცილებელი იყო, ჰქონოდა გერმანიისაგან მხარდაჭერის გარანტია. გერმანია, ცხადია, უარს არ იტყოდა ასეთ სამსახურზე, მით უმეტეს, რომ ავსტრია-უნგრეთში მიმდინარე ეროვნული კრიზისის შემდგომ გაღრმავებას შეეძლო ამ ქვეყნის უფრო დასუსტება და შესაძლოა მწყობრიდანაც გამოეყვანა. ასეთი პერსპექტივა გერმანიას ემუქრებოდა სრული იზოლაციით საერთაშორისო ასპარეზზე. ამასთანავე, ჰამბურგიდან სპარსეთის ყურემდე ბერლინ-ბაღდადის რკინიგზით „დიდი გერმანიის" შექმნის ყველა პროექტი მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული იმაზე, თუ ვის ხელში იქნებოდა ბალკანეთზე გამავალი სახმელეთო გზა. ამ გეგმების მიღწევა კი შეიძლებოდა მხოლოდ და მხოლოდ ავსტრია-უნგრეთის ექსპანსიური მიზნების განხორციელებით ბალკანეთში.

1914 წ. 24 ივნისს ავსტრია-უნგრეთის ტახტის მემკვიდრე, ერცჰერცოგი ფრანც-ფერდინანდი[239] ჩავიდა ტრიესტში, საიდანაც აპი-

---

[237] ვ. ი. ლენინი, ომი და რუსეთის სოციალ-დემოკრატია, თხზ., ტ. 21, გვ. 16.

[238] F. Stieve, დასახ. ნაშრ., გვ. 164.

[239] ფრანც-ფერდინანდის პოლიტიკურ პრწმს ობიექტურად აფასებდა ჟურნალი „კლდე", რომელიც წერდა, რომ მას „დიდი გავლენა ჰქონდა სახელმწიფოს უმაღლეს და ნამეტნავად სამხედრო წრეებში და... არამცთუ დროით მოტანილ რეფორმებს აფერხებდა იგი, როგორც უკიდურესი რეაქციონერი და იმპერიალისტი, ყოველი გზით სცდილობდა ისტორიის ჩარხის პირუკუ შეტრიალებინა. იგი უსასტიკესი მტერი იყო ყველა წვრილ ერთა" თავისუფლებისა და ნამეტნავად სლავიანებისა, რომელთაც მისი აზრით უნდა დაეკარგვინათ მთლად თავისი ფიზიონომია, რომ სახელმწიფო ერში ათქვეფილიყვ-

რებდა გამგზავრებას სამხედრო მანევრებზე ბოსნიაში, სერბიის საზღვრის მახლობლად, რაც სერიოზულ პროვოკაციას წარმოადგენდა[240]. ბოსნიის დედაქალქ სარაევოში ერცჰერცოგის საზეიმო ჩასვლის დაოფიციალური მიღების დღედ არჩეულ იქნა 28 ივნისი, ეს დღე კი სერბი ხალხის ისტორიაში გლოვის დღე იყო. 525 წლის წინ, 1389 წ. 28 ივნისს, კოსოვოს ველზე თურქეთის სულთანმა მურად 1 გაანადგურა სერბიის არმია. იმ დღიდან სერბია მოექცა თურქეთის მრავალსაუკუნოვანი ბატონობის უღელქვეშ, რომელიც გრძელდებოდა ოთხ საუკუნეზე მეტს. 1389 წ. 28 ივნისიდანვე იწყება სერბიული ირიდენტის[241] ისტორია. იმავე დღეს, ბრძოლის შემდეგ, სერბმა მეომარმა მილოშ ობილიჩმა შეძლო თურქთა ბანაკში შეღწევა და სიცოცხლეს გამოასალმა სულთანი. ობილიჩი სერბიელთა ხსოვნაში დარჩა როგორც ეროვნული გმირი, რომელმაც სერბიის დამონებისათვის შური იძია.

ასეთ ვითარებაში ერცჰერცოგის ჩასვლა სარაევოში სერბიელმა ნაციონალისტებმა გამოწვევად ჩათვალეს[242] და შედეგმაც არ დააყოვნა[243]. სერბიელმა გიმნაზისტმა გავრილ პრინციპამ 28 ივნისს სარაევოში სიცოცხლეს გამოასალმა ერცჰერცოგი ფრანც-ფერდინანდი და მისი მეუღლე. ამ მკვლელობის მთავარი ინიციატორი იყო „მლადა ბოსნა"[244], რომლის წევრიც იყო გავრილ პრინციპა. უნდა აღინიშნოს, რომ ავსტრიის მთავრობამ არ მიიღო სიფრთხილის ზომები, არ უზრუნველყო ერცჰერცოგის უშიშროება და მის დასაცავად გამოყო პოლიციის მხოლოდ სამი აგენტი. ყოველივე ეს იმ დროს, როცა ვენა გააფრთხილა სერბიის მთავრობამ, რომ ერცჰერცოგზე მოსალოდნელი იყო თავდასხმა. სერბიის ელჩმა ვენაში იოვანოვიჩმა ჯერ კიდევ 5 ივნისს აუწყა ავსტრიის ფინანსთა მინისტრს და იმავე დროს ბოსნიისა და ჰერცოგოვინის მმართველს ბილინსკის, რომ ერცჰერცოგის სარაე-

---

ნენ. ის იქამდის იყო გატაცებული სლავიანთა შემუსვრის იდეით, რომ არამცთუ ავსტრო-უნგრეთში მოსახლე სლავიანები განიცდიდნენ ამ მკაცრ ზეგავლენას, არამედ სერბიელებს, ჩერნოგორიელებს და ბულგარელთაც უხდებოდათ ანგარიშის გაწევა" (ჟურ. „ქლდე", 1914 წ. №25, გვ. 14—15).

[240] Ю. А. Писарев. Сараевское убийство 1914 г. — «Новая и новейшая, история», 1970, № 5, стр. 62.

[241] სერბიელი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის.

[242] Ю. А. Писарев. указ. ст., стр., 63; DDF, 3e série, t. X, pp. 673—675.

[243] ერცჰერცოგი ფრანც-ფერდინანდი სერბიის დაპყრობის და ავსტრია-უნგრეთის იმპერიასთან მისი შეერთების მომხრე იყო, რის თვისაც ის სერბიელებს ძლიერ სძულდათ.

[244] См. Ю. А. Писарев, указ. ст., стр. 53—59.

ჟოში ჩასვლასთან დაკავშირებით „სერბ ახალგაზრდებს შორის შეიძლება მოიძებნონ ადამიანები, რომელნიც დატენიან თოფს ან რევოლვერს საბრძოლო ვაზნით"[245]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფრანც-ფერდინანდის სიკვდილს დიდი მწუხარებით არ შეხვედრიან ვენაში[246].

გერმანიის ელჩი ვენაში ჩირშკი, რომელსაც ბერლინიდან ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიღებული ინსტრუქცია, 1914 წ. 30 ივნისს ავსტრია-უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან — ბერხტოლდთან საუბრის შემდეგ, ბერლინს ატყობინებდა სარაევოს ამბებს. მოხსენების არეზე, იმ ადგილას სადაც ელჩი წერდა, რომ მას ესმის თვით სერიოზული ადამიანებისაგან, რომ საჭიროა საფუძვლიანად ანგარიშის გასწორება სერბიასთან, ვილჰელმ II გააკეთა შენიშვნა — „ახლა, ან არასოდეს!". ელჩი შემდეგ წერდა, რომ ის ურჩევდა ავსტრია-უნგრეთის მმართველ წრეებს, არ გადაეგდათ აჩქარებული ნაბიჯი. ამ ადგილას ვილჰელმ II გესლიანად შენიშნა: „ვინ მისცა მას უფლება-მოსილება ამაზე? დიდი სიბრიყვეა! ეს მას არ ეხება, რამდენადაც ეს განსაკუთრებით ავსტრიის საქმეა, დასახოს შესაბამისი ღონისძიებანი. მოგვიანებით, როცა საქმე ცუდად წავა, იტყვიან: გერმანიას არ სურდა! კეთილი ინებოს ჩირშკიმ და მიატოვოს ეს სისულელე! სერბიას ბოლო უნდა მოეღოს და რაც შეიძლება მალე"[247]. როგორც აქედან ჩანს, ელჩის პატარა რჩევამაც კი — ფრთხილად ემოქმედათ ვენაში, ვილჰელმ II-ის აღშფოთება გამოიწვია. ეს მოწმობდა, რომ კაიზერს სურდა კარგი შესაძლებლობის გამოყენება, რათა ურთიერთობის გამწვავება ავსტრია-უნგრეთსა და სერბიას შორის გადაზრდილიყო კონფლიქტში. უკვე 1 ივლისს გერმანიის საგარეო საქმეთა უწყება აცნობებდა ავსტრია-უნგრეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ იმ შემთხვევაში, თუ „საქმე მივა ევროპულ ომამდე, სამთა კავშირი ამჟამად ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერია... რაც შეეხება საზოგადოებრივ აზრს გერმანიაში... ის ერთხმად იქნება მოკავშირის მხარეზე და ჩათვლის ომს სასიხარულო მოვლენად... ავსტრია-უნგრეთი დაიღუპება, როგორც მონარქია და როგორც დიდი სახელმწიფო, თუ არ გამოიყენებს ახლანდელ მომენტს"[248]. სათანადო ინსტრუქციების შემდეგ 4 ივლისს ჩირშკი არაოფიციალურად აცნობებდა ბერხტოლდს, რომ „გერმანია ყოველგვარ პირობებში მხარს დაუჭერს მონარქიას, თუ უკანასკნელი გადაწყვეტს სერბიის წინააღმდეგ გამოსვლას... რაც უფრო სწრაფად დაიწყებს ავსტრია-უნგრეთი, მით

---

[245] Цит. С. Фей, указ. соч., Т. 3, стр. 98.

[246] Ю. А. Писарев, указ. ст., стр. 64.

[247] „Die Auswärtige Politik", Bd. 4, S. 730—740.

[248] OUAP, Bd. 8, № 9966, S. 235—236.

უკეთესი... იმპერატორი და იმპერია უსიტყვოდ დაუჭერენ მხარს ავსტრია-უნგრეთს"[249]. ასეთი განცხადების მიუხედავად, ბერხტოლდმა ბერლინში ვილჰელმ II-სთან განსაკუთრებული დავალებით მიავლინა თავისი მდივანი გრაფი ჰოიოსი ფრანც-იოსების წერილით. ამას იმიტომ აკეთებდა ბერხტოლდი, რომ სერბიასთან მომავალი გართულებების შემთხვევაში მტკიცე გარანტია ჰქონოდა გერმანიის მხარდაჭერის მხრივ. ფრანც-იოსების წერილში საკითხი იმის შესახებ, რომ სერბიისათვის დაუყოვნებლივ თავს მოეხვიათ ომი, დაყენებულ იქნა დაუფარავად. იმპერატორს აშფოთებდა ის, რომ სერბია საფრთხეს უქმნიდა მის იმპერიას. ამის მიზეზს ის ხედავდა სერბიის მიერ სამხრეთ სლაველების თავის გარშემო გაერთიანების ტენდენციაში. ფრანც-იოსები წერდა, რომ სარაევოს საქმეში „შეუძლებელი იქნება სერბიის მთავრობის თანამონაწილეობის დამტკიცება, მიუხედავად ამისა, არსებითად ეჭვს გარეშეა, რომ სერბიის მთავრობის პოლიტიკა მიმართულია სამხრეთ სლაველების გაერთიანებისაკენ და, მაშასადამე, ჰაბსბურგების დინასტიის წინააღმდეგ". დასასრულს ფრანც-იოსები აკეთებდა დასკვნას, რომ „სერბია ბალკანეთიდან უნდა იქნეს მოცილებული, როგორც პოლიტიკური ფაქტორი"[250].

5 ივლისს ვილჰელმ II-მ საუზმეზე პოტსდამში აღუთქვა ავსტრიის ელჩს ბერლინში გრაფ სეგენის გერმანიის მხარდაჭერა ავსტრიის მიმართ და დასძინა: „ევროპული გართულების შემთხვევაში, ავსტრია-უნგრეთს შეუძლია ჰქონდეს გერმანიის სრული მხარდაჭერის იმედი"[251]. იგივე უთხრა სეგენის კანცლერმა ბეტმან-ჰოლვეგმა: „გერმანიის იმპერატორი სამოკავშირეო ვალდებულებათა და ძველი მეგობრობის მომხრეა, ინარჩუნებს ერთგულებას ავსტრია-უნგრეთისადმი და იდგება მის მხარეზე"[252].

ე. ფიშერი თუმცა აღიარებს, რომ 5 ივლისის გადაწყვეტილებამ გამოიწვია ომი, მაგრამ იქვე აღნიშნავს, რომ არც ვილჰელმ II-ს და არც ბეტმან-ჰოლვეგს ის არ სურდათო[253].

ვენა ელოდებოდა ცნობას ბერლინიდან, რომ დადებითი პასუხის

---

[249] ÖUAP, Bd. 8, № 10038, გვ. 296.

[250] История дипломатии, Т. II, М. 1963, стр. 779; E. Eyck, დასახ. ნაშრ., გვ. 702.

[251] „Die Auswärtige Politik", Bd. 4, S. 750.

[252] Т. Бетман-Гольвег. Мысли о войне. стр. 76—77; ÖUAP, Bd. 8, № 10076.

[253] E. Fischer. Die Kritischen 39 Tage, Berl., 1928, S. 167; იხ. აგრეთვე, P. Renouvin, დასახ. ნაშრ., გვ. 201.

შემთხვევაში ომისათვის მომზადებულიყვნენ[254]. მალე ვენაში სასურველი პასუხი მიიღეს.

ვილჰელმ II-სთან პოტსდამში თავისი მოლაპარაკების შესახებ 5 ივლისს სეგენი მთავრობას მოახსენებდა: „იმპერატორ ვილჰელმის აზრით, სერბიის წინააღმდეგ მოქმედებისათვის დიდი ლოდინი არ არის საჭირო, რუსეთის მოქმედება ყოველ შემთხვევაში მტრული იქნება, მაგრამ ამისათვის ის უკვე რამდენიმე წელია მზად არის და თუ საქმე მივა თვით ომამდე ავსტრია-უნგრეთსა და რუსეთს შორის, ჩვენ შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ გერმანია მოკავშირის ჩვეულებრივი ერთგულებით დადგება ჩვენს მხარეზე, თუმცა რუსეთი ჯერ კიდევ არ არის მზად ომისათვის და, ალბათ, კიდევ ძალიან ბევრს იმსჯელებს, ვიდრე მიმართავს იარაღს". არ დაკმაყოფილდა რა ამით, — განაგრძობდა სეგენი, — ვილჰელმ II-მ კიდევ დაუმატა, რომ ის „დაინანებს თუ ჩვენ არ გამოვიყენებთ ამ ძალზე ხელსაყრელ მომენტს"[255]. ამასვე ამოწმებს კონრადიც თავის მოგონებაში. 7 ივლისს ბერხტოლდთან საუბრისას ამ უკანასკნელმა აცნობა, რომ გერმანია ავსტრია-უნგრეთის მხარეზე იქნებოდა იმ შემთხვევაშიც კი, თუ სერბიის წინააღმდეგ გამოსვლა გამოიწვევდა დიდ ომს[256].

ვილჰელმ II დაპირებას ჰქონდა დამღუპველი შედეგები, რადგანაც აქედან დაწყებული გრაფი ბერხტოლდი თავს მტკიცედ გრძნობდა და, მისი აზრით, სერბიის გადარჩენა ავსტრიის თავდასხმისაგან უკვე აღარაფერს შეეძლო[257].

რომ შეენიღბა თავისი მოქმედება, გერმანიის დიპლომატია ათასგვარ ხრიკებს მიმართავდა. კანცლერი ბეტმან-ჰოლვეგი ავსტრია-უნგრეთისადმი შეუზღუდველ მხარდაჭერას იმით ხსნიდა, რომ მასთან მჭიდრო კავშირის გარეშე მთელი დასავლეთი ევროპა, კერძოდ კი გერმანია, აღმოჩნდებოდა საფრთხის წინაშე, რომელიც ემუქრებოდა მას მეფის რუსეთის მხრიდან. იგი წერდა: „თუ ჩვენ დავუშვებთ ავსტრია-უნგრეთის დაშლას, სლავური სამყარო მიაღწევს გამარჯვებას, რომელსაც ექნება საუკუნეობრივი მნიშვნელობა. ევროპული დასავლეთისათვის მოსკოვის ეს იოლი ტრიუმფი იქნება მძიმე რუსული უღლის ეპოქის დაწყების მომასწავებელი. გერმანია ავსტრიის დაცემის შემდეგ შეასრულებს აღმოსავლეთის მორჩილი ვასალის

---

[254] Conrad v. Hötzendorf, დასახ. ნაშრ., ტ. 4, გვ. 39.

[255] Handbuch der Verträge 1871—1964, S. 131; იხ. აგრეთვე, E. Eyck, დასახ. ნაშრ., გვ. 708.

[256] Conrad v. Hötzendorf, დასახ. ნაშრ., ტ. 4, გვ. 42.

[257] Е. В. Тарле, указ. соч., стр. 282.

როლს"[258]. სინამდვილეში, გერმანელ იმპერიალისტებს სულ სხვა რამ აწუხებდათ. მას შემდეგ, რაც სარაევოს მკვლელობა მოხდა, გერმანიის დიპლომატია ყოველგვარად ცდილობდა მიეღწია სერბიის დამორჩილებისათვის, რათა შემდგომში სავსებით განედევნა რუსეთი ბალკანეთიდან[259]. ამიტომ იყო, რომ ვილჰელმ II აჩქარებდა ავსტრიელებს სერბიის წინააღმდეგ გამოსასვლელად, რათა ამით კონფლიქტში სხვა სახელმწიფოების ჩარევის საფრთხე მოესპოთ[260]. გარდა ამისა, ბერლინში ვარაუდობდნენ, რომ რუსეთი ბედის ანაბრად მიატოვებდა სერბიას, როგორც ეს გააკეთა 1909 წ. ეს კი გაუხსნიდა გზას გერმანიას ბალკანეთისა და თურქეთისაკენ. იმ შემთხვევაში კი, თუ რუსეთი მაინც გადაწყვეტდა გამოსვლას, გერმანიის მმართველ წრეებს იმედი ჰქონდათ, რომ ადვილად დაამარცხებდნენ რუსეთსაც და საფრანგეთსაც[261]. მართალია, ვილჰელმ II აქტიური პოლიტიკის გატარების მომხრედ გამოდიოდა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ მოკავშირის ინტერესებისათვის ბრძოლას არ აპირებდა, პირიქით, ავსტრია-უნგრეთს, როგორც აღინიშნა, გზა უნდა გაეკვალა გერმანიის იმპერიალიზმისათვის მახლობელი აღმოსავლეთის სტრატეგიული რაიონებისაკენ.

კანცლერი ბეტმან-ჰოლვეგი უარყოფდა იმ ფაქტს, რომ გერმანია აქეზებდა და უბიძგებდა ავსტრია-უნგრეთს სერბიის წინააღმდეგ გამოსასვლელად, რადგან, მისი აზრით, ეს გამოიწვევდა საერთაშორისო კონფლიქტს, რაც გერმანიას თითქოს არ სურდა. 5 ივლისს სადილის შემდეგ პოტსდამის ახალი სასახლის ბაღში აუდიენციაზე, რომელსაც ესწრებოდნენ ბეტმან-ჰოლვეგი და საგარეო საქმეთა სტატს-მდივნის თანაშემწე ციმერმანი, იმპერატორმა თქვა, წერდა ბეტმანი თავის მოგონებებში, რომ „ჩვენი საქმე არ არის მოკავშირისათვის რჩევის მიცემა, როგორ იმოქმედოს სარაევოს მკვლელობაზე. ეს თვითონ ავსტრიამ უნდა გადაწყვიტოს, მით უმეტეს უნდა შეიკავოთ თავი პირდაპირი რჩევებისა და მითითებებისაგან, რომ ვალდებული ვართ ყოველი ღონისძიებით ვისწრაფვოდეთ იმისაკენ, რათა ავსტრია-სერბიის დავა არ გადაიზრდეს საერთაშორისო კონფლიქტში, მაგრამ იმპერატორმა ფრანც-იოსებმა უნდა იცოდეს, რომ გადამწყვეტ მომენტში ჩვენ არ მივატოვებთ ავსტრია-უნგრეთს. ჩვენი სა-

---

[258] Т. Бетман-Гольвег. Мысли о войне, стр. 74.
[259] F. Fischer. Griff nach der Weltmacht, S. 55.
[260] E. Eyck, დასახ. ნაშრ., გვ. 730.
[261] F. Fischer. Weltmacht oder Niedergang, S. 52.

კუთარი სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვენ ავსტრიის შენარჩუნებას მთლიანობაში"[262].

პოტსდამში მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ ვილჰელმ II გასცა ბრძანება შეიარაღებული ძალების უწყების ხელმძღვანელთა მიმართ, რომ მზად ყოფილიყვნენ ომისათვის, თვითონ კი გაემგზავრა ადრე დასახულ საზღვაო მოგზაურობაში ნორვეგიის სანაპიროებისაკენ გარეგნული სიმშვიდის დაცვით. რაიხსკანცლერი და საგარეო საქმეთა სამინისტრო თვლიდნენ, რომ ვილჰელმ II-ის გამგზავრება დამამშვიდებლად იმოქმედებდა მთელს ევროპაზე[263]. ყველაფერი ეს საჭირო იყო, რომ ეჩვენებინათ მთელი მსოფლიოსათვის, თითქოს გერმანია სარაევოს ამბებით არც კი იყო დაინტერესებული. ამ თვალთმაქცობას მხარს უბამდა გენ. შტაბის უფროსი მოლტკეც, რომელმაც შვებულება სთხოვა იმპერატორს[264]. სინამდვილეში გერმანიის მმართველი წრეები 1914 წ. ზაფხულში ომის დაწყების მომხრედ გამოვიდნენ, რადგანაც ომისათვის სამზადისი უკვე დამთავრებული იყო გერმანიაში[265]. მაგრამ მმართველ წრეებში ყველას არ მიაჩნდა მომენტი ხელსაყრელად. მაგალითად, ადმირალი ტირპიცი თვლიდა, რომ გერმანიის საზღვაო ფლოტს მაქსიმალური განვითარებისათვის უნდა მიეღწია მხოლოდ 1920 წლისათვის და ამდენად ომის დაწყება 1914 წ. სტრატეგიული თვალსაზრისით არახელსაყრელად მიაჩნდა[266].

საკითხი ომისა თუ მშვიდობის შესახებ წყდებოდა ბერლინში და არა ვენაში. გერმანია ომის გაჩაღებას იმიტომ ესწრაფვოდა, რომ მეფის რუსეთის ჩარევა ავსტრია-სერბიის კონფლიქტში საეჭვოდ მიაჩნდა, ამდენად, სერბია განადგურებულ იქნებოდა და ეს იქნებოდა გერმანია-ავსტრიის ბლოკის მნიშვნელოვანი გამარჯვება, შედარებით იოლი გზით მოპოვებული. იმ შემთხვევაში კი, თუ რუსეთი ჩაერეოდა კონფლიქტში, „გერმანიის არმიას გააჩნდა მთელი რიგი სამხედრო-ტექნიკური უპირატესობანი თავის კონტინენტურ მოწინააღმდეგეებთან შედარებით და საერთაშორისო პოლიტიკური სიტუაცია საერთოდ საკმაოდ ხელსაყრელი იყო იმისათვის, რათა ბალკანეთზე სამხედრო კონფლიქტით გაეკეთებინათ უზარმაზარი ნახტომი მსოფლიო ჰეგემონიის მოსაპოვებლად"[267]. გერმანიის მმართველი

---

[262] Т. Бетман-Гольвег. Мысли о войне, стр. 76.

[263] Вильгельм II. Мемуары, стр. 120.

[264] იქვე.

[265] L. Rathmann. Berlin—Bagdad, S. 96.

[266] А. Тирпиц. Воспоминания, стр. 280.

[267] А. С. Ерусалимский. Германский империализм: история и современность, стр. 158.

წრეების ასეთ მოსაზრებას ნათლად ამოწმებს სეგენის *12 ივლისის* წერილი ბერხტოლდისადმი[268]. როგორც წერილიდან ჩანს, გერმანიის მმართველი წრეები ეყრდნობოდნენ მოსაზრებას, რომ მთავარი მოწინააღმდეგენი კონტინენტზე — საფრანგეთი და განსაკუთრებით მეფის რუსეთი, ჯერ კიდევ არასაკმარისად იყვნენ მომზადებული ომისათვის და 1914 წ. ადვილი იქნებოდა მათი წინააღმდეგობის დაძლევა, ვიდრე რამდენიმე წლის შემდეგ. ინგლისის მიმართ კი ვარაუდობდნენ, რომ მას შეიძლება შეენარჩუნებინა ნეიტრალიტეტი და არ ჩაბმულიყო ომში საშინაო მდგომარეობის გაუარესების გამო[269]. ინგლისის ნეიტრალიტეტის შემთხვევაში გერმანია იმედოვნებდა, რომ ადვილად გაუსწორდებოდა სერბიას, მეფის რუსეთსა და საფრანგეთს.

გერმანიის მიერ ომისათვის მომენტის შერჩევის მიზეზებს ასევე კარგად აშუქებს მიმოწერა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრს იაგოვსა და ლონდონში გერმანიის ელჩს ლიხნოვსკის შორის. თავისი დიპლომატიური მოღვაწეობის ძირითად ამოცანად ლიხნოვსკის მიაჩნდა შეთანხმება ინგლისთან[270]. ის უკმაყოფილო იყო გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკით და წინადადებას იძლეოდა, რომ გერმანიას უარი ეთქვა ავსტრია-უნგრეთის მიმართ შეუზღუდველ მხარდაჭერაზე. ლიხნოვსკი დარწმუნებული იყო, რომ ასეთი მხარდაჭერა შეიცავდა დიდი ომის წარმოშობის საფრთხეს, რომელშიც ინგლისი აუცილებლად მიიღებდა მონაწილეობას. მაგრამ ელჩის გაფრთხილებებს ანგარიშს არ უწევდნენ ბერლინში, უფრო მეტიც— მას ხშირად ტოვებდნენ ინფორმაციის გარეშე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ[271]. 18 ივლისს იაგოვი სწერდა ლიხნოვსკის, რომ გერმანიას არ შეეძლო ავსტრიის ბედის ანაბარად მიტოვება: „ავსტრიის შენარჩუნება და ამასთან, რაც შეიძლება, ძლიერი ავსტრიისა, ჩვენთვის აუცილებელია საშინაო და საგარეო მიზეზების გამო. მე სიამოვნებით გეთანხმებით, რომ მისი შენარჩუნება მუდმივად არ შეიძლება, მაგრამ ამასობაში შესაძლოა ჩვენ ვიპოვით სხვა კომბინა-

---

[268] ÖUAP, Bd. 8, № 10215, S. 407—409.

[269] ეს იყო: მღელვარება ირლანდიაში, მუშათა დიდი გაფიცვები, რომელიც გაშალა 1914 წ. სერბიის საკითხით დაუინტერესებლობა — როგორც ეს გერმანიის მმართ. წრეებში მიაჩნდათ და სიძნელენი, რომელიც ხალხის მასებისაგან ომის იმპერიალისტური ხასიათის დაფარვაში მდგომარეობდა.

[270] Дипломатический словарь, Т. II, М., 1971, стр. 197; თავადი ლიხნოვსკი 1904 წ. სამსახურ. გადადგა, მაგრამ 1912 წ. ოქტომბ. დაბრუნდა დიპლომატიურ ასპარეზზე და ელჩად დაინიშნა ლონდონში.

[271] К. М. Лихновский, указ. соч., стр. 12, 27—28.

ციებს...“[272], შემდეგ იაგოვი წერდა, რომ ომი მოწინააღმდეგეებთან სწორედ ახლა იყო ხელსაყრელი, რადგან საფრანგეთი და რუსეთი ჯერ კიდევ განაგრძობდნენ შეიარაღებას. „არსებითად ახლა რუსეთი მზად არ არის ომისათვის, საფრანგეთი და ინგლისი არ მოისურვებენ ომს. რამდენიმე წლის შემდეგ რუსეთი ყოველმხრივ მზად იქნება ომისათვის. მაშინ ის გაგვსრისავს თავის ჯარისკაცების სიმრავლით, ააგებს ფლოტს და სტრატეგიულ გზებს. ამასობაში ჩვენი დაჯგუფება სულ უფრო დასუსტდება. თუ ვერ შევძლებთ ომის ლოკალიზაციას და რუსეთი თავს დაესხმის ავსტრიას, მაშინ ძალაში შევა სამოკავშირეო ვალდებულება და ჩვენ ვერ შევძლებთ ავსტრიის გაწირვას, ამის შემდეგ აღმოვჩნდებოდით იზოლაციაში, რომელიც საეჭვოა საამაყო იყოს...“[273].

იაგოვის წერილში ნათლად იყო გადმოცემული მიზეზები, რაც აიძულებდა გერმანიას დაუყოვნებლივ ემოქმედა. მას ეშინოდა, მისი ქვეყანა არ აღმოჩენილიყო იზოლირებულ მდგომარეობაში, რომელსაც გამოიწვევდა სამთა კავშირიდან ავსტრია-უნგრეთის ჩამოცილება. ამით გერმანიის იმპერიალიზმის ექსპანსიონისტური გეგმები საფრთხეში ჩავარდებოდა.

ემზადებოდნენ რა რუსეთისა და საფრანგეთის წინააღმდეგ საბრძოლველად, გერმანიის მმართველი წრეები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ინგლისის პოზიციას, რომელსაც შეეძლო გადამწყვეტი როლის შესრულება. ამიტომ გერმანიის მთავარ საზრუნავს შეადგენდა ინგლისის ნეიტრალიტეტის უზრუნველყოფა მოსალოდნელ ომში[274].

სარაევოს მკვლელობის შემდეგ დიდი ბრიტანეთის დიპლომატიამ, თავის მხრივ, გააჩაღა ორმაგი თამაში, რომელიც უბიძგებდა მოწინააღმდეგეებს ერთმანეთისაკენ და ამით კიდევ უფრო აღრმავებდა წარმოშობილ კრიზისს[275]. რუსეთის ელჩი ლონდონში ბენკენდორფი ბრიტანეთის იმპერიალიზმის პოზიციას ასე ახასიათებდა: „ინგლისს აშინებს არა იმდენად ავსტრიის ჰეგემონია ბალკანეთზე, რამდენადაც გერმანიის მსოფლიო ჰეგემონია“[276]. ცბიერი ალბიონი, ერთი მხრივ, არწმუნებდა ბერლინს, რომ არავითარი ვალდებულებანი არა ჰქონდა რუსეთისა და საფრანგეთის მიმართ და არც არავითარ კონ-

---

[272] Handbuch der Verträge 1871—1964, S. 133.

[273] Там же; К. М. Лихновский, указ. соч., стр. 30.

[274] იხ. F. Fischer. Weltmacht oder Niedergang, S. 57.

[275] А. С. Ерусалимский. Германский империализм: история и современность, стр. 164.

[276] МОЭИ, сер. 3, Т. 5, № 91.

ფლიქტში არ ფიქრობდა ჩარევას. მეორე მხრივ კი, არწმუნებდა პეტერბურგს, რომ „ბერლინი უფრო წარმოადგენს მოქმედების ცენტრს, ვიდრე ვენა“[277]. სინამდვილეში დიდ ბრიტანეთს სულ სხვა ზრახვები ჰქონდა — იგი ცდილობდა შექმნილი ვითარების გამოყენებას, რომ გერმანიის წინააღმდეგ გამოსულიყო.

ინგლისელი იმპერიალისტები, ამზადებდნენ რა ომს გერმანიის წინააღმდეგ, თავის მხრივ ყველაფერს აკეთებდნენ, რათა ხალხის ფართო მასები შეცდომაში შეეყვანათ. ამაში მათ ხელს უწყობდა ისიც, რომ ომის მომზადების საკითხები თავმოყრილი იყო უმაღლესი თანამდებობის პირთა ვიწრო წრის გამგებლობაში — ეს იყო იმპერიის დაცვის განსაკუთრებული კომიტეტი, რომელიც შედგებოდა პრემიერ-მინისტრის, საგარეო საქმეთა მინისტრის, სამხედრო მინისტრის, საადმირალოს პირველი ლორდისა და ფინანსთა მინისტრისაგან. ეს კომიტეტი მთავრობისა და პარლამენტის ზურგს უკან მოქმედებდა და ასრულებდა ფინანსური კაპიტალის სურვილებს. მოგვიანებით თვითონ ლოიდ ჯორჯი თავის მემუარებში აღიარებდა, რომ „რვა წლის განმავლობაში, რომელიც წინ უძღოდა ომს, მინისტრთა კაბინეტმა შეძლო გამოეყო თავისი დროის სასაცილოდ მცირე ნაწილი საგარეო პოლიტიკის განსახილველად... საგარეო პოლიტიკის საკითხებზე იქმნებოდა სიჩუმისა და საიდუმლოების ატმოსფერო, რაც უსპობდა შესაძლებლობას კაბინეტის წევრთა სამ მეოთხედს, საქმიანად მიეღო მონაწილეობა უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტაში, რომელნიც იქმნებოდნენ იმ დროს ევროპის კონტინენტზე და საბოლოოდ გამოეწვია აფეთქება, რომელმაც თითქმის ძირფესვიანად შეარყია მსოფლიო ცივილიზაცია“[278].

დიდი ბრიტანეთის დიპლომატია მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. გერმანიის მესვეურთ სჯეროდათ, რომ ომის გაჩაღების შემთხვევაში ინგლისი არ ჩაებმებოდა ბრძოლაში საფრანგეთისა და რუსეთის მხარეზე[279]. სინამდვილეში, როგორც ბენკენდორფი აღნიშნავდა, მას „არ შეუნიშნავს არავითარი სიმპტომი არც გრეის, არც მეფის, არც იმ პირების მხრიდან, რომელნიც გავლენით სარგებლობენ, იმის მაჩვენებელი, რომ ინგლისი სერიოზულად ეკიდებოდეს შესაძლებლობას — დარჩეს ნეიტრალური. ჩემს დაკვირვებებს, — ასკვნიდა ბენკენდორფი, — მივყავარ საწინააღმდეგო ხასიათის გარკვეულ

---

[277] МОЭИ, сер. 3. Т. 5, № 55; იხ. აგრ., Br. Doc., V. 11, № 101, Minutes.
[278] Ллойд Джордж, указ. соч., стр. 59—60.
[279] „Die Deutschen Dokumente“, Bd. 1, № 182, S. 175.

დასკვნამდე"[280]. გერმანიის მმართველი წრეები ილუზიის ქვეშ იმყოფებოდნენ, ამიტომ მსგავსი გაფრთხილებების არ სჯეროდათ. ისინი სასურველს რეალურად წარმოსახავდნენ. ლონდონის ვერაგული ქცევის გამო არც პარიზსა და პეტერბურგში იყვნენ დარწმუნებული, რომ ომის შემთხვევაში ინგლისი გადაწყვეტდა ბრძოლაში ჩაბმას. ასეთი ვითარება არსებით გავლენას ახდენდა ივლისის კრიზისის მსვლელობაზე[281].

ომის გაჩაღებაში აქტიური როლი შეასრულეს აგრეთვე აშშ რეაქციულმა წრეებმა, რომლებიც ცდილობდნენ დაეჩქარებინათ სამხედრო კონფლიქტი. პოლკოვნიკ ჰაუზის საიდუმლო მისია ევროპაში 1914 წ. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა[282].

1914 წ. ივნისის შუა რიცხვებში კონოპიშტში ერთმანეთს შეხვდნენ ვილჰელმ II და ერცჰერცოგი ფრანც-ფერდინანდი. მათ განიხილეს ავსტრია-უნგრეთის სამხედრო-საზღვაო პროგრამის შესრულებაში ვადების შემცირების და ომისათვის მეფის რუსეთის მზადყოფნის საკითხები. ორივე მხარემ დაადასტურა, რომ მეფის რუსეთი შინაგან სიძნელეთა გამო მოკლებული იყო აგრესიული საგარეო პოლიტიკის გატარების შესაძლებლობას. ვილჰელმ II ურჩევდა თავის მოკავშირეს, რომ ესარგებლა შექმნილი სიტუაციით — რუსეთისა და საფრანგეთის მოუმზადებლობით, ინგლისის პოზიციით, რათა მძლავრი დარტყმით „ანგარიში გაესწორებინა" სერბიისათვის[283]; ამით აეცილებინა სამხრეთ სლავების გაერთიანება და საბოლოოდ განემტკიცებინა თავისი გავლენა ბალკანეთზე. „თუ ჩვენ არ გამოვალთ,— ეუბნებოდა ვილჰელმ II ფრანც-ფერდინანდს, — მდგომარეობა გაუარესდება"[284]. მაშასადამე, საკითხი ომის გაჩაღების შესახებ პრინციპელად გადაწყდა კონოპიშტში ჯერ კიდევ სარაევოს მკვლელობამდე.

გერმანია თავისი ინტერესებისათვის ყველაზე ხელსაყრელად მიიჩნევდა ომის ლოკალიზაციას, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ ავსტრია-უნგრეთს მისცემოდა საშუალება — გასწორებოდა სერბიას და ბალკანეთის რუკა შეეცვალათ გერმანია-ავსტრიის ბლოკის სასარგებლოდ. კანცლერი ბეტმან-ჰოლვეგი მშვიდობის შენარჩუნების გარანტიად მიიჩნევდა სერბიის ინტერესების გათელვას. ის აცხადებდა, რომ „თუ ავსტრია-უნგრეთი გადაწყვეტდა სერბი შფოთისთავების

---

[280] МОЭИ, сер. 3, Т. 5, № 56.

[281] И. В. Бестужев. Основные аспекты Внешней политики России накануне июльского кризиса. — Первая мировая война, М., 1968, стр. 87.

[282] См. Архив полковника Хауза, Т. 1, М., 1937, стр. 63—67.

[283] F. Fischer. Krieg Der Illusionen, S. 683.

[284] Conrad v. Hötzendorf, დასახ. ნაშრ., ტ. 4, გვ. 39.

მოქცევიანებას და მას ხელს არაეინ შეუშლიდა, მაშინ ის შეძლებდა ცეცხლის ჩაქრობას, რომელიც ემუქრებოდა ევროპის მშვიდობიან მოსახლეობას[285]. ბრონევსკი იტყობინებოდა, რომ გაზეთები, რომლებიც წარმოადგენდნენ გერმანიის საგარეო საქმეთა დეპარტამენტის ოფიციოზს, თავის სტატიებში გამოთქვამდნენ აზრს, ეშვს გარეშეა „ვილჰელმშტრასეს მითითებით, რომ თუ სარაევო მკვლელობის გამოძიების შედეგად ავსტრია-უნგრეთის მთავრობა საჭიროდ ჩათელის მიმართოს ბელგრადს რაიმე მოთხოვნებით, მაშინ მათი მხარდაჭერა ევროპის ყველა სახელმწიფოთა მთავრობის მოვალეობა იქნება, რადგან დიდსერბიული იდეა და მისი პროპაგანდა, როგორც მშვიდობისათვის საშიში, წარმოადგენს საერთო საზრუნავს; ამასთან განსაკუთრებით აღინიშნება ამ საკითხში ავსტრიისადმი გერმანიის მხარდაჭერა და ნიბელუნგური ერთგულება“[286]. „ცხადია, — ატყობინებდა ბერლინიდან პარიზს უიუელ კამბონი, — ვენა და ბერლინი დიდი ყურადღებით უყურებენ რუსეთის პოზიციას“[287].

იმ მიზნით, რომ პასუხისმგებლობა აეცილებინა გერმანიისათვის, ბეტმან-ჰოლვეგი ცბიერად აცხადებდა, რომ „სერბიის საკითხის გადაწყვეტა ამჯერადაც რუსეთის პოლიტიკის ხელში იყო“[288].

ივლისის დღეებში გერმანიის პრესაც მიუთითებდა რუსეთზე, როგორც გადამწყვეტ ძალაზე, რომლის ხელშიც იყო ომისა და მშვიდობის საკითხი. „ფოსიშე ცაიტუნგ“ წერდა: „თუ რუსეთი უარს იტყვის, გაუწოდოს დახმარების ხელი სერბიას, მაშინ ხალხები მალე მოიპოვებენ მშვიდობას... თუ ამჯერად რუსეთი გამოვა სერბიის მოკავშირის სახით, მაშინ მის ხელმძღვანელებს დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ყველაფრისათვის, რაც ამას მოჰყვება“[289]. ასეთ განცხადებებს პეტერბურგიც შესაფერისად პასუხობდა. „ნოვოე ვრემია“ მეომრული ტონით გამოდიოდა და მიუთითებდა, რომ, მართალია, რუსეთი ომს არ ესწრაფეოდა, მაგრამ მისთვის მზად იყო და გამოდიოდა სერბიის დამოუკიდებლობის დამცველად[290].

ავსტრია-უნგრეთი, დარწმუნდა რა გერმანიის ურყევ გადაწყვეტილებაში — მხარი დაეჭირა მოკავშირისათვის, შეუდგა სერბიაზე თავდასხმის მზადებას. 14 ივლისს ჩირშკი საიდუმლო დეპეშით აცნო-

---

[285] Т. Бетман-Гольвег. Мысли о войне, стр. 64.

[286] АВПР, ф. Канцелярия, д. 219, л. 53, Броневский Сазонову, 4/17 июля 1914 г.

[287] DDF, 3e série, t. X, p. 768.

[288] Т. Бетман-Гольвег. Мысли о войне, стр. 64.

[289] Г. Гейдорн, указ. соч., стр. 503.

[290] «Новое время», 4/17 июля 1914 г.

ბებდა ბერლინს ტისასთან შეხვედრის შესახებ[291], რომელმაც განუცხადა, რომ „ახლა მტკიცედ არის დარწმუნებული ომის აუცილებლობაში და მთელი ძალებით შეეცდება მონარქიის დიდების დაცვას. სერბიისათვის ნოტის გადაცემის თარიღის შესახებ დღეს გადაწყდა, რომ უკეთესია მოცდა პეტერბურგიდან პუანკარეს გამგზავრებამდე. ნოტა ისე შედგება, რომ მისი მიღება თითქმის გამორიცხული იქნება“[292] (უკანასკნელი ფრაზა ორჯერ იქნა ხაზგასმული ვილჰელმ II მიერ).

19 ივლისს ავსტრიისა და უნგრეთის მინისტრთა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე სამხედრო პარტიამ გამარჯვებას მიაღწია[293]. დაადგინეს ულტიმატუმის ტექსტი და მიიღეს გადაწყვეტილება, გადაეცათ ის ბელგრადისათვის 23 ივლისს 17 საათზე 48 საათის ვადით[294]. მთავრობის წევრებს აეკვეებდათ მხოლოდ რუსეთის გამოსვლა სერბიის მხარეზე, მაგრამ გერმანიის მხარდაჭერით დაიმედებულნი მშვიდად შეჰყურებდნენ მომავალს. ამასთან, როგორც ციმერმანი აღნიშნავდა ავსტრიის წარმომადგენლებთან, „ომი სერბიასთან შინაგანი რღვევისაგან გადარჩენის ერთადერთი საშუალება იყო“[295].

ამასობაში მოახლოვდა სერბიისათვის ულტიმატუმის გადაცემის ვადა. რუსეთის საქმეთა რწმუნებული ბერლინში ბრონევსკი იტყობინებოდა, რომ მალე სერბიას გადასცემდნენ ავსტრიის მოთხოვნებს: „როგორც მე მაცნობა პარიზის „მატენ“-ის აქაურმა კორესპონდენტმა, მას თითქოს და მიუღია ავსტრიის საელჩოდან... ცნობები: უახლოეს დროში ავსტრია-უნგრეთის მთავრობა შეატყობინებს სახელმწიფოთა მთავრობებს სარაევოს დანაშაულის გამო ჩატარებული გამოძიების შედეგებს... აცნობებენ პრესას, რასაც მოჰყვება სერბიის მთავრობისადმი მიმართვა“[296]. 20 ივლისს ღამით პარიზში მიიღეს ბერლინელი ელჩის ჟ. კამბონის დეპეშა, რომელშიც ელჩი იტყობინებოდა, რომ საიმედო წყაროებიდან მიღებული ცნობების საფუძველზე დაასკვნა: ვენა გააკეთებს დემარშს ბელგრადში, გერმანია კი მხარს

---

[291] უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ისტვან ტისა დასაწყისში წინააღმდეგი იყო სერბიასთან ომისა, რადგან მიაჩნდა, რომ ამ უკანასკნელის შეყვანა იმპერიის შემადგენლობაში გააძლიერებდა სლავურ ელემენტებს უნგრულის საზიანოდ (См. Ю. А. Писарев. Сербия и Черногория в первой мировой войне, М., 1968, стр. 19).

[292] „Die Deutschen Dokumente“, Bd. I, № 49.

[293] იხ. Conrad v. Hötzendorf, დასახ. ნაშრ., ტ. 4, გვ. 87—91.

[294] F. Fischer. Krieg Der Illusionen, S. 697.

[295] Цит. Ю. А. Писарев. Освободительное движение Югославянских народов Австро-Венгрии 1905—1914, стр. 319.

[296] АВПР, ф. II-й Департамент, опись № 408, д. № 1280, л. 14, секретная телеграмма поверенного в делах в Берлине Броневского, 7/20 июля 1914 г.

დაუჭერს მას მთელი თავისი გავლენით და არავითარ შუამდგომლობას არ მიმართავს[297].

ვენაში გადაწყვიტეს, გადაეცათ სერბიისათვის ულტიმატუმი ისეთი მოთხოვნებით, რომელთა მიღება გამორიცხული იქნებოდა, ბერლინში კი თავი ისე მოჰქონდათ,თითქოს არაფერი იცოდნენ ავსტრიის მიერ დასახული ღონისძიებების შესახებ, რათა ეჩვენებინათ, თითქოს მათ არ სურდათ კონფლიქტის შემდგომი გამწვავება. იგივე ბრონევსკი ბერლინიდან იტყობინებოდა: „საგარეო საქმეთა მინისტრმა გვითხრა, როგორც მე, ასევე კამბონს, რომ მან აქამდე არ იცის, რაში მდგომარეობს ავსტრიის მოთხოვნები...“[298]. ეს მაშინ, როცა ავსტრია-უნგრეთის ელჩმა ბერლინში 22 ივლისს აცნობა იაგოვს ულტიმატუმის ზუსტი ტექსტი[299]. იაგოვი თავის მოკატუნებას ცდილობდა. ძნელი წარმოსადგენია, რომ ვენას, რომელიც გერმანიის იმედით ემზადებოდა ომისათვის, თავისი მოკავშირე აბუჩად აეგდო. მოგვიანებით იაგოვი აღიარებდა, რომ ავსტრიის მოთხოვნები მისთვის ცნობილი იყო, და ულტიმატუმის მოთხოვნები უფრო მკვეთრი იყო, ვიდრე შექმნილი ვითარება საჭიროებდა ამას[300]. უფრო მეტიც, იაგოვისათვის ზუსტად იყო ცნობილი ავსტრია-უნგრეთის მთავრობის გეგმები საერთოდ[301]. ამიტომ 21 ივლისს ის ერთხელ კიდევ არწმუნებდა სეგენის, რომ გერმანია უეჭველად გამოვიდოდა მთელი ძალებით ავსტრია-უნგრეთის მხარეზე[302]. გასაგებია, რომ ვენის გადაწყვეტილებას სერბიასთან ომის დაწყების შესახებ საიდუმლოდ ინახავდნენ. ამის გამო არწმუნებდა ავსტრია-უნგრეთის ელჩი პეტერბურგში გრაფი საპარი საზონოვს, რომ ავსტრიის მხრიდან სერბიასთან ურთიერთობის გამწვავებას არ ჰქონდა ადგილი[303].

მაგრამ პეტერბურგის ასე ადვილად გაცურება არ იყო იოლი. გერმანიის ელჩი პეტერბურგში გრაფი პურტალესი მოახსენებდა ბერლინს საზონოვის სიტყვების შესახებ, რომ ინგლისშიც არ იწონებდნენ ავსტრია-უნგრეთის საომარ განწყობილებას. ვილჰელმ II-მ მოხსენების არეზე შენიშნა: „ის ცდება!“ კაიზერი ინგლისის ნეიტრალიტეტში დარწმუნებული იყო თითქმის უკანასკნელ საბედისწერო

---

297 DDF, 3e série, t. X, № 539.

298 АВПР, ф. II-й Департамент, опись № 48, д. 1280, л. 15, Секретная телеграмма поверенного в делах в Берлине Броневского 9/22 мая 1914 г.

299 „Die Auswärtige Politik“, Bd. 4, S. 774.

300 G. v. Jagow, Ursachen zum Ausbruch des Weltkrieges, Berlin, 1919, S. 110.

301 იქვე, გვ. 103—104.

302 F. Fischer. Griff nach der Weltmacht, S. 69.

303 МОЭИ, сер. 3, Т. 4, № 272.

ძოძეხტაძდე. ბერლინში ყურადღებას არ აქცევდნენ ლიხნოვსკის დაჟინებულ გაფრთხილებებს[304], რომ ინგლისი უეჭველად გამოვიდოდა გერმანიის წინააღმდეგ, თუ ეს უკანასკნელი თავს დაესხმოდა საფრანგეთს. ლიხნოვსკი იქვე უთითებდა, რომ ინგლისი ამას გააკეთებდა არა გულჩვილობის გამო, არამედ რეალური ინტერესებიდან გამომდინარე[305].

1914 წ. პეტერბურგს ვიზიტად მყოფმა საფრანგეთის პრეზიდენტმა პუანკარემ და პრემიერ-მინისტრმა ვივიანმა განაცხადეს, რომ საფრანგეთი შეასრულებდა თავის სამოკავშირეო ვალდებულებებს[306]. ასეთმა განცხადებამ მხნეობა შემატა მეფის რუსეთის მმართველ წრეებს და გადააწყვეტინა უკან არ დაეხიათ მოსალოდნელ ომში. მმართველი წრეების ასეთ პოზიციას კვერს უკრავდა პრესაც, რომელიც ცდილობდა, მოწინააღმდეგე ბანაკი აგრესორად გამოეყვანა, ანტანტა კი მშვიდობის ბურჯად. „...ევროპაში ორი უზარმაზარი შეიარაღებული ბანაკი გაიშალა. ერთის დროშაზეა — „მოემზადეთ საბრძოლველად ომის მიზნით“! სამთა შეთანხმების დროშაზე — „მოემზადეთ საომრად მშვიდობის დაცვისათვის!“[307].

ბერლინსა და ვენას შორის ხანგრძლივი კონსულტაციების შემდეგ, 23 ივლისს საღამოს 6 საათზე, პუანკარეს პეტერბურგიდან გამგზავრებისთანავე, ავსტრია-უნგრეთის ელჩმა ბელგრადში ბარონმა გიზლმა გადასცა სერბიის მთავრობას ულტიმატუმი[308], რომელიც ისეთი პუნქტებისაგან შედგებოდა, რომ სერბიის, როგორც სუვერენული სახელმწიფოს, ღირსება ილახებოდა და მოასწავებდა სერბიის საშინაო საქმეებში აშკარა ჩარევას. ულტიმატუმის მოთხოვნები სავსებით აკმაყოფილებდა გერმანელ იმპერიალისტებს. 25 ივლისს ვილჰელმ II-მ წაიკითხა ბელგრადში გერმანიის წარგზავნილის ბარონ გრიზინგერის ტელეგრამა, რომელშიც ეწერა: „ავსტრიის ნოტის ენერგიულმა ტონმა და ზუსტად ჩამოყალიბებულმა მოთხოვნებმა სერბიის მთავრობა საგონებელში ჩააგდო“. ამ ადგილის გასწვრივ კაიზერმა შენიშნა: „ყოჩაღ! უნდა ვაღიარო, ვენისგან ასეთ რამეს არ ველოდით“[309]. ულტიმატუმის გადაცემის შემდეგ „ოდნავი ხე-

---

304 Г. Никольсон, Дипломатия, стр. 89.

305 К. М. Лихновский, указ. соч., стр. 28; Gp. Pol., Bd. 33, № 12489.

306 МОЭИ, сер. 3. Т. 4, № 332.

307 «Новое время», 9/22 июля 1914 г.

308 МОЭИ, сер. 3, Т. 5, № 18, приложение.

309 К. Каутский, Как возникла мировая война. «Красная новь», 1924, стр. 24.

ლის განძრევაღა იყო საჭირო, რომ დაჭიმული სიმი გამწყდარიყო და ტიტანურ სახელმწიფოებსაც ზარბაზნები დაეგრიალებინათ[310].

24 ივლისს გერმანიის ელჩებმა ლონდონში, პარიზსა და პეტერბურგში შესაბამის მთავრობებს გადასცეს გაფრთხილებები: „გერმანიის მთავრობას სურს, ხაზი გაუსვას თავის აზრს, რომ ასეთ ვითარებაში საქმე უნდა მოგვარდეს მხოლოდ ავსტრია-უნგრეთსა და სერბიას შორის... გერმანიის მთავრობას დაჟინებით სურს კონფლიქტის ლოკალიზაცია, რადგანაც სხვა სახელმწიფოს ყოველგვარი ჩარევა სხვადასხვა ხელშეკრულებათა ვალდებულების ძალით გამოიწვევს განუსაზღვრელ შედეგებს"[311]. ნათლად ჩანს, რომ გერმანიის იმპერიალიზმი იმუქრებოდა დიდი ომით. ადმირალ ტირპიცს, „ითვალისწინებდა რა რუსეთის პოზიციას, არ სჯეროდა სერბიის წინააღმდეგ ავსტრიის სამხედრო გამოსვლის „ლოკალიზების" შესაძლებლობა ისევე, როგორც ინგლისის ნეიტრალიტეტისა კონტინენტურ ომში"[312].

სერბიის მთავრობამ ულტიმატუმის მიღებისთანავე დახმარებისათვის მიმართა პეტერბურგს, პარიზსა და ლონდონს[313]. პეტერბურგში ულტიმატუმი შეაფასეს, როგორც ომში გამოწვევა. პრესაშიც გამოჩნდა ცნობები, რომ გერმანიას გადაწყვეტილი ჰქონდა მხარი დაეჭირა ავსტრიის მოთხოვნებისათვის ყოველგვარ პირობებში და რომ „გერმანია არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს არავითარ ეჭვებს მისი სამოკავშირეო ვალდებულებების შესახებ, რადგანაც გერმანია თვლის, რომ ავსტრიასა და სერბიას შორის კონფლიქტის შემთხვევაში მსოფლიო ომის თავიდან აცილების ერთადერთი საშუალებაა რუსეთ-საფრანგეთის ჩარევის დაბრკოლება"[314].

მინისტრთა საბჭოს სხდომის შემდეგ საზონოვმა განუცხადა პურტალესს, რომ რუსეთს დაუშვებლად მიაჩნდა კონფლიქტის მხოლოდ ორ დაინტერესებულ მხარეს შორის მოგვარება. ამასთან დაკავშირებით პურტალესი მოახსენებდა ბერლინს, რომ რუსეთი სერბიაზე თავდასხმის შემთხვევაში აუცილებლად გამოვიდოდა ავსტრია-უნგრეთის წინააღმდეგ[315]. პეტერბურგმა ურჩია სერბიის მთავრობას, მიეღო ულტიმატუმის ყველა მოთხოვნა, რამდენადაც ეს შე-

---

[310] ჟურნ. „ქლდე", 1914 წ. №30, გვ. 4.
[311] „Die Deutschen Dokumente", Bd. 1, № 100, S. 114.
[312] А. Тирпиц, указ. соч., 265.
[313] МОЭИ, сер. 3, Т. 5, № 10, 75.
[314] «Речь» 11/24 мая, 1914 г.
[315] „Die Auswärtige Politik", Bd. 4, S. 787.

საძლებელი იყო. და თავისი ბედი დიდი სახელმწიფოებისათვის მიენდო[316].

სერბიისათვის ულტიმატუმის გადაცემისთანავე ლიხნოვსკი ყოველნაირად ცდილობდა, რათა მოსალოდნელი კატასტროფა თავიდან აეცილებინა გერმანიისათვის, მაგრამ მისი ცდა უშედეგოდ დამთავრდა ისევე, როგორც მრავალი სხვა მანამდე. „რა თქმა უნდა, საქმარისი იყო ერთი ნიშანი ბერლინიდან, — წერდა ლიხნოვსკი, — რაც აიძულებდა გრაფ ბერხტოლდს, დაკმაყოფილებულიყო დიპლომატიური წარმატებით და დამშვიდებულიყო სერბიის პასუხით. მაგრამ ეს ნიშანი არ ყოფილა, პირიქით, ავსტრიას უბიძგებდნენ ომისაკენ... ჩემი დაკვირვებით რჩევები, ყველაფერი უსარგებლო იყო. ბერლინში იმ აზრის დარჩნენ, რომ სერბია უნდა განადგურდეს“[317]. გერმანელი დიპლომატის ამ აღიარებიდან კარგად ჩანს ბერლინის ავბედითი როლი და ნამდვილი მიზნები. ედ. გრეიც დაახლოებით იგივეს წერდა თავის მემუარებში. მას მიაჩნდა, რომ ავსტრია-უნგრეთი იმდენად იყო დამოკიდებული გერმანიაზე, რომ ამ უკანასკნელის სიტყვა და სურვილი ვენისათვის გადამწყვეტი იქნებოდა[318].

24 ივლისს გრეიმ წამოაყენა წინადადება, მოეწვიათ კონფერენცია ოთხი სახელმწიფოს—ინგლისის, გერმანიის, საფრანგეთისა და იტალიის მონაწილეობით. კონფერენციაზე უნდა განეხილათ წარმოშობილი კრიზისისაგან თავის დაღწევის საშუალებანი. ეს წინადადება, ცხადია, მხოლოდ ტაქტიკური მანევრი იყო. მოგვიანებით გრეი თავის მემუარებში აღიარებდა, რომ ეს საჭირო იყო საფრანგეთისა და რუსეთისათვის დროის მოსაგებად და უკეთ მოსამზადებლად გერმანიის წინააღმდეგ საბრძოლველად[319]. გერმანიას არავითარი შუამავლობა კონფლიქტის მოსაგვარებლად არ სურდა, მაგრამ კონფერენციაში მონაწილეობაზე უარს აშკარად ვერ ამბობდა. „თავისთავად იგულისხმება,—წერდა „ნოიე პრისიშე ცაიტუნგ“,—გერმანია თანაუგრძნობს ყოველგვარ შუამავლურ გამოსვლას ავსტრიასა და რუსეთს შორის ურთიერთობის გაწყვეტის თავიდან ასაცილებლად და მიიღებს მონაწილეობას მსგავს გამოსვლებში, მაგრამ ის არაფერს გააკეთებს და არ მიიღებს არავითარ გადაწყვეტილებას, რაც გაართულებს თავისი მოკავშირის გამოსვლას სერბიის წინააღმდეგ“[320].

ბერლინში იძულებული იყვნენ, ანგარიში გაეწიათ ინგლისისთვის, მეფის რუსეთს კი, პირიქით, არასერიოზულად ეკიდებოდნენ.

[316] МОЭИ, сер. 3, Т. 5, № 19.

[317] К. М. Лихновский, указ. соч., стр. 32.

[318] Lord Grey, დასახ. ნაშრ., გვ. 295—296.

[319] История дипломатии, т. 2, М., 1963, стр. 790.

[320] Г. Гейдорн, указ. соч., стр. 514.

რუსეთის საქმეთა რწმუნებული ბრონევსკი მოახსენებდა საზონოვს, რომ მან 25 ივლისს მიღების დროს აგრძნობინა იაგოვს, თუ რაოდენ იყო „საჭირო ზემოქმედების მოხდენა ვენაზე საშიში შედეგების თავიდან აცილების მიზნით. საგარეო საქმეთა მინისტრი ყოველთვის ორპოფულად პასუხობდა, რომ მას ამის შესახებ ფიქრიც კი არ სურდა“[321]. გერმანია რუსეთსა და საფრანგეთზე უკეთ იყო მომზადებული და უნდა ემოქმედა, რომ ინგლისის წინადადებას კონფერენციის შესახებ მისთვის ზიანი არ მოეტანა[322].

ვილჰელმ II, დარწმუნებული წარმატებაში, ცდილობდა მოვლენების ფორსირებას. კანცლერი ბეტმან-ჰოლვეგი დეპეშით ატყობინებდა იმპერატორს, რომ მრავალი მონაცემით, რუსეთი ჯერ არავითარ მტრულ ზემოქმედებას არ მიმართავდა და ამდენად გერმანიის პოზიცია, მიმართული კონფლიქტის ლოკალიზაციისადმი, შეიძლებოდა დარჩენილიყო მშვიდი. კაიზერმა დეპეშის არეზე დაცინვით შენიშნა, „სიმშვიდე ბიურგერის უპირველესი მოვალეობაა. მხოლოდ სიმშვიდე, ყოველთვის მხოლოდ სიმშვიდე, მაგრამ მშვიდობიანი მობილიზაცია მართლაცდა რაღაცა ახალია“[323].

25 ივლისს სერბიამ უპასუხა ვენის ულტიმატუმს. მისი პასუხი შედგენილი იყო საკმაოდ შემრიგებლური ტონით და დიპლომატიურად. სერბია იღებდა ულტიმატუმის თითქმის ყველა მოთხოვნას ერთის გარდა[324]. მიუხედავად ამისა, ვენაში უარი თქვეს მის მიღებაზე და იმავე დღეს გაწყვიტეს ურთიერთობა სერბიასთან.

უნდა აღინიშნოს, რომ სერბიის საპასუხო ნოტის მთლიანი ტექსტი არ გამოჩენილა არცერთ გერმანულ გაზეთში[325]. ამით, რა თქმა უნდა, გერმანიის მთავრობას სურდა ხალხის ფართო ფენების შეცდომაში შეყვანა.

გერმანიის პრესა აქტიურად გამოვიდა ომის გაჩაღების მომხრედ და კვლავ მიუთითა ავსტრია-უნგრეთისადმი გერმანიის სამოკავშირეო ვალდებულებებზე. მსგავსი გამოსვლების მიზანი იყო ავსტრიის შეგულიანება, რომ მას უკან არ დაეხია[326].

---

321 МОЭИ, сер. 3, Т. 5, № 63.

322 Lord Grey, დასახ. ნაშრ., გვ. 299.

323 „Die Auswärtige Politik“, Bd. 4, S. 792.

324 ეს მოთხოვნა ითვალისწინებდა ავსტრიელი მოხელეების მონაწილეობას სერბიაში მიმდინარე გამოძიებაში, რაზეც ეს უკანასკნელი უარს ამბობდა.

325 АВПР, ф. Канцелярия, д. 22, л. 137, секретная телеграмма поверенного в делах в Берлине Броневского, 15/28 июля 1914 г.

326 См. Г. Гейдорн, указ. соч., стр. 508.

როცა გრეი გაეცნო სერბიის პასუხს, მან ლიხნოვსკის მეშვეობით წინადადებით მიმართა გერმანიის მთავრობას, რომ ამ უკანასკნელს ზემოქმედება მოეხდინა ვენაზე[327], რათა თავიდან აეცილებინათ შეტაკება. ლიხნოვსკი აფრთხილებდა თავის მთავრობას, რომ უარყოფით პასუხს შეეძლო საბედისწერო როლის შესრულება გერმანიისა და ინგლისის ურთიერთობებში. ლონდონის ამ ტაქტიკურ მანევრს გერმანიამ შესაბამისად უპასუხა. არ სურდა რა ინგლისის გაღიზიანება, ბეტმან-ჰოლვეგმა მიიღო გრეის წინადადება ვენაზე ზემოქმედების შესახებ, მაგრამ იმავე დროს აფრთხილებდა ვენას, რომ სერიოზულად არ მიეღო წინადადებანი, რომელნიც ინგლისის თხოვნით იგზავნებოდა ვენაში.

მიუხედავად ამისა, ბერლინი მერყეობდა. ამას მოწმობს ისიც, რომ მოგვიანებით, 28 ივლისს, როცა ვილჰელმ II გაეცნო სერბიის პასუხს, გაუკვირდა, რომ სერბიამ ულტიმატუმის თითქმის ყველა მოთხოვნა დააკმაყოფილა. ეს ნიშნავდა, რომ კარგი საბაბი ომის დაწყებისათვის იკარგებოდა[328], ამიტომ იყო, რომ ვილჰელმ II სთავაზობდა ვენას, დაეწყო მოლაპარაკება სერბიასთან. ბერლინი ამ მერყეევი მდგომარეობიდან იხსნა ვენამ, რომელმაც 28 ივლისს ომი გაუცხადა სერბიას.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანო გაზეთი „ფორვერტსი" ადანაშაულებდა გერმანია-ავსტრიის ბლოკს და შედარებით ზუსტ ანალიზს იძლეოდა. 28 ივლისს იგი წერდა: „ახლანდელ მომენტში ცარიზმი კი არ წარმოადგენს ყველაზე დიდ სამხედრო საფრთხეს, არამედ დამღუპველი დარიგებების მიმბაძველი ავსტრია"[329]. გერმანიამ კარგად იცოდა, რომ ავსტრია-უნგრეთი მარტო ვერ განდევნიდა რუსეთს ბალკანეთიდან. ამდენად, შეგნებულად იქნა დაშვებული რისკი, რომელიც ომის საფრთხეს წარმოშობდა. ამას მოწმობდა გერმანიის მოქმედება სერბიისათვის ულტიმატუმის გადაცემის შემდეგ[330].

გერმანელი იმპერიალისტები თავიანთი გეგმების განხორციელების მოლოდინში ზეიმობდნენ, მაგრამ 29 ივლისს მათ მძიმე დარტყმის გადატანა მოუხდათ. ლიხნოვსკი ლონდონიდან იტყობინებოდა, რომ იმედის დამყარება ინგლისის ნეიტრალიტეტზე არ შეიძლებო-

---

327 F. Fischer. Krieg Der Illusionen, S. 700—701.

328 F. Fischer. Griff nach der Weltmacht, S. 79, E. Eyck, დასახ. ნაშრ., გვ. 738; Б. Бюлов. Воспоминания, стр. 438.

329 П. Фрелих и А. Шрейнер. Германская социал-демократия, пер. с нем., Прибой, 1929, стр. 7.

330 F. Fischer, Griff nach der Weltmacht, S. 71.

და, რომ დიდი ომის შემთხვევაში ის აუცილებლად გამოვიდოდა თავისი მოკავშირეების მხარეზე[331]. გრეიმ განუცხადა გერმანიის ელჩს, რომ ინგლისი იმ შემთხვევაში შეინარჩუნებდა ნეიტრალიტეტს, თუ კონფლიქტი შეიზღუდებოდა ავსტრიითა და რუსეთით. ხოლო, თუ გერმანია ჩაითრევდა საფრანგეთს, „მაშინ მდგომარეობა დაუყოვნებლივ შეიცვლება და ბრიტანეთის მთავრობა იძულებული გახდება დაუყოვნებლივ მიიღოს გადაწყვეტილებანი... ასეთ შემთხვევაში შეუძლებელი იქნება დიდხანს გვერდით დგომა და ლოდინი..."[332] ვილჰელმ II გააცოფა ამ ცნობამ. თავისი დამოკიდებულება ინგლისისადმი. მან საკმაოდ უხეში შენიშვნებით გამოხატა ლიხნოვსკის ტელეგრამის არეზე[333].

ლონდონის მმართველი წრეები თვლიდნენ, რომ გერმანიამ შორს შეტოპა, ვეღარ შეძლებდა უკან დახევას და იძულებული იქნებოდა, ომი დაეწყო. ამდენად, თავისი პოზიციის შენიღბვა მას უკვე აღარ ესაჭიროებოდა.

ბერლინში ცნობილი გახდა არა მარტო ინგლისის პოზიცია, არამედ ისიც, რომ იტალია და რუმინეთი არ გამოვიდოდნენ თავიანთი მოკავშირეების მხარეზე[334]. ამ არასასიამოვნო ცნობამ გარკვეული გავლენა მოახდინა გერმანიაზე. საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელები კაიზერთან ერთად ცდილობდნენ, უარი ეთქვათ ომზე და ვენას სთავაზობდნენ — დაკმაყოფილებულიყო დიპლომატიური გამარჯვებით და გარანტიის სახით — ბელგრადის დაკავებით. მაგრამ ამ დროს მოვლენათა მსვლელობაში აქტიურად ჩაერია გერმანიის გენერალური შტაბი. მხედრიონი მოითხოვდა, რომ მთავრობას გადაედგა ენერგიული ნაბიჯი, რათა შეეჩერებინა რუსეთის ნაწილობრივი მობილიზაცია[335], რომელიც დაიწყო რუსეთმა ავსტრიის მიერ სერბიის წინააღმდეგ ომის დაწყების პასუხად. 29 ივლისს გერმანიამ მოსთხოვა რუსეთს, შეეწყვიტა სამხედრო მზადება, მაგრამ უარი მიიღო.

ევროპული ქვეყნების დედაქალაქებიდან გერმანიის წარმომადგენლები იტყობინებოდნენ ანტიავსტრიული განწყობილებების ზრდის შესახებ. ბეტმან-ჰოლვეგი იძულებული იყო მრავალჯერ დაე-

---

[331] К. М. Лихновский, указ. соч., стр. 32.

[332] Международные отношения, 1870—1918, сб. док. стр. 276.

[333] История дипломатии, т. II, М., 1953, стр. 791—792.

[334] იქვე, გვ. 792; იტალია საერთოდ წინააღმდეგი იყო, რომ ავსტრია-უნგრეთს დაეპყრო სერბია („Die Aüswärtige Politik", Bd. 4, S. 758—759).

[335] ეს ღონისძიება ეხებოდა ოთხ სამხედრო ოლქში (კიევის, ოდესის, მოსკოვის, ყაზანის) 13 საარმიო კორპუსის მობილიზაციას.

მოწმებინა ეს გერმანიის ელჩებისადმი გაგზავნილ თავის ინფორმაციებში[336].

იმ მიზნით, რომ დაედანაშაულებინა მეფის რუსეთი მოსალოდნელი ომის შემთხვევაში, ვილჰელმ II-მ 28 ივლისს გაუგზავნა დეპეშა ნიკოლოზ II-ს, რითაც მოუწოდებდა დაეცვათ მშვიდობა და ერთად ემოქმედათ სერბიის წინააღმდეგ[337]. 29 ივლისს ბერლინში მიიღეს ნიკოლოზ II-ის დეპეშა, რომელიც ასევე შეიცავდა მოწოდებას — შეენარჩუნებინათ მშვიდობა, და მეფის თხოვნას ვილჰელმისადმი — ზემოქმედება მოეხდინა ვენაზე[338]. დეპეშების ეს გაცვლა-გამოცვლა, ვ. ი. ლენინის აზრით, იყო „სასაცილოდ უმნიშვნელო და ასევე სასაცილოდ არასერიოზული"[339].

1914 წ. 30 ივლისს პრუსიის მთავრობის სხდომაზე თავისი გამოსვლით ბეტმან-ჰოლვეგი კვლავ ცდილობდა, რათა პასუხისმგებლობა აერიდებინა გერმანიისათვის და კონფლიქტის შემდგომ გამწვავებაში დაედანაშაულებინა მეფის რუსეთი[340].

31 ივლისს ნიკოლოზ II-ის მანიფესტის თანახმად რუსეთმა დაიწყო საყოველთაო მობილიზაცია. ამის პასუხად ბერლინმა ულტიმატური ნოტით მოსთხოვა პეტერბურგს, შეეწყვიტა გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის წინააღმდეგ მიმართული ეს ღონისძიებანი[341]. პეტერბურგმა ულტიმატუმს არ უპასუხა. ამას მოჰყვა ბერლინის დავალებით პურტალესის მიერ რუსეთის მთავრობისადმი განცხადების გადაცემა ომის გამოცხადების შესახებ. „...მისი უდიდებულესობა იმპერატორი, ჩემი კეთილშობილი მბრძანებელი, იმპერიის სახელით ღებულობს გამოწვევას და თვლის თავს რუსეთთან საომარ მდგომარეობაში"[342]. ამ დროს ავსტრია-უნგრეთი არ იმყოფებოდა რუსეთთან საომარ მდგომარეობაში, მაშინ, როცა რუსეთის მობილიზაცია,

---

[336] „Die Deutschen Dokumente", Bd. 2, № 361, S. 73.

[337] МОЭИ, сер. 3, Т. 5, № 184, стр. 189.

[338] იქვე, 327.

[339] ვ. ი. ლენინი, გერმანული ოპორტუნიზმის მთავარი შრომა ომის შესახებ, თხზ., ტ. 21, გვ. 326.

[340] „Die Deutschen Dokumente", Bd. 2, № 456, S. 163—164; F. Fischer. Griff nach der Weltmacht, S. 89.

[341] F. Haselmayr. Der Weg in der Katastrophe (1909—1918), 1. Teil, S. 446; გ. რიტერის აზრით, გერმანიის ულტიმატუმი რუსეთისადმი მხოლოდ მობილიზაციას ეხებოდა და ომის გამოცხადების საკითხს ღიად ტოვებდა (G. Ritter. Staatskunst und Kriegshandwerk. Bd. 2. Die Hauptmächte Europas und das Wilhelmische Reich 1890—1914, S. 330).

[342] Ю. В. Ключников. А. Сабанин. Международная политика новейшего времени.., ч. 2, стр. 5—6.

რომელიც გერმანიამ საბაბად გამოიყენა ომის გამოცხადებისათვის, მიმართული იყო, უწინარეს ყოვლისა, ავსტრიის წინააღმდეგ. ვენამ მხოლოდ 5 აგვისტოს გამოუცხადა ომი რუსეთს[343], მაგრამ ეს გააკეთა გერმანიის დაჟინებითი მოთხოვნის შედეგად. ბერლინი ჩქარობდა. ამასთან დაკავშირებით მართებულად შენიშნავდა ჟურნ. „კლდე“: „სისწრაფეზედ ამყარებდა გერმანია თავის სამხედრო გეგმას, რადგან ჯერ ერთი იგი ყველაზე უკეთ არის მომზადებული ომისათვის ტეხნიკურად და მაშასადამე ყველაზე უწინ შეეძლო მოესწრო მზაობა და მეორეც ომის გაჭიანურება—გერმანიის დამღუპველია. დრო—აი გერმანიის ბედის მკვერელი სტიქიონი“[344]. ავსტრია-უნგრეთის ომში ჩაბმა რუსეთის წინააღმდეგ გერმანიაში მნიშვნელოვან პირობად მიაჩნდათ იმისათვის, რომ შეეკავებინათ აღმოსავლეთის ფრონტი შედარებით მცირე ძალებით, მთელი დარტყმა კი დასაწყისში დასავლეთისაკენ მიემართათ[345].

ბიულოვს სურდა დაეფარა გერმანიის იმპერიალიზმის აგრესიული ბუნება, ამიტომ ომის გაჩაღებას ის მიაწერდა გერმანიის მმართველების უგნურებას, თუმცა ისინი ომისაკენ არ მიისწრაფვოდნენო. მისი აზრით, გერმანიის მთავრობას ადვილად შეეძლო ომის თავიდან აცილება, საკმარისი იყო მხოლოდ „განეცხადებინათ ვენისათვის, რომ გერმანია მას მხარს არ დაუჭერს“[346].

ბეტმან-ჰოლვეგი, პირიქით, მთლიანად მოწინააღმდეგეს ადანაშაულებდა, რომ მან აიძულა გერმანია-ავსტრიის ბლოკი, ომი დაეწყოთ, რადგან მათი არსებობა თურმე საფრთხეში ყოფილა[347]. ბეტმან-ჰოლვეგი ადვილად პოულობდა „მთავარ“ დამნაშავეს მეფის რუსეთის სახით, მთელ პასუხისმგებლობას მას აკისრებდა და მსოფლიო ომის წარმოშობას მის აგრესიულ ბუნებას მიაწერდა[348]. მაშინ, როცა გერმანიამ ხელიდან არ გაუშვა ხელსაყრელი საბაბი — სარაევოს მკვლელობა — რათა განეხორციელებინა თავისი გეგმები. გერმანიის მმართველ წრეებს გარკვეულ იმედებს აძლევდა, აგრეთვე, ინგლისის ნეიტრალიტეტის თაობაზე მასთან 1914 წ. დადებული შეთანხმებები პორტუგალიის კოლონიებისა და ბაღდადის რკინიგზის შე-

---

[343] G. Ritter. Staatskunst und Kriegshandwerk. Bd. 2. Die Hauptmächte Europas und das Wilhelmische Reich 1890—1914. S. 330.

[344] ჟურნ. „კლდე“, 1914 წ. № 28, გვ. 10.

[345] იქვე, გვ. 11; Г. Ферстер, Г. Гельмерт, Г. Отто, Г. Шиттер. Прусско-германский генеральный штаб, стр. 124—127.

[346] Б. Бюлов. Воспоминания, стр. 437.

[347] См. Т. Бетман-Гольвег. Мысли в войне, стр. 80.

[348] Там же.

სახებ[349]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეფის რუსეთი 1914 წ. ზაფხულში არ იყო მზად ომისათვის, არც დიპლომატიური, არც სამხედრო თვალსაზრისით. ამიტომ, ბუნებრივია, რუსეთისათვის უკეთესი იყო, გადამწყვეტი შეტაკება გერმანია-ავსტრიის ბლოკთან ცოტა ხნით გადადებულიყო[350]. ედ. გრეი საერთოდ უარყოფდა მეფის რუსეთის მზადებას ომისათვის. მას არ სჯეროდა, რომ მეფე, ან საზოგადოება, ან კიდევ სხვა ვინმე, რომელთაც შეეძლოთ გადამწყვეტი სიტყვის თქმა, გეგმაზომიერად ამზადებდნენ ომს ან საერთოდ სურდათ ის[351].

ომის გამოცხადებას რუსეთისათვის უფრო ადრე, ვიდრე საფრანგეთისათვის, ბიულოვი ხსნიდა საშინაო პოლიტიკური მიზეზებით: იმით, რომ გერმანიის მშრომელი მასების, პირველ რიგში კი მრავალრიცხოვანი მუშათა კლასის, მოტყუება შეიძლებოდა მხოლოდ სოციალ-დემოკრატების მეშვეობით[352], რომელთა უმრავლესობა იმ დროს ოპორტუნისტულ პოზიციებზე იმყოფებოდა და ცარიზმის წინააღმდეგ იყო განწყობილი.

რუსეთისათვის ომის გამოცხადებით გერმანიამ თავი არასახარბიელო მდგომარეობაში ჩაიყენა. მას ეკისრებოდა პასუხისმგებლობა, როგორც ომის გამჩაღებელს. ამ ფაქტს, ცხადია, დიდ მნიშვნელობა ჰქონდა ანტიგერმანული პროპაგანდისათვის, რაც გერმანიის დიპლომატიის დიდ მარცხს წარმოადგენდა. გერმანიაში მალე დაიწყეს ბისმარკის მოსაზრება, რომელიც რუსეთთან სამხედრო შეტაკების საფრთხეს აყენებდა პირველ ადგილზე იმ საშიშროებებს შორის, რაც ემუქრებოდა გერმანიას[353].

1 აგვისტოს გერმანიაში გამოცხადდა მობილიზაცია. შლიფენის გეგმის სისრულეში მოსაყვანად საჭირო იყო საფრანგეთისათვის ომის გამოცხადება და მისთვის დარტყმის მიყენება ბელგიის მხრიდან. ამიტომ იყო, რომ ჯერ კიდევ 29 ივლისს გერმანიის დიპლომატიურ წარმომადგენელს ბელგიაში გაეგზავნა ულტიმატუმი, რომელიც მას უნდა გადაეცა ბელგიის მთავრობისათვის გერმანიის ჯარების ბელგიაში შეჭრის დღეს. ულტიმატუმი მოითხოვდა ბელგიის ტერიტორიაზე გერმანიის ჯარების გავლის ნებართვას. ამის სამაგიეროდ ბელგიას ჰპირდებოდნენ მთლიანობის და დამოუკიდებლობის შენარჩუ-

---

[349] F. Fischer. Weltmacht der Niedergang, S. 54.

[350] И. В. Бестужев, указ. соч., стр. 89.

[351] Lord Grey, დასახ. ნაშრ., ტ. 2, გვ. 20—21.

[352] Б. Бюлов. Воспоминания, стр. 440; F. Fischer. Weltmacht oder Niedergang, S. 59; A. Schreiner, დასახ. ნაშრ., ტ. 1, გვ. 295—296.

[353] О. Бисмарк. Мысли и воспоминания, т. 3, стр. 118—119.

ნებას და ტერიტორიულ კომპენსაციებს საფრანგეთის ხარჯზე. 2 ივლისს ნოტა გადაეცა ბელგიის მთავრობას, რომელმაც უარყო გერმანიის მოთხოვნა და დახმარებისათვის ინგლისს მიმართა.

გერმანიის შოვინისტურ პრესაში გამოჩნდა ცნობები, თითქოს ფრანგმა მფრინავებმა ყუმბარები ჩამოყარეს კარლსრუესა და ნიურნბერგის რკინიგზაზე[354], მაგრამ არავის უნახავს არც ყუმბარები, არც მისი კვალი[355]. მოგვიანებით როგორც ბიულოვი, ისე ბეტმან-ჰოლვეგი აღიარებდნენ, რომ ცნობები გერმანიის ტერიტორიის დაბომბვის შესახებ ყალბი იყო[356]. 3 აგვისტოს გერმანიამ ომი გამოუცხადა საფრანგეთს.

3 აგვისტოს გრეი გამოვიდა თემთა პალატაში სიტყვით და ილაპარაკა ომის გარდუვალობაზე, რომ ინგლისი შექმნილი ვითარების გამო იძულებული გახდებოდა ჩაბმულიყო ომში ღირსების, სამართლიანობის, ინგლისელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებისა და ბელგიის ნეიტრალიტეტის დაცვის მიზნით[357]. შლიფენ-მოლტკეს გეგმის თანახმად გერმანიის არმია შეიჭრა ბელგიის ტერიტორიაზე. „გერმანელმა იმპერიალისტებმა, — წერდა ვ. ი. ლენინი, — უტიფრად დააღწიეს ბელგიის ნეიტრალიტეტი, როგორც იქცეოდნენ ყოველთვის და ყველგან მეომარი სახელმწიფოები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ფეხქვეშ ქელავდნენ ყველა ხელშეკრულებასა და ვალდებულებას“[358]. ბელგიის ნეიტრალიტეტის დარღვევა თვითონ დიდი ბრიტანეთისათვის შეიცავდა უდიდეს საფრთხეს, ამიტომ, ცხადია, ის არ შეურიგდებოდა ამას[359]. 4 აგვისტოს გერმანიის მთავრობას გადაეცა ინგლისის მთავრობის ულტიმატუმი, რომლის ვადა ღამის 12 საათზე იწურებოდა. ბერლინიდან არავითარი პასუხი არ ჩანდა, ამიტომ ლონდონმა გამოიწვია თავისი ელჩი, რაც მოასწავებდა საომარ მდგომარეობას ინგლისსა და გერმანიას შორის[360]. ასე გაჩაღდა მსოფლიო ომი, რომელსაც ესწრაფვოდნენ ყველა ქვეყნის იმპერიალისტები მსოფლიოს ხელახალი გადანაწილების მიზნით. როგორც ვ. ი. ლენინი

---

[354] E. Eyck, დასახ. ნაშრ., გვ. 770.

[355] იქვე, გვ. 771.

[356] Б. Бюлов, Воспоминания, стр. 441; Т. Бетман-Гольвег. Мысли о войне, стр. 97.

[357] МОЭИ, сер. 3, Т. 5, № 534.

[358] ვ. ი. ლენინი, ომი და რევოლუცია, თხზ., ტ. 21, გვ. 369—370.

[359] ინგლისმა ჯერ კიდევ 31 ივლისს გაუგზავნა საფრანგეთისა და გერმანიის მთავრობებს მოთხოვნა უზრუნველეყოთ ბელგიის ნეიტრალიტეტი. ეს მოთხოვნა მიმართული იყო გერმანიისადმი, რადგან საფრანგეთი ბელგიის ნეიტრალიტეტის მომხრე იყო (Lord Grey, დასახ. ნაშრ., გვ. 311).

[360] „Die Deutschen Dokumente“, Bd. 4, № 839, S. 65—66.

ალნიშნავდა, „სამი ავაზაკი (ინგლისის, რუსეთის, საფრანგეთის ბურჟუაზია და მთავრობები) ათეული წლობით იარაღდებოდნენ გერმანიის გასაძარცვავად. განა გასაკვირია, რომ ორი ავაზაკი უფრო ადრე დაესხა თავს, ვიდრე სამი მოასწრებდა მათ მიერ შეკვეთილი დანების მიღებას?“[361].

ს. ფეი იცავდა გერმანიის იმპერიალიზმს; მისი აზრით, გერმანია სრულებით არ ესწრაფვოდა ევროპულ ომს, რომ მხოლოდ ავსტრია-უნგრეთთან კავშირისა და საკუთარი უგნურების მსხვერპლად იქცა[362].

ვილჰელმ II თავის მემუარებში ცდილობდა დაემტკიცებინა, თითქოს 1914 წ. ივლისში გერმანიის მმართველი წრეები ნაკლებად ფიქრობდნენ ომზე და ამიტომ ლაპარაკიც კი ზედმეტია იმაზე, რომ ის მოემზადებინათ[363]. კაიზერი გატკეპნილ გზას მიჰყვებოდა — ის ხმას არ იღებდა იმის შესახებ, რომ გერმანიას ომი სურდა და მისი გაჩაღებისათვის ისარგებლა ხელსაყრელი მომენტით. ამასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინი წერდა: „გერმანიის ბურჟუაზია აერცელებს ზღაპრებს, თითქოს იგი თავდაცვით ომს აწარმოებდეს, ნამდვილად კი მან შეარჩია, მისი თვალსაზრისით, ყველაზე მარჯვე მომენტი ომისათვის“[364].

გერმანელი ხალხისათვის არც ისე ადვილი იყო სიმართლის გაგება. პრესა გულდასმით ამტკიცებდა, რომ გერმანია გახდა რუსეთ-საფრანგეთის კომბინირებული თავდასხმის მსხვერპლი და ყოველი გერმანელის უწმინდეს პატრიოტულ მოვალეობად თვლიდა სამშობლოს დაცვას ამ თავდასხმისაგან[365].

გერმანელი იმპერიალისტები, რომელთაც თავის თავზე აიღეს მსოფლიო იმპერიალისტური ომის გაჩაღების ინიციატივა, ამაყად მიაბიჯებდნენ ამ ომის ავანგარდში და იმედით შეჰყურებდნენ მომავალს.

---

[361] ვ. ი. ლენინი, რუსი ზიუდეკუმები, თხზ., ტ. 21, გვ. 193.
[362] С. Фей, указ. соч., Т. II, стр. 354.
[363] Вильгельм II. Мемуары, стр. 121.
[364] ვ. ი. ლენინი, ომი და რუსეთის სოციალ-დემოკრატია, თხზ. ტ. 21, გვ. 16.
[365] E. Eyck, დასახ. ნაშრ., გვ. 771.

დ ა ს კ ვ ნ ა

პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის წარმოშობა განაპირობა კაპიტალიზმის განვითარების ობიექტურმა კანონზომიერებამ— ეკონომიკურად და პოლიტიკურად არათანაბარმა განვითარებამ[1], მაგრამ ომის გაჩაღებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა გერმანიის იმპერიალიზმმა, რომელიც ისწრაფვოდა მსოფლიოს ხელახალი განაწილებისაკენ. ამ ომს პოტენციურად ჩაეყარა საფუძველი ჯერ კიდევ გერმანიის ეროვნული გაერთიანების შემდეგ, როცა კაპიტალიზმის განვითარება სწრაფად წავიდა წინ და სულ მალე შეავიწროვა იმ დროის უძლიერესი სახელმწიფო—ინგლისი სავაჭრო, ეკონომკურ და სხვა სფეროებში. მძლავრი ეკონომიკური აღმავლობა საშუალებას აძლევდა გერმანიას, მოემზადებინა არმია და საზღვაო ფლოტი გადამწყვეტი ბრძოლისათვის, უწინარეს ყოვლისა, ინგლისის სავაჭრო და პოლიტიკური ძლიერების წინააღმდეგ.

იმპერიალისტური გერმანიის ინიციატივით შექმნილი სამთა კავშირის არსებობის პირობებში ინგლის-გერმანიის წინააღმდეგობის შედეგს წარმოადგენდა სამთა შეთანხმების (ანტანტა) შექმნა.

ბოსნიის კრიზისმა სულ სხვა შედეგი მოიტანა, ვიდრე ეს სურდა გერმანიის დიპლომატიას. გერმანიის აქტიურმა გამოსვლამ გამოიწვია ანტანტის რიგების შემჭიდროება.

1909 წ. კანცლერის პოსტზე ბეტმან-ჰოლვეგის დანიშვნით გაიზარდა ვილჰელმ II-ის გავლენა გერმანიის საგარეო პოლიტიკაზე, რომელიც სულ უფრო აგრესიულ და ავანტიურისტულ ხასიათს იღებდა. ამასთანავე, მწვავდება საშინაო პოლიტიკური მდგომარეობა, რაც გერმანიის მმართველ წრეებს უბიძგებდა გამალებული შეიარაღებისა და საგარეო პოლიტიკური ექსპანსიისაკენ.

ბეტმან-ჰოლვეგის მთავრობა იყო ისევე რეაქციული და იმპერიალისტური, ისევე ერთგულად ემსახურებოდა გაბატონებული იუნკრულ-ბურჟუაზიული ბლოკის ინტერესებს, როგორც წინა მთავ-

---

[1] იხ. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ, თხზ., ტ. 21, გვ. 417.

რობები კაიზერული გერმანიისა. მან ჩაატარა უკანასკნელი სამზადისი ომისათვის და გააჩაღა იგი.

1909—1914 წწ. გერმანიის საგარეო პოლიტიკა იღებს უფრო აქტიურ ხასიათს. ის აღარ ერიდება დიდი მასშტაბის ომის წარმოშობის საფრთხეს და მიმართავს მთელ რიგ საშიშ და ავანტიურისტულ საგარეო პოლიტიკურ ღონისძიებებს, თუმცა საბოლოო ანგარიშით ასეთი კურსი კიდევ უფრო აუარესებს გერმანიის მდგომარეობას, რადგან მისი მოწინააღმდეგენი ცდილობენ სრული მზადყოფნით შეხვდნენ გერმანიის აგრესიულ ზრახვებს და შეძლებისდაგვარად თავისი რიგების კონსოლიდაციას ახდენენ.

ამ პერიოდში გერმანია განიცდის მრავალ საგარეო პოლიტიკურ წარუმატებლობას. ამას ხელს უწყობდა გერმანიის დიპლომატიის ავანტიურისტული ღონისძიებანი, აგრეთვე ძალთა ის შეფარდება, რომ შექმნილი აზრი გააქარწყლა გერმანიის აგრესიული პოლიტიკისა და იყო შედეგი წინამდებარე პერიოდის პოლიტიკისა.

ბეტმან-ჰოლვეგის მთავრობამ ვერ შეძლო ანტანტის გათიშვა, რაც მისი საგარეო პოლიტიკის მთავარი მიზანი იყო და ვერც ევროპაში შექმნილი აზრი გააქარწყლა გერმანის აგრესიული პოლიტიკისა და საბრძოლო განზრახვის შესახებ.

გერმანიის საგარეოპოლიტიკური მდგომარეობა ამ პერიოდში უარესდება იმის გამო, რომ გერმანია-ინგლისის ანტაგონიზმი კოლონური და საზღვაო შეიარაღების ნიადაგზე სულ უფრო ღრმავდება. გერმანიის პოზიციებს არსებითად ასუსტებს აგრეთვე იტალიის ორჭოფული პოლიტიკა. 1909 წ. მოყოლებული იტალია თანდათანობით სულ უფრო შორდება სამთა კავშირს და ანტანტას უახლოვდება.

ამავე პერიოდში გერმანია უპირისპირდება აგრეთვე საფრანგეთსა და მეფის რუსეთს მრავალ საკითხში. ვერ აღწევს რა წარმატებებს, გერმანია ცდილობს, თავი დააღწიოს სიძნელეებს, რომლებიც შეუქმნა ევროპის წამყვან სახელმწიფოებთან ჭიშპობამ და მიისწრაფვის მსოფლიო ბატონობის იდეის განხორციელებისაკენ. ამ მიზანს ემსახურება გამალებული შეიარაღება, რომელიც უზარმაზარ სახსრებს ნთქავს და აჩქარებს ომის გაჩაღებას.

ასეთ ვითარებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა აგრესიულ საგარეო პოლიტიკას, რომლის ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ გაეადვილებინა გერმანიის იმპერიალიზმისათვის ომის გაჩაღება, რაც განხორციელდა კიდეც ყოველგვარი შეფერხების გარეშე. სარაევოს მკვლელობამ კარგი საბაბი მისცა ომის გაჩაღებისათვის გერმანელ იმპერიალისტებს, რომელნიც თვლიდნენ, რომ გერმანია უკეთ იყო

მომზადებული ომისათვის, ვიდრე მისი მოწინააღმდეგეები. ომის გაჩაღებას მსოფლიო ბატონობის მოპოვებისათვის ისიც უწყობდა ხელს. რომ ბერლინში სჯეროდათ ინგლისის ნეიტრალიტეტისა.

კონფლიქტის გამწვავების საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა აგრეთვე ვილჰელმ II-ის გაუწონასწორებელი მოქმედება, რაც ხშირად გამოიხატებოდა ხოლმე მის ცნობილ შენიშვნებში გერმანელი დიპლომატების მოხსენებათა არეებზე. გერმანიას უარი რომ ეთქვა შეუზღუდველ მხარდაჭერაზე და არ წაექეზებინა ავსტრია-უნგრეთი, შესაძლოა მსოფლიო ომი 1914 წელს არ გაჩაღებულიყო, მიუხედავად იმისა, რომ ის შემზადებული იყო მრავალგვარი იმპერიალისტური წინააღმდეგობებით.

ГЕРМАНИЯ НАКАНУНЕ ПЕРВОЙ МИРОВОЙ ВОЙНЫ 1909—1914

Резюме

Проблема происхождения Первой мировой войны много десятков лет привлекает внимание исследователей-историков. Хотя за этот период было написано большое количество работ, связанных с историей возникновения Первой мировой войны, всё же интерес к этой проблеме не ослабевает. Ученые разных стран стараются вскрыть истинные причины, приведшие к Первой мировой войне. Привлекаются ранее неизвестные материалы, появляются новые работы, являющиеся результатом скрупулезных исследований ученых, занимающихся данной проблемой.

Германскому империализму суждено было открыть эпоху мировых войн. Несмотря на горький опыт результатов Первой мировой войны, правящие круги Германии встали на путь подготовки новой войны. Эта перспектива стала особенно реальной после прихода к власти фашистов в январе 1933 года. И действительно, через шесть лет они ввергли мир в новую катастрофу.

Правящие круги Германской империи, проводя «Мировую политику», часто прибегали к провокационным методам во внешней политике, тем самым создавая критические ситуации, угрожавшие войной народам Европы. Поэтому ответственность Кайзеревской Германии, сыгравшей решающую роль в развязывании Первой мировой войны, требует тщательного изучения. Следует отметить, что война хоть и была непосредственно развязана Германией подготавливалась всеми великими державами, каждая из которых преследовала свои корыстные цели. Тем более, что великие державы были объединены в две враждебные военно-политические группировки: Антанту и Тройственный союз.

В данной работе исследуются вопросы внешней политики и гонки вооружения Германии накануне Первой мировой войны. Начиная с боснийского кризиса 1908—1909 гг., внешняя политика Германии активизируется. Идет лихорадочная гонка вооружений и делается всё, чтобы в нужный момент быть во

всеоружии и осуществить бредовую идею господства над миром.

Исследование данной проблемы сопряжено со многими трудностями, возникающими в связи с обилием источников и научной литературы по данному вопросу.

В работе делается попытка уточнить причины активизации внешней политики Германии накануне войны, показать эволюцию агрессивной политики Германии на основе первоисточников, выявленных нами в архивах СССР. Это, в первую очередь, материалы архива внешней политики России (АВПР), Министерства Иностранных Дел СССР. Много интересного почерпнуто нами и в Центральном государственном военно-историческом архиве (ЦГВИА), а также в Центральном государственном историческом архиве Ленинграда (ЦГИАЛ).

Широко использованы документальные сборники, изданные в СССР, Германии, Англии, Франции и Австрии.

Эти материалы, а также исследования, мемуарная литература, пресса и др. дали нам возможность дополнить отдельные положения, выдвинутые в трудах советских и зарубежных историков, и в какой-то мере дорисовать картину предвоенной внешней политики кайзеровской Германии.

Следует отметить, что в работе использована грузинская пресса того времени, неизвестная для широкой общественности. Материалы прессы содержат много интересного о внешней политике Германии. Объективно и систематически освещаются события, делаются интересные выводы и, что самое главное, выявляется грузинское общественное мнение о происходящих событиях.

Внутренняя политика и экономическое развитие Германии рассматриваются в работе в той мере, в какой они необходимы для понимания внешнеполитических вопросов. Экономический подъем, наблюдаемый в Германии после объединения, давал ей возможность подготовить армию и военно-морской флот для далеко идущих целей. Успехи в экономике послужили одним из важных факторов, который толкал германский империализм к подготовке, а затем и к развязыванию войны. Господство монополий, таможенная политика, проводимая в интересах юнкерства и крупной буржуазии, вызывала рост цен и ухудшение жизненного уровня трудящихся. Это обстоятельство еще в большей степени обостряло положение внутри страны и толкало правящие круги Германии к гонке вооружений и внешнеполитическим авантюрам.

Авантюризм и шантаж были характерны для внешней политики Германии вообще, но во время боснийского кризиса 1908—1909 гг. и второго марокканского кризиса 1911 г. действия правящих кругов Германии превзошли в этом смысле все ожидания. Берлин действовал провокационно в обоих

случаях, едва не приведших к войнам. Реакционная пресса Германии с восторгом встречала подобные действия правительства и требовала активного ведения внешней политики.

Накануне войны правящие круги Германии еще настойчивее ставят вопрос о коренном переделе мира и готовятся к нему в военном и дипломатическом отношениях. Всё это отражается на внешнеполитическом поведении Германии, направленном на разобщение Антанты и подготовку войны. В такой обстановке убийство австрийского престолонаследника эрцгерцога Франца-Фердинанда в Сараево послужило для Берлина подходящим поводом для разжигания войны. Германская дипломатия начинает действовать энергично, дабы облегчить правящим кругам развязывание войны, что и было осуществлено без промедления.

სახელთა საძიებელი

აბდულ-ჰამიდი 24, 29
აგაევი ს. 70
აზეტიანი ა. 131, 135—136, 138, 141
ალიფუზოვი ა. 121, 127
არენი ჟ. 84
ასკვიტი ჰ. 92
ასტაფიევი ი. 11, 59, 77

ბალობაევი ა. 23, 58
ბარტელი ვ. 12, 37
ბებელი ა. 105, 109
ბენკენდორფი ა. 150
ბერნჰარდი ფ. 12, 111
ბერხტოლდი ლ. 144—146, 149
ბესტუჟევი ი. 152, 164
ბეტმან-ჰოლვეგი თ. 9, 17, 43—44, 72, 79, 90—92, 96—97, 100, 102, 108, 111, 113—118, 123, 128—129, 135, 145—147, 153, 161, 163, 165, 167—168
ბისმარკი ო. 20, 22, 47, 54, 164
ბიულოვი ბ. 9 ,19, 24, 37, 41, 43, 47, 51—52. 59, 65, 69, 83, 88. 90—91, 134, 160, 163—165
ბონდარევსკი გ. 11, 23—24
ბრანდენბურგი ე. 13
ბრონევსკი ა. 153—155, 159
ბრუკსი მ. 77
ბულაცელი ნ. 41, 56—57, 61, 63, 69, 70

გერჩიკოვა ვ. 102, 104
გლუშკოვი გ. 129—130
გოლდშტეინი ი. 26, 28
გოტლიბი ვ. 138, 141
გრეი ედ. 9, 59, 62, 79, 117, 158—161, 164—165

გრიუნვალდი კ. 50
გუჩი ჯ. 8

დელბრიუკი ჰ. 124
დონაძე ვ. 10

ედუარდ VII 16, 55, 61—63
ეიკი ე. 15, 43, 63, 95, 109, 112, 117, 119, 124, 128, 132, 134, 147. 165, 166
ელინეკი გ. 20
ენგელსი ფ. 20—21
ერენტალი ა. 49, 52, 59

ვალენტინი ფ. 12—13, 108, 139
ვარგა ე. 34
ვერეშჩოვსკი დ. 125—126
ვილჰელმ II 8—9, 15, 19, 24, 41, 43—44, 51, 54, 56, 60, 62, 64—65, 75, 80, 84, 86, 88, 90, 96, 97—98, 100, 102, 121, 128, 132—133, 135, 137, 144—148, 152, 154—156, 159—162, 166—167, 169
ვინოგრადოვი კ. 7, 11, 53, 60
ვიქტორ-ემანუელ III 65
ვუდუორდი ლ. 7

ზაიონჩკოვსკი ა. 24, 49, 58, 125, 127

იაგოვი გ. 130. 140, 149—150, 155
იგნატიევი ა. 58, 79
იერუსალიმსკი ა. 10, 17, 21, 23, 25, 51, 148, 150
იევნოვი ს. 70
იზვოლსკი ა. 42, 45, 49, 52, 54, 57, 59, 61, 65, 70, 104, 136
ისლამოვი ტ. 50

კამბონი ჟ. 97, 102, 130, 153—154
კამბონი პ. 117
კაუცკი კ. 7, 156
კიდერლენ-ვეხტერი ა. 44, 74, 76, 96, 98, 102, 107—108
კირდორფი ა. 26

კიკვაძე ნ. 10
კიღურაძე გ. 10, 25, 94
კლაინი ფ. 12, 29
კლასი ჰ. 12, 98—99
კლუჩინიკოვი იუ. 140, 162
კრიჩევსკი გ. 37, 42
კრუკი ა. 16, 23
კრუპი ა. 120—121
კუბლაშვილი ი. 49, 132, 134—135, 137
კუჩინსკი იუ. 12, 26, 28, 32, 37

ლევინა რ. 26, 28
ლემონონი ე. 87, 90
ლენინი ვ. ი. 3—4, 20—21, 27—28, 30, 34, 78, 81, 106, 127, 129, 142, 162, 165—166
ლიახოვი ვ. 125—126
ლიბკნეხტი კ. 43, 124
ლიხნოვსკი კ. 17, 140, 149—150, 156, 158, 161
ლოიდ ჯორჯი დ. 9, 63, 87, 100, 103—104, 126, 151
ლოშჩინინი ვ. 111, 113
ლუკინი ნ. 119

მანფერდი ა. 19
მარქსი კ. 20—21
მაჰმუდ-შევკეთ ფაშა 132
მეტერნიხი 52, 89—91, 99, 103
მიკულსკი კ. 120
მიხალევსკი ბ. 31
მოლტკე ჰ. (უმცროსი) 53, 90—91, 100, 105, 115, 148
მოჰამედ-ალი 70
მურად I. 143

ნეიმანი ლ. 102, 109
ნერატოვი ა. 47
ნიკოლოზ II. 52, 60, 65—66, 75—76, 125, 135, 161
ნიკოლსონი ა. 99
ნიკოლსონი ჰ. 130, 156
ნორდენი ა. 12, 36, 95—96, 110, 115
ნოტოვიჩი ფ. 4, 7, 9, 11, 13

ობილიჩი მ. 143
ონკენი ჰ. 13
ორუჯეი მ. 113, 132, 141
ოსტენ-საკენი ნ. 42—43, 45, 47, 54—55, 58, 62—64, 68, 70—71, 97—99, 105—106, 108, 116
ოტო ჰ. 29

პეტრიაევი კ. 11, 23
პეტრუშოვი ა. 36
პისარევი იუ. 56, 143—144, 154
პოლეტიკე ნ. 11
პრინციპა გ. 143
პრიცკოლეიტი კ. 13
პუანკარე რ. 125, 130, 136, 156
პურტალესი ფ. 53—54, 59, 74, 154, 157, 159

რატიანი იუ. 101—102
რატმანი ლ. 12, 60, 65, 78, 139—140, 148
რენუვენი ჰ. 18, 42, 145
რეიხი ე. 23
რიტერი გ. 14—15, 18, 81, 104, 119, 121, 129—130, 162—163
რორბახი ჰ. 12, 54, 56, 59, 85, 107

სალოვი ვ. 11, 18
საზონოვი ს. 47, 62, 71, 74—75, 130, 134, 137, 155, 159
საპარი ფ. 155
სეგენი ლ. 56, 145—146
სანდერსი ლ. 132, 134, 137, 141
საბანინი ა. 140, 162
სვერბეევი. ს. 129, 134, 138
სტივე ფ. 56, 69, 101, 142

ტაბაღუა ი. 10, 21, 125
ტარლე 10, 21, 24, 84, 96, 117—118, 146
ტეილორი ა. 18, 88
ტირპიცი ა. 9, 82—83, 85—86, 88, 90—91, 93, 110, 117, 119, 148, 157
ტიტონი ტ. 49, 65
ტრაინინი ი. 51
ტუპოლევი ბ. 23, 139

ფაინგარი ი. 27
შეი ს. 18, 55, 137, 144, 166
ფელნერი ფ. 52, 65
ფიშერი ე. 145
ფიშერი ფ. 13, 16—17, 52, 98, 102—104, 113—114, 117, 123, 154—155, 161, 164

ფრანც-იოსები 56, 114, 145
ფრანც-ფერდინანდი 59, 142, 152

ქემალ-ფაშა 131

შებეკო ნ. 47, 62, 68, 71, 97
შლიფენი ა. 81—82
შმიდელი კ. 29
შნიტერი ჰ. 29
შონი ვ. 50, 54, 65, 73—74, 90—91
შრაინერი ა. 12, 52, 60, 107, 140, 164

ჩარიკოვი ნ. 41, 63, 69—70
ჩარნი ი. 22
ჩერჩილი უ. 117
ჩირშკი ჰ. 60, 143

ცაისლერი კ. 29
ციმერმანი ა. 98, 134, 147

ხოსტოვი ვ. 11

ჯორჯ V 135

ჰალგარტენი გ. 13, 16—17, 40, 42, 85, 90, 139
ჰასელმაირი ფ. 102, 104, 124, 162
ჰაუზერი ო. 15, 78, 83, 118
ჰეიდორნი გ. 12, 85, 95—96, 124, 153, 158
ჰელფერიხი კ. 25, 34
ჰოიოსი ა. 145
ჰოლდენი რ. 116—117
ჰერცფელდი ჰ. 18, 61, 77, 101
ჰეტცენდორფი კ. 9, 53—54, 114, 123, 146, 152, 154
ჰუბაჩი ვ. 14, 83, 117

შინაარსი

შესავალი 3
გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა . 5

თავი პირველი

გერმანიის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა პირველი მსოფლიო ომის წინ 19
1. გერმანიის ეკონომიკური განვითარება პირველი მსოფლიო ომის წინ (1909—1914 წწ.) 19
2. ბეტმან-ჰოლვეგის დანიშვნა რაიხსკანცლერის პოსტზე და გერმანიის საშინაო მდგომარეობა 39

თავი მეორე

გერმანიის საგარეო პოლიტიკის გააქტიურება და საზღვაო შეიარაღების გაძლიერება (1909—1911 წწ.) 49
1. 1908—1909 წწ. ბოსნიის კრიზისი და მისი გავლენა გერმანიის საგარეო პოლიტიკურ მდგომარეობაზე 49
2. გერმანიის დიპლომატია და ბრძოლა სპარსეთში გავლენის გაძლიერებისათვის 69
3. სამხედრო-საზღვაო შეიარაღების გაძლიერება გერმანიაში . . 80

თავი მესამე

იმპერიალისტური გერმანიის მზადება ომისათვის (1911—1914 წწ.) . . 94
1. გერმანიის მმართველი წრეების ავანტიურისტული პოლიტიკის კრახი მაროკოს მეორე კრიზისის დროს და წინააღმდეგობების გამწვავება ინგლისთან 94
2. გერმანია გამალებული შეიარაღების გზაზე 115
3. ცაბერნის კრიზისი და საერთაშორისო მდგომარეობის გამწვავება თურქეთში გერმანიის სამხედრო მისიის გაგზავნის გამო . . 127
4. სარაევოს მკვლელობა და გერმანია 141
დასკვნა 167
რეზიუმე 170
სახელთა საძიებელი 173

Чочия Важа Галактионович

ГЕРМАНИЯ НАКАНУНЕ ПЕРВОЙ МИРОВОЙ ВОЙНЫ (1909—1914)

(на грузинском языке)

«Мецниереба»
ТБИЛИСИ
1986

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 2795

გამომცემლობის რედაქტორი რ. ფ ე ი ქ რ ი შ ვ ი ლ ი
მხატვრული რედაქტორი ირ. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე
ტექრედაქტორი ც. ქ ა მ უ შ ა ძ ე
კორექტორი ე. გ ო გ ა ვ ა

გადაეცა წარმოებას 9. XII. 1985; ხელმოწერილია დასაბეჭდად 13. II. 1986;
ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆; ქაღალდი № 1; ბეჭდვა მაღალი;
გარნიტურა ვენური; პირობითი საბეჭდი თაბახი 11.0;
პირ. საღ. გატ. 11.2;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7,4;

უე 01033; ტირაჟი 1000; შეკვეთა № 3929;
ფასი 1 მან.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19